

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო
ინსტიტუტი
ფილოლოგია (თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერება)

ქეთევან მირზიკაშვილი

მეტყველებისა და აღქმის ტიპოლოგია

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი
დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ირინე მელიქიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ-ის ემერიტური პროფესორი

თბილისი

2020

აბსტრაქტი

მეტყველებისა და აღქმის ტიპოლოგიური ანალიზი წარმოადგენს აღნიშნული სემანტიკური ველების განსაზღვრისა და ტიპოლოგიური კანონზომიერების გამოვლენის მცდელობას. თემა აქტუალურია ფსიქოლინგვისტური თვალსაზრისით, რადგან ერთმანეთის პარალელურად განვიხილავთ არამონათესავე ენებში *მეტყველებისა* და სმენითი *აღქმის* ცნებათა ამსახველ ლექსიკას. თუმცა ძნელია შესაბამისი სემანტიკური ველების შემოსაზღვრა, რადგან ბევრ სრულიად განსხვავებულ მოვლენათა ამსახველი ერთეულები შეიძლება იჭრებოდეს და იკვეთებოდეს ამ ველებში, რაც ასევე შეიძლება მეტყველებად ჩაითვალოს, რადგან წმინდა ვერბალური თვალსაზრისით, შეიძლება „მეტყველებამდე“ დავიყვანოთ, მაგრამ ამავდროულად სრულიად განსხვავებული ფსიქოლოგიური თუ ლოგიკური მოტივაცია აქვთ და მათზე მსჯელობა შორს წაგვიყვანდა (მაგალითად: ლოცვა, ვედრება...). განსხვავებული სურათი გვაქვს აღქმასთან დაკავშირებით, აქ სირთულეს წარმოადგენდა მოსმენისა და შესმენის მნიშვნელობათა დიფერენციაცია სიტყვებსა თუ გამონათქვამებში, რადგან ზოგი სიტყვა ხან ერთი გაგებით იხმარება და ხან – მეორით, აქ კონტექსტს იმდენი დატვირთვა არა აქვს, რამდენადაც მეტყველის არავერბალური განაზრახით გამოიხატება, რაც ჩვენი ნაშრომის თემა არ არის და, შესაბამისად, გვერდს ვუვლით.

ამ ცნებათა არჩევა განაპირობა იმ ინტერესმა, რაც გამომდინარეობს მათი როლიდან ადამიანთა შორის გააზრებულ, მიზანმიმართულ კომუნიკაციაში, რაც ენის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა და ადამიანთა საზოგადოების განვითარების პირობაც. ეს პროცესი გარკვეულწილად წრიული ხასიათისაა, ადამიანი მეტყველებს იმ მიზნით, რომ გადასცეს, გააგებინოს თანამოსაუბრეს (ან მსმენელს) გარკვეული ინფორმაცია, ამავდროულად კი ცდილობს მოსმენის შემდეგ თვითონაც აღიქვას, გადაამუშავოს (გაიაზროს) მოწოდებულ სიტყვათა ნაკადი და კვლავ ახლიდან დაიწყოს პროცესი. აღნიშნული აქტი საზოგადოების ჩამოყალიბებიდან იღებს სათავეს. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა ის ლექსიკური ფონდი, რომელიც გამოიყენება ამ პროცესში. ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა მეტყველება-აღქმის, ამ ორი საკმაოდ რთული ფსიქოლოგიური მოვლენის განვითარების სურათი დიაქრონიულ ჭრილში. ამ

შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ ცნებები ავიღეთ განზოგადებულად, ხოლო შემდეგ თავში – ამ მნიშვნელობის მქონე ფრაზეოლოგიზმები და ანდაზები, რომლებშიც ჩვენთვის გამორჩეულ მნიშვნელობები საინტერესო სტრუქტურულ სახეს იღებს. მიგვაჩნია, რომ ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ხატოვნად აღწერს სინამდვილეს და გარკვეული სტრუქტურული არაორდინალურობით ხასიათდება, ამა თუ იმ ენის და, შესაბამისად, ეთნოსის მსოფლალქმას აირეკლავს; ანდაზებში კი სტრუქტურულ თავისებურებებთან ერთად მორალის მძაფრი გააზრება-გამოვლინებაც ხდება, რაც, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, არანაკლებ საინტერესოდ გვეჩვენება.

თემის წერისას ძირითადად ვისარგებლეთ ეტიმოლოგიური, განმარტებითი და თარგმნითი ლექსიკონებით როგორც ქართულ, ისე სხვა ენებზე.

Abstract

Typological analysis of speech and perception is an attempt to determine the semantic fields and identify typological regularities. The topic is important (actual) from the psycholinguistic point of view as we simultaneously review the vocabulary reflecting the concepts of speech and hearing in non-related languages. However, it is hard to determine respective semantic fields, since the units reflecting completely different events might emerge in these fields. It can also be considered as a speech, since from a purely verbal point of view it might be understood as “Speech” but at the same time it has absolutely different psychological or logical motivation (for instance: praying, imploring) and reviewing the referred issue will distract us from the main point. We have a different reality in regard of perception. It is quite difficult to differentiate the meanings of hearing and listening in words or phrases/phraseological units as some words are used for different meaning. The context is not so important in such cases since it is expressed through a non-verbal purpose. However, we will leave it without discussion since the latter is not a topic of the current thesis.

These concepts were selected based on their function in the process of thoughtful and purposeful communication among the human beings that is one of the most significant functions of language as well as precondition for the development of society. This is a circular process to a certain extent, since a person speaks in order to convey, make the collocutor/companion (or listeners) understand certain information. At the same time he/she tries to perceive, process (realize) the stream of words after hearing and start the process again as well. The referred act is of ancient origin and dates back to the establishment of society. Hence, the vocabulary used in this process, has become the subject of our interest. We made efforts to imagine the development process of two hard psychological events Speech-Perception in a diachronic point of view. In this case, only the concepts were taken in a generalized mode. However, phrases/ phraseological units and proverbs having the same meaning (their meaning is of great importance for us) and interesting structural forms will be presented in the following chapters. We strongly believe, that phrases/ phraseological units describing the reality in a figurative manner and having extraordinary structural characteristics reflect the perception of any language and the nation accordingly. However, there is a strong sense of morality along with the structural characteristics in proverbs, that does not seem less interesting from the psychological point of view.

While writing the thesis we mainly used etymological, explanatory and translation dictionaries in both Georgian and foreign languages.

შინაარსი

შესავალი8

1. მეტყველებისა და აღქმის ცნებათა კულტურული და ფსიქოლოგიური მნიშვნელობა13
 - 1.1. კოგნიტივისტური გააზრება40
 - 1.2. კონცეპტის არსი როგორც ლინგვისტური ანალიზის ტერმინი და ობიექტი43
 - 1.3. სამეტყველო ქმედების ანალიზი46
 - 1.4. მეტაფორიზაცია. სიტყვა გადატანითი მნიშვნელობით.54
 - 1.5. კომუნიკაციის დიალოგური ფორმა.58
 - 1.6. კომუნიკაციის ფუნქციები და სახეები.66
 - 1.7. მოსაუბრეთა სოციალური და ფსიქოლოგიური როლები. ენობრივი ცნობიერების ეთნიკური ელემენტი.68
 - 1.8. კომუნიკაციის ვერბალური და არავერბალური საშუალებები.71
 - 1.9. კომუნიკაციის სხვა მახასიათებლები.75
 - 1.10. კომუნიკაციის პრაგმატულობა.77
 2. ცნებათა განზოგადებული გამოხატულება79
 - 2.1. მეტყველების აღმნიშვნელი ნეიტრალური ლექსიკა87
 - 2.2. მეტყველების აღმნიშვნელი ონომატოპოეტური სიტყვები97
 - 2.3. მეტყველების აღმნიშვნელი არანეიტრალური ლექსიკა105
 - 2.4. სმენითი აღქმის აღმნიშვნელი ლექსიკა109
 3. ცნებათა გამოხატვა ანდაზებსა და ფრაზეოლოგიზმებში, მეტაფორიზაცია113
 - 3.1. ანდაზების განხილვა118
 - 3.2. ფრაზეოლოგიზმების განხილვა138
 4. დასკვნითი დებულებები147
- გამოყენებული ლიტერატურა 152

შესავალი

ნაშრომი ეძღვნება ენობრივ ცნობიერებაში *მეტყველებისა და აღქმის* ანალიზს. მიგვაჩნია, რომ ცნებები ერთ-ერთი ფუნდამენტურია სამყაროს შესახებ ადამიანის ცოდნის სისტემატიზაციისას. საკომუნიკაციო სისტემა უნივერსალური და უნიკალური ფენომენია. ამავე დროს, სხვადასხვა ენის შეპირისპირების შედეგად მიღებული მონაცემები მოწმობს, რომ სამეტყველო აქტის ფენომენი განსხვავებულია კულტურების მიხედვით. სამყაროს აღქმაში ეროვნულ-კულტურული სპეციფიკის გამოვლენა შესაძლებელია მხოლოდ ზოგადსაკაცობრიო ფონზე: ენობრივი ფაქტების ანალიზი წარმოაჩენს სამყაროს ინვარიანტულ ხატს.

საკვლევი თემის აქტუალობას განსაზღვრავს როგორც შიდალინგვისტური, ასევე გარელინგვისტური ფაქტორები. საკომუნიკაციო სისტემის პრობლემა შეისწავლება როგორც ლინგვისტიკაში, ისე სხვა მეცნიერებებშიც; ანტიკური ხანიდან მოყოლებული, მას განიხილავდა პრაქტიკულად ყველა ფილოსოფიური მიმდინარეობა. მეცნიერული აზრის განვითარების თანამედროვე ეტაპზე გაირკვა, რომ ამ ფენომენის ბუნებასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი დამაკმაყოფილებლად ვერ გადაწყდება წინასწარი ლინგვისტური დამუშავების გარეშე. ენის შესახებ მონაცემები – „საგანგებოდ შერჩეული და საგანგებოდ დამუშავებული – შეიძლება და აუცილებელია გამოვიყენოთ უფრო ფართო წრის ისეთ პრობლემათა გასაშუქებლად, რომლებიც ეხება როგორც ადამიანის გონებისა და ინტელექტის ბუნებას, ისე მის ქცევას, რაც ვლინდება ადამიანის გარესამყაროსთან და სხვა ადამიანებთან ურთიერთქმედების ყველა პროცესში“ (კუბრიაკოვა 2004: 9). ცოდნის სტრუქტურები, რომლებიც ვლინდება ენაში, წარმოადგენს გამოცდილების, სამყაროს გააზრების, კატეგორიზაციისა და შეფასებათა ბუნებრივ სტრუქტურებს, რომლებიც საზიაროა მოცემული ენობრივი კოლექტივის ყველა წევრისათვის.

თანამედროვე სამეცნიერო დისკურსში შემეცნება განიმარტება არა მარტო როგორც პროცესი, რომლის მეშვეობითაც ხდება აღქმა, კატეგორიზაცია, აზროვნება და ინფორმაციის დამუშავება; აღიარებულია, რომ იგი მოიცავს აგრეთვე გარესამყაროში ადამიანის მიერ საკუთარი თავის შეცნობასა და შეფასებას, სამყაროს იმ განსაკუთრებული სურათის აგებას, რომელიც შეადგენს

ქცევისა და ორიენტაციის საფუძველს. აღიარებულია, რომ „ენის საშუალებით შეიძლება შევიმეცნოთ ცნობიერების კონცეპტუალური შინაარსი და მოვახდინოთ მისი ექსპლიკაცია“ (პოპოვა, სტერნინი 2005: 7).

კონცეპტების მოდელირება იქცა თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთ ისეთ მიმართულებად, რომელიც აქტიურად ვითარდება: მკვლევრები გაზრდილ ინტერესს იჩენენ იმ როლისადმი, რომელსაც ასრულებს ადამიანისა და კულტურული პიროვნების ფაქტორი სინამდვილის კონცეპტუალური შემეცნებისა და ენობრივი აზროვნების პროცესებში. ლექსიკის კონცეპტუალიზაციის პროცესთა აღწერის მეთოდების პრობლემა, კონცეპტების მოდელირებისა და კონსტრუირების საკითხთა ჩათვლით, ლინგვისტიკის ფარგლებში ჯერ კიდევ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის.

გამოკვლევის აქტუალობას განსაზღვრავს ცნებების აღწერისა და მოდელირების მეთოდების დაზუსტება, აგრეთვე ისეთი მეთოდოლოგიის არარსებობა, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა კვლევის ობიექტისადმი ლინგვოკოგნიტიური და ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომის სინთეზზე.

ნაშრომი შესრულებულია ენისა და აზროვნების სიღრმისეული პროცესების საკვლევად თანამედროვე ლინგვისტური ტენდენციების კონტექსტში. კვლევის მეთოდებსა და ხერხებში სხვადასხვა სკოლის წარმომადგენელთა გარკვეული განსხვავების მიუხედავად, შეიმჩნევა საერთო ტენდენცია – მკვლევრები აღიარებენ, რომ: ა) ცნების კონცეპტუალური გაგება არის ცნობიერების ძირითადი ერთეული; ბ) მას აქვს ობიექტივაციის ენობრივი საშუალებები; გ) ენობრივ საშუალებათა ერთობლიობის ანალიზის გზით შეიძლება შევიქმნათ წარმოდგენა ცნების შინაარსისა და სტრუქტურის შესახებ; დ) მსგავსი აღწერა ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება ამომწურავი, რადგან იგი ემყარება მხოლოდ ენობრივ მონაცემებს, ხოლო ცნობიერების ერთეულების კონცეპტუალური გაგება მოიცავს შინაარსის არავერბალიზებულ ნაწილსაც. მაგრამ სწორედ ენობრივი მონაცემები იძლევა ყველაზე უფრო სრულ და სარწმუნო მასალას ადამიანის მიერ სამყაროს შეცნობის მეცნიერული აღწერისა და ენობრივ ცნობიერებაში სამყაროს კონცეპტუალური სურათის მოდელირებისათვის (კარასიკი, სტერნინი 2005).

დისერტაცია ეძღვნება მეტყველებისა და აღქმის პროცესს, მის აღწერას ქართულ ენობრივ სინამდვილეში და ფრაზეოლოგიზმებისა და გამონათქვამების

სხვადასხვა ენებთან შედარებისას გამოვლენილ ტიპოლოგიურ მსგავსება-განსხვავებას. ანალიზი საინტერესო უნდა იყოს როგორც კომუნიკაციის პროცესის შეცნობის თვალსაზრისით, ასევე სხვადასხვა ენობრივ რეალობაში ცნებათა გააზრების, ენობრივი რეალიზაციის თავისებურების გაანალიზების მხრივ.

კვლევის ობიექტს შეადგენს ქართული ენის ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელთა სემანტიკაში შედის მეტყველებისა და აღქმის სემანტიკური ველები; წარმოდგენილია, თუ როგორ რეალიზდება ცნებები სამეტყველო ურთიერთობის სიტუაციაში ანუ კომუნიკაციის პროცესში; მეტყველებისა და აღქმის ენობრივი მოდელები და ეროვნულ-სპეციფიკური პარამეტრები, რომლებიც ასახავს სამყაროს ეროვნული ხედვის თავისებურებებსა და ცნების ათვისების უნივერსალურ ნიშნებს; ფუნქციურ-კოგნიტიური და კულტუროლოგიური პარამეტრები, რომლებიც განსაზღვრავენ ცნებათა გამოყენების არქიტექტონიკასა და მისი სემანტიკის სპეციფიკას.

კვლევის მიზანია, გამოვავლინოთ და აღვწეროთ საანალიზო მასალის სტრუქტურული და ფსიქოლინგვისტური ტიპოლოგიური ტენდენციები; დავადასტუროთ, რომ სემანტიკური ველის სტრუქტურაში არსებობს საბაზო გრძნობადი ხატი, რომელიც ექსპლიციტურად და იმპლიციტურად შედის ენობრივ ერთეულთა სემანტიკაში; ენობრივ ერთეულთა ანალიზის საფუძველზე დავადასტუროთ ჰიპოთეზა ენობრივ ცნობიერებაში ცნებათა არქეტიპულ განაწილებაზე, მრავალფეროვან ენობრივ გარემოში ზოგადენობრივი ტიპების არსებობის შესახებ, რაც ადამიანთა საერთო ქვეცნობიერ იდენტობაზე მიგვანიშნებს; დავადგინოთ ცნებათა ინვარიანტული შინაარსი და შევაპირისპიროთ იგი ვარიანტული შინაარსების აბსტრაქციებთან, რომლებიც ყალიბდება ცალკეულ ენობრივ სივრცეში.

კვლევის ამოცანები. აღნიშნული მიზნების მისაღწევად მოცემულ ნაშრომში დასახული იყო შემდეგი ამოცანები:

1. სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე დაგვესაბუთებინა არჩეულ ცნებათა კვლევისა და მეტყველებაში რეალიზაციის პროცესის თეორიული პოზიციები;

2. დაგვემუშავებინა ცნებათა სტრუქტურული და მათი სემანტიკური ველის მოდელირების მეთოდოლოგია;

3. გაგვეანალიზებინა საკომუნიკაციო სქემის ფენომენი როგორც ცნების გააზრების კატეგორია ენობრივი ექსპლიკაციის საშუალებათა და ხერხების ანალიზის მეშვეობით;

4. გამოგვევლინა მეტყველებისა და აღქმის შინაარსობრივი ჯგუფების ეროვნულ-კულტურული სპეციფიკა – სალექსიკონო დეფინიციებისა და ლექსიკური სიხშირის კვლევის, ფრაზეოლოგიური ერთეულების ანალიზის საფუძველზე;

5. თეორიულად განგვეზოგადებინა მიღებული მონაცემები.

საკვლევ მასალად გამოყენებული იყო ლექსიკოგრაფიული წყაროების მონაცემები: დადგენილი პროტოტიპული ელემენტის შემცველ ლექსიკურ ერთეულთა სრული ამონაკრები ქართული ენის განმარტებითი და ეტიმოლოგიური ლექსიკონებიდან, რუსული ენის სინონიმებისა და ანტონიმების ლექსიკონებიდან, ფრანგული და ესპანური ანდაზებისა და იდიომების სხვადასხვა ინტერნეტლექსიკონიდან. ინგლისურ და გერმანულ ენათა სინონიმთა და ანტონიმთა, იდიომთა ბეჭდური და ინტერნეტგამოცემებიდან.

გამოკვლევაში დასახული ამოცანების გადაწყვეტა ხორციელდება კომპლექსური მეთოდის ბაზაზე, იმ ლექსემათა და კოლოკაციათა **ანალიზის** დედუქციურ-ჰიპოთეზური, კომპონენტური, დისტრიბუციული, სემანტიკურ-კოგნიტიური, ლინგვოკულტუროლოგიური **მეთოდების** მოშველიებით.

ნაშრომის სამეცნიერო სიახლე. საკომუნიკაციო სისტემა არა მხოლოდ ენათმეცნიერების, არამედ მრავალი სხვა დისციპლინის კვლევის ობიექტია, თუმცა სისტემის შემადგენელი ცნებების კომპონენტური ანალიზი და მათი ინტერპრეტაცია სამყაროს შემეცნების საერთო სურათში სიახლეა. ჩვენი მიდგომა საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ არა მარტო ის კოგნიტიური პროცესები, რომლებიც ასახულია ენაში, არამედ აგრეთვე გარკვეული დამაკავშირებელი რგოლები ენაში უნივერსალურსა და უნიკალურს შორის. მოცემულია ცნებათა ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი კულტურული მოდელის საფუძველზე.

საანალიზო სემანტიკური ველის თეორიული მოდელი რეკონსტრუირებულია ლინგვოკოგნიტიური და ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომის ბაზაზე, რაც საშუალებას იძლევა გავამსხვილოთ პრობლემა როგორც კულტურით მოტივირებული ტიპოლოგიური სისტემური მთლიანობა.

კოგნიტიური პროცესების ის კლასიფიკატორები, რომლებიც შემოთავაზებულია ნაშრომში, პირობითი ხასიათისაა; მათ შორის საზღვრები მკვეთრი ვერ იქნება: ცნობიერება სინკრეტულია, მისი დანაწევრება შესაძლებელია მხოლოდ კვლევის მიზნებისათვის.

ქართული ენის ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური სისტემის იმ ერთეულთა აღწერისადმი კომპლექსური მიდგომის საფუძველზე, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო ცნებათა სხვადასხვა სოციალურ-ფსიქოლოგიური და კულტურულ-ლინგვისტური მახასიათებლების ვერბალიზაციას ახდენს, ნაშრომში შემოთავაზებულია მათი სისტემური აღწერა და სტრუქტურირების პრინციპები, აგრეთვე მისი ათვისების მექანიზმების ახსნა ადამიანის, როგორც სოციალური არსების, პოზიციებიდან.

ენობრივ ერთეულთა სემანტიკური ანალიზის საფუძველზე დასაბუთებულია ის მოსაზრება, რომ არც ერთი მოდელი, რომელიც ცნობიერებაში განდევნილია ახალი მოდელით, მთლიანად არ ქრება. ასეთმა მოდელებმა შეიძლება გადაინაცვლონ პერიფერიულ ზონებში, მაგრამ ისინი განაგრძობენ ზემოქმედებას ადამიანის ცნობიერზე.

გამოკვლევის პრაქტიკული ღირებულება. მიღებული შედეგები შეიძლება სასარგებლო იყოს ქართულ ენაში სხვადასხვა კონცეპტუალური სტრუქტურის ანალიზის და სამყაროს სურათის რეკონსტრუქციის დროს. ნაშრომის შედეგები შეიძლება გამოიყენონ სხვადასხვა სფეროში – კოგნიტიური ლინგვისტიკის, ლინგვოკულტუროლოგიის, ეთნოლინგვისტიკის, კულტურათაშორის კომუნიკაციის.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა განსაზღვრულია დასახული მიზნებისა და ამოცანების თანმიმდევრული კვლევით. დისერტაცია შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნის, გამოყენებული და ციტირებული ლიტერატურის სიისაგან (89 დასახელება), ძირითადი ტექსტი შეადგენს 151 გვერდს.

1. მეტყველებისა და აღქმის ცნებათა კულტურული და ფსიქოლოგიური მნიშვნელობა

ენა მსოფლხედვით, რომელშიც რეალიზებულია ღირებულებათა სისტემა, იგი კულტურის გასაღებია, ეროვნული ინდივიდუალიზმის შენარჩუნების საფუძველი და ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელი ფაქტორი. სიტყვა საგნის უბრალო აღმნიშვნელი კი არა, ადამიანის სულის გამოვლენა, მისი მსოფლხედვაა – წერდა ვ. ფონ ჰუმბოლდტი (ჰუმბოლდტი 1975: 18-20).

ენობრივი მსოფლხედვა ყოველი ხალხის ენის თავისებურებაა და ეს არის ენების სიმრავლის მიზეზი. შესაბამისად, ენა მთელი თავისი ლინგვისტური მონაცემებითა თუ არსობრივი დატვირთვით გადამწყვეტი ფაქტორია ადამიანის მიერ სამყაროს, საკუთარი თავის შეცნობის პროცესში.

მართალია, ენათმეცნიერება და ენის ფილოსოფია ენას განსხვავებული მიზნით იკვლევს, მაგრამ ენის არსებობა თავისთავად და ენა როგორც ემპირიული მასალა ორივესთვის უტყუარი მოცემულობაა. ვფიქრობთ, ენის მრავალმხივი ბუნებიდან გამომდინარე, ორივე დარგის მონაცემებს ანგარიში უნდა ეწეოდეს, რათა ავხსნათ ისეთი ფუნდამენტური საკითხები, როგორებიცაა: ენის რაობა, ენისა და ადამიანის, ენისა და აზროვნების, ენისა და საზოგადოების მიმართებები, ენის საკომუნიკაციო, ექსპრესიული და შემეცნებითი ფუნქციები, ენა როგორც ნიშანი/ნიშანთა სისტემა, ენა როგორც მსოფლხედვა.

ენა ანთროპოლოგიური მოვლენაა, ხოლო ვინაიდან ადამიანს სამყაროს შემეცნების მძაფრი მოთხოვნილება აქვს, ენის რაობის განსაზღვრის პრობლემაც დგება.

ენა მრავალ მითოლოგიურ სისტემაშიც ფიგურირებს როგორც შემოქმედებითი პოტენციალი, ღვთის ნების რეალიზაციის გამოხატულება. „მითებში სამყარო აღიქმება როგორც ღვთის სიტყვა, ღვთაებრივი მეტყველება“. ამის დადასტურება შეიძლება როგორც ბიბლიურ, ისე სხვა აღმოსავლურ მითოსებში (ეგვიპტურში, შუმერულში, ინდურში). ყველგან ღმერთი ენით, დაძახებით, სახელდების (ლოგოსი) საშუალებით ქმნის სამყაროს (დოლიძე 1998: 4).

მითოპოეტური აზროვნება ენას აღიქვამდა როგორც ადამიანის შინაგანი არსის ჩამომყალიბებელ ფენომენს. ამ პერიოდისთვის უცხო იყო მეცნიერული

თვალთახედვა. ამიტომაც არ აინტერესებდათ ენის მადიფერენცირებელი, გამომხატველობითი და აღწერილობითი ფუნქციები (დოლიძე 1998: 69).

ენის შესახებ ლინგვისტური აზროვნების საფუძვლები კი ანტიკური სამყაროში უნდა ვეძებოთ, ამ დროს მოვლენები ფილოსოფიურ ასპექტში განიხილებოდა. სწორედ მაშინ დაიწყო ისეთი ენობრივი პრობლემების გარკვევა, როგორებიცაა: კავშირი სიტყვასა/სახელსა და საგანს/ობიექტს შორის, მათ შორის შესაბამისობის დადგენა; სიტყვა როგორც ენობრივი ნიშანი და მისი ფუნქცია, წარმოშობა. ეს საკითხები ენათმეცნიერებაში დღემდე მსჯელობის საგანია და მათ შესახებ, მსგავსად ანტიკურობისა, დღესაც განსხვავებული მოსაზრებები გვაქვს.

ამგვარად, ანტიკურ პერიოდში დაიწყო ენის თავისებურებათა კვლევა, კერძოდ, როგორი ბუნებისაა კავშირი სახელსა და საგანს შორის, საგნის ბუნების მიხედვითაა იგი განპირობებული თუ შემთხვევითია, შეთანხმების შედეგია. გამოიკვეთა თვალსაზრისი, რომ სახელი პირობითი ნიშანია და მას არავითარი კავშირი არ აქვს საგანთან, მას ადამიანები შეთანხმების საფუძველზე ადგენენ (Thesei). მეორე თვალსაზრისი მიიჩნეოდა, რომ სახელს განსაზღვრავს თვით საგანი (Phusei).

სახელთა ბუნებითი თეორიის მომხრე იყო ჰერაკლიტე. მისი წარმოდგენით, სიტყვები, საგანთა სიტყვიერი დასახელებები, არის არა შემთხვევითი, უსისტემოდ დარქმული ნიშნები, არამედ ისინი დაკავშირებულნი არიან საგნებთან და მათთან დამოკიდებულებით გამოხატავენ მათ არსს, ბუნებას. სიტყვა როგორც აზრის ფორმა გაიგივებულია აზრის ობიექტურ შინაარსთან, საგანთან. მისთვის ენა არა მხოლოდ ურთიერთობის, აზრის გაზიარების საშუალებაა ან ნიშანთა სისტემა, არამედ ენა არის ფენომენი, რომელიც მოიცავს/შეიცავს სამყაროს და მასში არსებული საგნების საიდუმლოს, ლოგოსს. მისთვის სამყარო დაპირისპირებულთა ერთიანობაა, ენა კი თავისთავად არის ამ დაპირისპირებათა გამაერთიანებელი (დოლიძე 1998: 73-76).

ანთროპოცენტრული ტენდენციების გაძლიერების კვალდაკვალ ენა განიხილება, როგორც ადამიანის შემოქმედების ნაყოფი. დემოკრიტესათვის ენა კონვენციური ბუნებისაა და მთლიანად ადამიანის ნებას ემორჩილება. მასთან ენა უკვე ცალკე სისტემაა, ობიექტური მოვლენა. დემოკრიტე ფიქრობდა, რომ, თუკი ერთი და იმავე ატომისაგან შეიძლება შეიქმნას განსხვავებული საგნები და

სამყაროები, ასევე შესაძლებელია, რომ ერთი და იმავე ასოსაგან განსხვავებული სახელები და ტექსტები დაიწეროს (თომაშვილი 2013: 24).

სოფისტებთან საგანთა და მოვლენათა საზომად ადამიანი იქცა მთელი თავისი სუბიექტური წარმოდგენებითა და შეხედულებებით, რაც პირდაპირ უკავშირდება ენის გამომსახველობითი ბუნების გამოვლენას. აქ ენის ფუნქციონირება წამოიწევს წინა პლანზე. ამიერიდან ენა ხდება შემეცნების უმთავრესი იარაღი. სიტყვის ძალა სოფისტებთან ერთგვარ კულტს ქნის. მათთან საგანგებო კვლევის საგანია სიტყვათა მრავალმნიშვნელოვნება, სინონიმია-ომონიმია, სიტყვიერად გაფორმებული აზრის შესაძლებლობების დადგენა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციური ენა მათ მხოლოდ გამომსახველობითი ფუნქციის მიხედვით აინტერესებდათ (დოლიძე 1998: 92-93).

ენობრივი პრობლემების კვლევის პირველი საუკეთესო ნიმუში, ალბათ, მაინც პლატონის „კრატილოსია“, რომელშიც ავტორი ზემოთ დასახელებული ორივე თეორიის შესახებ მსჯელობს. ამ შემთხვევაში მთავარი ისაა, რომ პლატონმა მწყობრი სისტემის სახე მისცა იმ ორ ძირითად თვალსაზრისს, რომლებიც ენის წარმოშობისა და საგანთა სახელდების საკითხებს მოიცავს. ეს დიალოგი მეტად საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ენის სემანტიკის სფეროს ეხება, კერძოდ, კავშირს აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის, რაც შემდგომ ენათმეცნიერების ცენტრალურ პრობლემად იქცევა.

ემპირიზმისა და რაციონალიზმის ეპოქაში ენის კვლევა კვლავ ფილოსოფიური ასპექტით წარიმართა, თუმცა რიგი ენათმეცნიერული საკითხების გადაწყვეტა სწორედ ამ პერიოდში ჩაისახა. საინტერესოა იდეები უნივერსალური ენის შექმნის (შედარებითი გრამატიკის საფუძველზე: ჯ. ლოკი) ან სულაც ზოგადი უნივერსალური ენის არსებობის შესახებ (ვ. ლაიბნიცი); პორ-როიალის რაციონალური გრამატიკის შემდეგ დაიწყო ფიქრი ენობრივი უნივერსალების აღმოჩენაზე. აღნიშნული გრამატიკის ნაკლი ის იყო, რომ ცდილობდა ზოგადი ფილოსოფიური კატეგორიების საფუძველზე ეპოვნა უნივერსალური ენობრივი კატეგორიები. რაციონალური გრამატიკის იდეების ერთგვარი აღორძინებაა ნ. ჩომსკის ენის ტრანსფორმაციულ-წარმომშობი თეორია, სიღრმისეული და ზედაპირული სტრუქტურების არსებობა ენებში. თანამედროვე ტიპოლოგიის მიდგომით: „ყველა ენას საფუძველად უდევს გარკვეული უნივერსალური ნიშან-

თვისებებით განსაზღვრული ზოგადი მოდელი, რომელიც სხვადასხვაგვარად გამოვლინდება კონკრეტულ ენობრივ სისტემებში“ (გამყრელიძე... 2008: 419). მაშასადამე, პრინციპული განსხვავება ენობრივ სისტემებს შორის არ არსებობს. ენობრივი უნივერსალების ძიება დღესაც ენათმეცნიერული კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. მით უმეტეს, თუ ვემხრობით აზრს, რომ ნებისმიერ ენაზე მოსაუბრე საერთო ენობრივ სიღრმისეულ სტრუქტურას ფლობს და მისი რეალიზაცია ვერბალური კომუნიკაციის მხოლოდ ამ სტრუქტურის ზედაპირული გამოვლინებაა. გარდა ენობრივი უნივერსალების ძიებისა, ლინგვისტიკას ენებს შორის ნათესაობის დადგენაც აინტერესებს, რაც საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ხშირად ენის კვლევის ლინგვისტური თუ ფილოსოფიური მიდგომა რაღაც აპრიორული დებულებიდან ცდილობს ენის არსის, მისი წარმოშობისა თუ არსებობის ფორმების გარკვევას.

ენა ურთულესი ფენომენია. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანთან, მის ფსიქიკასთან. ძნელია ენის შესწავლა სუბიექტური შეხედულებებისა თუ შეგრძნებებისაგან განყენებულად, რაც კვლევას კიდევ უფრო ართულებს, თანაც ენა მუდმივად ცვალებადი ორგანიზმია, იგი აზრის დანაწევრებისა და გადმოცემის საშუალებაა. შემეცნებისა და აზროვნების პრობლემატიკას კი თავისთავად უკავშირდება ენა, კერძოდ, ენობრივი ნიშნის არსის დადგენა. ენათმეცნიერებაში ენობრივი ნიშნის პრობლემა ერთ-ერთ ძირითად საკითხად ფ. დე სოსიურმა აქცია. სოსიური მიხედვით, ენა იდეათა გამომხატველი ნიშანთა სისტემაა, ენობრივი ნიშანი კი მასთან განიხილება როგორც ენის ერთეული. იგი ერთმანეთისაგან განასხვავებს სამ ცნებას: აღსანიშნს, აღმნიშვნელს და ნიშანს. მკვლევრის მიხედვით, აღსანიშნი არის არა საგანი, არამედ ცნება/წარმოდგენა, აღმნიშვნელი კი არის არა ფიზიკურ ბგერათა კომპლექსი, არამედ – აკუსტიკური ხატი. ფ. დე სოსიური ენობრივ ნიშანს მოიაზრებს როგორც ცნებისა და აკუსტიკური ხატის კომბინაციას. ამგვარად, ენობრივი ნიშანი აკავშირებს არა საგანსა და სახელს, არამედ ცნებას და აკუსტიკურ ხატს. ფ. დე სოსიურის მოძღვრებიდან გამომდინარეობს, რომ ნიშნის ბგერითი მხარის მიმართება აღსანიშნთან ნებისმიერია (სოსიური 2002: 73-76).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ენათმეცნიერებაში ენა ხასიათდება როგორც პირობით ბგერით ნიშნანთა სისტემა, რომელიც გამოიყენება

ადამიანთა საზოგადოებაში აზრების გამოხატვისა და კომუნიკაციისათვის, ხაზგასმულია, რომ ენა სისტემაა, რადგანაც იგი ისეთი ელემენტების ერთობლიობაა, რომლებიც ერთმანეთთან გარკვეულ მიმართებას გულისხმობს, რის საფუძველზეც იქმნება ენობრივი სტრუქტურები, სისტემები. რაც შეეხება მის ნიშნურობას, რამდენადაც ენობრივი ერთეულები მიუთითებენ გარეენობრივ მასალაზე, აღნიშნავენ საგნებს, მოვლენებს, თვისებებს, მოიაზრებიან მნიშვნელობის მქონე ნიშნებად. აღმნიშვნელ-აღსანიშნს შორის მიმართება ქმნის სწორედ ნიშნის მნიშვნელობას. ამასთან, ენა ისეთ ნიშანთა სისტემაა, რომელიც ბგერითი სუბსტანციებისგან შედგება. ენობრივი სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი გულისხმობს, რომ კავშირი აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის პირობითია, ამგვარად, აღმნიშვნელის ბგერითი გამოხატულება არ განისაზღვრება აღსანიშნი საგნის, მოვლენის, თვისების ბუნებით (გამყრელიძე... 2008: 23-26). გარდა ფ. დე სოსიურისა, ენობრივი ნიშნის საკითხებს იკვლევდა ჩ.ს. პირსი, რომელიც ნიშანთა ზოგადი კლასიფიკაციისას მკაცრად მიჯნავს ნიშნის ორ მხარეს: ერთ მხარეს შეადგენს მატერიალურ მახასიათებელთა ერთობლიობა – აღმნიშვნელი (signans), მეორეს კი – აღსანიშნი (signatum), ანუ ის, რის უშუალო ინტერპრეტაციასაც წარმოადგენს ნიშანი. ნიშანთა შორის მიმართებების თვალსაზრისით განარჩევენ ნიშნის სამ ძირითად ტიპს: ხატს, ინდექსსა და სიმბოლოს (პირსი 1999; გამყრელიძე... 2008: 7-8).

ფ. დე სოსიურისთვის აღსანიშნი არ გულისხმობს რეალურ საგანს ან მოვლენას, როგორც სუბსტანციას. იგი მხოლოდ ფორმაა. ჩ. პირსთან კი აღსანიშნი არაა უბრალოდ საგანი, რომელიც ნიშანს უპირისპირდება როგორც მატერიალური არამატერიალურს, არამედ ისაა ყველაფერი, რის რეპრეზენტაციასაც წარმოადგენს ნიშანი. მასში შეიძლება იგულისხმებოდეს როგორც მატერიალური საგანი და, ამასთან, იყოს მხოლოდ აზრობრივი, წარმოსახვითი, არამატერიალური. მ. კვაჭანტირაძე წერს, რომ პირსისათვის ნიშანი არის აღსანიშნის რეპრეზენტირება, მას არ შეუძლია უზრუნველყოს აღსანიშნის ცნობა კომუნიკაციის აქტში. მაგრამ ამგვარი ცნობა აუცილებელია იმისთვის, რომ ნიშანმა შეძლოს აქტუალიზება. ავტორი ასკვნის, რომ აღსანიშნი ნიშნური ფუნქციით განსხვავდება ნიშნისგან მხოლოდ იმით, რომ ნაკლებად განვითარებული ნიშანია. ჩ. პირსი აღსანიშნის ორ სახეს განარჩევს: აღსანიშნი ნიშანში, რომლის არსებობაც მხოლოდ ნიშანში მის

რეპრეზენტაციაზეა დამოკიდებული და მეორეა რეფერენტი – აღსანიშნი, რომელიც ნიშნის მიღმა ამოიკითხება, სუბიექტურია და მხოლოდ აღმქმელზეა დამოკიდებული. საერთოდ ნიშანს ჩ. პირსი სამნაწილიან მთლიანობად აღიქვამს: ნიშანი, აღსანიშნი საგანი და შემეცნება, რომელიც გონებაში მიმდინარე პროცესია. თვით ეს პროცესი კი ასე გამოიყურება: ნიშანი/რეპრეზენტანტი აღქმისთვის მისაწვდომი ელემენტია, რომელიც ენაცვლება აღსანიშნს/ობიექტს. ინტერპრეტანტი ამ ობიექტის მენტალური ხატია, რეფერენტი კი - თვით ობიექტი/აღსანიშნი.

ამგვარად, ჩ. პირსის კვლევის ობიექტია არა ნიშანი, არამედ თვით ეს პროცესი. მ. კვაჭანტირაძე შენიშნავს, რომ, თუ ფ. დე სოსიურისთვის ნიშანი სისტემის ნაწილია და იგი დგინდება მხოლოდ სისტემის სხვა ელემენტებთან ოპოზიციურობაში ან მათგან განსხვავებულობით, ჩ. პირსთან ნიშანს ზემოთ აღწერილი ტრიადული კავშირი წარმოშობს, რომელიც ინტერპრეტაციის პროცესში გადადის (კვაჭანტირაძე 2010). ზემოთ წარმოდგენილი ჩ. პირსისეული ნიშნათა კლასიფიკაციის არსის გასააზრებლად საჭიროდ მივიჩნიეთ წარმოგვედგინა ნიშან-აღსანიშნისადმი მისი დამოკიდებულებაც.

ენობრივი ნიშნის საკითხზე თავისებურ მსჯელობას წარმოგვიდგენს თ. გამყრელიძე. ავტორი შენიშნავს, რომ ფ. დე სოსიურის თეზა ნიშნის ნებისმიერობის შესახებ შემდგომი ლინგვისტიკების მეცნიერული თეორიების განმსაზღვრელი გახდა, მაგრამ თანამედროვე ენათმეცნიერებაში ფ. დე სოსიურს ოპონენტებიც გამოუჩნდნენ. ნიშნის თანამედროვე თეორიაში შესაბამისი აბსტრაქციის ტიპის მიხედვით სამი განსხვავებული დონე განირჩევა: სემანტიკა, სინტაქტიკა და პრაგმატიკა. ავტორს მოჰყავს ე. ბენვენისტის თვალსაზრისი, რომ დონეების ამგვარი გარჩევა და მათი შესწავლა, მაგალითად, სემანტიკურად და სინტაქტიკურად, შეიძლება თავისი შედეგებით არც დაემთხვეს ამავე სისტემის შესწავლას პრაგმატიკული ასპექტით. მაგრამ თ. გამყრელიძე ე. ბენვენისტის არგუმენტს ნიშნის პირობითობის საწინააღმდეგოდ მთლიანად პრაგმატიკის სფეროს აკუთვნებს. მისი აზრით, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მოცემული ნიშნის მიმართებები იმავე სისტემის სხვა ნიშნებთან როგორც აღმნიშვნელების, ისე შესაბამისი აღსანიშნების დონეზე. ამგვარად, ფ. დე სოსიურის თეორიაზე აგებულ ნიშანში ვერტიკალური მიმართების გვერდით თ.

გამყრელიძე გვათავაზობს ჰორიზონტალურ მიმართებებსაც, რომლებიც ურთიერთდაკავშირებულ ნიშანთა შესაბამის კომპონენტებს შორის დასტურდება (გამყრელიძე 2008: 10-11). ავტორს მიაჩნია, რომ ნიშნის ჰორიზონტალური და ვერტიკალური მიმართებების შესახებ მის მიერ წარმოდგენილი თვალსაზრისი, რომელიც ენობრივ ნიშანს განიხილავს ერთდროულად სემანტიკურ და სინტაქტიკურ ასპექტში, ნიშნის ნებისმიერობის საწინააღმდეგოდ წარმოთქმულ ნებისმიერ არგუმენტს აბათილებს.

ამგვარად, საკითხი კვლავ აქტუალურია, რადგანაც ბუნებრივ ენაში ბგერასა და მნიშვნელობას შორის გარკვეული შესაბამისობის აღმოჩენის სურვილი ენის მკვლევრებს კვლავაც ამოძრავებთ. ეს თავისთავად უკავშირდება ენის ფენომენის სირთულეს და ენის ამ ამოუცნობი თავისებურების ამოხსნას.

თავისებურების ამოხსნის თავისებური ცდა მოგვცა ვ. ფონ ჰუმბოლდტმა თავისი ნარკვევით აზროვნებისა და მეტყველების შესახებ. იგი ენის არსის კვლევას აუცილებლად ენერგეისტული თვალსაზრისით განიხილავდა. მისთვის ენა წარმოადგენდა ენერგიას/წარმომქმნელს და არა ერგონს/წარმონაქმნს. ვ. ფონ ჰუმბოლდტის წინარე და თანამედროვე ფილოსოფოს-ლინგვისტები ენას წარმონაქმნად მიიჩნევდნენ და დღესაც ბევრი მიიჩნევს ასე. ვ. ფონ ჰუმბოლდტი დაუპირისპირდა, პირველ რიგში, თვალთახედვას, რომ ენა პირობით ნიშნათა ერთობლიობაა, აზრის ბგერითი გამოხატვის ინსტრუმენტია მხოლოდ. მისთვის აზროვნება ენის საფუძველზე ხორციელდება და ენის გარეშე ვერ წარიმართებოდა. მაშასადამე, ის უარყოფს ენაზე აზროვნების უპირატესობას, პირიქით, ადამიანი სამყაროში სწორედ ენის საფუძველზე ორიენტირებს. ამგვარად, ადამიანსა და სინამდვილეს შორის შუამავალი არის ენა, რადგანაც სინამდვილის შეცნობა და ცნობიერებაში დაფუძნება უპირველესად ენის საშუალებით ხდება. აზროვნების ერთეულებს – ცნებებს – სუბიექტი ენობრივი ბგერების საშუალებით სწვდება. აზრის ჩამოყალიბებისა და გადმოცემისას ჰუმბოლდტი ხაზს უსვამს სმენისა და არტიკულაციის იმთავითვე აუცილებელ მოცემულობას. აზრის ჩამოყალიბებისას არტიკულირებული ბგერის საჭიროება გარდაუვალია. მაშასადამე, აზროვნება არტიკულაციის გარეშე წარმოუდგენელია. ზემოთ აღნიშნული უნარები კი ადამიანში თავისთავადი მოცემულობაა, სმენადი ფენომენია. ადამიანი ბგერათა უსასრულო სიმრავლიდან გამოყოფს ენობრივ ბგერებს, მათ კი ცნებების

წარმოქმნისა და დანაწევრებისთვის იყენებს. ამგვარად, ვ. ფონ ჰუმბოლდტს მიაჩნია, რომ ენა აზროვნების შესაძლებლობის უმთავრესი წინაპირობაა, ენა წარმოქმნის თვალსაზრისს საგნის შესახებ (ბგერების საშუალებით), ამ პროცესში ენა თავისი ორმაგი ბუნებითაა წარმოდგენილი – ბგერითი და გონითი (ბრეგაძე 2009: 257-167).

ა. შლაიხერისთვის აზროვნება და ენა ისევე იგივეობრივია, როგორც შინაარსი და ფორმა. ფ. დე სოსიური აღნიშნავდა, რომ ენაში აზრის ბგერისგან და ბგერის აზრისგან გაცალკევება მხოლოდ აბსტრაქციის გზითაა შესაძლებელი (თომაშვილი 2013: 11).

ნოვალისთან სუბიექტსა და ემპირიულ სინამდვილეს შორის შუამავალი ანუ საგნის შემეცნების წინაპირობა არის „მეს“ ცნობიერებიდან მომდინარე წარმოდგენა საგნის შესახებ, რომლის მონიშვნაც შემეცნების შემდეგ ეტაპზე ხდება შესაბამისი ნიშნით, რასაც ნოვალისი აზროვნების ნიშნებს უწოდებს. ანუ ნიშანი არის სუბიექტის ცნობიერებაში საგნის შესახებ წარმოქმნილი წარმოდგენის ფორმად ქცევის წინაპირობა. შემდგომ ავტორი აყალიბებს აღსანიშნის, ნიშნის და აღმნიშვნელის ტრიადას. ნოვალისი შემეცნების პროცესის შიგნით ადგენს სამმხრივ სემიოტიკურ მოდელს. ამგვარად, ფ. დე სოსიურამდე ერთი საუკუნით ადრე იგი იყენებს ზემოთ დასახელებულ ტერმინებს (ბრეგაძე 2009: 186-187), მაგრამ ის მათში განსხვავებულ შინაარსს დებს: აღმნიშვნელი გულისხმობს არა საგანზე წარმოდგენის/ცნების გარეგან ნიშანს – ბგერას, არამედ თავად შემეცნებელ სუბიექტს, მის ცნობიერებას; აღსანიშნი არის წარმოდგენა საგნის შესახებ, იგი არაემპირიულის, იდეალურის სფეროა; ნიშანი კი გულისხმობს აღსანიშნის აღმნიშვნელ გარეგან, მატერიალურ, ბგერით ფორმას (ბრეგაძე 2009: 187). მათ შორის მიმართება ორგანულია, ბუნებრივი და მექანიკური, ნოვალისი ემხრობა მიმართების სინთეზის პრინციპს, ხოლო აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ურთიერთგანსაზღვრის/სინთეზის წინაპირობა არის აღმნიშვნელი ანუ შემეცნებელი სუბიექტი. ამგვარად, აღსანიშნისა და ნიშნის მთლიანობა სუბიექტში ერთდროულადაა მოცემული, მათ შორის დროითი მიმართება კი არაა, არამედ აქ იმთავითვე სინთეზი მყარდება. ნიშნისა და აღსანიშნის ერთბაშად წარმართული ურთიერთმიმართებითი პროცესი კი მიმდინარეობს აღმნიშვნელში (ბრეგაძე 2009: 188).

ამგვარად, აღსანიშნი არის სუბიექტის ცნობიერებაში ჩამოყალიბებული ცნება ემპირიული რეალობის ობიექტებზე, რომელსაც აღმნიშვნელი ანიჭებს ნიშანს, რის საფუძველზეც წარმოსახვის ძალით მიღებული შთაბეჭდილებანი – მასალა – გადაიქცევა ფორმად/ცნებად (ბრეგაძე 2009: 189).

აღმნიშვნელის/სუბიექტის ანთროპოლოგიური არსი ენობრივად და დეტერმინირებული, შესაბამისად, მასშია მოცემული ენობრივი უნარი, რის საფუძველზეც მყარდება ტრიადის წევრებს შორის სინთეზური ურთიერთმიმართება. ამ დროს აღმნიშვნელი ენის შინაფორმის კანონზომიერებებს მისდევს. აღმნიშვნელს აქვს უნარი ერთმანეთს დაუკავშიროს ნიშანი/ბგერა და აღსანიშნი/ცნება, რაც მისი ენობრივი არსიდან გამომდინარეობს. „ენა და ენობრივი ნიშანი ადამიანის არსიდან წარმოდგება“. აღმნიშვნელებს შორის კომუნიკაცია მექანიკური კი არ არის, არამედ ენით დეტერმინირებული ორგანული პროცესია, რომელშიც გადამწყვეტია არტიკულაციის როლი. ამით ნოვალისი ენის უმთავრეს დანიშნულებაზეც მიანიშნებს – ენის მიერ სოციუმის, ენობრივი ერთობის ჩამოყალიბებაზე. მასთან ენა ობიექტურად არსებული აუცილებლობაა, საყოველთაო ძალაა კონკრეტული ენობრივი ჯგუფისადმი მიმართული. ამრიგად, აღმნიშვნელებს შორის კომუნიკაცია მშობლიური ენის მსოფლხედვის მიხედვითაა განპირობებული.

ნოვალისი სიტყვის, ენობრივი ნიშნის ორმაგ ფუნქციაზე მიუთითებს: ერთი მხრივ, იგი ბგერითი მთლიანობაა, რომელიც ცნებას გამოხატავს, მეორე მხრივ, ენობრივ ნიშანში მოცემულია შინაარსი, ცნება. ამიტომ ენობრივი ნიშანი ერთგვარად ცნების გაბგერებაა. ცნება წმინდა სახით არ არსებობს, რამდენადაც მისი არსებობის ერთადერთი წინაპირობაა ცნების გრძნობადი ფორმით გამოთქმა (ბრეგაძე 2009, 190-196). კ. ბრეგაძე ლინგვისტურ მეტა-ენაზე ზემოთ აღნიშნულს ასე წარმოგვიდგენს: შემმეცნებელი სუბიექტი ენობრივი უნარის საფუძველზე ერთმანეთს აახლოებს ენობრივ ბგერასა და ცნებას. მათი სინთეზი კი იმთავითვეა მოცემული, რის საფუძველზეც სუბიექტია, სწორედ ეს არის მისი ენობრივი, არტიკულაციის უნარი. ამგვარად, არტიკულაციაა ცნებისა და ბგერის სინთეზის შესაძლებლობის წინაპირობა (შდრ. ვ. ფონ ჰუმბოლდტი).

ენისა და აზროვნების მიმართების შესახებ კ. ბრეგაძე ფიქრობს, რომ ნოვალისიც ვ. ფონ ჰუმბოლდტის პოზიციის გამზიარებელია, მას მოჰყავს ჰ.

გიპერის კლასიფიკაცია, რომელიც გამოყოფს ენისა და აზროვნების საკითხზე დღეისათვის არსებულ სამ პოზიციას: 1. ენა და აზროვნება იდენტურია; 2. ენა და აზროვნება დაცილებული ადამიანური უნარებია, წარმართველი და პირველადია აზროვნება, ხოლო ენა მეორეული მოცემულობაა, რომლის საშუალებითაც ენის მიღმა გააზრებული ბგერით გამოიხატება და გადაიცემა; 3. ესეც განასხვავებს ამ ორ ადამიანურ უნარს, მაგრამ ხაზს უსვამს მათ მჭიდრო, განუყოფელ ურთიერთმიმართებას. სწორედ ამ უკანასკნელი პოზიციის გამზიარებლად ესახება ავტორს ნოვალისი და ვ. ფონ ჰუმბოლდტი (ბრეგაძე 2009: 229).

ნებისმიერ ადამიანში თითქოს იოლად მიმდინარე მეტყველებისა და აღქმის პროცესი, რომელიც ცხოვრების მანძილზე ყველა ასაკსა და მარტივ ყოველდღიურ სიტუაციაშიც კი ხშირია და ჩვეულებრივ მომენატად მიიჩნევა, სინამდვილეში ბევრ ფსიქოლოგიურ კომპონენტს მოიცავს. ადამიანი სენსორული შეგრძნებების საფუძველზე თითქმის დაუფიქრებლად, გაუაზრებლად ახერხებს გარეენობრივი სიტუაციის შეფასებას, ენობრივი გამოვლინების დეკოდირებას და სათანადო ვერბალური თუ არავერბალური რეაქციის შერჩევას. საინტერესოა ის ფსიქოლოგიური მომენტები, რომლებიც ამ შემთხვევაში იღებს მონაწილეობას.

აქვე ორიოდ სიტყვით უნდა შევეხოთ სეპირ-უორფის თეორიას. ენათმეცნიერებით დაინტერესებულმა სადაზღვევო კომპანიის აგენტმა, ბენჯამენ ლი უორფმა შეიმუშავა ჰიპოთეზა, რომლის თანახმად ენობრივი სისტემა განსაზღვრავს ამ ენაზე მოლაპარაკეთა აზროვნებას. ამ ჰიპოთეზის შემუშავებისას უორფი ამერიკელი ენათმეცნიერის, ედუარდ სეპირის იდეებს ეყრდნობოდა, რის გამოც ამ ჰიპოთეზას სეპირ-უორფის სახელი ეწოდა.

სადაზღვევო კომპანიაში პროფესიული საქმიანობისას, უორფმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ენობრივი ფორმები დიდ გავლენას ახდენდა ადამიანთა ქცევაზე. ერთ-ერთ საწარმოში გაჩენილი ხანძრის მიზეზების შესწავლისას მან ივარაუდა, რომ გამაფრთხილებელი წარწერების არასწორი ინტერპრეტაცია საწარმოს თანამშრომლების გარკვეული, არასწორი ქმედებების საფუძველი გახდა. მისი აზრით, საწვავის ავზზე მიკრული წარწერა „ცარიელია“ მუშებს დაუდევარი ქცევისკენ – ავზის სიახლოვეს სიგარეტის მოწევისკენ – უბიძგებდა, რადგან ისინი თვლიდნენ, რომ იქ, სადაც არაფერია, არც არაფერი ააღებდა, არადა, სწორედ ასეთ „ცარიელ“ ავზში ააღებდად აირების კონცენტრაცია

ძალიან მაღალია. ანდა, წარწერა “blower” აღიქმებოდა, როგორც „ჰაერის დამბერავი“, ანუ ხელსაწყო, რომელიც ჰაერს უბერავს, სინამდვილეში კი ეს ხელსაწყო გამოიყენებოდა ჰაერის როგორც „დასაბერად“, ასევე „შესასრუტად“, წვის პროცესის ხელშესაწყობად. მსგავსი არასწორი ინტერპრეტაციები სავალალო შედეგებს იწვევდა. უბედური შემთხვევების შესწავლისას უორფმა ივარაუდა, რომ ენობრივ გამონათქვამებსა და ინდივიდების ქცევას შორის პირდაპირი კავშირი იყო: ენა განსაზღვრავდა ინდივიდის მიერ სამყაროს აღქმასა და, შესაბამისად, მის ქცევას (უორფი 1960: 137).

აზროვნების ერთ-ერთი ფუნქციაა ობიექტურად მოცემული სინამდვილის ცნობიერებაში ასახვა და დამუშავება. სეპირ-უორფის ჰიპოთეზის მიხედვით, ამგვარი დამუშავება დამოკიდებულია ინდივიდის კონკრეტულ ენაზე, შესაბამისად ენებს შორის სხვაობა ბევრად მეტია ვიდრე ოდენ განსხვავებული ჟღერადობა თუ სხვაგვარი სინტაქსური კონსტრუქციები: თითოეული ენა განაპირობებს სამყაროს განსხვავებულ ჭკრეტას. „ადამიანები, რომლებიც ძალზე განსხვავებული გრამატიკების მქონე ენებს იყენებენ, ამ გრამატიკებს ტიპობრივად განსხვავებულ დაკვირვებებამდე და გარეგნულად მსგავს დაკვირვებათა განსხვავებულ შეფასებებამდე მიჰყავთ. ამიტომ ისინი ერთმანეთის ექვივალენტური დამკვირვებლები კი არ არიან, არამედ სამყაროს ერთგვარად განსხვავებულ ხედვას (different views of the world) იძენენ“ (უორფი 1956: 221).

ამ ჰიპოთეზის სისწორის შესამოწმებლად უორფმა ინდიელთა ენების შესწავლა და მათი ინდოევროპულ ენებთან შედარება დაიწყო, ამასთან ევროპული ენების აღწერისას უორფი ევროპის ხალხთა ენებს ერთ ცნებაში (SAE – Standard Average European) აერთიანებდა, რაც თავისთავად საკმაოდ საკამათო მიდგომაა. უორფის ამოსავალი დებულება იყო, რომ მკვეთრად განსხვავებული ენები სამყაროს განსხვავებულ აღქმას განაპირობებდა.

ჩრდილოამერიკელ ინდიელთა ერთ-ერთი ტომის, ჰოპი-ინდიელთა ენის შესწავლისას უორფმა დაადგინა, რომ ამ ენის გრამატიკული სტრუქტურა ძალზე განსხვავდება (ინდო-)ევროპული ენების სტრუქტურისაგან. უორფი მიიჩნევდა, რომ სხვაობა SAE-სა და ჰოპი ენას შორის იმდენად დიდია, რომ გარკვეული ტექსტების თარგმნა პრაქტიკულად გამორიცხულია. მეტიც, ჰოპი ენის მატარებლები სამყაროს განსხვავებულად აღიქვამენ, ვინაიდან მათი

გრამატიკისათვის უცხოა ინდოევროპული ენების მიერ სამყაროს აგებისათვის ესოდენ დამახასიათებელი გეომეტრიული სივრცისა და უწყვეტი დროის კატეგორიები. უორფი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ჰოპი ტომის ინდიელები სამყაროს ევროპელებისაგან განსხვავებულად აღიქვამენ და, შესაბამისად, განსხვავებული აზროვნებაც აქვთ.

არსებობს სეპირ-უორფის ჰიპოთეზის ე.წ. „ძლიერი“ მოდელი, რომლის მიხედვით ენა სრულად განსაზღვრავს ინდივიდის აზროვნებასა და ქცევას. თუმცა დღეისათვის უფრო მიღებულია ე.წ. „სუსტი“ მოდელი, რომლის მიხედვით ენა განაწყოფს თუ უბიძგებს ინდივიდს აზროვნებისა და ქცევის გარკვეული ტიპისაკენ. ამ მოდელის შესაბამისად, ინდივიდის შემეცნება რელატიურია ცალკეული ენების სისტემების შესაძლებლობების გათვალისწინებით.

სეპირ-უორფის ჰიპოთეზის თანახმად, სამყარო აღიქმება, როგორც მოუწესრიგებელი შთაბეჭდილებების ნაკადი, ხოლო ენის ამოცანაა ამ მოუწესრიგებელი ნაკადის მოწესრიგებულ სტრუქტურაში მოქცევა. სამყაროს ამგვარი დანაწევრებისას ენები განსხვავებულ ლექსიკურ ერთეულებსა და გრამატიკულ სტრუქტურებს იყენებს. ასეთ შემთხვევაში მეცნიერული შესწავლის საგანია ორი რამ, პირველი: იმის განსაზღვრა, განაპირობებს კი ენობრივი სხვაობები სამყაროს აღქმას და მეორეც, თუკი ეს მართლაც ასეა, რა არის ამ მოვლენის ფსიქოლოგიური საფუძველი.

ენებს შორის არსებული სხვაობა ხელის გულზე დევს, მაგრამ იწვევს ეს სამყაროს განსხვავებულ აღქმას? ასე, მაგალითად, რუსულ ენაში ადამიანის სახის ერთ-ერთი ნაწილის აღსანიშნავად გამოიყენება სიტყვა „переносица“, რომლის შესატყვისი ქართულ ენაში არ გვაქვს. ცხადია, რომ სახის ამ ნაწილს, შუბლის ქვედა წილში, თვალებს შორის, ყველა ერთნაირად ხედავს, მაგრამ, ლინგვისტური ფარდობითობის ჰიპოთეზის თანახმად, ქართულენოვან ინდივიდს ეს ადგილი „მხედველობის არიდან“ უნდა გამორჩეს, რადგან ამ ადგილის სპეციფიკური დასახელება ენაში არ გვაქვს და, შესაბამისად, მასზე ყურადღების გამახვილებაც არ შეგვიძლია. რუსულენოვანმა ინდივიდმა კი ადამიანის სხეულის ამ ადგილს შედარებით მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს. ამგვარი დაკვირვებები, გარკვეულწილად სეპირ-უორფის ჰიპოთეზის სასარგებლოდ შეიძლება იქნეს ინტერპრეტირებული (მინდაძე 2016).

სეპირ-უორფის ჰიპოთეზის „სუსტი“ ვერსიის თანახმად, ენა განაწყობს და უბიძგებს ინდივიდს გარკვეული ქმედებისაკენ. ინდივიდის ქცევის ასეთი დისპოზიციის ფსიქოლოგიურ საფუძვლად ფიქსირებული განწყობა წარმოგვიდგება. რომლის ჩამოყალიბების ერთ-ერთი შესაძლებლობაა ენობრივი რეპერტუარის რეგულარული გამეორება, მსგავს ვითარებებში მსგავსი რეპლიკების სიხშირის საფუძველზე.

შესაბამისი სიტყვის თუ ფრაზის გაგონებისას აქტიურდება ფიქსირებული განწყობა, რომელიც ინდივიდს გარკვეული, ძირითადად, ყველაზე ადეკვატური ვერბალური თუ არავერბალური ქმედებისაკენ უნიძგებს. ვითარების ცნობიერი დამუშავების შედეგად ინდივიდის ეს ქმედება შეიძლება შეფერხდეს ან შეწყდეს კიდევაც. გასათვალისწინებელია, რომ რეალურ სამეტყველო ვითარებაში ინდივიდზე მრავალი განსხვავებული ფაქტორი ერთდროულად შეიძლება მოქმედებდეს. ამგვარი ვითარება ინდივიდის არაცნობიერ ავტომატურ ქმედებას ართულებს ან შეუძლებელს ხდის. ასეთ დროს ინდივიდი ვითარების ცნობიერ დამუშავებას ცდილობს, რაც რუტინული, გაკვალული გზიდან გადახვევის წინაპირობად შეიძლება მივიჩნიოთ, სწორედ ამიტომ, ენა სრულად ვერ განსაზღვრავს ჩვენს აზროვნებასა და ქცევას, ის მხოლოდ გარკვეული ქმედებისა თუ შეფასებისკენ ბიძგის მიმცემი შეიძლება იყოს, რაც თანხვედრაშია სეპირ-უორფის ჰიპოთეზის „სუსტ“ მოდელთან (მინდაძე 2016).

ადამიანის შეგრძნებები მრავალფეროვანია: მხედველობა, სმენა, ყნოსვა, ტაქტილური (ანუ ხელის შეხებით მიღებული ინფორმაცია), ვესტიბულური (წონასწორობა და სხეული მიმართება დედამიწის მიმართ), ინტროცეპტული (შინაგანი ორგანოებიდან მიღებული ინფორმაცია) და პროპრიოცეპტული (კუნთები და მყესები, ამის წყალობით შევიგრძნობთ სხეულის პოზას). მაგალითად: ხილის ჭამის პროცესში ჩვენ ვიღებთ ერთდროულად ინფორმაციას თვალის, ცხვირის, ხელიდ გულების, სმენის, პირის ღრუს მეშვეობით. ინფორმაციის ეს ნაწილები ერთიანდება – ინტეგრირდება ერთიან ნაკადში და გვიყალიბებს სიტუაციის აღქმას, წვდომას. სენსორული ინტეგრაცია არაცნობიერი პროცესია (მიმდინარებს ჩვენი ცნობიერების მიღმა), რომელიც ფილტრავს, ორგანიზებას უწევს და აერთიანებს სხვადასხვა არხიდან (შეგრძნებიდან) მიღებულ

ინფორმაციას, გვეხმარება სწორ რეაგირებასა და აზროვნებაში (ბოკერია, დობორჯგინიძე 2019).

აღნიშნულ პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ადამიანის წარმოსახვისა და სიტუაციის ჭვრეტის უნარი. წარმოსახვის უნარი ნებაყოფლობითა, ხოლო შემეცნება – ავტომატური, გარე სტიმულაციით განპირობებული. თანამედროვე ტექნოლოგიებით, მაგალითად, ფუნქციური მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფიით (fMRI) და პოზიტრონულ ემისიური ტომოგრაფიით (PET) დადგინდა, რომ ვიზუალური წარმოსახვის დროს ადამიანის ტვინის მხედველობის ქერქი აქტიურდება. ეს სმენას და სხვა მოდალობებსაც შეეხება. მაგალითად, ფსიქიკურად დაავადებულ პაციენტებს, რომლებსაც შინაგანი ხმები ესმით ასევე სმენითი ქერქის აქტივობა არენიშნებათ, როგორც ჩვეულებრივი სმენისას. როგორც ჩანს, წარმოსახვას და შემეცნებას სხვადასხვა წყარო, მაგრამ ნაწილობრივ მაინც საერთო ნეირონული საფუძვლები აქვთ (ლექსიკონი-ცნობარი 2016).

ადამიანი ნებისმიერ სიტუაციაში სიტუაციისა და გარკვეული ინტუიციის მიხედვით მოქმედებს. თეორიას თუ დავუჯერებთ, რომ მსოფლხედვის ფორმირება დამოკიდებულია ენაზე, ენა მაინც ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს აზროვნებაზე. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ არა ერთადერთი.

საყურადღებოა, რომ კვლევების შედეგების ინტერპრეტაციისას ექსპერიმენტატორები ძირითადად ლაპარაკობენ, ცდისპირთა გამოცდილებაზე, ჩვევებზე, დასწავლის ეფექტზე, ასოციაციურ კავშირებზე. გვრჩება ერთგვარი უკმარისობის განცდა, რომ მკვლევრებს მიღებული შედეგების აღმძვრელი მექანიზმი მთლად მკაფიოდ არ აქვთ წარმოდგენილი, არადა კვლევების შედეგების ფსიქოლოგიურ საფუძვლად ფიქსირებული განწყობა შეიძლება მივიჩნიოთ.

დ. უზნაძე აღნიშნავდა, რომ ფიქსირებული განწყობა არა მხოლოდ მოტორული, არამედ ასევე ენობრივი სტიმულების გავლენითაც ყალიბდება. „ცდისპირს [...] სიტყვიერი ზემოქმედების გზითაც შეუძლებელია ფიქსირებული განწყობა: საკმარისია, მან 15-ჯერ წარმოიდგინოს განსხვავებული მოცულობის ბურთები ან არა ტოლი წრეები, რომ შესაფერი ფიქსირებული განწყობა

შეუმუშავდეს, რომელიც მას შემდეგში, დროებით ხელს უშლის, კრიტიკული ობიექტები ადეკვატურად აღიქვას“ (უზნაძე 1977: 144). მართალია, უნდა აღინიშნოს, რომ ენის საშუალებით შეუმუშავებული განწყობის ფიქსაცია უფრო იშვიათად ხდება და ის მალევე ქრება.

ენის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია არის სამყაროს (საგნების, მოვლენების, პროცესების) ჩანაცვლება. გარე სამყაროდან მიღებული ინფორმაცია ჩვენს გონებაში გარკვეული ხატის ანუ წარმოდგენის სახით აღიბეჭდება. წარმოდგენა საგნის მხოლოდ ხატია და, ცხადია, ვერ იქნება მატერიალური ფენომენი, ის თავისი არსით იდეალურია, თუმცა მუდამ კონკრეტული. „წარმოდგენა შეიძლება საგნისა ან მოვლენის, და არა მსგავს საგანთა მთელი სიმრავლისა. ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ კონკრეტული მაგიდა, მაგრამ არა მაგიდა საერთოდ. ყოველ შემთხვევაში, როგორი ზოგადიც არ უნდა იყოს წარმოდგენა, მას მაინც არ შეუძლია მოიცვას მსგავს საგანთა მთელი სიმრავლე, მაგ., მაგიდების მთელი სიმრავლე“ (ახვლედიანი 1972: 7).

წარმოდგენის გაზიარება შეუძლებელია ენის დახმარების გარეშე, ამიტომ ენის ფუნქციაა, წარმოდგენები გამოხატოს ცნებების სახით. წარმოდგენის ცნებად ქცევა ნიშნავს, რომ კონკრეტული წარმოდგენა იქცა საგნის ან მოვლენის იდეად. ცნება არამატერიალური ხასიათისაა, თანაც ის პრინციპულად აბსტრაქტულია: ცნება „მაგიდა“ ფარავს მაგიდების მთელ სიმრავლეს. ვინაიდან ცნება აბსტრაქტულია, შესაძლებელია, ვილაპარაკოთ, რომ წარმოდგენიდან ცნებაზე გადასვლა არის ფსიქიკურიდან ენობრივზე, კონკრეტულიდან აბსტრაქტულზე გადასვლის პროცესი (მინდაძე 2016).

საყურადღებოა ასევე, რომ ენის დახმარებით ჩვენ შეგვიძლია, ერთხელ უკვე განცდილი კვლავ განვაახლოთ, კვლავ განვიცადოთ, წარმოვიდგინოთ, და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, სხვებს გადავცეთ, სხვებს „დავანახოთ“, რაც, სხვათა შორის, არის ენის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია: კომუნიკაციური ფუნქცია.

სწორედ ამიტომ არის შესაძლებელი ენის დახმარებით ფიქსირებული განწყობის ჩამოყალიბება, ენა ანაცვლებს რეალურ მოქმედებას. „თუ გადავხედავთ ამ ცდებში მიღებულ შედეგებს, ვნახავთ, რომ განწყობის ფიქსაცია ვერბალური ზემოქმედების საფუძველზე უდავო ფაქტია. ეჭვი არაა, რომ სიტყვა ჩვენთვის

აქტივობის იმ სპეციფიკურ ფორმას წარმოადგენს, რომლის საფუძველზეც ადამიანის განწყობისეულ მდგომარეობათა ახალი ფენა აიგება, რომელიც თავის მხრივ მისი ქცევის განმსაზღვრელ პირობას წარმოადგენს“ (უზნაძე 1977: 147).

ვერბალური გზით შექმნილი ფიქსირებული განწყობა „დამოკიდებულია ამ შემთხვევაში სინამდვილის არა იმ პირობებზე, რომელშიც მისი ქცევა მიმდინარეობს, არამედ იმაზე, თუ როგორ სინამდვილეს წარმოსახავს იგი, რისი გამოხატვა სურს მას თავისი სიტყვით“ (უზნაძე 1977: 147).

ადამიანის აზროვნება და ენა მჭიდროდ არის გადაჯაჭვული. „აზრი ყოველთვის ენობრივ ფორმაში გვეძლევა და ამ ფორმის გარეშე აზროვნება, როგორც ასეთი, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ მეორე მხრივ უდავოა ისიც, რომ აზრი და სიტყვა არ წარმოადგენს იდენტურ მოვლენებს და ისინი ორ სრულიად განსხვავებულ კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ“ (უზნაძე 1977: 306). უზნაძის მიხედვით, ორივეს წინ უსწრებს სუბიექტი, უფრო კი ამ სუბიექტის სურვილი, ენის დახმარებით გამოხატოს გარკვეული აზრი. სუბიექტი ცდილობს გარკვეული მიზნის მიღწევას. ამ მიზნის მიღწევა სუბიექტმა შეიძლება, ცნობიერების ძალისხმევით დაისახოს, მაგრამ ეს შეიძლება, არაცნობიერადაც მოხდეს, ანუ სუბიექტი არ აცნობიერებდეს მის მამომრავებელ ძალას, სწორედ ამ ძალას ეწოდება განწყობა. ამის შემდეგ, მისი მიზანი იდეად ჩამოყალიბდება, რომელიც ენის დახმარებით გადმოიცემა (მინდაძე 2016).

ადამიანის სპეციფიკური თვისებაა, გამიჯნოს საკუთარი თავი მის ირგვლივ მოცემული სინამდვილისაგან. ენის დახმარებით ის ახალ რეალობას ქმნის, რომელიც ზოგჯერ არ ემთხვევა ადამიანის გარშემო არსებულ რეალობას. ადამიანი „არა მხოლოდ ცხოვრობს და მოქმედებს, მან იცის კიდევაც, რომ სწორედ ისაა, რომ ცხოვრობს და მოქმედებს ამ, მის გარეთ არსებულ სამყაროში“ (უზნაძე 1977: 300).

ამრიგად, განწყობის თეორიის ფარგლებში ენას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. განწყობის თეორიის ისეთი ფუნდამენტური მოვლენები, როგორცაა ასიმილიაციური და კონტარსტული ილუზიები, ობიექტივაცია აქაც გადამწყვეტ როლს ასრულებს. როგორც ცნობილია, ობიექტივაცია არის გარკვეული მოვლენის ან საგნის ცნობიერი დამუშავება, რაც გარკვეულ შეფერხებას, რეალობის ცნობიერ განსჯას საჭიროებს. ეს შეუძლებელი იქნებოდა ენის გარეშე, რადგან, როგორც ზემოთ ითქვა, ენა და ენაში გამოხატული

აზროვნება შესაძლებელს ხდის იგივეობის აქტის ხორცშესხმას, ანუ სამყაროს „დენადობის“ ხელოვნურ დაბრკოლებას, შეფერხებას. ენის ასეთი მნიშვნელობის მიუხედავად, აღსანიშნავია, რომ უზნადის შრომებსა და ასევე მომდევნო თაობის ფსიქოლოგთა კვლევებში ენის და განწყობის ურთიერთდამოკიდებულების საკითხს გასაოცრად ცოტა ადგილი ეთმობა. თანაც ამ კვლევების ფარგლებში ძირითადი აქცენტი სიტყვაზე კეთდება, თუმცა, ხანდახან, სადაც უზნადე „სიტყვას“ იყენებს, უპრიანი იქნებოდა „ენის“ დაწერა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს უზნადისთვის ენა და სიტყვა სინონიმური ცნებები იყო.

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება, რომ ცნებას, თავისთავად იდეალურ ფენომენს, აქვს მატერიალური გამოვლენის მხარეც, ბგერის ან გრაფემის სახით. სწორედ არტიკულირებული სიტყვა არის ცნების მატერიალიზების ხერხი, რაც ენის ექსპერიმენტული კვლევის შესაძლებლობას გვამძლევს. ქვემოთ შევეცდებით სხვადასხვა ექსპერიმენტის შედეგების განწყობის თეორიის ჭრილში განხილვას.

კოგნიტიური პროცესების ლინგვისტურ ასპექტში განხილვამდე ორიოდე სიტყვით მის ფსიქოლოგიურ გააზრებას უნდა შევეხოთ, ვინაიდან მეტყველება-აღქმის პროცესი ლინგვისტურ-ფსიქოლოგიურია. კოგნიტიური ფსიქოლოგია თანამედროვე ფსიქოლოგიის ერთ-ერთი მიმართულებაა, რომელიც შეისწავლის შემეცნებით პროცესებს – შეგრძნება, აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, წარმოსახვა, მეტყველება და აზროვნება. ასევე მისი შესწავლის სფეროა ინტელექტი (მინდაძე 2016).

კოგნიტიური ფსიქოლოგია შემეცნების პროცესს განიხილავს როგორც ინფორმაციის გადამუშავების თანმიმდევრულ ეტაპებს, რომელთაგან თითოეულ ეტაპს თავისი უნიკალური ფუნქცია აქვს. იგი ეფუძნება კოგნიტურ მიდგომას (პერსპექტივას) და ცდილობს პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს:

- როგორ ხდება გარე სამყაროდან ინფორმაციის მიღება?
- როგორ გადაამუშავებს და ინახავს ადამიანის გონება მიღებულ ინფორმაციას?
- როგორ ხდება პრობლემების გადაჭრა და რა გავლენას ახდენს ეს ინფორმაცია ქცევაზე?

აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გასაცემად იგი შეიმუშავებს ინფორმაციის გადამუშავების კოგნიტურ მოდელებს, მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი მოდელია მეხსიერების მრავალსაფეხიანი მოდელი. კოგნიტიური მოდელი დაკვირვებებისა და

დასკვნების საფუძველზე შექმნილი მეტაფორაა, რომელიც აღწერს შემეცნების სტრუქტურასა და პროცესებს.

კოგნიტური ფსიქოლოგიას, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებას, საფუძველი ჩაეყარა მე-20 საუკუნის 50-იან წლების დასასრულსა და 60-იანი წლების დასაწყისში ამერიკის შეერთებულ შტატებში. 1956 წელს მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტში ჩატარდა კონფერენცია, რომელიც ეძღვნებოდა ინფორმაციის გადამუშავების თეორიებს და რომელშიც მონაწილეობდნენ ცნობილი მეცნიერები: ნოამ ჩომსკი, ჯერომ ბრუნერი, ჰერბერტ საიმონი, ჯორჯ მილერი და სხვანი. ამ კონფერენციამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ფსიქოლოგიაში ფსიქიკური პროცესების მნიშვნელობის სხვაგვარ გააზრებაში. ცვლილება იმდენად ძირეული აღმოჩნდა, რომ ეს პერიოდი ფსიქოლოგიის ისტორიაში კოგნიტური რევოლუციის სახელით შევიდა (მინდაძე 2016).

თუმცა კოგნიტური ფსიქოლოგიის წარმოშობა ოფიციალურად უკავშირდება 1967 წელს ამერიკელი ფსიქოლოგის ულრიხ ნაისერის ნაშრომის, „კოგნიტური ფსიქოლოგიის“, გამოქვეყნებას.

კოგნიტური ფსიქოლოგიის განვითარებას ასევე ხელი შეუწყო შემდეგმა ფაქტორებმა:

- ბიჰევიორიზმის მარცხი, რომელმაც ვერ შეძლო აეხსნა ერთსა და იმავე სტიმულზე ქცევების მრავალფეროვნება;
- კავშირების თეორიის წარმოშობა, რომელმაც ხელი შეუწყო სიგნალების აღმოჩენისა და ყურადღების ექსპერიმენტულ შესწავლას;
- ლინგვისტიკის განვითარება. ნოამ ჩომსკის ახალმა ხედვამ „უნივერსალური გრამატიკის“ შესახებ რადიკალურად შეცვალა ასოციაციონიზმისა და ბიჰევიორიზმის ემპირისტული პოზიცია;
- ახალი კვლევები მეხსიერების შესწავლის მიზნით;
- კომპიუტერული მეცნიერებისა და სხვა ტექნოლოგიური მიღწევების განვითარება;
- განვითარების ფსიქოლოგიის აღმასვლა.

კოგნიტური ფსიქოლოგია იყენებს კვლევის მრავალფეროვან მეთოდებს, როგორებიცაა ექსპერიმენტი (ლაბორატორიული და ბუნებრივი), დაკვირვება,

შემთხვევის შესწავლა, კომპიუტერული სიმულაცია, თვითაღწერითი მეთოდები, ფსიქობიოლოგიური გამოკვლევები და ა.შ. (ლექსიკონი-ცნობარი 2016).

აღქმა, ფსიქოლოგიური გააზრებით, ეწოდება სენსორულ ხატში შემავალი ინფორმაციის მომაწესრიგებელი პროცესების ერთობლიობას, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანს, აღქმული ინფორმაცია განიცადოს როგორც გარე სინამდვილე. აღქმაში შემავალი პროცესები ინტერპრეციის უმაღლეს დონეს უზრუნველყოფს, რაც აუცილებელია გარემოსთან ადეკვატური ინტერაქციისათვის.

აღქმასა და შეგრძნებას შორის ძლიერი და მნიშვნელოვანი კავშირი არსებობს. შეგრძნებით მიღებული, მუდმივად ცვალებადი, ქაოტური სენსორული ინფორმაციიდან პერცეპტუალური პროცესები მოწესრიგებულ პერცეპტუალურ ხატებს ქმნიან და ამგვარად აწესრიგებენ და უკეთებენ ორგანიზებას შემოსულ მასალას. ნებისიერი ინფორმაცია, რომელიც შემოდის შეგრძნების სახით, მხოლოდ პერცეპტული აქტივობების შედეგად გარდაიქმნება პერცეპტულ ხატად, რომელიც მოწესრიგებული და კლასიფიცირებული ხატია.

აღქმა და შეგრძნება ერთმანეთისგან რომ გავმიჯნოთ, საილუსტრაციოდ შემდეგი მაგალითი გამოდგება: როდესაც ჩვენ ვუსმენთ ფორტეპიანოზე აღებულ ნოტებს – თუკი თქვენ აფიქსირებთ რეგისტრს, ტონალობას, ხმის სიძლიერეს და ა.შ. თქვენ შეიგრძნობთ მის მახასიათებლებს, მაგრამ, თუკი თქვენ ამოიცნობთ და მიხვდებით, რომ დაკრული ნოტები ქმნიან მელოდიას – ე.ი. აღიქვით მელოდია.

ფართო მნიშვნელობით აღქმა მოიცავს გარემოში საგნების და მოვლენების წვდომის ზოგად და მთლიან პროცესს, რაც იმისთვის გვჭირდება, რომ შევიგრნოთ, შევიცნოთ, შევიმეცნოთ და მოვახდინოთ მათი იდენტიფიკაცია და კლასიფიკაცია რომელიმე კატეგორიაში. თავის მხრივ, კატეგორიის მინიჭება და იდენტიფიკაცია იმისთვისაა საჭირო, რომ ადეკვატური რეაგირება გვქონდეს ამა თუ იმ საგანზე ან მოვლენაზე.

მკვლევრები აღქმის პროცესში სამ საფეხურს გამოყოფენ, ესენია: შეგრძნება, პერცეპტუალური ორგანიზაცია და იდენტიფიკაცია/საგნების ამოცნობა.

შეგრძნება ეწოდება ფიზიკური ენერჯის გარდაქმნას ნერვულ კოდებში, რომელსაც ტვინი აცნობიერებს. მაგალითად, ბადურის უჯრედები ისეა

მოწყობილი, რომ გაარჩიოს საგნის კონტური და კონტრასტი, თუმცა სუსტად რეაგირებენ უცვლევლ და მუდმივ გამლიზიანელზე (სტიმულზე).

აღქმის პროცესის შემდეგ საფეხურს პერცეპტუალური ორგანიზაცია ეწოდება და ამ საფერხურზე შეგრძნებიდან მიღებული ინფორმაციის სინთეზირება (კომბინაცია, ინტეგრაცია) ხდება. პერცეპტუალური ორგანიზაციის ორი მთავარი ფუნქციაა 1) შინაგანი გამოსახულების ფორმირება; 2) გარეგანი სტიმულის აღქმის ჩამოყალიბება. მაგალითად, მხედველობის შემთხვევაში ხდება აღქმული ობიექტის ზომის, ფორმის, დაშორების და ა.შ. შეფასება, რომელიც ეფუძნება გათვლას. ამგვარი გათვლა ადამიანის წარსულ ცოდნას მიმდინარე სტიმულთან აერთიანებს. ეს ფსიქიკური აქტივობები სწრაფად, გაუცნობიერებლად და მიზანმიმართულად მიმდინარეობს ადამიანის ტვინში, ფაქტობრივ, სპონტანურად.

აღქმის ბოლო ეტაპს იდენტიფიკაცია/საგნების ამოცნობა ეწოდება და მასში, წინამორბედი ეტაპებისგან განსხვავებით, უფრო მაღალი კოგნიტური პროცესების ჩართვაა საჭირო. იდენტიფიცირებისას ჩვენ არა მარტო აღვიქვამთ საგნების/ობიექტების ფორმას, ფერს, ზომას და ა.შ. არამედ ვხვდებით, რა არის ესა თუ ის საგანი/მოვლენა. მაგალითად, მრგვალი საგნები იდენტიფიცირების შემდეგ შეიძლება გადაიქცნენ ბურთად, ვაშლად, მზედ, ადამიანის ფიგურა შეიძლება იდენტიფიცირდეს ქალად ან კაცად და ა.შ.

აღქმის საკითხებზე მომუშავე ფსიქოლოგთა უმეტესობა აღნიშნულ პროცესში გამორიცხავს გააზრების, აზროვნების ფაქტორს და მას არაცნობიერად მიიჩნევს, რასაც, ლინგვისტური თვალსაზრისით, ძნელია დავეთანხმოთ.

ზემოთ უკვე დავაზუსტეთ, რომ აღქმა შეგრძნების გარეშე წარმოუდგენელია. ეს კი მეტად სათუთი და მრავალმხრივი პროცესია, რომელიც ადამიანის დაბადებამდე იღებს სათავეს და მთელი ცხოვრების მანძილზე გადაფასების გარკვეულ სტადიებს გადის. რეალურად ეს არის ფსიქოლოგიური პროცესი, როცა სენსორული რეცეპტორის გალიზიანება დასაბამს აძლევს ნერვულ იმპულსებს, რაც სხეულის შიგნით თუ გარეთ არსებული პირობების განცდას, მათ გაცნობიერებას იწვევს. უფრო კონკრეტულად, შეგრძნება ნევროლოგიასა და ფსიქოლოგიაში არის ნებისმიერი კონკრეტული ცნობიერი გამოცდილება,

რომელიც კონკრეტული შეგრძნების ორგანოს, სენსორული ნერვის ან თავის ტვინის სენსორული არის სტიმულაციის შედეგად წარმოიქმნება.

სიტყვა „შეგრძნება“ უფრო ფართო მნიშვნელობით გამოიყენება ასეთ გამოცდილებათა მთელი კლასის აღსანიშნად. ყოველდღიურ მეტყველებაში ტერმინი საკმაოდ ბუნდოვანია და ხშირად ისეთ კონტექსტში გამოიყენება, რომ გაუგებარი რჩება. მოსაუბრე მეტყველებისას მიუთითებს იმაზე, რასაც შეიგრძნობს (მაგალითად, აშკარად მტკივნეული სტიმული, ზარის ხმა ან ცეცხლის წითელი ალი). ცნობიერებაში თუ სათანადო ანალოგი არ მოიძებნა, ორაზროვანმა მნიშვნელობამ შეიძლება დაბნეულობა გამოიწვიოს; ზოგი მკვლევრის აზრით, შეგრძნებები წმინდა ფსიქიკური აქტია (და არა — ფიზიკური). თუმცა, აღნიშნულის საპირისპიროდ, ზოგიერთი ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი მიიჩნევს, რომ ის, რისი შეგრძნებაც ხდება, ჩვეულებრივ, ფსიქიკისგან დამოუკიდებლად არსებული ფიზიკური თვისებაა. მაგალითად, ბალახი მწვანეა იმისგან დამოუკიდებლად, ვინმე აღიქვამს თუ არა მას ასეთად. ბუნდოვანებისთვის რომ თავი აერიდებინა, ინგლისელმა ბერტრანდ რასელმა შემოგვთავაზა ტერმინი „სენსორული მონაცემი“ იმ ერთეულის აღსანიშნად, რომელიც შეგრძნების უშუალო ობიექტია. სენსორული მონაცემი მიუთითებს იმაზე, რისი შეგრძნებაც ხდება ანუ რაც „შეგრძნებაშია მოცემული“. შესაბამისად, ტერმინი შეგრძნება ე. წ. ფსიქიკურ პროცესს ან აქტივობას აღნიშნავს (მინდაძე 2016).

უფრო ემპირიულად ორიენტირებული ფსიქოლოგები და ფიზიოლოგები ამჯობინებენ, რომ ცნება (და არა მონაცემი), შეგრძნება განმარტონ, როგორც ორგანიზმის დისკრიმინატორულ საპასუხო რეაქციასა და ფიზიკურ სტიმულს შორის ურთიერთმიმართება. სენსორული ფუნქციების მახასიათებლების დადგენა შესაძლებელია ლაბორატორიაში ცხოველის გაწვრთნით და იმით, რომ ადამიანებს სტიმულის სხვადასხვა ასპექტზე განსხვავებულად რეაგირება ვთხოვთ. ამ მიდგომის მიხედვით, შეგრძნება უპირატესად ისე განიხილება, როგორც შეგრძნების პროცესი თანამედროვე ავტომატურ მოწყობილობებში. ავტომატიზირებულ სისტემებში შემგრძნები ელემენტები ანუ სენსორები მათზე აღბეჭდილი ენერჯიის გარკვეული ფორმის მახასიათებლებზე (ყოფნა, არყოფნა, ინტენსივობა ან ხარისხი) მიგვითითებენ. ამ სენსორებს გადამწოდებელს უწოდებენ. ისინი შემავალ ენერჯიას ელექტრულ ნაკადებად გარდაქმნიან. ეს ნაკადები კი, თავის მხრივ,

სიგნალებად შეიძლება იქნენ გამოყენებულნი. ანალოგიურად განისაზღვრება შეგრძნება, როგორც ცოცხალ ორგანიზმებში დიფერენციალური საპასუხო რეაქცია. როცა სტიმული ზემოქმედებს შეგრძნების ორგანოზე და ორგანიზმი შესაბამისად რეაგირებს, ამბობენ, რომ სტიმულის შეგრძნება მოხდა. თუმცადა, შეგრძნების მენტალისტურ განსაზღვრებას ბევრი მეცნიერი შეგრძნების ფსიქოლოგიისთვის ბაზისურად მიიჩნევს.

ყურადღება არის კოგნიტური პროცესი, რომელიც გულისხმობს ცნობიერების ფოკუსირებას ხელმისაწვდომი პერცეფციული ინფორმაციის რომელიმე ნაწილზე. ამ შემთხვევაში ჩნდება კითხვები: რა შემთხვევაში და როგორ შეუძლია ადამიანს ყურადღების კონცენტრირება და ნათქვამისა თუ მოვლენის ადეკვატური აღქმა? როდის ირთვება ერთგვარი ფანტაზია და, შესაბამისად, ჩნდება ყურადღების დეფიციტი? როდის ცდილობს ადამიანი მობილიზაციას და, პირიქით – რა შემთხვევაში განაგდებს ნათქვამის აზრს და ყურადღების მიღმა ტოვებს? ამ კითხვებზე პასუხი ნათელს მოჰფენს, თუ როდის როგორ პასუხს სცემს მსმენელი მოსაუბრეს და ფსიქოლოგიური ფაქტორები ერთგვარად განაპირობებენ ლინგვისტურს.

ყურადღების შესახებ მსჯელობა ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთში დაიწყო, თუმცა მხოლოდ XIX საუკუნეში გახდა მეცნიერული შესწავლის საგანი. სტრუქტურალისტებისთვის (ტიტჩენერი და ვუნდტი) ყურადღება სენსორული პროცესების სიცხადე იყო. ამის საპირისპიროდ, ჯემსი მის ფუნქციურ მნიშვნელოვნებაზე საუბრობდა. მას მიაჩნდა, რომ ჩვენ ირგვლივ ერთდროულად უამრავი საგანია, რომელიც ვერ ხვდება ჩვენს ცნობიერ გამოცდილებაში იმის გამო, რომ არ გვაინტერესებს.

1900-იანი წლების დასაწყისში ყურადღება აქტიური კვლევის სფერო იყო, მაგრამ ამერიკაში ბიჰევიორიზმისა და ევროპაში გემტალტფსიქოლოგიის განვითარებამ შეამცირა მისდამი ინტერესი. თუმცა II მსოფლიო ომის შემდეგ ყურადღება ფსიქოლოგიური კვლევის ცენტრში ხელახლა აღმოჩნდა, რაც გემტალტფსიქოლოგიური და ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიური სკოლების დასუსტების, ტვინის ფუნქციონირების შესახებ წარმოდგენების ცვლილებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების შედეგი იყო.

პერცეპტული შერჩევითობა/სელექციურობა – როგორ ირჩევენ ადამიანები საგნებს, რომლებიც მათი ყურადღების ცენტრში ექცევიან? განარჩევენ მიზნით მართულ სელექციას და სტიმულით გამოწვეულ ყურადღების მიპყრობას. ორივე პროცესი განსაზღვრავს იმას, თუ რატომ ირჩევენ ადამიანები შემომავალი სენსორული ინფორმაციის რაღაც ნაწილს შემდგომი გადამუშავებისთვის. გააზრებული სელექცია ადამიანის მიზნებიდან გამომდინარე ხდება, ხოლო სტიმულით გამოწვეული ყურადღების მიპყრობა მაშინ ხდება, როდესაც სტიმულების ნიშნები (ანუ საგნები გარემოში) ავტომატურად იპყრობს ყურადღებას, ადამიანის კერძო მიზნებისგან დამოუკიდებლად. მაგალითად, თუ ქუჩას მიუყვებით და აქეთ-იქით იყურებით წითელი კარის ძეხვაში, ეს გააზრებულად, მიზანმიმართულად მართული სელექცია იქნება, ხოლო თუ შუქნიშნის წითელ ფერს მწვანე ცვლის და ამ დროს თქვენ, საჭესთან მჯდომი, შუქნიშანზე ხართ გაჩერებული და გუშინდელ საღამოზე ფიქრობთ, შუქნიშნის ცვლილება განსაკუთრებული კონცენტრაციის გარეშე მიიპყრობს თქვენს ყურადღებას. ეს სტიმულით გამოწვეული ყურადღების მიპყრობა იქნებოდა.

ბროუდბენტმა 1958 წელს წამოაყენა ყურადღების ფილტრის თეორია. იგი ტვინს საკომუნიკაციო არხს ადარებდა, რომელიც აქტიურად გადაამუშავებს და გადასცემს ინფორმაციას და რომელსაც შეზღუდული შესაძლებლობები აქვს. ამის გამო, საჭიროა, რომ მკაცრად დარეგულირდეს შემავალი სენსორული ინფორმაციის ცნობიერებაში გადასვლა. ყურადღება ავიწროებს კოგნიტურ სისტემაში შემავალი ინფორმაციის ნაკადს, ფილტრავს მის გარკვეულ ნაწილს და დანარჩენ ინფორმაციას შემდეგ საფეხურზე უშვებს. ამ თეორიის მიხედვით, შემომავალი ინფორმაციის სელექცია მისი მნიშვნელობის წვდომამდე ხდება.

ამ მოდელის შესამოწმებლად წარმოებულ კლასიკურ კვლევაში დიქტომიური მოსმენის მეთოდი გამოიყენეს. კვლევის მონაწილეებს უკეთიათ ყურსასმენები, როლებშიც ერთდროულად ორ სხვადასხვა ინფორმაციას ისმენენ. მათ ეძლევათ ინსტრუქცია რომ ექსპერიმენტატორს მხოლოდ ერთ-ერთი შეტყობინება გადასცენ და არ მოუსმინონ მეორე ყურში მიწოდებულ ინფორმაციას (ამ პროცედურას ყურადღებამიქცეული ინფორმაციის დაჩრდილვას უწოდებენ).

შემდგომმა კვლევამ ფილტრის თეორია ეჭვქვეშ დააყენა, რადგან აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი მსმენელი ისეთ მომენტებს იხსენებდა, რომელთა გახსენებასაც ვერ

შედგება, ყურადღებას რომ მთლიანად გაეფილტრა იგნორირებული მასალა, კერძოდ, ერთ-ერთ კვლევაში (მორეი, 1959): თუ უყურადღებოდ დატოვებულ ყურში მიწოდებულ ინფორმაციას კვლევის მონაწილის საკუთარი სახელი უძლოდა წინ, მკვეთრად იზრდებოდა მიწოდებული შეტყობინების გაგონებისა და აღდგენის ალბათობა. ამ ფენომენს, რომელსაც შემდგომში კოქტეილის წვეულების ფენომენი უწოდეს, ორი ალტერნატიული ახსნა მოეძებნა. ტრეისმანმა ივარაუდა, რომ ფილტრი სრულად კი არ ბლოკავს უყურადღებოდ დარჩენილ ინფორმაციას (როგორც ფიქრობდა ბროუდბენტი), არამედ მხოლოდ ასუსტებს მას. დოიჩმა კი უარყო ადრეული სელექციის მოდელი და ამტკიცებდა, რომ საერთოდ არ იყო საჭირო ფილტრის მექანიზმის შემოტანა. ის ფიქრობდა, რომ შემოსული ინფორმაცია ერთნაირად განალიზდება, განურჩევლად იმისა, მიექცა ყურადღება, თუ – არა. ეს მიდგომა გვიანი სელექციის მოდელის სახელით არის ცნობილი, რადგან ითვლება, რომ ის მხოლოდ პერცეპტული ანალიზის დასრულების შემდეგ იწყებს მოქმედებას.

ლავისა და ცალს (1994) ეკუთვნით კომპრომისული მოდელი, რომელიც ადრეული და გვიანი სელექციის მიდგომის ნაზავია. ავტორები მიუთითებენ, რომ გვიანი სელექციის ემპირიული მტკიცებულებები ისეთი სიტუაციებიდან არის აღებული, რომლებშიც მხოლოდ მცირე რაოდენობის სტიმულებია წარმოდგენილი (რასაც ისინი მსუბუქ პერცეპტულ დატვირთვას უწოდებენ). როდესაც გადამუშავების შესაძლებლობა უფრო მეტია, ვიდრე რელევანტური გადასამუშავებელი სტიმული, ეს ჭარბი შესაძლებლობა ავტომატურად გამოიყენება სიტუაციაში მოცემული ნებისმიერი ირელევანტური სტიმულის გადასამუშავებლად. ამის საპირისპიროდ, ადრეული სელექციის მაგალითები ისეთ სიტუაციებში გვხვდება, რომლებშიც პერცეპტული დატვირთვა დიდია. როდესაც გადამუშავების შესაძლებლობა სრულად იტვირთება რელევანტური სტიმულის მოთხოვნებით, არარელევანტური სტიმულები უბრალოდ უყურადღებოდ და გადამუშავების მიღმა რჩება.

ყურადღების განაწილება – როგორც ჯემსი ფიქრობდა, დამკვირვებელს შეუძლია სელექციურად/შერჩევითად მიაქციოს ყურადღება მისთვის საინტერესო შემავალ ინფორმაციას. თუმცა საინტერესოა, ერთ ჯერზე ნამდვილად ერთი მოვლენით შემოიფარგლება ადამიანის ყურადღების მოცულობა თუ არა. სხვა

სიტყვებით, რამდენად შესაძლებელია ყურადღების განაწილება ანუ ერთდროულად ერთზე მეტი საქმის კეთება. ეჭვგარეშეა, რომ ადამიანებს ასე თუ ისე შეუძლიათ ერთდროულად ორი რთული ამოცანის შესრულება, თუმცა, რეალურად საქმე ისაა, რომ ყურადღების განაწილების უნარი იმ ორი საქმის თავისებურებებზეა დამოკიდებული, რის შესრულებაზეც ვსაუბრობთ (მინდაძე 2016).

დანარჩენი კომპონენტების განხილვის შემდეგ უეჭველად უნდა შევხვით ინტელექტს, რადგან სწორედ მასზეა დამოკიდებული ადამიანის უნარი, ჩასწვდეს მოსაუბრის სათქმელის არსს, გააანალიზოს და, ამავდროულად, განჭვრიტოს, საკუთარ ნათქვამს რა შედეგი მოჰყვება. ინტელექტი ეწოდება გამოცდილებიდან სარგებლის მიღებისა და გარემოს შესახებ მოცემული ინფორმაციის გარღვევის ზოგად უნარს. მიუხედავად იმისა, რომ ინტელექტის განსაზღვრა საკმაოდ რთული ამოცანაა, მეცნიერთა 52-კაციანი ჯგუფი მაინც შეთანხმდა დეფინიციაზე, რომელიც არსებულ ვერსიებს შორის ყველაზე ამომწურავია. ამ განსაზღვრების მიხედვით, ინტელექტი ზოგადი გონებრივი შესაძლებლობაა და, სხვა კომპონენტებთან ერთად, მოიცავს ლოგიკური მსჯელობის, აბსტრაქტული აზროვნების, რთული იდეების წვდომის, სწრაფად დასწავლისა და გამოცდილების მიღების უნარს.

ადამიანი სხვა ცხოველებისაგან ინტელექტით განსხვავდება, ისევე როგორც ადამიანური ინტელექტი განსხვავდება მექანიკური ინტელექტისაგან, ან ზრდასრული ადამიანის – ჩვილისაგან. ინტელექტუალურ მონაცემებს შორის განსხვავებები ერთისა და იმავე ასაკის ადამიანებს შორისაც გვხვდება. დღესდღეობით უკვე სადავო არ არის ის ფაქტი, რომ, თუ ინდივიდი წარმატებით ხსნის ერთი ტიპის ინტელექტუალურ ამოცანას, ეს დიდი ალბათობით ნიშნავს იმას, რომ ის ასეთივე წარმატებით ამოხსნის სხვა ტიპის ინტელექტუალურ დავალებებსაც. შესაბამისად, ინდივიდები, რომლებიც კარგად იმახსოვრებენ, მაგალითად, ციფრების სიას, ასევე კარგად ხსნიან ვერბალური ანალოგიების ამოცანებსაც და ა.შ. ინტელექტუალური დავალებებისა და ამოცანების განსხვავებული ტიპები დადებით კავშირში არიან ერთმანეთთან.

ზოგიერთი ფსიქოლოგი მიიჩნევს, რომ ადამიანის ინტელექტი რაოდენობრივად გაზომვადი ფენომენია, რომლის დაყვანაც გარკვეულ ქულაზეა

შესაძლებელი. მეორე ნაწილი კი ამტკიცებს, რომ ინტელექტი მრავალი კომპონენტისგან შედგება, რომელიც ცალ-ცალკე უნდა გაიზომოს. მესამე ნაწილი კი ფიქრობს, რომ სინამდვილეში ინტელექტის რამდენიმე განსხვავებული სახე არსებობს, რაც გამოცდილების სხვადასხვა სფეროს შეესაბამება.

ინტელექტის გასაზომად სტანდარტიზებული ტესტები გამოიყენება, რომელთა ფუძემდებლადაც ალფერდ ბინე ითვლება. 1905 წელს ალფერდ ბინემ იმისთვის, რომ ეფექტური სასწავლო პროგრამის შექმნაში დახმარებოდა სახელმწიფოს, ბავშვების ინტელექტუალური უნარების გაზომვა დაიწყო. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ბინემ ინტელექტის გაზომვა საფრანგეთში დაიწყო, ძალიან მალე ამ სფეროში წამყვანი პოზიციები აშშ-ის მეცნიერებმა დაიკავეს. სწორედ მათ ეკუთვნით IQ ანუ ინტელექტის კოეფიციენტის ცნება. IQ ეს არის ინდექსი, რომელიც მიღებულია ინტელექტის სტანდარტიზებული ტესტებიდან. საწყის ეტაპზე, IQ-ს გონებრივი ასაკის ქრონოლოგიურ ასაკზე გაყოფით და შემდეგ 100-ზე გამრავლებით ითვლიდნენ, ხოლო ამჟამად პირდაპირ გამოითვლება. IQ-ს ავტორად შტერნი ითვლება, თუმცა დღესდღეობით ფართოდ გამოიყენება IQ ტესტების ორი ჯგუფი: სტენფორდ-ბინესა და ვექსლერის სკალები. სტენფორდ-ბინეს სკალა მოიცავს მთელ რიგ სუბტესტებს, რომლებიც კონკრეტულ გონებრივ ასაკზეა მორგებული და რომლებსაც პერიოდულად რევიზია უტარდებათ.

ვექსლერის ტესტში 6 სუბტესტია მოცემული: ინფორმირებულობა, ლექსიკური მარაგი, გაგება, არითმეტიკული უნარები, მსგავსებები (განსაზღვრა, თუ რატომ არის ორი საგანი მსგავსი) და რიცხვების რიგი.

ორივე ტესტისათვის არსებობს ქულათა დიაპაზონი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ინდივიდის ინტელექტუალური შესაძლებლობა. მაგალითად, სტენფორდ-ბინეს ტესტში საშუალო IQ 90-110 ქულების ფარგლებში მერყეობს. 90-ს ქვემოთ მიღებული ქულა შესაძლოა გარკვეული ხარისხის გონებრივ ჩამორჩენილობაზე მიგვითითებდეს, ხოლო 110-ს ზემოთ მიღებული ქულების გრადაცია გონიერიდან უმაღლეს ინტელექტამდე მერყეობს.

თუმცა ამ ყველაფრის გათვალისწინებით არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბოლო დროს მეცნიერები ადამიანთა სოციუმში ადაპტაციისას, ნებისმიერი ურთიერთობისას წარმატების მიღწევისას უფრო მეტად აფასებენ ადამიანში ე.წ. EQ-ს (ემოციურ კოეფიციენტს), ვიდრე მის ინტელექტურულ შესაძლებლობებს.

ინფორმაციის კოდირების, შენახვისა და აღდგენის ფსიქიკური უნარი თითქოწ ყველა ადამიანს აქვს. ბევრი ფსიქოლოგი მეხსიერებას იერარქიის სახით წარმოადგენს, რომელიც სხვადასხვა ტიპის მეხსიერებას მოიცავს. პირველ რიგში, განასხვავებელ ექსპლიციტურ და იმპლიციტურ მეხსიერებას, ასევე, განარჩევენ პროცედურულ და დეკლარაციულ, პერცეპტულ დასწავლასა და კლასიკურ განპირობებას.

განარჩევენ მეხსიერების პროცესებს: კოდირებას ანუ აღბეჭდვას, შენახვასა და აღდგენას. კოდირება ინფორმაციის გადამუშავების პირველი საფეხურია, რომელიც მეხსიერების სისტემაში ინფორმაციის შესვლას ემსახურება. შენახვა აკავებს ინფორმაციას გარკვეული დროის მანძილზე, ხოლო აღდგენა შენახული ინფორმაციის ცნობიერებაში ამოტანას ან მის გამოყენებას წარმოადგენს. მარტივად რომ ვთქვათ, კოდირებას შემოაქვს ინფორმაცია საცავში, (შენახვა) აკავებს მას, სანამ საჭიროება მოითხოვს, აღდგენას კი ამოაქვს ის.

არსებობს მეხსიერების, როგორც მრავალსაცავიანი სისტემის, ხედვა. ეს მიდგომა 1968 წელს ამერიკელმა ფსიქოლოგებმა – შიფრინმა და ატკინსონმა – შემოიტანეს. მათი თეორიის მიხედვით, მეხსიერება სამი კომპონენტისგან შედგება: სენსორული მეხსიერება, ხანმოკლე მეხსიერება და ხანგრძლივი მეხსიერება.

1.1. კოგნიტივისტური გააზრება

კოგნიტივიზმი სწავლობს, თუ როგორ მუშაობს ადამიანის ტვინი, როგორ ღებულობს ინფორმაციას შეგრძნებების მეშვეობით, როგორ გადაამუშავებს მიღებულ ინფორმაციას, როგორ ადარებს ადრინდელ მონაცემებს, როგორ ახარისხებს და ინახავს მეხსიერებაში, იგი ცდილობს გაარკვიოს, თუ როგორ ხდება ამ უზარმაზარი ინფორმაციის სტრუქტურირება გონებაში, როგორ მოვიხმართ ინფორმაციას ფიქრისა და მსჯელობისას. ყოველივე ამის შესახებ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ დეტალურად. აღნიშნულ პროცესებში ენას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ერთი ხმრივ, კვლევის საგანია მეტყველების აღქმა და წარმოქმნა, ასევე ის მენტალური სტრუქტურები, რომლებიც მეტყველებას უდევს საფუძვლად, მეორე მხრივ, თუკი გავარკვევთ, როგორ გამოიყენება ენა იმის გამოსახატავად, რაც გონებაში გვაქვს, შეგვიძლია გავიგოთ, როგორ არის ორგანიზებული ადამიანის გონება.

სემანტიკა სტრუქტურალიზმიდან მიღებული ტრადიციების მიხედვით შეისწავლის მნიშვნელობათა შორის მიმართებებს, კოგნიტიური თვალსაზრისით შესწავლისას კი ფოკუსი მოდის თვით მნიშვნელობაზე. იგი ცდილობს წარმოადგინოს პოზიტიური აღწერა სიტყვის მნიშვნელობისა, ანუ არკვევს, თუ რატომ და როგორ აღნიშნავს სიტყვა იმას, რასაც აღნიშნავს. ანუ ფრეგეს

სამკუთხედზე დაყრდნობით რომ ვისმჯელოთ, რა არის მნიშვნელობა და როგორ განსაზღვრავს იგი დენოტატს. (გამყრელიძე... 2008: 335-337).

ენობრივი სისტემის ძირითადი ერთეულია სიტყვა. იგი განიხილება ენის სხვადასხვა იერარქიულ დონეზე – მასში ერთიანდება ენის ბგერითი, აზრობრივ-გრამატიკული მხარეების ნიშნები. იგი ორპლანიანია: არ არსებობს სიტყვები მნიშვნელობისა და გამოხატულების გარეშე. სიტყვების საშუალებით ხდება ცნებების ფორმირება და გადმოცემა.

ერთმანეთისგან უნდა გავარჩიოთ ინდივიდუალური ცოდნა და ცოდნა განმსაზღვრელი კატეგორიისა იმ საზოგადოებისათვის, რომლის წევრებიც ჩვენ ვართ. კულტურული ცოდნა განსაზღვრავს კულტურულ კატეგორიას, რომელიც მთელი საზოგადოებისათვის იდენტურია. ინდივიდუალური ცოდნა მოიცავს კულტურული ცოდნის დიდ ნაწილს. მთლიანად კულტურის ცოდნას ერთი კონკრეტული ინდივიდი, რა თქმა უნდა, ვერ ფლობს, რადგან ჩვენი გამოცდილება საკმაოდ მცირეა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

თუ გავითვალისწინებთ, რომ კულტურული კატეგორიები ენობრივი საზოგადოების კუთვნილებაა, მაშინ საინტერესოა, რა ნაწილი შეადგენს სიტყვის მნიშვნელობას. ასეა თუ ისე, სიტყვის მნიშვნელობა შესაბამისი კულტურული ცნების მხოლოდ ნაწილია.

განსხვავება კულტურულ და ინდივიდუალურ ცოდნას შორის სემანტიკის ამოცანაა. ბევრი მკვლევრის აზრით, სემანტიკური კატეგორიები ისეა ჩაქსოვილი მთლიან კოგნიტიურ სისტემაში, რომ შეუძლებელია მათი გაცალკეება. ამასთანავე, სიტყვის სრული მნიშვნელობა მხოლოდ კოგნიტიური სისტემის მოზრდილი ნაწილების კონტექსტის მიხედვით თუ განისაზღვრება. სემანტიკური კატეგორიებიც მოიაზრება სამყაროს მთლიან მოდელში, სამყაროსი, რომელსაც აღვიქვამთ, რომლის ინტერპრეტაციასაც ვახდენთ, რომელშიც ვცხოვრობთ და რომელთანაც გარკვეული ურთიერთკავშირი გვაქვს.

დღესდღეობით ცხადია, რომ სწორედ ენა უზრუნველყოფს ცნობიერებისკენ მიმავალ ბუნებრივ გზას. ცნობიერების სტრუქტურირების შესახებ მხოლოდ ენის საშუალებით შეგვიძლია საუბარი და მსჯელობა (კუბრიკოვა 1997: 21). ა. ვეუბიცკას მიხედვით, ენის არსი არ ასხვავებს ექსტრალინგვისტურ რეალობას ფსიქოლოგიურისგან და ენის მფლობელთა სოციალური სამყაროსგან (ვეუბიცკა

1991: 16). ბუნებრივი ენა უშუალოდ არის ჩართული სოციალურ მექანიზმსა და კულტურულ-სულიერ სფეროში. ენა კულტურასთან ერთად ყალიბდება და ამავდროულად განაპირობებს მის ჩამოყალიბებას, რადგან ასახავს და ინახავს თავის მფლობელთა სულიერ და პრაქტიკულ გამოცდილებას. კულტურის ზეგავლენით ყალიბდება აზროვნების სტილი, სამყაროს ხედვის რაკურსი, პრაქტიკული რეალობის კატეგორიზაციისა და ფიქსაციის ხერხი.

ინდივიდის შემეცნება გრძნობადსა და რაციონალურს მოიცავს, გრძნობები გონებას უგზავნიან მონაცემებს შექმნილი, აღქმული რეალობის შესახებ, გონება განაზოგადებს ინფორმაციას და გამოაქვს დასკვნები. სამყაროს შემეცნების პროცესი და მისი შედეგები აღქმის ფსიქოლოგიურ ფენომენს უკავშირდება, ამიტომ კოგნიტივიზმში გადამწყვეტი როლი ენას ენიჭება (კარლსონ-რადკოვსკი 1994: 670). მეტიც, ფსიქოლოგიაში მიიჩნევენ, რომ მნიშვნელობა აღქმის ფსიქოლოგიური პროცესის ტიპური შედეგია (ტიტონე 1984: 341). მოცემულ ნაშრომში აღქმა გაგებულია როგორც გრძნობადისა და რაციონალურის სინთეზი. სამყაროს მრავალფეროვნება ადამიანის მიერ აღიქმება, როგორც გონების ინტუიტური მისწრაფება, აითვისოს სამყარო არა დისკრეტულად, არამედ სინთეზურად, მიმდევრობაში – უთვალავი ანალოგიისა და იგივეობის გათვალსწინებით. ამგვარად, ენისა და კულტურის მონაცემები თავს იყრის კონცეპტში – მენტალური ლექსიკონის ერთეულში, რომლის საშუალებითაც ადამიანები ეზიარებიან კულტურას.

1.2. კონცეპტის არსი როგორც ლინგვისტური ანალიზის ტერმინი და ობიექტი

ბოლო დროს ენათმეცნიერება ტექსტს უდგება როგორც ერთ მთლიანობას სისტემური კვლევის მეთოდით: ტექსტი როგორც კომუნიკაციის უმაღლესი ერთეული, ხოლო სიტყვა როგორც – უმცირესი, დანაწევრებული სემანტიკით, რომელიც მოიცავს ძირითად ინფორმაციას და მონაცემების აუცილებელ რესურსს, რომელიც იშლება მთელ ტექსტში.

თუ სიტყვის შესწავლას ტექსტში შევეცდებით, უნდა დავეყრდნოთ მოსაზრებას, რომ ერთი კონკრეტული სიტყვით გამოხატული კონცეპტი ტექსტის მარგანიზებული ძალაა. ყველა მონაცემი ორგანიზებულია ამ სიტყვის ირგვლივ, იქნება იგი სათაურში, ეპიგრაფში, ტექსტის ექსპოზიციურ თუ ფინალურ ნაწილში. ასევე სიტყვა შეიძლება გამოხატული იყოს არა მხოლოდ რეგულარული პოლისემიით, არამედ კოგნიტიური მეტაფორით, ტექნიკური ტერმინით, სიმბოლოთი, ალუზიით, მხატვრული შედარებით ან სხვა სტილისტიკური ხერხით, რომელიც გვევლინება ერთ კოგნიტიურ კონცეპტად მოცემული ტექსტისთვის, როგორც ერთი მთლიანი სისტემისთვის.

თეორიულ ენათმეცნიერებაში კონცეპტი გამოიყენება ეროვნული კოგნიტიური ცნობიერების იმ ერთეულის აღსანიშნავად, რომლის მოდელირებაც ხდება ლინგვისტური საშუალებებით. იგი აგრეთვე გამოიყენება ადამიანის ცნობიერებაში კონცეპტების მოწესრიგებული ერთობლიობის მოდელირებისა და აღწერისათვის. სწორედ კონცეპტი შეესაბამება მეცნიერულ წარმოდგენას იმ მნიშვნელობების, ხატების, ეთნოსის შესახებ, რომლებსაც ადამიანი ეყრდნობა აზროვნებისას.

ლინგვისტთა უმრავლესობის აზრით, კონცეპტი არავერბალური მენტალური წარმონაქმნია (დიმასიო 1989, 1995, 1999, ბოლდირევი 1999, 2000), რომლის სახელიც დუბლირებულია სიტყვაში. უნდა დავაზუსტოთ, რომ სიტყვით გამოიხატება ცნებაც, რომელიც ზოგადად განისაზღვრება ლოგიკაშიც და ლინგვისტიკაშიც. ტრადიციულ ენათმეცნიერებაში ცნება ერთ განსაზღვრულ

ნიშნად ფორმასთან განიხილება ანუ ზოგად სახელთან კავშირში (ლინგვისტურ-ენციკლოპედიური ლექსიკონი, 384).

ცნებისგან კონცეპტი იმით განსხვავდება, რომ გაიაზრება არა მხოლოდ რაციონალურად, არამედ განიცდება კოლექტიური არაცნობიერის მსგავსად (არუთინოვა, კუბრიკოვა 2001: 31). ი. სტეპანოვის აზრით, კონცეპტი და ცნება ასევე ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ ცნება განისაზღვრება ლოგიკისა და ფილოსოფიის კანონებით, კონცეპტი კი – კულტურის კანონებით. კონცეპტი არის განცდილი ცნება, ადამიანის ცნობიერებაში არსებული კულტურული გარემოს ნაყოფი. ვ. თელია კონცეპტს განიხილავს, როგორც ინფორმაციას, რომელიც სტრუქტურირებულია ჩარჩოს სახით, რომელიც ქმნის გარემოს ლექსიკური მნიშვნელობის დაკონრეტებისთვის მეტყველებაში სიტყვის კონკრეტული რეალიზაციისას (თელია 1996). ნ. ბოლდირევის მოსაზრების მიხედვით, ადამიანის ლექსიკური მარაგი ხშირად განისაზღვრება არა მათი მნიშვნელობის დონით, არამედ მათთვის გადმოცემული შინაარსის, კონცეპტისა და კონცეპტუალური ნიშნის დონით. (ბოლდირევი 2001: 26). ეს ნიშნავს, რომ პიროვნების მენტალურ ლექსიკონში არსებობს სიტყვათა არა მხოლოდ ის მნიშვნელობები, რომლებიც ასახულია სალექსიკონო ჩამონათვალში, არამედ პიროვნულად განცდილი მნიშვნელობებიც და ხატებიც. თუ სიტყვა ისეთი კონცეპტის ვერბალიზაციაა, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამყაროს ეროვნულ კონცეპტუალურ სურათში, მას არქეტიპული მნიშვნელობაც ემატება. ს. ვორკაჩოვის მიხედვით, კონცეპტი სინთეზური ლინგვომენტალური წარმონაქმნია, რომელიც წარმოდგენის, ცნებისა და მნიშვნელობის შემნაცვლებელია. ცნებისგან მან მიიღო შინაარსის წარმოდგენის დისკურსულობა, ხატისგან – მეტაფორულობა და ემოციურობა, ხოლო მნიშვნელობისგან – ჩართულობა ენის ლექსიკურ სისტემაში (ვორკაჩოვი 2005: 11-12).

კონცეპტი იდეალიზებული წარმონაქმნია. ივარაუდება, რომ ენაში მისი მატერიალიზაცია ხდება სიტყვის, როგორც ენობრივი ნიშნის საშუალებით. კონცეპტს სახელი ენიჭება იმ სიტყვის მიხედვით, რომელიც უფრო კონკრეტულად გადმოსცემს მის შინაარსს. ბუნებრივია, რომ ლინგვისტური ანალიზით შესაძლებელია მხოლოდ კონცეპტის ვერბალური ნაწილის გაანალიზება. კონცეპტს შეიძლება ჰქონდეს შინაარსის ისეთი ნაწილიც, რომელიც არ გამოიხატება

ენობრივი საშუალებით. კონცეპტის დანაწევრება მხოლოდ შესწავლის მიზნით არის შესაძლებელი, რათა გამოვლინდეს სემანტიკური და კოგნიტიკური პროცესების თანაფარდობა. დასკვნები კეთდება კონცეპტის რეკონსტრუქციის საფუძველზე ლინგვისტური კვლევის კოგნიტიური და კულტუროლოგიური ინტერპრეტაციით.

სტრუქტურისა და შინაარსის მიხედვით კონცეპტთა ტიპების მრავალფეროვნების მიუხედავად, ყოველ მათგანს აქვს საბაზისო გრძნობადი ხატი, რომელიც აყალიბებს მის ბირთვულ კოგნიტიურ შრეს. კონცეპტის ბირთვი იზიდავს სხვადასხვა კოგნიტიურ ნიშნებს, რომელთა ერთობლიობა ქმნის კონცეპტის მოცულობას და განსაზღვრავს მის სტრუქტურას (სტერნინი 2001: 59). კონცეპტის საკვლევ მეთოდოლოგიას ყოფენ სემანტიკურ-კოგნიტიურად და ლინგვოკულტუროლოგიურად. პირველი მეთოდი გულისხმობს მნიშვნელობათა შინაარსიდან კონცეპტის შინაარსზე გადასვლას კოგნიტიური ინტერპრეტაციის პროცესში (პოპოვა, სტერნინი 2005, 9). ლინგვოკულტურული მიდგომა გულისხმობს რაკურსის გადანაცვლებას კონცეპტთან დაკავშირებული მოვლენის ისტორიისკენ, კონცეპტების შინაარსის, სტრუქტურისა და ინტერპრეტაციის იმ კულტურული კონტექსტით განპირობებული ეროვნული თავისებურებების გამოვლენისკენ, რომელთა შიგნითაც ყალიბდება კონცეპტი და არსებობს როგორც ეროვნული მსოფლადქმის ელემენტი.

როგორ ვითარდება კვლევა: საკვანძო სიტყვების ანალიზი, რომლებიც მაქსიმალურად კონკრეტულად გამოხატავენ ნომინაციას სიმრავლიდან: 1. ლექსიკური მნიშვნელობისა და შინაფორმის ანალიზი; 2. ეტიმოლოგიური ანალიზი; 3. სიტყვაწარმოებითი ანალიზი და კოგნიტიური ინტერპრეტაცია; 4. უზუალური მეტაფორიზაციის მოდელების დადგენა; 5. მოცემული ენობრივი ერთეულის ასოციაციურ-ვერბალური კავშირების დადგენა; 6. ცნებათა პრაგმატიკული ანალიზი; 7. საბაზო გრძნობადი და სემანტიკური ხატის დადგენა.

1.3. სამეტყველო ქმედების ანალიზი

სიტყვის როგორც ენობრივი ნიშნის დეფინიციისას კვლავ ფ. დე სოსიურს უნდა მივყვეთ და ერთმანეთისგან გავმიჯნოთ სიტყვა როგორც ენობრივი და საკომუნიკაციო ერთეული. იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ, თუ რას წარმოადგენს სიტყვა ენასა და კომუნიკაციაში, უნდა დავაზუსტოთ, რა არის მეტყველება, ანუ ვერბალური კომუნიკაცია. მთლიანობაში სამეტყველო ქმედება მრავალფეროვანია, რადგან ერთდროულად რამდენიმე სფეროში მიმდინარეობს: ფიზიკურში, ფიზიოლოგიურსა და ფსიქიკურში. ამასთანავე, იგი ითვალისწინებს ინდივიდუალურ და სოციალურ ასპექტებსაც. სამეტყველო ქმედება არ ექვემდებარება ადამიანური ყოფის მოვლენების არავითარ კლასიფიკაციას, რადგან მისი მთლიანობად აღქმა შეუძლებელია.

ენა არ არსებობს ფიზიკურად, მისი მატერიალიზაცია ხდება მხოლოდ მეტყველებაში. იგი არსებობს მხოლოდ ენობრივი კოლექტივის ცნობიერებაში. მთელი ენობრივი სისტემა ოპოზიციებით შექმნილ ასოციაციურ მექანიზმზეა აგებული. პარადიგმების პოტენციური ცოდნის სახით გვხვდება ენის პარადიგმულ-ასოციაციურ ჭრილში, მეტყველებისგან განსხვავებით, რომელიც არსებობს მატერიალური (ფონეტიკური ან გრამატიკული) ფორმით, გამოაქვს ენის პარადიგმულ-ასოციაციური ჭრილიდან მოლაპარაკის მიერ საჭიროებისამებრ ამორჩეული ერთეულები და ითხოვს მათ კომბინირება-განლაგებას სინტაგმების მხოლოდ სწორხაზოვანი თანმიმდევრობით.

ენობრივ ნიშნათა იერარქიული ტიპოლოგია ეფუძნება არასრულ და სრულ ნიშნათა დაპირისპირებას. ეს დაპირისპირება ენის კომუნიკაციურ ფუნქციას გულისხმობს და ნიშნის უნარს – შეასრულოს ეს ფუნქცია. რაც უფრო გამოკვეთილია ნიშნის უნარი დამოუკიდებლად, უშუალოდ შეასრულოს კომუნიკაცია, მით უფრო შეგვიძლია ვისაუბროთ სრულ ნიშანზე.

თანამედროვე ლინგვისტიკაში „ნიშანი“ განიხილება სამი თვალსაზრისით:

1. მისი ძირითადი სტრუქტურულ-ფუნქციური თვისებების თვალსაზრისით;
2. იმის მიხედვით, თუ როგორ ახდენს თანამედროვე ენათმეცნიერება ნიშნის

მოდელირებას ანუ როგორ განიხილავს მის სტრუქტურას; 3. თუ როგორ ვითარდება ნიშნის ცნება და მოდელი თანამედროვეობაში.

ამ მხრივ საინტერესოა ჯ.დ. ოკონორის სქემა კომუნიკაციური აქტის შესახებ, რომლის მიხედვითაც კომუნიკაცია იწყება მოსაუბრის ტვინში და მიზანს აღწევს მსმენელისაში. ამიტომ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოსაუბრის ტვინს კომუნიკაციის რეალიზაციისათვის ორი მკვეთრად გამოხატული ფუნქცია აქვს: შემოქმედებითი (creative) და გადამგზავნი (გამტარი, დამხმარი) (forwarding). მოსაუბრემ ისე უნდა გადასცეს ინფორმაცია, რომ გააგებინოს მსმენელს. მსმენელს შეიძლება ესმოდეს ბგერები, მაგრამ ვერ შიფრავდეს მათ, ვერ ახერხებდეს დეკოდირებას, რაც აუცილებელია კომუნიკაციის დასამყარებლად. მსგავსი რამ ხდება, როცა უცხო ენას ვისმენთ, ბგერები, სიტყვები, წინადადებები გვესმის, მაგრამ ვერ ვიგებთ, ინფორმაციას ვერ ვიღებთ.

კომუნიკაციურ ლინგვისტიკას მრავალი თეორია აქვს: პრაგმატიკა, სამეტყველო აქტთა თეორია, დისკურსული სემანტიკა, სიტუაციური სემანტიკა, კომუნიკაციური სინტაქსი, კონტექსტური ლინგვისტიკა, ტექსტის ლინგვისტიკა და პრაგმალინგვისტიკის სხვადასხვა მიმართულება. ყველა თეორიის მიზანი ერთია: ენობრივ ერთეულთა კვლევა კონკრეტულ საკომუნიკაციო აქტთა მსვლელობისას.

კომუნიკაცია არის სისტემის, კოდის, ადამიანის ენობრივი უნარის რეალიზაცია. პირობითი გამონათქვამი რეალიზდება კომუნიკაციისას კონკრეტული სიტუაციისა და მოლაპარაკის ინტენციის მეშვეობით. ბუნებრივია, სამეტყველო ურთიერთობის პრაგმატიკა უნდა ვეძებოთ არა ენობრივ ნიშანთა ურთიერთდამოკიდებულების სფეროში, არამედ გამონათქვამში ასახული კომუნიკანტების ურთიერთდამოკიდებულების სპეციფიკაში. ენობრივი საშუალებები პრაგმატულად შეირჩევა მოლაპარაკის მიზანდასახულობისა და მოტივის გათვალისწინებით, ასევე უზრუნველყოფს გამონათქვამის დეტალურ გაგებასა და კომუნიკაციური აქტის ხატოვანების შეფასებას. კომუნიკაციისას პრაგმატიკა ითვალისწინებს სოციალურ და სამეტყველო ქმედებებს, მათ მიზნებს, მოტივებს, მოლაპარაკეთა ინტენციებს და მსმენელთა მოლოდინს. სიტყვა არ წარმოადგენს კომუნიკაციური ლინგვისტიკის უშუალო საყრდენს. სიტყვის პრაგმატიკა გულისხმობს მის კომუნიკაციურ ფუნქციას როგორც პოტენციაში, ისე

რეალიზაციისას როგორც ენაში, ისე მეტყველებისას. ენობრივი ერთეულის/სიტყვის გრამატიკულ ასპექტში განხილვა ნიშნავს მის განხილვას იმ მომენტის გათვალისწინებით, რომელიც რეგულარულია ერთეულის მეტყველებაში ფუნქციონირებისას, ანუ მომენტებს, რომელთა რეალური შინაარსი დამოკიდებულია მეტყველ სუბიექტზე, მაგრამ რომელთა ფორმალური არსებობა მასზე დამოკიდებული არ არის.

ენა რომ კომუნიკაციის საშუალებაა, ცნობილი ჭეშმარიტებაა, ძნელია ისე განვსაზღვროთ ენის არსი, რომ კომუნიკაციასთან მიმართებას ხაზი არ გავუსვათ. ადამიანთა კომუნიკაცია ნებისმიერი ფორმით – წერითი თუ ზეპირი, მონოლოგური თუ დიალოგური – სხვა არაფერია, თუ არა ინფორმაციის გაცვლა. კომუნიკანტებს ყველა ცალკეულ სიტუაციაში განსხვავებული მიზანი და როლი აქვთ ურთიერთმიმართებისას, ამჟღავნებენ განსხვავებულ ფსიქოლოგიურ განწყობას. ვინაიდან კომუნიკაციის აქტი შეიცავს პრაგმატულ მიმართებას მონაწილეთა შორის და კონკრეტული ადრესატის ან პოტენციურ ადრესატთა კრებითი მოდელის ენობრივ გამოცდილებასა და იმ სათანადო ცოდნის მარაგზე, რომლის ფონზეც რეალიზებადი უნდა იყოს ადრესატის მხრივ მიღებული შეტყობინების გაცნობიერება. ამ მოვლენას კომუნიკაციის ინჟინერიას უწოდებს ჯ. ლაიონზი და გვათავაზობს სქემას, რომელშიც დაზუსტებულია, რომ კომუნიკაციაში ინფორმაციის გადაცემის უმთავრესი პირობის გარდა, არსებობს მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი პირობა – შემეცნება, ადრესატის მიერ მიღებული შეტყობინების სრულყოფილი დეკოდირების უნარი. ამ შემთხვევაში გარეენობრივმა ფაქტორებმა შეიძლება ერთგვარი დაბრკოლება შექმნას დეკოდირებისას და ხელი შეუშალოს სუბიექტის მიზანს ან პირიქით, ხელი შეუწყოს აქტის განხორციელებას სუბიექტისგან დამოუკიდებლად.

ვერბალური კომუნიკაციის ნებისმიერი აქტი ავტომატური სამეტყველო წარმონაქმნი კი არ არის, არამედ რთული პრაგმატული კომპლექსის ერთ-ერთი კომპონენტია. შეტყობინების გამგზავნი და მიმღები ერთ ორგანულ მთლიანობას უნდა წარმოადგენდეს (ონიანი 2006:13-15).

სიტყვა ერთდროულად ენის სისტემის ერთეულიც არის და საკომუნიკაციო პროცესის ნაწილიც. გარკვეულ კონტექსტში მისი მნიშვნელობა შეიძლება შეიცვალოს, მაგალითად, პოლისემანტურ სიტყვებს მნიშვნელობათა ფართო წრე

აქვთ, მაგრამ გარკვეული კონტექსტი აშორებს მათ არასაჭირო მნიშვნელობას და მხოლოდ ერთ აზრს სძენს. ხდება საპირისპირო პროცესიც, ერთი კონკრეტული მნიშვნელობის მქონე სიტყვა სხვადასხვა კონტექსტში იძენს განსხვავებულ მნიშვნელობას. ანუ კონტექსტი წინასწარ განსაზღვრავს სიტყვის მნიშვნელობას და არ გამოავლენს ანუ გვიჩვენებს მას, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვიწრო ლექსიკური კონტექსტი ყოველთვის არ გვაძლევს საშუალებას სწორად განვსაზღვროთ სიტყვის მნიშვნელობა, ამისთვის გაცილებით ფართო კონტექსტის ცოდნაა საჭირო – კონტექსტს ვერ ვუწოდებთ მხოლოდ სიტყვათშეთანხმებას. შესაბამისად, სხვადასხვა მიდგომაა საჭირო, როცა სიტყვას ფრაზეოლოგიურ, ტრადიციულ სიტყვათშეთანხმებაში და თავისუფალ ლექსიკურ კავშირში განვილხილავთ. ეს უკანასკნელი არ გულისხმობს მუდმივ ვიწრო ლექსიკურ გარემოს, ამ დროს კონტექსტი ცვალებადია, რაც ართულებს სიტყვის მნიშვნელობის განსაზღვრას (ონიანი 2006:17-18).

სიტყვის ცალკეული მნიშვნელობა ენაში და მისი კონტექსტური მნიშვნელობა კომუნიკაციაში განპირობებულია სემების მოწესრიგებული წყობით. მნიშვნელობა ანუ სემების კომპლექსი აქტის მონაწილეებისთვის ქმნის გარკვეულ ველს, რადგან ამ სემებს შორის არის საფეხურებრივი, გრადუალური მიმართება. ველში არის ბირთვული სემა, რომელიც მოვლენის არსს ასახავს და ასევე ნაკლებ არსებითი ამ მოვლენისთვის, ანუ ობიექტურობის ნაკლები ხარისხით დამახასიათებელი სემები. ბოლოს მოდის სუბიექტური და უკიდურესად სუბიექტური სემები.

კონტექსტში სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა იცვლება, ზოგჯერ ველში სემები გადაინაცვლებს, მაგრამ არა ყოველთვის. თუ გადაინაცვლება არ მოხდა, მნიშვნელობაც არ იცვლება, ხოლო გადაინაცვლებისას ბირთვი გადადის პერიფერიაში ან პერიფერიული სემა გადმოინაცვლებს ბირთვისკენ. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა მთლიანად იცვლება. შუალედური შემთხვევებისას უზუალური მნიშვნელობა იძენს ახალ კონოტაციებს ან იცვლის აზრს რამდენადმე, გარკვეული ნიუანსით. როგორც აღვნიშნეთ, ამ პროცესების საფუძველი კონტექსტია, კომუნიკაციური სიტუაცია (ონიანი 2006: 24-25).

მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელობა და შინაარსი საყოველთაოდ ხმარებული ტერმინებია, ენობრივი ერთეულის მნიშვნელობის განმარტება

ურთულესია. მნიშვნელობათა კვლევისას კონტექსტის გარდა გასათვალისწინებელია პრაგმატიკული ფაქტორები და ლოგიკური აზროვნების კანონები. შეიძლება გამონათქვამი ექსპლიციტურად ცხადად არ იყოს ენობრივად გამოხატული, მაგრამ „იგულისხმებოდეს“ ადრე ნახსენები ფაქტები ან სიტუაციები. სემანტიკის როგორც ენათმეცნიერების დარგის საგანია მნიშვნელობის კვლევა. ფრეგეს სამკუთხედის საფუძველზე შეიძლება გამოვყოთ მნიშვნელობათა ლოგიკურ-ლინგვისტური ტიპები. ადამიანს სჭირდება სამყაროში არსებულ საგანთა, მოვლენათა და მათ ურთიერთდამოკიდებულებათა ცოდნა, რათა ოპტიმალურად იმოქმედოს და სწორად შეაფასოს რეალობა. მეორე მხრივ, ინდივიდი სწორედ თავისი ინტერესების თვალსაზრისით აფასებს და განიცდის გარშემო არსებულ ვითარებას. ანუ ნებისმიერ აზრში შეიძლება გამოიყოს ობიექტური და სუბიექტური კომპონენტები, ანუ კოგნიტიური და პრაგმატიკული მნიშვნელობები. მნიშვნელობა არის დენოტატის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია, ხოლო პრაგმატული მნიშვნელობა – ინფორმაცია მათ მიმართ მოლაპარაკის სუბიექტური დამოკიდებულების, კომუნიკაციის გარემოებებისა და მრავალ ექსტრალინგვისტურ ფაქტორთა შესახებ. ნიშნის პრაგმატიკული მნიშვნელობა გულისხმობს მოლაპარაკესა და ნიშანს, გაშუალებულს დენოტატისადმი მოლაპარაკის ემოციებით და ასახავს დენოტატის შეფასებას. წმინდა ინტელექტუალურ, შემეცნებით მნიშვნელობას სუბიექტური ემატება. მნიშვნელობის კოგნიტიური და პრაგმატიკული კომპონენტები ერთმანეთზე ზემოქმედებენ – სუბიექტურ შეფასებას საფუძვლად უდევს ობიექტური განსხვავებები საგნებსა და მოვლენებს შორის. ენობრივ ნიშნას შეიძლება ჰქონდეს როგორც კოგნიტიური, ისე პრაგმატიკული მნიშვნელობა, ან – ერთ-ერთი. წმინდა პრაგმატიკული მნიშვნელობის მქონეა შორისდებული, რადგან იგი ცნებას არ გამოხატავს, თუმცა გარკვეულ კონტექსტში ხმარებისას მსგავსი პრაგმატიკული ელემენტი შეიძლება შეიძინოს ნებისმიერმა ნიშანმა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ იქნება მისი მნიშვნელობა, ეს იქნება კონსტექსტური ელემენტი. ზოგიერთ ნიშანში წამყვანია კოგნიტიური კომპონენტი, ზოგიერთში კი – პრაგმატიკული.

სიტყვათა მნიშვნელობების ურთიერთზემოქმედება და ურთიერთმიმართებები სცილდება ენის ელემენტების ურთიერთობებს გაბმულ მეტყველებაში. როდესაც საუბარია სიტყვის მათორგანიზებელ უნარზე ტექსტში,

ყურადღება გამახვილებულია შემადგენელ ელემენტებზე და მათ თანმიმდევრობაზე მთლიან ტექსტში. სხვადასხვა ავტორი სხვადასხვაგვარად წარმოადგენს ტექსტის მონაკვეთის სიგრძეს, რომელიც აუცილებელია, რათა სიტყვის ინფორმაცია წარმოჩნდეს, გადამუშავდეს და მკითხველმა აღიქვას. აქ საუბარია ტექსტში გამოვლენილ სიტყვის კონტექსტურ პოლისემიაზე. შეიძლება განვიხილოთ სემანტიკურ-სინტაქტიკის, პრაგმატიკის და ფუნქციონირების მხრივ. სიტყვის რეალიზაციაც სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს: თანმიმდევრული და სინქრონიული.

მნიშვნელობათა არჩევანი და მათი კომბინატორიული უნარი წარმოიქმნება ტექსტში როგორც კომპლექსური შედეგი: ერთი მხრივ, სიტყვის სემანტიკურ სტრუქტურაში მათი კომპონენტების ურთიერთქმედებისა და, მეორე მხრივ, სხვადასხვა კონტექსტთან მიმართებით. რომელი მათგანი უფრო რელევანტურია სტილისტიკურად, გვიჩვენებს ფაქტობრივი მასალა. ამასთან, გასათვალისწინებელია როგორც სოციალური, ისე ემოციურ-კულტურული ფაქტორები.

დიალოგისას მეტყველ-აღმქმელის ამოცანა შეიძლება შემდეგ მომანტებად დავეყოს: აზრობრივი პროგნოზირების; სიტყვათა ურთიერთდაკავშირების ტექსტის შიგნით; ტექსტთან ადაპტაციისა და სწორი/არასწორი კონტაქტის, ანუ სიტყვის ადეკვატური/არაადეკვატური ინტერპრეტაციის ფაზის. ამავე დროს მიმდინარეობს ძირითადი მნიშვნელობების თვითორგანიზებული არჩევითობა, რათა მიაღწიონ საბოლოო მიზანს – კონცეპტის ჩამოყალიბებას და გრძელდება მეორეული სემების ფილტრაცია (ჯოხაძე 2005: 13-14). გადარჩეული მასალა ფონად გასდევს მეტყველება-აღქმის მთელ პროცესს, როგორც ერთგვარი სემანტიკურ-ფორმოზრივი რეზერვი, რომელიც ყოველთვის შეიძლება აქტუალური გახდეს შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე.

ტექსტში სიტყვის აღქმისას მნიშვნელობა დიფუზიურ მდგომარეობაშია მკითხველის ცნობიერებაში, მაგრამ როგორც კი ამ სიტყვის შემეცნება-გადამუშავება იწყება, მისი თვითმორგანიზებული პროცესი ირთვება, რის საფუძველზეც სემები სხვადასხვა თანაფარდობით განლაგდებიან. სემების განუსაზღვრელობა წარმოქმნის არა მხოლოდ კონცეპტს, არამედ ხელს უწყობს მოცემული სიტყვის მინიშნებების მჭიდრო განლაგებას ტექსტში. ამ დროს არ

არსებობს ერთადერთი სწორი არჩევნის მიზეზი, არამედ რამდენიმე მისაღები ვარიანტი მუშავდება ტვინში.

ამ შემთხვევაში დაუმთავრებელ გადაწყვეტილებათა მიღების პრინციპი უზრუნველყოფს საბოლოო შედეგის უფრო მეტ სიზუსტეს და სიტყვის ესთეტიკურ-კოგნიტიური ფუნქციის უფრო ადეკვატურ ახსნას ტექსტში. სიტყვის იერარქიული სტრუქტურა აზრობრივად აგებულია თანდათანობითი გართულების პრინციპზე – სტილისტური ეფექტიდან ფონური ცოდნის დონისკენ. რაც უფრო მდიდარია სიტყვის სემანტიკური ელფერი, მით უფრო იზრდება სიტყვის განსაზღვრელობის ხარისხი და დიდია ენტროპიაც (სიტყვის ინფორმაციული პოტენციალი).

ალბათური შერჩევის შედეგად მიღებული ინფორმაცია წინასწარპროგნოზირებადია სიტყვათშეთანხმებისა და წინადადებათა თანმიმდევრობაზე, განსაზღვრავს რა მათი ინტეგრალური მონაწილეობის ხარისხს კოგნიტიური კონცეპტის ჩამოყალიბებაში.

„სფმ (სტრატეგიკაციურ-ფაზური მოდელი) წარმოადგენს აზროვნების წამიერ სურათს, რომელიც ასახავს ენის სიღრმისეულ პროცესებს და ელემენტთა ურთიერთობებს სისტემაში. ბუნებრივია, აღნიშნული პროცესის ანალიზი კიდევ უფრო რთულდება იმით, რომ სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობების ერთდროული თანაარსებობა განიხილება არა სტატიკაში, არამედ დინამიკაში, სადაც თითოეული ფაზა ასახავს კონტექსტის ცალკეული ნაწილის კოგნაციას – სემების ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ დეკომპოზიცია-განლაგებას. წინამდებარე ფაზების მთლიანი შენახვა, რომელიც ფონურ შეფერილობას მატებს მთლიან პროცესს, ქმნის მრავალპლანიან შეკუმშულ სუპერინფორმაციას – კოგნიტიურ კონცეპტს. ინფორმაციის ასეთი უჩვეულო გადაცემა მხოლოდ მხატვრული ტექსტის დამახასიათებელი პარამეტრია და მისი ინტერპრეტაცია სკრუპულოზური ლინგვო-სტილისტური ანალიზით მიიღება (ჯოხაძე 2005: 15).

ამრიგად, სიტყვის ინფორმატული პოტენციალი განსაკუთრებულ როლს თამაშობს მხატვრული ტექსტის ინფორმატიულობის დადგენაში. აქედან გამომდინარე, კვლევის კონკრეტული ამოცანებია: მრავალმნიშვნელობის სტილისტური ეფექტის წარმოქმნა ტექსტის ინტერპრეტაციის უმაღლეს დონეზე; სიტყვა-კონცეპტი როგორც ტექსტის მთელი კონცეპტუალური სტრუქტურის

მაორგანიზებელი საფუძველი და სიტყვის ესთეტიურ-კოგნიტიური ფუნქციის მიმართება მხატვრული ტექსტის ლოგიკურ-შინაარსობრივ ინფორმაციასთან.

რამდენი დროა დახარჯული გარკვეული ცნების თუ გამონათქვამის წარმოსათქმელად თუ ჩამოსაყალიბებლად: 1. ცოცხალი მეტყველების პროცესში – ყველაზე სწრაფად და ნაკლებ დროში წარმოიქმნება სათქმელი; 2. მხატვრული ტექსტის ან ზოგადად ტექსტის წერისას, ავტორს მეტი დრო აქვს მოსაფიქრებლად და ზოგი ამას წლებს ანდომებს, თუმცა ეს მხოლოდ ერთი ან რამდენიმე ადამიანის ნააზრევია, ძირითადად, ერთის; 3. ხალხში დამკვიდრებული გამონათქვამები – ანდაზები, იდიომები, მეტაფორული, რამდენიმეპლასტიანი დამკვიდრებული ფორმულები.

სიტყვის ინფორმატული პოტენციალი და მხატვრული ტექსტის კონცეპტუალური სისტემის წარმოქმნა ეფუძნება სამი ისეთი ფაქტორის ურთიერთქმედებას, როგორებიცაა: 1. სიტყვის სემანტიკური უსაზღვრობა – პოლისემია როგორც ლინგვისტური მახასიათებელი არა მარტო ენის სისტემაში, არამედ მეტყველებაში, შესაბამისად, მხატვრულ ტექსტში; 2. სიტყვის სუბიექტურ-მხატვრული გამოვლინება, ანუ კოგნიტიური კონცეპტები, რის საფუძველზეც იქმნება სამყაროს ახალი ავტორისეული წვდომის მოდელი; 3. ენობრივი მახასიათებლები და კანონზომიერებანი, ანუ ის ლექსიკური ინოვაციები, რომლებიც ქმნიან მექანიზმს ახალი სიტყვის წარმოსაქმნელად, რაც ინფორმაციის კომპაქტურად შენახვისა და გამოყენების აუცილებელი ფაქტორია. ითვისებს რა კონცეპტის მწარმოებელ და განმსაზღვრელ ფუნქციებს, სიტყვა ერთდროულად წარმოადგენს ძირითად საბაზისო ერთეულს მთლიანი ტექსტის კონცეპტუალური სისტემის წარმოსაქმნელად.

1.4. მეტაფორიზაცია. სიტყვა გადატანითი მნიშვნელობით.

მეტაფორა ენის მთავარი მახასიათებელია, რომლის მეშვეობითაც შევიძენებთ უხილავსაც და ხილულსაც (ჰოფმანი 1980).

სიტყვის ცენტრალურობა მენტალურ სივრცეში უეჭველია. თითოეული სიტყვის დახასიათებისას სინქრონიულ ჭრილში, საჭიროა დადგინდეს, რომელ კოგნიტიურ სტრუქტურაში, კონცეპტსა და კონცეპტთა ერთობლიობაში შედის ესა თუ ის სიტყვა და როგორი ფუნქციით წარმოჩნდება მხატვრულ ტექსტში. კოგნიტიური მეცნიერების ფუნდამენტური საკითხი ეხება იმას, თუ რამდენად მიესადაგება ენობრივი მნიშვნელობა კონცეპტუალურ სისტემას. იგულისხმება ენობრივი ერთეულის ორგანოვნების ახსნა კონცეპტუალურად და შინაარსობრივად. ჩვენ ვცდილობთ ვიმსჯელოთ, თუ როგორ ითავსებს სიტყვა ახალ აბსტრაქტულ მნიშვნელობებს, რა მენტალური პროცესები მიმდინარეობს ამ დროს ადამიანის ცნობიერებაში და როგორ მონაწილეობს მათში სიტყვა.

ცნებათა ანალიზმა გვიჩვენა, რომ სიტყვის ინფორმატულ პოტენციალს განაპირობებს სიტყვის მნიშვნელობათა სელექციისა და ალბათობის კომბინირებული ფაქტორი. ამასთან, ალბათობით შერჩევა ხდება როგორც ბგერათა ასოციაციურობის, ისე გრამატიკულ-სინტაქსურ თუ სემანტიკურ-სტილისტურ დონეებზე. დასრულებული სტილისტური მნიშვნელობა წარმოიქმნება როგორც ექსპლიციტური, ისე იმპლიციტური კომპონენტების ალბათური შერევით, რაც განაპირობებს მათ გარკვეულ განლაგებას ტექსტში.

უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვაზე გარკვეულად ვზემოქმედებთ მნიშვნელობათა მიზანდასახული კომბინირებითა და შერჩევით. წარმოიქმნება ასოციაციების მრავალგანზომილებიანი სისტემა. ამ ელემენტთა ურთიერთქმედება მიუთითებს სტილისტური ინფორმაციის კიდევ რამდენიმე უნივერსალურ თვისებაზე: პროგნოზირებასა და ადაპტაციაზე. ამ უნივერსალური მახასიათებლების გამოვლენა მკითხველისა თუ მსმენელის აღქმა-გამოცნობის უნარზეა დამოკიდებული. ტექსტში ავტორის ჩანაფიქრი, კოდირება უფრო

რთული და კომპლექსურია, ხოლო ხალხში დამკვიდრებულ გამონათქვამებში – გაცილებით კომპლექსური. მკითხველს შეუძლია წინასწარ განჭვრიტოს ახალი ინფორმაცია, რომელიც ამოცნობის შემდეგ მიმდინარე ინფორმაციად იქცევა და უკვე ახლებური პროგნოზირებაა შესაძლებელი.

პროგნოზირების პროცესთან ერთად მიმდინარეობს მკითხველის ტექსტთან ადაპტაციის პროცესი, რომლის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გამართლდება პროგნოზი. ამ პროცესების მიზანმიმართული რეგულირებით მინიმალურ დროში შეიძლება ინფორმაციის მაქსიმალური რაოდენობა გადაიციეს ან მივიღოთ-გავიგოთ ტექსტის შინაარსი. როცა მოვლენა მეტაფორით ილუსტრირდება, ამ დროს წარმოქმნილი ასოციაციების მთელი კომპლექტი ერთ კონცეპტშია შეკუმშული და მნიშვნელობათა ისეთ შემოტანას გვთავაზობს, რომელიც მთელი წინა თაობების გამოცდილებასა და ნაფიქრს შეიცავს.

ალბათური პროგნოზი ინფორმაციის ფუნქციაა, რომლის დროსაც ერთი სისტემის ობიექტი წარმოსახება მეორის მეშვეობით, სიტყვა შეიცავს ინფორმაციას არა მარტო თავის თავზე, არამედ იმაზეც, რაც ჯერ არ თქმულა.

მამასადამე, პროგნოზი სტატიკურ-დინამიკური ცნებაა და ენობრივ სისტემას ახასიათებს როგორც სტატიკურ, ისე სამეტყველო მოდელების აგების პროცესში. თუ წარმოსახული პროგნოზი, წინასწარჭვრეტა ტექსტის კითხვისას თანდათან მართლდება – შეკუმშული ინფორმაცია იშლება, მაშინ მკითხველი გარკვეულწილად ადაპტირდება ტექსტთან და შთაბეჭდილებაც ეზრდება. ავტორის მიერ შემოთავაზებული მხატვრული ხერხები ადვილად იშიფრება. ადაპტაციის ხარისხი სხვადასხვა ავტორთან სხვადასხვა მკითხველისთვის ერთნაირი ვერ იქნება, აქვე გასათვალისწინებელია სიტუაცია, რომელშიც მკითხველი ცდილობს ტექსტის გაგებას, რადგან სხვადასხვა დროსა და ვითარებაში მკითხველმა განწყობის გათვალისწინებით განსხვავებული აღქმა-გაგებისა და ასოციაციის უნარი შეიძლება გამოავლინოს. ამ შემთხვევაში მკითხველს პირველადი პროგნოზი უჩნდება ჯერ კიდევ სათაურის გაგებისას ან ვინმეს მიერ თუნდაც ზედაპირული ინფორმაციის მიწოდებისას, შესაბამისად, ნებისმიერ შემთხვევაში კითხვა იწყება უკვე შექმნილ-წარმოდგენილი პროგნოზით, რომელიც ან გამართლდება, ან – არა. მკითხველი გამართლებული

პროგნოზით სხვადასხვა შრეზე აღწევს ახალ სტატუსს და ინფორმაციას აღიქვამს ესთეტიკურ-შემეცნებითად. ასეთ დროს ამბობენ მკითხველი ტექსტის თანაავტორი ხდებაო (ჯოხაძე 2005: 21).

სიტყვა ქმნის მოწესრიგებულ მოძრაობას ტექსტის სახით, ანუ ტექსტის ნაწილების გაბმულობას უზრუნველყოფს. ვინაიდან ადამიანის აზროვნება ბუნებით მეტაფორულია, განუწყვეტელ შედარებასა და სავარაუდო არჩევანის პროცესშია ჩართული, კოგნიტიურ სიტყვა-კონცეპტს განვიხილავთ, როგორც ენობრივ საფუძველს ტექსტის წარმოქმნისა და ორგანიზებისთვის.

საბაზისო კონცეპტები, როგორც ძირითადი კოდი, მრავალი კოგნიტიური მეტაფორის გადამკვეთ წერტილად მიგვაჩნია. აღნიშნული პროცესი ინფორმაციის გადამუშავების ის სტადიაა, რომელიც უკავშირდება სემანტიკურ კონსტანტას – სიტყვის უსაზღვრობას, რაც მთელ ტექსტს გასდევს და განაპირობებს (არეგულირებს).

კონცეპტუალური მოდელები საგნობრივი სამყაროსა და ადამიანის მეტაფორული აზროვნებით გაპირობებულ ცნებათა ერთიან მენტალურ სივრცეს ქმნიან, რომელიც საერთოა მონათესავე ენებისთვის, თუმცა კონკრეტულ ენაში დასაშვებია გარკვეული სტრუქტურული ვარიანტები. კვლევამ აჩვენა, რომ მხატვრულ ტექსტსა თუ დისკურსში პოლისემია (მეცნიერულ ტერმინთა სახისმეტყველება, გამოხატული ალუზიით, ხატოვანი შედარებით თუ კოგნიტიური მეტაფორით) გაპირობებულია მოცემული ენის როგორც ინტრალინგვისტური კანონზომიერებით, ისე ინტერსუბიექტურობისათვის დამახასიათებელი ისეთ პრაგმატულ ფაქტორთა ერთობლიობით, როგორებიცაა: სუბიექტური მოდალობა, ავტორის კომუნიკაციური ინტენცია და ადრესატზე ორიენტირებული ინფორმაციის ემოციურ-ექპრესიული, ესთეტიკურ-კოგნიტიური და კონცეპტის მწარმოებელ-განმსაზღვრელი ფუნქციები.

ამ ასპექტში ძალიან მნიშვნელოვანია თარგმანის პრობლემები და ორიგინალური და ნათარგმნი ტექსტის დამოკიდებულება ერთმანეთთან და მკითხველის მიერ ორივეს ცალ-ცალკე აღქმა-გააზრება ეპოქისთვის დამახასიათებელი ნიუანსობრივი სენსორიკის გათვალისწინებით, რაც ურთულესი პროცესი გვგონია და ჩვენს ნაშრომში ვერ შევხებით, თუმცა განსახილველი პრობლემის შემადგენელი ნაწილია სამომავლოდ.

ვინაიდან ნებისმიერი ტექსტის აღქმა-გაგება დაფუძნებულია მასში შემავალი ენობრივი ერთეულების ცოდნაზე, საინტერესოა მრავალმნიშვნელობის თვალსაწიერიდან სტილისტური ალუზიით გამოხატული სიტყვა-კონცეპტის ინფორმაციული პოტენციალის ტევადობის დადგენა. ალუზია, როგორც სტილისტური ხერხი, ენის სხვა დონის ერთეულებთან შედარებით მაღალინფორმატიულობით ხასიათდება. ალუზია მხოლოდ ხსენებაა სიტყვის ან ფრაზის, რომელიც შეიძლება წამყვანი სიტყვა-კონცეპტი გახდეს მთელი ნაწარმოებისთვის. ამიტომ ბუნებრივია, ალუზია ხდება ფორმა ახალი კონცეპტუალური ინფორმაციის წარმოსაქმნელად, ამ დროს ავტორის დამსახურებაა, რამდენად შესაფერის გარემოცვას აარჩევს ალუზიისთვის, რათა ახალი მნიშვნელობა შესძინოს სიტყვას.

ტექსტის წაკითხვისას იწყება მკითხველის შემოქმედებითი პროცესი, რომელიც ეყრდნობა საკუთარ ლინგვო-პრაგმატულ და კულტუროლოგიურ ცოდნას. იგი გონებაში ქმნის განზოგადებულ უნივერსალურ რეფერენტს.

ჩვენი აზრით, ტექსტში ყველაზე ინფორმატიულია ის სიტყვები, რომლებიც ყველაზე მოულოდნელია მკითხველისა თუ მსმენელისთვის ანუ ძნელად პროგნოზირებადია. სწორედ ამის გამო გაცილებით მეტ ინფორმაციას შეიცავს და მკითხველისა თუ მსმენელის ყურადღებას დიდხანს აჩერებს ინტერპრეტაციაზე. ასევე, უფრო დასამახსოვრებელია.

1.5. კომუნიკაციის დიალოგური ფორმა.

ენა როგორც კომუნიკაციის სისტემა ადამიანების მახასიათებელია. ენობრივი ურთიერთობა, უპირველეს ყოვლისა, არის რაიმე აზრის გადაცემა, რომლის მიზანია მოსაუბრის ქცევის შეცვლა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ კომუნიკაცია ყოველთვის სრულდება გარკვეულ პირობებში. იგი წარმოადგენს არა მხოლოდ კონკრეტული ადამიანების, არამედ კონკრეტულ საზოგადოებაში მყოფ ადამინთა პროდუქტს. ნათელია, რომ კომუნიკაციის თეორია გლობალურად და განზოგადებულად უნდა მოიცავდეს მთელ სამეტყველო პროცესს საზოგადოებაში. ენისადმი კომუნიკაციური მიდგომა განსაკუთრებით აქტუალურია დღეს – სამეცნიერო პროგრესის, გლობალიზაციისა და ინტეგრაციის ხანაში. მისი კვლევის საგანია ენობრივ ნიშანთა ფუნქციონირება მეტყველებაში და კომუნიკაციური ურთიერთობის წესები. პრაგმატიკის კვლევის სფერო ფართო სპექტრს მოიცავს და შეხების წერტილები აქვს სხვა დარგებთანაც. ამდენად, პრაგმალინგვისტიკა, რომელიც ინტერდისციპლინურ მეცნიერებად მიიჩნევა, სამ ძირითად საკვლევ მხარეს მოიცავს: 1. გამონათქვამის მიმართება სინამდვილესთან; 2. გამონათქვამის დამოკიდებულება მოუბრის მიზანთან; 3. კომუნიკანტთა ურთიერთდამოკიდებულების, მათი სოციალური პოზიციების, როლისა და სტატუსის გამოხატვის ენობრივი ფორმები (ზექალაშვილი 2012: 11-12).

დროთა განმავლობაში უფრო და უფრო იზრდება ლინგვისტთა და არა მხოლოდ ლინგვისტთა ინტერესი ენის კომუნიკაციურ-პრაგმატული, სოციალური, ეთნიკური და ფსიქოლოგიური ასპექტების მიმართ. აქ საუბარია ენის ფუნქციონირების მთავარ და ნიუანსურ პრობლემებზე. ენა უნდა აღვიქვათ როგორც მექანიზმი, რომელიც წარმოადგენს სამეტყველო მოქმედებების საფუძველს და რომელიც განსაზღვრავს მიზანმიმართულ კომუნიკაციას. სამეტყველო კომუნიკაციის შესწავლის კომუნიკაციურ-პრაგმატული მიმართულება ავლენს მეტყველების სუბიექტსა და ადრესატს. ენის კვლევისადმი

ამგვარი მიდგომა ყურადღებას ამახვილებს ტექსტის ავტორისა და მისი ადრესატის სამეტყველო ქმედებებზე გარკვეულ სიტუაციებში, პარტნიორების სოციალურ მახაიათებლებზე, მოსაუბრეთა განზრახვებზე, მიზნებსა და ამოცანებზე და აზუსტებს, თუ რა ენობრივი საშალებებით ხორციელდება ისინი, როგორ ხდება კომუნიკაციური შეთანხმების მიღწევა და როგორი სამეტყველო სტრატეგია და ტაქტიკა არის ამისთვის გამოყენებული. მოსაუბრე მისწრაფვის, მიაღწიოს მაქსიმალურ ეფექტს და სწორედ აქედან გამომდინარე, აყალიბებს გეგმას, რომელიც განსაზღვრავს მოსაუბრის სტრატეგიას. შესაბამისად, გვაქვს საფუძველი ვისაუბროთ სამეტყველო კომუნიკაციის შესწავლის აქტუალურობაზე სტრატეგიისა (მიზნის) და კონკრეტული ტაქტიკის (მისი მიღწევის ხერხის) თვალსაზრისით. გამომდინარე იქიდან, რომ ლინგვისტურ პრაგმატიკას არ გააჩნია მკაფიოდ გამოხატული კონტურები და ენის მინიმალურ ერთეულად მიიჩნევა არა სიტყვა, გამოთქმა ან წინადადება, არამედ სამეტყველო მოქმედება: მობოდიშება, ბრძანება, მაღლიერება, მილოცვა, აღწერა, კითხვა. ენა პრაგმატიკის თვალსაზრისით გვევლინება როგორც კოლექტიური სამეტყველო პრაქტიკა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციუმის ცხოვრების კანონებთან, პიროვნების ფსიქოლოგიასთან, ადამინის მსოფლაღქმის თავისებურებებთან, მის კოგნიტიურ ბაზასთან და ნაციონალურ ტრადიციებთან.

ადამინათა სასიცოცხლოდ მნიშვენლოვანი ქმედებები ნათლად გამოიხატება მეტყველებისას, დიალოგებში, რომელთა შესწავლა განსაკუთრებით საინტერესოა სტრუქტურული ორგანიზაციის ჭრილში. აღსანიშნავია, რომ დიალოგის არც სემანტიკა და არც პრაგმატიკა, მიუხედავად მათი მრავალრიცხოვანი ინტერპრეტაციის მცდელობებისა, არ თავსდება ერთი თეორიის ჩარჩოებში.

ჩანაფიქრი რომ გამოიხატოს ადეკვატური დიალოგით, აუცილებელია არა მარტო ცალკეული წინადადებების აგების, არამედ ამ წინადადებების დიალოგებში გაერთიანების წესების ცოდნა, წინატექსტური და ქვეტექსტური ინფორმაციის გაგების უნარი, აგრეთვე ურთიერთობების არავერბალური საშალებების ცოდნა, რომლებიც ნაციონალურ-კულტურული ინფორმაციის მატარებელია. სამეტყველო ურთიერთობაში ყოველი გამოთქმა აღიქმება არა თავისთავად, არამედ როგორც ერთიანი პრაგმატული კომპლექსის ნაწილი.

კომუნიკაციური სიტუაციის გეგმის მიღმა იმალება უფრო რთული – ეთნოსოციალური და პიროვნებათაშორისი ქცევითი სიტუაციების სისტემა. ზოგადად, ურთიერთობა და კერძოდ სამეტყველო ურთიერთობა ხასიათდება ორგანიზაციის დიდი სირთულით.

სამეტყველო სიგნალის მოტივი და მიზანი ყალიბდება როგორც მოსაუბრის კომუნიკაციური განზრახვა (ინტენცია) და გამოიხატება კონკრეტულ სამეტყველო ქმედებაში. იმისათვის, რომ დიალოგი შედგეს და მიღწეულ იქნეს მიზანი, საჭიროა მთელმა რიგმა პირობებმა ხელი შეუწყოს ქმედებას. უპირველეს ყოვლისა, უნდა დამყარდეს უკუკავშირი ადრესანტსა და ადრესატს შორის. შემდგომ საჭიროა მოსაუბრის კომუნიკაციური განზრახვის შესაბამისობაში მოყვანა გამოთქმის შინაარსთან და მისი გამოხატვის საშუალებებთან. ისმის კითხვა: მიმღების მიერ აღქმული ინფორმაცია მოცულობით შეესაბამება თუ არა იმ ინფორმაციას, რომელსაც აგზავნის ადრესანტი, და თუ არა, რა განაპირობებს ამას? ამ პრობლემებით უკვე დიდი ხანია, დაინტერესებულები არიან სხვადასხვა პროფილის მკვლევრები: ფსიქოლოგები, ენათმეცნიერები, ფილოსოფოსები, სოციოლოგები, ეთნოლოგები.

დღეს ეჭვს არ უნდა იწვევდეს ისეთი საკითხის აქტუალურობა, როგორიცაა კითხვა-პასუხის ერთიანობა პრაგმატულ ჭრილში, აგრეთვე ურთიერთობების ვერბალური და არავერბალური საშუალებების შესწავლა, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს დიალოგის სპეციფიკის, კომუნიკაციური მოვლენებისა და კომუნიკაციური სიტუაციის, მოსაუბრეთა სოციალური და ფსიქოლოგიური როლების ეროვნული თავისებურებების კვლევას. აღნიშნული საკითხების კვლევა, თუ აქვე გავითვალისწინებთ კითხვითი წინადადების სტრუქტურულ-ფუნქციონალური ასიმეტრიის გამოვლინებასა და ლინგვიტური ინტერფერენციის აღწერას ტიპოლოგიის კუთხით, აქტუალურად მიგვაჩნია.

კომუნიკაციური მოვლენა და კომუნიკაციური სიტუაცია – ტექსტის სრულუფლებიანი კომპონენტებია. ყველასთვის ცნობილია, რომ ტექსტი კომუნიკაციის ძირითადი ერთეულია, ჩვენ არ ვსაუბრობთ განცალკევებული სიტყვებით, არამედ წინადადებებითა და ტექსტებით, ხოლო ჩვენი მეტყველება დამოკიდებულია სიტუაციაზე. ვინაიდან ნებისმიერი ურთიერთობის მიზანია, რამდენადმე შეცვალოს რეციპიენტის ქცევა ან მდგომარეობა – გამოიწვიოს

გარკვეული ვერბალური, ფიზიკური, მენტალური და ემოციური რეაქცია, ტექსტის ამოცანაა ზემოქმედება მოახდინოს რეციპიენტზე. თუმცა ეს შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ტექსტის ავტორმა თავისი განზრახვის (კომუნიკაციის პროგრამის) შესაბამისი ენობრივი საშუალებები, რეციპიენტმა კი ადეკვატურად გაიგო ტექსტის ავტორის ჩანაფიქრი. სწორედ არსებულ სიტუაციასთან შესაბამისობა განასხვავებს ტექსტს სხვა ენობრივი ერთეულებისგან, თვით სიტუაციას კი ტექსტის სტრუქტურის სრულყოფილებიანი კომპონენტის სტატუსი აქვს.

კომუნიკაციის პროცესი იყოფა კომუნიკაციურ მოვლენებად. კომუნიკაციური მოვლენა კომუნიკანტების სამეტყველო ურთიერთქმედების სივრცესა და დროში შეზღუდული, მოტივირებული, ერთიანი, სოციალურად განსაზღვრული პროცესია. კომუნიკაციური მოვლენის სტრუქტურულ კომპონენტებად ითვლება კომუნიკაციური სიტუაცია, კომუნიკაციური ქმედება და კომუნიკაციური ნორმები. კომუნიკაციურ მოვლენას ახასიათებს დინამიკურობა.

დიალოგს წარმოშობს გარკვეული კომუნიკაციური სიტუაცია. სამეტყველო აქტების თეორია კომუნიკაციური სიტუაციის შემდეგ მოდელს გვთავაზობს: მოლაპარაკე, მსმენელი, გამოთქმა და გარემოება, აგრეთვე მიზანი და სამეტყველო აქტის შედეგი. ე.ი. აუცილებელი კომპონენტებია: ავტორი, ადრესატი, თემა, მეტყველების ადგილი, დრო, მიზეზი და მიზანი (ვინ ვის რის შესახებ სად როდის რატომ რა მიზნით?). ურთიერთობის მიზეზი და მიზანი შეიძლება მივაკუთვნოთ სამეტყველო პარტნიორების შინაგან რეაქციებს. მეტყველი და ადრესატი გვესახებიან როგორც „მე“ და „შენ“, მათ დიალოგში თავისი პოზიციები აქვთ, მათი ურთიერთქმედება განპირობებულია ადამიანის სოციალური სტატუსით, საქმიანობით და ზნეობრივი კრიტერიუმებით. მოსაუბრის სოციალური როლი ვლინდება კონტაქტში შესასვლელი ეტიკეტური სიტყვების მეშვეობით ანუ მიმართვით. გარკვეული კლიშეები საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ მოქმედების ადგილი და მოსაუბრეთა როლები და ა.შ.

საუბრის თემა კომუნიკაციურ სიტუაციაში განისაზღვრება: ადგილით, დროით, იმით, თუ ვინ ვარ „მე“ და ვინ ხარ „შენ“, როგორია მოსაუბრეთა ინტერესების წრე, ურთიერთობის მოტივები და მიზნები.

კომუნიკაციური სიტუაცია გვესახება როგორც გარემოებების ერთობლიობა, რომელთა ფარგლებში სამეტყველო ქცევა მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ამ გარემოებების ცენტრშია ორი ან მეტი სუბიექტის (თანამოსაუბრის) ურთიერთმიმართების დინამიკური სისტემა. სამეტყველო სიტუაციები და მოსაუბრეთა ურთიერთმიმართება განსაზღვრავს კომუნიკაციურ ამოცანებსა და გეგმებს. ეს გეგმები კი ხორციელდება კომუნიკაციური ხერხებით, რომელთა გამოყენებითაც წარმოიქმნება კონკრეტული დიალოგი, რომელიც ასრულებს კონკრეტულ კომუნიკაციურ ფუნქციას.

ვინაიდან ურთიერთობის დიალოგური ფორმა მეტად განპირობებულია სიტუაციით და არ საჭიროებს მკაცრ ორგანიზაციას, მისი რეპლიკებისთვის დამახასიათებელია ელიპსისები (სიტყვის, ფრაზების ნაწილების გადაადგილება). დიალოგში გამოიყენება ბევრი კლიშე (არ ღირს, კარგი, კეთილი, კი, მართალი ხარ...). ისინი მოდალურ სიტყვებთან და შორისდებულებთან ერთად უფრო ემოციურ და გამომხატველობით ელფერს ანიჭებენ გამონათვამს. დიალოგური ურთიერთობის დროს ყოველი რეპლიკა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით დამოკიდებულია სხვის სამეტყველო ქმედებაზე, მოითხოვს მოსაუბრეთა სწრაფ რეაქციას.

პოტენციურ მოსაუბრეთა შორის ყოველთვის გარკვეული ურთიერთობა არსებობს, რომელიც სამი სახისაა: ინფორმაციული, ინტერაქციული (მოსაუბრეთა ურთიერთქმედება) და პერცეფციული (ერთის მიერ მეორის აღქმა-გაგება) (ზექალაშვილი 2012: 14).

ვინაიდან კომუნიკაცია დიალოგურია თავისი ბუნებით, მის ყოველ აქტში მონაწილეობს ორი მხარე, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არსებობს პოლილოგური მეტყველებაც და დისკუსიაც. მაგრამ სოციალური ურთიერთქმედების აქტი, როგორც ურთიერთობის ერთეული, ორმხრივია. აქედან გამომდინარე, ურთიერთობის პროდუქტად ინფორმაციის ინტერპრეტაცია გვევლინება. ორი პოზიციის შედეგად წარმოიქმნება ახალი ცოდნა, აზრი, გრძნობა, ინტენცია და კომუნიკაციური ამოცანა. სწორედ ეს ახალი ახდენს ზემოქმედებას მოსაუბრეებზე და განსაზღვრავს მათ ტაქტიკას ჩაფიქრებული სრატეგიის ფარგლებში. კომუნიკაციის მონაწილეები უნდა ფლობდნენ მათ სტრატეგიითა და ტაქტიკით. ტაქტიკა მეტყველების ქმედება და მსვლელობაა, რომელსაც თავისი

მნიშვნელობა აქვს. ტაქტიკების დაჯგუფების საფუძვლად შეიძლება ჩაითვალოს დიქტომია: ჰარმონია/დისჰარმონია.

დიალოგში მთავარია სამეტყველო ურთიერთქმედება. ინფორმაციის ინტერპრეტაციის საფუძველზე იცვლება მოსაუბრეთა ურთიერთმიმართება, შესაბამისად, ხდება ურთიერთობის საგნის განახლება. კომუნიკაციის აქტები ცვლიან ერთმანეთს, სანამ ურთიერთობა არ იქნება დაკმაყოფილებული. ურთიერთობის ფსიქოლოგიური ბალანსი გვაძლევს საშუალებას გამოვყოთ მხარეთა ურთიერთკავშირის მომენტი და გვავალდებულებს ანალიზის ერთეულად ჩავთვალოთ არა ცალკე აღებული რეპლიკა, არამედ მხოლოდ დიალოგური ერთიანობა ან მათი ერთობლიობა. ურთიერთობის ბალანსს ასახავს არსებული გარემოებები კომუნიკანტების განზრახვასა და განწყობასთან კავშირში.

როგორც აღვნიშნეთ, კომუნიკაციის ფსიქოლოგიურ შინაარსს განსაზღვრავს სოციალური და ეთიკური ფაქტორები. ის, ვინც უფრო ავტორიტეტულია და უფროსია, სარგებლობს სამეტყველო აქტიურობის გაფართოებული უფლებებით.

საზოგადოება სამეტყველო ქმედების სხვადასხვა შემთხვევისთვის გარკვეულ წესებს აწესებს, ვინაიდან ზეპირი მეტყველება სპონტანურია, მას უკან ვერ დავაბრუნებთ და შეუძლებელია რამის შეცვლა ან დამატება. ამიტომ საუბრისას უნდა დავიცვათ გარკვეული წესები, რომელთა დაცვა აუცილებელია, განსაკუთრებით საქმიანი საუბრისას.

კომუნიკაციის წესებს მიეკუთვნება შენ/თქვენ ურთიერთობის ფორმები, რომლებიც სიტუაციური და სოციალური კომპლექსის, მათ შორის ფსიქოლოგიური პირობების ადრეკვატურია. შენ ან თქვენ ფორმის არჩევა დამოკიდებულია კომუნიკანტების იერარქიულ ან როლურ ურთიერთობაზე. არათანაბარი როლები იწვევს შენ ფორმის თქვენ ფორმით ცვლილებას.

შენ/თქვენ შერჩევა და დროული გამოყენება ნაციონალური ტრადიციების შესაბამისად ქმნის კომუნიკაციის სასურველ მიკროკლიმატს და მოსაუბრეს აძლევს უფლებას გამოიჩინოს პარტნიორისადმი პირადული და სოციალურად დაკისრებული ურთიერთობების მთელი სპექტრი. ზოგჯერ დიალოგი მიმდინარეობს მესამე პირის თუ პირების თანდასწრებით. ესაა დიალოგი ორმაგი ადრესატით. ურთიერთობა ასეთ დიალოგში ატარებს ერთდროულად

პიროვნებათშორისა და ჯგუფურ ან მასობრივ ხაისათს. ასეთ სიტუაციაში მონაწილეობენ სამნი: ადრესანტი, ადრესატი და დამკვირვებელი.

დიალოგი ორმაგი ადრესატით ჩვეულებრივი მოვლენაა ზეპირი ურთიერთობის ყველა სფეროში: დიალოგი საქმნიან, მეცნიერულ, სასწავლო, სოციალურ-კულტურულ, საყოფაცხოვრებო სფეროებში, რიტუალურ სიტუაციაში, როცა გარკვეული პორცედურა მოითხოვს დამსწრეთა, მსმენელთა არსებობას.

ურთიერთობაში დამკვირვებელი მეტ-ნაკლებად ზემოქმედებს დიალოგის მსვლელობაზე, მესამე პირი ასე თუ ისე გავლენას ახდენს საუბრის მსვლელობაზე, თემაზე, მანერაზე, მოსუბრისთვის არსებობს საზოგადოებაში მიღებული წესები, რისი თქმა შეიძლება მესამე პირის თანდასწრებით, რაც დაკავშირებულია ამ უკანასკნელის სოციალურ როლთან. საყურადღებოა ირიბი ადრესატის პოზიციაც, როცა საუბარი გამიზნულად იმართება მესამე პირის თანდასწრებით – ორიენტაცია აღებულია დამსწრეზე: -შვილო, აქ ადგილია, მოდი. მიმართავენ არა მხოლოდ ახალგაზრდას თუ ბავშვს, არამედ დანარჩენ საზოგადოებასაც, რათა არავინ დაიკავოს თავისუფალი ადგილი.

ამგვარად, ორმაგი ადრესატის დიალოგის სტრუქტურა ექვემდებარება მესამე პირის, დამკვირვებლის ფაქტორს, რომელიც ესწრება და უსმენს დიალოგს კონტექსტში შესვლიდან შინაარსობრივი მხარის ორგანიზაციამდე. მისი როლი მრავალფეროვანია ანუ მსმენელი ნებისთ თუ უნებლიეთ გავლენას ახდენს დისკურსსა თუ ტექსტზე, რომელსაც მოლაპარაკე ადგენს თავისი ადრესატისთვის.

კვლევები გვიჩვენებს, რომ ტექსტში მაქსიმალურად გააქტიურებულია ენობრივ საშუალებეთა ურთიერთქმედება სხვადასხვა დონეზე, კერძო გამონათქვამის ლექსიკური, სინტაქსური, ინტონაციური და აზრობრივი კავშირი კონტექსტთან. დიალოგის შემადგენელი გამონათქვამები გამოირჩევა მრავალფეროვნებით როგორც შინაარსისა და მიზნის მხრივ, ასევე ენობრივი საშუალებების თანაფარდობის თვალსაზრისით.

დიალოგში სარკესავით აისახება თვით ენობრივი სისტემისა და ამ სისტემის ცოცხალ მეტყველებაში ფუნქციონირების თავისებურებანი. აქედან გამომდინარე, დიალოგური ტექსტი როგორც ლინგვისტური კვლევის ობიექტი ყოველთვის საინტერესოა.

დიალოგური ტექსტის ფუნქციონირების კანონზომიერება სხვადასხვა ენაში უნივერსალურია. ამასთანავე, ტექსტის ცალკეული გამონათქვამის მნიშვნელობა, ენობრივ საშუალებათა შეწყობა, აგრეთვე გამონათქვამის სტილისტიკური მახასიათებლები, რომლებსაც გამოყენების საერთო სიტუაციური პირობები აქვს, განისაზღვრება ენობრივი სისტემის ტიპოლოგიური თავისებურებებით.

ილოკუციური მიზნები დიალოგურ მეტყველებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს და მათი ერთიანობა უზრუნველყოფილია შეთანხმებით: კითხვა მოითხოვს პასუხს, საყვედური – გამართლებას და მობოდიშებას და ა.შ. დიალოგი ორი ადამიანის ურთიერთქმედების აქტიური ფორმაა, სადაც თითოეული საზოგადოებრივ-კომუნიკაციურ მოქმედებაში გამოდის როგორც სუბიექტის, ისე ობიექტის როლში. ხდება როლების – მოლაპარაკე-მსმენელის – შენაცვლება და წარმოიქმნება კითხვა-პასუხის ურთიერთქმედება. ასე იქმნება საუბარი, მსჯელობა. მაგრამ შესაძლოა შეიქმნას ისეთი ურთიერთქმედებაც, როცა უთანხმოება დომინირებს, ანუ დისკუსია ან კამათი წარმოიქმნება. მოლაპარაკე სუბიექტიცა და ადრესატიც ურთიერთქმედებენ არა როგორც გლობალური პიროვნებები, არამედ თითოეულისთვის დამახასიათებელი სათანადო ფუნქციით.

ცნობილია, რომ არა მხოლოდ ცალკე აღებულმა ფრაზამ შეიძლება გამოხატოს გარკვეული კომუნიკაციური განზრახვა (ინტენცია), არამედ რამდენიმე ფრაზის ერთობლიობამაც, რომელიც შეიძლება განვიხილოთ როგორც ორი-სამი რეპლიკისგან შემდგარი მიკროდიალოგი. სამეტყველო ურთიერთობაში მთავარი ის არის, რომ ყოველი რეპლიკა აღიქმება რაა თავისთავად, არამედ როგორც პრაქტიკულ სიტუაციაში ჩამჯდარი. დიალოგურ მეტყველებას ახასიათებს ზეფრაზობრივი ერთობა, რომლის კომპონენტებია კითხვითი წინადადებები – ფორმალური წყობის, სემანტიკისა და კომუნიკაციური ფუნქციების თვალსაზრისით დიდი არაერთგვაროვანი წინადადებათა კლასი. ისინი დანარჩენი წინადადებებისგან განსხვავდებიან იმით, რომ გამოხატავენ აზროვნების განსაკუთრებულ ფორმას – შეკითხვას. შეკითხვა სამეტყველო ქცევის განსაკუთრებული ნაირსახეობაა, რომელიც წარმოდგენილია სხვადასხვა ინტენციის უმდიდრესი პალიტრით. არსებობს გარკვეული თანაფარდობა მოლაპარაკის განზრახვებსა და ამ ილოკუციური მიზნის გამოხატვის საშუალებებს

შორის. ილოკუციური ცნების საფუძველზე აგებულია სამეტყველო აქტების სხვადასხვა კლასიფიკაცია.

1.6. კომუნიკაციის ფუნქციები და სახეები.

კომუნიკაციის რეალურ აქტში ყველა ფუნქცია გადახლართულია, ხოლო ურთიერთობა ნებისმიერ შემთხვევაში ერთმანეთზე გავლენის პროცესია. მისი

ძალა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია პიროვნების სულიერ სიმდიდრეზე და ისეთ პირად თვისებებზე, როგორებიცაა: მიმზიდველობა, ავტორიტეტი, კომუნიკაბელურობა, კეთილგანწყობა ადრესატის მიმართ, გულგახსნილობა და სხვა.

სამეტყველო ურთიერთობა ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლაა, რომელშიც მონაწილეობს არანაკლებ ორი სუბიექტი – გადამცემი და მიმღები, ადრესანტი და ადრესატი, რეციპიენტი და პროდუცენტი, შეტყობინების გამგზავნი და მიმღები. ურთიერთობების კლასიფიკაციის ყველაზე მისაღები სქემა ასეთია:

1. სივრცესა და დროში კომუნიკანტების მდგომარეობის მიხედვით განასხვავებენ კონტაქტურ და დისტანციურ ურთიერთობებს;
 2. რაიმე „გამაშუალებელი აპარატის“ არსებობა-არაარსებობის მიხედვით – უშუალო და შუალობით ურთიერთობებს;
 3. ფორმის თვალსაზრისით - ზეპირსა და წერილობითს;
 4. „მე“-მთქმელისა და „შენ“-მსმენელის ცვლადი/მუდმივი პოზიციის თვალსაზრისით – დიალოგურსა და მონოლოგურს;
 5. მონაწილეთა რაოდენობის თვალსაზრისით - პირთაშორისს და მასობრივს;
 6. ვითარებისა და მოსაუბრეთა ურთიერთდამოკიდებულების თვალსაზრისით – კერძოსა და ოფიციალურს;
 7. გადასაცემი შინაარსის თვალსაზრისით – ინფორმატიულსა და ფატიკურს;
- (მირიანაშვილი 2008: 54-57).

1.7. მოსაუბრეთა სოციალური და ფსიქოლოგიური როლები. ენობრივი ცნობიერების ეთნიკური ელემენტი.

ენისა და ცნობიერების კავშირი ეთნიკური კუთხით უდავოა. ადამიანები ცხოვრობენ საზოგადოებაში, სადაც თითოეული ასრულებს უამრავ სოციალურ ფუნქციას. ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ ცხოვრებაში ადამიანები თამაშობენ განსხვავებულ როლებს და სხვადასხვა სიტუაციაში წინა პლანზე გამოდის მათთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ფსიქიკური მდგომარეობა (ბავშვის, მშობლის, უფროსის). თითოეულისთვის დამახასიათებელია განსაზღვრული თვისებები. ეს როლები ადამიანთა სოციალური ნიშნების მიხედვით თამაშდება. ყოველი ადამიანი განუმეორებელი ინდივიდია. ამასთანავე, გარშემომყოფებთან სოციალური ურთიერთობების ჩარჩოებითაა დაკავშირებული და მოქმედებს ათვისებული წესების შესაბამისად. მაგალითად, მოხუცს არ შეეფერება გუბებში სირბილი, ხოლო ბავშვისთვის ეს ნორმალური მოვლენაა. ბუნებრივია, ადამიანი როლის შესაბამისად ლაპარაკობს, ე.ი. მისი სამეტყველო ქცევა პირდაპირ არის დაკავშირებული როლის შესაბამის ქცევასთან. ყოველი ადამიანი იმყოფება უამრავ როლურ სიტუაციაში. ასეთი კომუნიკაცია რეგლამენტირებულია როგორც შინაარსის, ასევე ფორმის მიხედვით: მდგომარეობა გავალდებულებს გააკეთო და თქვა ეს თუ ის. ასეთ შემთხვევაში სხვადასხვა ადამიანი ერთნაირად იმოქმედებს. ესაა ფორმალური ანუ როლური ურთიერთობა. ასეთ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანია, იცოდე სოციალური როლი, ვიდრე იცოდე პიროვნება. არაფორმალურ ანუ პირადი ურთიერთობის დროს ადამიანები ერთმანეთში ხედავენ არა სოციალურ მდგომარეობას, თანამდებობას და ა.შ., არამედ პიროვნებას. ამ შემთხვევაში მათთვის მიუღებელია როლური ურთიერთობა, ისინი მიისწრაფიან ადამიანური კონტაქტებისკენ.

ენაზე დიდ ზეგავლენას ახდენს სოციალური და კულტურული გარემო. აქ მნიშვნელოვანია მხედველობაში მივიღოთ მუდმივი ნიშნები: სქესი, ასაკი, საცხოვრებელია ადგილი, განათლების დონე, პროფესია, სამსახურებრივი და ოჯახური მდგომარეობა და სხვა.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ენისა და ცნობიერების კავშირი ეთნიკური თვალსაზრისით. ენა, ისევე როგორც ეთნოსი, წარმოადგენს ერთდროულად ბიოლოგიურ და სოციალურ-კულტურულ ფენომენს. ყოველი ნაციონალური ენა

თავისი ხალხის კულტურის სარკეა, რომელშიც აისახება როგორც ადამიანის გარემოცვა, აგრეთვე მისი მსოფლიოს აღქმა, ხალხთა მენტალიტეტი, მისი ნაციონალური ხასიათი, ტრადიციები, მორალი, ფასეულობების სისტემა. კულტურათმორისი ურთიერთობების კომუნიკაციური წარმატებულობის მთავარი მიზეზი მდგომარეობს სხვისი კულტურის აღქმაში თავისი კულტურული თვალთახედვით. ჩვენ გვიჭირს სიტყვათა მნიშვნელობის, გამონათქვამების, მოქმედებების აღქმა, რომლებიც არ ახასიათებს ჩვენს ლინგვოკულტურულ ერთიანობას. აზროვნების ნაციონალური სპეციფიკა განპირობებულია არა ნაციონალური ენით, არამედ ნაციონალური სინამდვილით. ბოლო ხანს საერთაშორისო კონტაქტების გაღრმავებასთან დაკავშირებით დიდი ყურადღება ეთმობა კულტურათმორის კომუნიკაციას, ამა თუ იმ ხალხის ურთიერთობების ნაციონალურ სპეციფიკას, მის კომუნიკაციურ ქცევას, რომელიც წარმოადგენს ნაციონალური კულტურის კომპონენტს.

ნაციონალური კულტურის სტრუქტურაში გამოიყოფა ფასეულობები (ბირთვი), გარშემორტყმული პრინციპებით, რომლებიც, თავის მხრივ, რეალიზდება ნორმებსა და წესებში. სოციალური და სოციალურ-ფსიქოლოგიური იდეები და აზრები, გაზიარებული ხალხის მიერ და მემკვიდრეობით გადაცემული ყოველი ახალი თაობისთვის, წარმოადგენს ფასეულობებს. ყველა ხალხს თავისი ფასეულობები აქვს, რომლებსაც არ სჭირდება არგუმენტაცია. ისინი მიბადვის ნიმუშია, შეფერადებულია გრძნობებით, უბიძგებს ხალხს გარკვეული ქმედებისკენ, მათკენ მისწრაფიან, მათი არშესრულება ან თავიდან აცილება იგმობა საზოგადოებრივი აზრით.

ნორმები და წესები უნდა შეესაბამებოდეს პრინციპებს და ასახავდეს მათ. ისინი მოიცავენ ცხოვრების ყველა სფეროს. ნორმების შეცვლით იცვლება კულტურა. ტრადიციული ნორმების შეცვლასა და ახლების შექმნას კულტურა ყოველთვის აღიქვამს მტრულად და გარკვეულ დრომდე უწევს წინააღმდეგობას, ვინაიდან ისინი „ოპოზიციანია“ და ეწინააღმდეგება ზოგიერთ მღებულ პრინციპს. გაცნობიერებული განსხვავებები ხალხთა ურთიერთობის ნორმებსა და ტრადიციებში, რომლებიც თავს იჩენს კულტურათმორისი კომუნიკაციის პირობებში, იწვევს გაკვირვებას და მიუღებელია უცხო ლინგვოკულტურული

ერთიანობის წარმომადგენლისათვის, კომუნიკაციური ან კულტურული შოკის სახელითაა ცნობილი.

ამგვარად, ფასეულობები, პირნციპები და ნორმები წარმოადგენს ნაციონალურ კულტურას ხალხთა მენტალიტეტში. ნაციონალურ მენტალიტეტში იგულისხმება სინამდვილის აღქმისა და გაგების ნაციონალური ხერხი (წვეულებაზე დაგვიანება საქართველოში და სხვაგვან).

საყოფაცხოვრებო თუ სოციალურ-ეკონომიკური პირობების, საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური პროცესების, სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან კონტაქტის და ა.შ. გავლენით ყალიბდება ხალხის მენტალიტეტი (ზექალაშვილი 2012; მირიანაშვილი 2008).

1.8. კომუნიკაციის ვერბალური და არავერბალური საშუალებები.

ვერბალურ ხერხებს მიეკუთვნება სამეტყველო ქმედების ოთხი სახე: ლაპარაკი, წერა, მოსმენა და კითხვა, რომლებიც ჩვენი „ენობრივი არსებობის“ სისტემას შეადგენენ. სამეტყველო ქმედების იარაღი ენაა, რომელსაც აქვს თავისი მიზეზი, მიზანი და საბოლოო შედეგი. ეს შეტყობინების გადაცემის ან მიღების აქტიური, მიზანმიმართული პროცესია. ადამიანი მოქმედებს, როცა იგი ლაპარაკობს, წერს, კითხულობს ან უსმენს სხვას.

ნებისმიერი კომუნიკაციის აქტში არის მინიმუმ ორი მონაწილე და, შესაბამისად, ხორციელდება ორი პროცესი: ინფორმაციის გაცემა და მიღება. გამოყოფენ პროდუქტიულ და რეცეპტიულ სამეტყველო ქმედებას, პროდუქტიული სამეტყველო ქმედება მიმართულია ინფორმაციის წარმოსახვასა და გადმოცემაზე. ლაპარაკი და წერა პროდუქტიული სამეტყველო მოქმედების სახეებია, ისინი ქმნიან ტექსტს. რეცეპტიული სამეტყველო ქმედება, პირიქით, მიმართულია მიღებული ინფორმაციის აღქმასა და შემდგომ გადამუშავებაზე. მოსმენა და კითხვა მიეკუთვნება რეცეპტიულ სამეტყველო მოქმედებას, ისინი უზრუნველყოფენ ტექსტის აღქმას. სამეტყველო ქმედების ყოველი სახისთვის არსებობს ათვისების თავისი გზა და ენა გამოხატულია წერითი და ზეპირი ფორმით. ორივე შემთხვევაში ადამიანი მოტივირებულია, ისახავს რაიმე მიზანს, რის შესაბამისადაც უნდა შეძლოს დააწყოს, ააგოს და დაასრულოს გამოთქმა. ურთიერთობის დამყარება მეტად რთული მოვლენაა და უნართა მთელი სისტემის ფლობას გულისხმობს, რაც განვითარებას საჭიროებს. თითოეული ფორმისთვის დამახასიათებელია ექსტრალინგვისტური და ლინგვისტური თავისებურბანი.

კომუნიკანტები ერთმანეთს უკავშირდებიან არა მხოლოდ ვერბალურად, არამედ არავერბალურად, რასაც მიეკუთვნება: მიმიკა, ჟესტები, პოზები, ხმის და ინტონაციის მოდულაციები და სხვა. ვინაიდან კომუნიკაციის არავერბალური ხერხები ინფორმაციას გვაწვდის მოსაუბრის თუ დამწერის შესახებ, მის სოციალურ და ასაკობრივ მხარეზე, მოქმედების სფეროზე, ხასიათის თვისებებზე, ეროვნულ კუთვნილებასა და ა.შ., მათი შესწავლით დაინტერესებულები არიან ფილოსოფოსები, ფსიქოლოგები, ეთნოლოგები, სოციოლოგები, ლინგვისტები (ავაქიძე 2003; მირიანაშვილი 2008). კომუნიკაციისას მთავარია შინაარსის გაგება,

რომელიც ხშირად არა ტექსტში, არამედ ქვეტექსტშია. არავერბალური საშუალებები ნაციონალურ-კულტურული ინფორმაციის მატარებელია.

ურთიერთობის არავერბალური ხერხები აქცენტს აკეთებს ვერბალურ შეტყობინებაზე, აზუსტებს მას, გამოხატავს იმ მნიშვნელობას, რომელიც შეიძლება ეწინააღმდეგება წარმოთქმულის შინაარსს. ავსებს ან განმარტავს პაუზებს, მიუთითებს აზრის გამოთქმის გაგრძელების სურვილზე, სიტყვის მოძებნასა და ა.შ. ინარჩუნებს კონტაქტს მოსაუბრეთა შორის და არეგულირებს მეტყველებას, ცვლის ცალკეულ სიტყვებს და ფრაზებს; იმეორებს ვერბალური შეტყობინების შინაარსს.

სომატური ენა გულისხმობს: ჟესტებს, მიმიკებს, პოზებს, სახის გამომეტყველებას, სხვადასხვა სულიერი და ფიზიოლოგიური მდგომარეობის სიმპტომებს, მაგალითად: გოგონა გაფითრდა, გაწითლდა...

მხოლოდ ჟესტების მიხედვით შესაძლებელია ვიმსჯელოთ ადამიანის აღზრდაზე, კულტურაზე, ეროვნებასა და ა.შ. ზოგჯერ ერთ ჟესტს შეუძლია შეცვალოს გამოთქმული სიტყვის მნიშვნელობა. როცა ჟესტები ეწინააღმდეგება გამოთქმულ აზრს, მსმენელი ყოველთვის ენდობა ჟესტებს. გარკვეული ჟესტი ნაკარნახევია ნაციონალური ტრადიციით, ზოგ ეთნოსს თავშეკავებული ჟესტიკულაცია ახასიათებს, ზოგი კი ცნობილია მკვეთრი ჟესტიკულაციით (მირიანაშვილი 2008; დემეტრაძე 1996).

ხალხი ხშირად გამოხატავს აზრს მიმიკითა და გამოხედვით. მხოლოდ თვალებითაც კი შესაძლოა სხვადასხვა გრძნობის გამოხატვა. მათი მეშვეობით მყარდება უკუკავშირი. გულგრილი, დაძაბული გამოხედვა სერიოზულ დაბრკოლებას ქმნის მოსაუბრისთვის, რადგან ჩვენ ხშირად „გვისმენენ“ ანუ აღგვიქვამენ სწორედ თვალებით. გამოხედვით შესაძლებელია: ხელში აიყვანო აუდიტორია, დაადანაშაულო მოსაუბრე, გამოხატო თხოვნა ან საყვედური. თუნდაც დუმილით გამოთქმა აზრი. თვალები ხელს უწყობს კონტაქტის დამყარებას, მოსაუბრის ემოციის გამოხატვას, ამასთანავე, მას აქვს ნაციონალური სპეციფიკა (ზოგი ერისთვის მიუღებელია თვალებში ყურება საუბრისას, როცა უფროსს ან ქალს ესაუბრებიან) და სოციალური კუთვნილება (სტატუსით ზემდგომს უყურებენ უფრო ხშირად, ვიდრე ქვემდგომს).

კონტაქტის დასამყარებლად დიდ როლს ასრულებს ღიმილი, ამ მხრივაც დიდი ეთნიკური სხვაობაა.

ჟესტი და მიმიკა დინამიკურ ხასიათს ატარებს, პოზა და სახის გამომეტყველება მათი სტატიკური ანალოგია, მაგრამ ყოველი მათგანი სრულდება წინასწარგამიზნულად, საკუთარი ნებით. სიმპტომები წინასწარ გამიზნული არ არის, ისინი ადამიანის ნებისგან დამოუკიდებლად გამოხატავენ მის ემოციებსა და გრძნობებს და შინაგან ფიზიოლოგიურ მდგომარეობას. აღნიშნული სიმპტომები არ არის გათვლილი დამკვირვებელზე, პირიქით, ადამიანი ცდილობს მათ დამალვას, მაგრამ ეს ყოველთვის არ არის შესაძლებელი. სიმპტომები უნივერსალურ ხასიათს ატარებს, ისინი ერთგვარია ყველასთვის. ანუ ყველა ადამიანისთვის დამახასიათებელია კუნთების ერთნაირი კუმშვადობა, სიმპტომეტური მოძრაობები, რათა გამოხატონ გაკვირვება, ინტერესი, აღშფოთება, შიში, სევდა..., მაგრამ მათი შეგნებულად დაფარვა და სახეცვლილება ყველა კულტურაში თავისებურია (კულნიმა 2002: 27-35).

სახე არავერბალური კომუნიკაციის ყველაზე ეფექტური საშუალებაა, მაგრამ ამავდროულად იგი შესანიშნავი არავერბალური მატყუარაა, რადგან ადამიანს შეუძლია გამოხატოს გრძნობები, რომლებსაც არ განიცდის.

ზოგიერთი სომატიზმი თან ახლავს ვერბალურ მეტყველებას, ხშირად კი გამოიყენება ვერბალური ენისგან დამოუკიდებლად. სომატური ენა უფრო ეფექტურად გამოხატავს ადამიანის ემოციებს, ვიდრე ვერბალური (თუმცა არსებობს გამონაკლისები). ვერბალურ ენაში არსებობს ფრაზეოლოგიზმები – სომატური გამოთქმები, რომლებიც ირიბად გადმოსცემს ადრესატის ემოციებს. ისინი ინახება მოსაუბრის მეხსიერებაში და ზოგჯერ მოიშველიებს საუბრის მომენტში: წარბის აწევა გაკვირვებისას, მხრების აჩეჩვა... (მირიანაშვილი 2008: 14-15)

ფაქტობრივ, ორი დამოუკიდებელი ენა არსებობს ერთმანეთის პარალელურად, რომლებიც ერთმანეთს ერევა, თუმცა ვერბალური ენით შეიძლება ემოციებისა და გარემომცველი სამყაროს გადმოცემა, არავერბალური ენა კი შესაძლოა იყოს და არის ვერბალური ენის გამოხატვის ობიექტი.

დაბოლოს, გამოყოფენ „ყოველდღიური ქცევის ენას“, რომელიც მიღებულია ამა თუ იმ საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში და საკმაოდ თავისებურია

ნაციონალური თვალსაზრისით (დაგვიანების ჩვევა სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლებში, ნივთის შექება, როგორც ჩუქებისთვის მინიშნება და სხვა).

საბოლოოდ, არავერბალური საშუალებები არ შედის ვერბალური ენის სისტემაში, მაგრამ მათ გარეშე კომუნიკაცია არასრულყოფილი იქნებოდა ან თითქმის გაუგებარი, გარკვეულ შემთხვევებში.

1.9. კომუნიკაციის სხვა მახასიათებლები.

მოტივირება: ადამიანს ურთიერთობისას ამოძრავებს გარკვეული მოტივი, რომელიც მოცემულ მომენტში გაცნობიერებული ან გაუცნობიერებელია.

აქტიურობა: ურთიერთობა ყოველთვის აქტიური პროცესია. იგი განსაზღვრავს მოსაუბრის ინიციატივას სამეტყველო ქცევაში.

ცნობიერისა და ქვეცნობიერის ერთიანობა: მოლაპარაკე გეგმავს, თუ რას და რისთვის ამბობს, საჭიროა თუ არა საერთოდ რამის თქმა, მოსაუბრის რეაქციის მიხედვით ითვალისწინებს, რამდენად მძაფრად ან სხვაგვარად თქვას სათქმელი სათანადო ზეგავლენის მოსახდენად. ეს გაცნობიერებული სამეტყველო ქმედებაა, რაც ქვეცნობიერს ემყარება. აღქმისას ჩვენ ვიჭერთ ეფექტს, მაგრამ თითქმის ვერასოდეს ვამჩნევთ ენობრივ საშუალებებს, რომელთა მეშვეობითაც ესა თუ ის აზრი იყო გამოხატული, ანუ რა ფორმით მიაღწიეს გარკვეულ ემოციურ ეფექტს.

ევრისტიულობა: კომუნიკაციისას მუდმივად იცვლება გარეენობრივი სიტუაცია, მათი ვარიანტულობა განუსაზღვრელია. გამონათქვამი ყალიბდება შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე. ჩვენი მეტყველება ვერასოდეს იქნება მთლიანად ალგორითმიზირებული. წინააღმდეგ შემთხვევაში მხოლოდ მზა ფრაზებით, სტერეოტიპებით უნდა ვხელმძღვანელობდეთ.

მიზანდასახულობა: საუბრისას ჩვენ ვიცავთ გარკვეულ პრაგმატულ კანონებს, ვსაუბრობთ გააზრებული მიზნის მისაღწევად. კომუნიკაციის პროცესი სამი დონისგან შედგება, თითოეული მათგანი გულისხმობს სინტაქსური, სემანტიკური და პრაგმატული დონეების დაცვას. წარამტებული კომუნიკაციისთვის საჭიროა მესამე დონის (გამყრელიძე... 2008: 29-31, 45-46) მიღწევა, ვინაიდან პირველ ორს არ შეუძლია ზეგავლენა იქონიოს მოსაუბრეზე. კომუნიკაცია წარმატებულია, თუ მონაწილეები ფლობენ კომუნიკაციის სტრატეგიასა და ტაქტიკას, თუნდაც ქვეცნობიერ დონეზე.

სამეტყველო აქტები – ესაა კომუნიკანტების მოტივირებული სამეტყველო ქმედებები, რომლებიც აგებულია სამეტყველო მოქმედებების ნორმების შესაბამისად და მიმართულია გარკვეული მიზნის მისაღწევად. სამეტყველო

აქტების თეორიის ამ ძირითადმა თავისებურებამ მიიპყრო ლინგვისტთა ყურადღება, რომლებსაც აღარ აკმაყოფილებთ იმის უბრალო კონსტატაცია, რომ ენა არის ურთიერთობის საშუალება, ინსტრუმენტი. მათ აინტერესებთ, თუ როგორია ენის გამოყენების მექანიზმი იმ მრავალფეროვანი მიზნების მისაღწევად, რომლებიც ადამიანთა სოციალური ურთიერთობისას წარმოიშვება (ზიგმანი 1997: 12-29).

სამეტყველო აქტების თეორიაში ერთიანი სამეტყველო აქტი წარმოგვიდგება როგორც მთლიანობა. სამეტყველო აქტის განხორციელება ნიშნავს: დანაწევრებული ბგერების წარმოთქმას, რომლებიც მიეკუთვნება საყოველთაოდ გასაგებ ენობრივ კოდს; მოცემული ენის სიტყვებითა და გრამატიკული წესების დაცვით ფრაზის გამოთქმას; გამოთქმის აღჭურვა შინაარსითა და რეფერენციით, ე.ი. გამოთქმის სინამდვილესთან მისადაგება; გამოთქმისადმი მიზანმიმართულების მინიჭება, რომელიც გადააქცევს მას ილოკუციურ აქტად; დასახული შედეგის მიღწევა ანუ ადრესატის გონებასა და ქცევაზე ზემოქმედება და ახალი სიტუაციის შექმნა (გამყრელიძე... 2008: 48-54).

კომუნიკაციური განზრახვა ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტია ილოკუციის განსაზღვრისას. ერთი და იგივე წინადადება შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მოლაპარაკის მიერ სხვადასხვა განზრახვით. (მაგალითად, *მე შენ გაჩვენებ* ერთი და იგივე ენობრივი საშუალებების შერჩევისას (ლოკუციურ აქტში) მოლაპარაკეს შეუძლია განახორციელოს სხვადასხვა ილოკუციური აქტი – დაპირება, გაფრთხილება, მუქარა. მსმენელისთვის კი გასაგებია, როგორ ილოკუციურ აქტს ასრულებს მოლაპარაკე).

კომუნიკაცია ნაწილდება ენობრივ აქტებზე და ამ აქტების შემსრულებლებზე. სამეტყველო აქტის მონაწილეები – მოლაპარაკე და ადრესატი, რომლებიც ერთმანეთთან შეთანხმებული გარკვეული სოციალური როლებისა და ფუნქციების მატარებელნი არიან, ფლობენ სამეტყველო უნარის, ცოდნისა და სამყაროზე წარმოდგენის საერთო ფონდს (მირიანაშვილი 2008: 16-19). ამასთანავე, აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ მეტყველების პირობები.

ამგვარად, სამეტყველო აქტი მრავალდონიანი წარმონაქმნია, ილოკუციური დონე კი – კვლევის ძირითადი ობიექტი. მოლაპარაკის განზრახვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამეტყველო ურთიერთქმედების პროცესის ასახსნელად.

1.10. კომუნიკაციის პრაგმატულობა.

პრაგმატიკის (რომელიც შეისწავლის ენის კომუნიკაციური ფუნქციებიდან გამომდინარე ენობრივ მოვლენებსა და მოქმედებებს) კვლევის საგანია გამოთქმის კომუნიკაციური შინაარსი. ლინგვისტურ პრაგმატიკას აინტერესებს მთელი რიგი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მოლაპარაკე სუბიექტთან, ადრესატთან, მათ ურთიერთქმედებასთან. ენის ცენტრალურ კატეგორიად პრაგმატიკას მიაჩნია სუბიექტი. სხვადასხვა სახის ტექსტის შედგენისას მეტყველების სუბიექტის სტატუსი იცვლება გამომდინარე საუბრის მიზნიდან, ადრესატის პიროვნებიდან, ურთიერთობის სიტუაციური თავისებურებიდან. თანამედროვე დიალოგის თეორია სათავეს იღებს მ.მ. ბახტინისა და ლ.პ. იაკუბინსკის კომუნიკანტების დიალოგური თანამშრომლობის, მოსაუბრეთა ურთიერთდინტერესების კონცეფციებიდან (ბახტინი 1986; იაკუბინსკი 1986). ადრესანტი მეტყველებს, ადრესატი აღიქვამს, შიფრავს რა მეტყველის ზრახვას. დაშიფრულისა და გაშიფრულის სრული დამთხვევა შეუძლებელია ერთსა და იმავე ენაზე მოლაპარაკეთა შორისაც კი. სამეტყველო ურთიერთობათა პრაგმატიკა უნდა ვეძიოთ არა ენობრივი ნიშნების მიმართებაში, არამედ კომუნიკაციაში მონაწილე პირთა ურთიერთქმედებაში. ტრადიციულად სამეტყველო აქტში გამოთქმის გრამატიკული ფორმა და სემანტიკური შევსება ფასდებოდა მხოლოდ ურთიერთობის საბოლოო შედეგის მიხედვით, კერძოდ, ამა თუ იმ ილოკუციური აქტის მიხედვით (პერლოკუციური მომენტის ჩართვით). ენისადმი ასეთმა მიდგომამ წარმოშვა სამეტყველო აქტის ცნება, რომელიც მოიცავს როგორც გრამატიკულ ფორმას, ასევე წინადადების არსს ზემოქმედების თვალსაზრისით. ამიტომ მართებულია ვილაპარაკოთ მოვლენაზე გამოთქმის პრაგმატული ასპექტის შესახებ, ხოლო პრაგმატიკაში ვიგულისხმობთ ენობრივი აქტების ის კონტექსტები, რომელთა ჩარჩოებშიც ისინი სრულდება. დღესდღეობით პრაგმატიკის საგანია არა მარტო სხვადასხვა დონის ენობრივი ნიშნები (ჩ. პირსისა და ჩ. მორისის ტრადიციული განსაზღვრების თანახმად – პირსი 1999; მორისი 1983), არამედ სამეტყველო ურთიერთობის ყველა პარამეტრი. პრაგმატული თეორია განიხილავს ნებისმიერ გამონათქვამს (ან ტექსტს) როგორც მოსაუბრის

მიზანდასახულ სოციალურ ქმედებას, რომელიც აყალიბებს თავის კომუნიკაციურ განზრახვას ურთიერთობის სიტუაციასთან და განვითარებულ მოვლენებთან, მეტყველების ქცევის საერთო სტრატეგიისა და ადრესატთან ურთიერთქმედების ტაქტიკების შესაბამისად. როდესაც შეტყობინება არსებითი დაბრკოლების გარეშე გადმოიცემა ადრესანტის მიერ და ადეკვატურად აღიქმება ადრესატის მიერ, კომუნიკაციურ წარმატებას უწოდებენ. კომუნიკაციური წარმატება დაკავშირებულია ადრესატის ქმედების შეცვლასთან. მაგრამ გვხვდება სიტუაციები, როცა კომუნიკაციური აქტი არ აღწევს კომუნიკაციურ მიზანს, ვინაიდან კომუნიკაციის პროცესში რაღაც არასწორად ხდება, გამონათქვამი შეიძლება იყოს არაინფორმაციული, გაუგებარი, უადგილო და ა.შ. ასეთ სიტუაციას კომუნიკაციურ წარმუმატებლობად მოიხსენიებენ. ამის მიზეზი მრავალი შეიძლება იყოს: განსხვავებული კულტურა, სამეტყველო ინტენციის არასწორია გაგება, ყოფითი მოვლენების შეუსაბამო შეფასება, სიტყვათა მრავალმნიშვნელობა, მეტაფორულობა და სხვა (მირიანაშვილი 2008: 16-19).

ამგვარად, პრაგმატიკა გამოავლენს ენას როგორც კოლექტიურ სამეტყველო პრაქტიკას, რომელიც დაკავშირებულია სოციუმის ცხოვრების კანონებთან, პიროვნების ფსიქოლოგიასთან, მსოფლადქმის თავისებურებებთან, კულტურულ სტერეოტიპებთან და ნაციონალურ ტრადიციებთან.

2. ცნებათა განზოგადებული გამოხატულება

სანამ უშუალოდ ერთეულთა განხილვაზე გადავიდოდეთ, შევეცდებით არამონათესავე ენათა ტიპოლოგიური ანალიზის თავისებურებებზე გავამახვილოთ ყურადღება.

ენათა ტიპოლოგია, ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების მსგავსად, ენათა შედარებას გულისხმობს; ორივე მათგანის შემთხვევაში შესადარებელ ენათა სიმრავლე გადამწყვეტია, თუმცა ტექნიკურად ჯერჯერობთ შეუძლებელია ყველა ენის ურთიერთშედარება ერთდროულად. ამ ფონზე საინტერესოა, რის მიხედვით ჯობს შეირჩეს შესადარებელ ენათა არჩევანი და რაოდენობა? ენათა შესაბამისობა უკავშირდება მოცემულ ეთნოსთა სათანადო თაობათა შეპირიპირებას. ენათა ტიპოლოგიაში ყურადღება გასამახვილებელია ენის სტრუქტურის მრავალფეროვნება ერთა ეთნიკური ისტორიის გათვალისწინებით.

ენობრივი სტრუქტურის განსხვავებულობა გარკვეულწილად გამოყოფს ტიპოლოგიას ენის შესახებ სხვა შედარებითი მეცნიერებებისგან. მაგალითად, ისტორიულ-შედარებით მეთოდში ზოგადი და კონკრეტული რეკონსტრუქციების გამოყოფის შესაძლებლობა მოწმდება ტიპოლოგიის მონაცემებით. თუ ტიპოლოგიური მონაცემები ეწინააღმდეგა უნივერსალური გრამატიკის, ენის ისტორიის მონაცემებს, ასეთი დასკვნები ყოველთვის ეჭვის ქვეშ დგება.

ენობრივი სისტემის მრავალფეროვანი სტრუქტურის შესწავლა გულისხმობს ორ ურთიერთდაკავშირებულ ნაწილს. ტიპოლოგიის პირველი ნაწილი – გარკვეული თავისებურების აღწერა, ინვენტარიზაცია და ენათა საკლასიფიკაციო სისტემის შემუშავება. მეორე ნაწილი – ენობრივი სისტემის თავისებურების ახსნის მცდელობა და მიგნება კანონზომიერებისა, რომელიც ამ პროცესს მართავს და განაპირობებს. ეს უკვე ტიპოლოგიის ახსნითი ნაწილია. ენის სტრუქტურული თავისებურების სხვა ენის თავისებურების ასახსნელად გამოყენებას მხოლოდ სისტემურობის შემთხვევაში მივმართავთ (მაგ., აბაზური ენის ფონოლოგიური მონოვოკალიზმი უნიკალური მოვლენაა, ხოლო ჩინურ ენაში

მარცვლის საზღვრის დამთხვევა მორფემათა ზღვართან ტიპური მოვლენაა, რის საფუძველზეც ენათა მთელი ჯგუფი გამოიყოფა. 2. ენის საკმაო ცნობადობა, ბევრი მიმართულების წარმომადგენელი სწავლობს ხოლმე ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით ფილოლოგები. 3. ენის წარმომადგენლობა, თუ ენათა რომელ ოჯახს ეკუთვნის (მაგ., თუ შესადარებლად ვიღებთ დანიურს, შვედურსა და თათრულს, ხოლო კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე ორი უნდა ავირჩიოთ, მიზანშეწონილია გამოვტოვოთ ერთ-ერთი გერმანიკული ენა და არა თათრული, რადგან შედარებისას თურქულ ოჯახში შემავალი ენის შედარება გაცილებით საინტერესო სურათს მოგვცემს, ვიდრე ორი გერმანიკულისა). რაც შეეხება შესადარებელი ენების რიცხვს, ეს განისაზღვრება მუშაობის პირობებით. ტიპოლოგიას ამ შემთხვევაში ძალიან ეხმარება გეოლინგვისტიკა, რომელიც მოსახლეობის დემოგრაფიული კვლევითაა დაკავებული, ანუ რა ნაწილი რომელ ენაზე საუბრობს.

შესადარებლად თუ რომელ ერთეულებს შევარჩევთ, დამოკიდებულია ენობრივი მნიშვნელობის გამოვლენის საშუალებებზე. გასათვალისწინებელია გრამატიკული მნიშვნელობის გამოხატვის საშუალებები: სიტყვათა რიგი, დამხმარე სიტყვები, აგლუტინაცია, შინაგანი ფლექსია, რედუპლიკაცია, მახვილის ცვლილება სიტყვაში, ეტიმოლოგიური ტონი, რიტმი და ინტონაცია ფრაზაში; წინადადების დანარჩენი წევრები: ქვემდებარე, შემასმენელი, გარემოება, დამატება, განსაზღვრება, სესაბამისი სიტყვათშეთანხმება. სამეტყველო ბგერები: თანხმოვნები, ხმოვნები და ნახევარხმოვნები; ლექსიკურ ერთეულთა შემდეგი ტიპები: სინონიმები, ომონიმები, პოლისემია, არქაიზმები, ნეოლოგიზმები, ისტორიზმები, ჩვეულებრივი სიტყვები, ფრაზეოლოგიზმები, ტერმინები, სიტყვათა ცვლილება, ანალოგიური ფორმები, სუპლეტივიზმი, ანტონიმები, სიტყვები სხვადასხვა მნიშვნელობით, პარონიმები და ა.შ. ესენი და სხვა ნომენკლატურული ერთეულები იძლევა ენობრივი მნიშვნელობის გამოხატულ სურათს სხვადასხვა ასპექტში ენობრივი სტრუქტურის გათვალისწინებით.

ტიპოლოგიური კვლევისას შესადარებელი ენები ისეთი დოზითა და ფორმით შეირჩევა, როგორი პირობითაც არის წარმოდგენილი მათში ტიპოლოგიური ერთეულების ნომენკლატურა. ასეთი ფორმით შეგვიძლია ნებისმიერი ენის ტიპოლოგიური ანალიზი შევძლოთ.

ენათა ტიპოლოგიური ანალიზი განიცდობა ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაციის სახით, რაც მიღებული შედეგების განზოგადებაა რამდენიმე ენის გარკვეული რაკურსით წარმოდგენის საფუძველზე. ვინაიდან სიტყვა ენობრივი სისტემის ცენტრია, ხოლო გრამატიკა ყველაზე გარვცელებული მეთოდი ენობრივი სტრუქტურის აღწერისა, ენის ძირითადი ტიპოლოგიური კლასიფიკაცია მორფოლოგიურად ხდება. იგი განიხილავს სიტყვისა და წინადადების გრამატიკულ ურთიერთობას. ამ პრინციპით ენათა შემდეგი კლასები გამოიყოფა: ძირეულად იზოლირებული (სიტყვისა და წინადადების ურთიერთობა გამოხატულია სიტყვათა თანმიმდევრობით), ფლექსიური (სიტყვათა ურთიერთობა, სიყვაშეხამებები და წინადადებები გამოხატულია ცალკეულ სიტყვათა ჟღერადბის ცვლილებით), აგლუტინაციური (სიტყვასა და შესიტყვებასთან თავისუფლად შეერთებული აფიქსები გამოხატავენ ურთიერთმიმართებას სიტყვათა და შესიტყვებათა შიგნით) და პოლისინთეზური (აგლუტინაციურ აფიქსებს შეუძლიათ წინადადების წევრთა ერთგვარი დუბლირება ანუ წინადადების სქემის გამეორება). ამით ამოიწურება სიტყვისა და წინადადების გრამატიკული ურთიერთობების გამოხატვის შესაძლო საშუალებები.

ენის სხვა მორფოლოგიური კლასიფიკაციის სეპირისეული (ე. სეპირი 1884-1939) მეთოდი შეიქმნა მას შემდეგ, რაც ისტორიულ-შედარებითი კვლევების განვითარებასთან ერთად ცხადი გახდა მორფემის როლი ენის სტრუქტურაში. კლასიფიკაციას საფუძველად უდევს სიტყვაში მორფემის როლი. სიტყვის აგებისას გამოყენებული ყველა მორფემა იყოფა: ძირეულ, დერივაციულ და რელაციურად. რადგან ამ მხრივ სიტყვის სტრუქტურა უკავშირდება სწორედ წინადადების სტრუქტურას, ჩნდება პერსპექტივა, შესაძლებლობა შეიქმნას ენათა კლასიფიკაცია სინტაგმათა სინტაქსური ურთიერთობების ტიპების მიხედვით წინადადებაში შემავალ სიტყვებს შორის.

ენათა საერთო საკლასიფიკაციო მაგალითები გვიჩვენებს მათი შექმნის არაშემთხვევითობას და კავშირს ენათმეცნიერების ზოგად განვითარებასთან. ზოგადი კლასიფიკაცია ყოველთვის ივსება კერძო ენის საკლასიფიკაციო თავისებურებებით, რომლებიც ენის ცალკეულ იარუსებს განეკუთვნება. მაგალითად, როგორც მიღებულია ენათა დაყოფა: ვოკალურად, კონსონანტურად

და საშუალოდ, რაც განპირობებულია ენათა სისტემაში ხმოვან და თანხმოვან ფონემათა რიცხვობრივი მაჩვენებლით და ინფორმაციული „წონით“. თავდაპირველად ასეთი კლასიფიკაცია შემოთავაზებული იყო ჰიპოთეზის სახით ე.დ. პოლივანოვის მიერ, შემდეგ იგი განვავრცო ა.ვ. ისაჩენკომ. აღნიშნული კლასიფიკაციის მნიშვნელობა ისაა და იმიტომ მოგვყავს მაგალითად, რომ ენის ისტორიაში ანალიზისა და სინთეზის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. აღმოჩნდა, რომ კონსონანტიზმი (ხმოვან ფონემათა შემცირება) უკავშირდება სინთეტიზმის განვითარებას, ხოლო ვოკალიზმი, დიფთონგებისა და ტრიფთონგების გაჩენა და თანხმოვან ფონემათა შემცირება განპირობებულია ენობრივ სტრუქტურაში ანალიზურობის მომატებით (განვითარებით).

ენათა კერძო ტიპოლოგიური კლასიფიკაცია ეფუძნება ნებმისმიერი ფენის (იარუსის) ერთეულების იერარქიას: მორფემათა ფონეტიკური სტრუქტურირების დონეზე, სემანტიკურ დონეზე, სინტაქსურ დონეზე, ფრაზეოლოგიურ დონეზე და ა.შ. ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაციის სახეები ამჟამად ორასამდე სახეობას მოიცავს. მათ ავსებს უნივერსალიების გამოყოფა. მაგალითად, ერთ-ერთი ტიპოლოგიური კვლევის დასკვნებს რომ მივყვით და გავარკვიოთ შემასმენლის ადგილი წინადადებაში არამონათესავე ენათა ჯგუფის მასალაზე დაყრდნობით. ენებში, რომლებშიც შემასმენელი ყოველთვის ბოლო ადგილზეა წინადადებაში და არ არსებობს გრამატიკულად სწორი წინადადებები, რომლებშიც შემასმენელი ან დასაწყისში დგას ან შუაში, აღნიშნული წესიდან გადახვევა შესაძლებელია მხოლოდ არასრულ წინადადებებში კომუნიკაციის, დიალოგის მომენტში (თურქული ენები, იაპონური ენა, კეჩუა და მონღოლური ენები და ა.შ.). თუ მსგავს ენებში სახელურ წევრებს შეუძლიათ ზმნა-შემასმენლის წინ ადგილების შეცვლა, გადაადგილება, მაშინ ამ ენებს აუცილებლად ექნებათ ბრუნების კატეგორია. აღნიშნული დაკვირვება გრინბერგს ეკუთვნის, ამერიკელ ტიპოლოგს (გრინბერგი 1970: 141), რომელმაც კანონზომიერების, უნივერსალიის, სახით წამოაყენა აღნიშნული დებულება: თუ ენაში ზმნა მოსდევს სუბიექტს, ასეთი თანმიმდევრობა დომინანტად მიიჩნევა და ენას თითქმის ყოველთვის აქვს ბრუნვათა სისტემა. როგორც მაგალითიდან ჩანს, ტიპოლოგიურ უნივერსალიებში ენობრივი აგებულების კანონზომიერებები დგინდება, ამიტომ ასეთი უნივერსალია მინიმალურია ტიპოლოგიურ კანონზომიერებაში. ისინი აკავშირებენ და

ასხვავებენ ენებს. რადგან ტიპოლოგიური უნივერსალია ჩამოყალიბებულია არასრული ინდუქციის შედეგად, ყოველი მათგანი ჰიპოთეზაა, რომელიც მოწმდება სხვა კვლევებით და მტკიცდება როგორც ემპირიულად გამოცდილი კანონზომიერება.

ტიპოლოგიური უნივერსალიის მოხაზვა-გამოყოფა მხოლოდ პირველი ნაბიჯია ტაქსინომიურიდან ახსნითი ან თეორიული ტიპოლოგიისკენ. ტიპოლოგიური თეორიის მიზანი არის ენის განვითარების პროცესის ახსნა სამეტყველო მასალის ორგანიზაცია-მოწესრიგების თვალსაზრისით, რაც უპირველეს ყოვლისა აკუსტიკური მასალის კანონზომიერ დაყოფა-დანაწევრებაში გამოიხატება.

როგორც ვიცით, ტიპოლოგიის ფუძემდებლად ვ. ჰუმბოლდტი მიიჩნევა ნაშრომით ადამიანთა ენების განსხვავებულ აგებულებასა და მათ ზეგავლენაზე კაცობრიობის სულიერ განვითარებაზე (1836-1839). იგი შემდეგნაირად ხსნის ენათა ტიპების თავისებურებას:

1. ხალხთა ცხოვრების ადგილი კულტურული ურთიერთობა;
2. კულტურა როგორც კანონზომიერი არქივი დაგროვილი თუ მიღწეული აზრებისა და გრძნობების (სულიერების). კულტურაში აირეკლება კაცობრიობის მოძრაობა-აქტივობა;
3. ცივილიზაცია, კულტურა და განათლება სულიერი განვითარების შედეგია, სწორედ სულიერი ძალა განაპირობებს მათ განვითარებას;
4. კონკრეტული ერის ინდივიდთა შორის ურთიერთმიმართების შედეგი სწორედ ენაა, როგორც სულიერი შემოქმედება, „ერის სული“;
5. ერის სულიერების ფორმირების საშუალება ენობრივი ფორმაა, როგორც მისი განვითარების, დინამიკის ხასიათი;
6. თავდაპირველად ენები ყალიბდებიან როგორც სულის შემოქმედება, შემდეგ ფორმობრივი განვითარების წყალობით თვითონ ახდენენ ზეგავლენას ერის სულიერებაზე. თითოეული ენა სწორედ ამის მეშვეობით სპეციფიკურად, განსაკუთრებულად აყალიბებს „ერის სულიერებას“;
7. ენობრივი ფორმირების საფუძველია ენობრივი ქლერადობა, ბგერები, რომლებიც ნელ-ნელა ბგერათგანმასხვავებულ ფუნქციას იძენენ აზრის გამოხატვისას

ერთმანეთთან კომბინირებულობის და განაწილების წყალობით (ქმნიან წინადადებებს, სიტყვებს, მორფემებს);

8. ენის შინაგანი ფორმა ეწოდება ტიპობრივ ფორმას, რომელიც ყალიბდება სამყაროს აღქმა-გაგებისას მხოლოდ კონკრეტული ენისთვის დამახასიათებელი მეთოდით წინადადებების, სიტყვებისა თუ მორფემების შექმნით ბგერათა კომბინირებულობისა და განაწილების გზით;

9. იზოლაცია, ფლექსია, აგლუტინაცია – შინაგანი ფორმის ძირითადი ტიპები;

10. შინაგანი ფორმის ყველა ეს ტიპი წინადადებაში სიტყვათა განაწილების თავისებურებას გულისხმობს. აღნიშნული თავისებურება გამოიხატება სხვადასხვანაირად: პაუზით (როგორც სიტყვის ბგერითი ფორმირების ვარირება), მახვილით (წინადადების დაყოფა სწორ გრამატიკულ ერთეულებად);

11. ვერც ერთი ენა მთლიანად ვერ გამოხატავს თავის შინაგან ფორმას სრულად, მაგრამ ყოველ მათგანს განვითარების საკუთარი სწორი ან არასწორი თანმიმდევრობა ახასიათებს, რაც მისი შინაგანი აგებულების ძირითად პრიციპებს მიჰყვება;

12. პროზა და პოეზია – მეტყველების ძირითადი ფორმები. ისინი ენის დინამიკის საწყისად მიიჩნევა;

13. ენები შეიძლება ერთმანეთისგან წარმოიშვას პროზისა და პოეზიის სეგრეგაციით, რაც განაპირობებს შინაგანი ფორმის ჩამოყალიბებას;

14. გამონათქვამთა ცალკეული მახასიათებლები: ზმნა, კავშირი, მიმართებითი ნაცვალსახელი. პოეზიისა და პროზის ცალკეულ გამონათქვამთა თავისებურება ზეგავლენას ახდენს ენის შინაგან ფორმაზე და ენის სტრუქტურაში ცვლილებებს იწვევს.

ენტმეცნიერების შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, რომ ენათა ტიპოლოგია დამოუკიდებელია და არ უკავშირდება მათ გეოგრაფიულ პირობებს (თუმცა ამ მხრივ კვლევები კვლავ გრძელდება და ბოლომდე უარყოფილი არ გვგონია).

გაფართოვდა თავად კულტურის გაგებაც, ამ შემთხვევაში დასაზუსტებელია მატერიალური და ფიზიკური კულტურის რაობა. ცხადი გახდა, რომ ნაციონალური კულტურის ენათა ფორმებამდე დაყვანა არასწორია, როგორც გადაჭარბებულია ენის ფორმათა მნიშვნელობა კულტურის ნაციონალური თავისებურებების ფორმირებისას. იგულისხმება ჰუმბოლდტისეული „ერის

სული“, რომელიც აიხსენებოდა ენობრივი ნაციის კონცეფციით, ანუ ნებისმიერი ნაციის ფორმირების ერთადერთ საშუალებად სწორედ ენა მიიჩნევა.

შემდგომში ტიპოლოგიური თეორია ეფუძნებოდა, უპირველეს ყოვლისა, იმას, რომ ტიპოლოგია ხსნიდა ენობრივ ოჯახთა სიმრავლის აუცილებლობას; ენობრივ თეორიას აახლოებს ენის წარმოშობის საკითხებთან, მსჯელობს ენის ადგილისა და დროის წარმოშობის შესახებ, ასევე ენისა და აზროვნების პირველსაწყისი ფორმების შესახებ (ამასთან, ენა და აზროვნება განვითარებადი სისტემებია).

ტიპოლოგიის სწორედ ამ მიმართულების შემსწავლელი რამდენიმე თეორია არსებობს: ი. მეშანიოვი შეეცადა აღქმულის პირველადი კატეგორიზაციის გრამატიკულ კატეგორიებად გადაქცევის რეკონსტრუქციას, ანუ როგორ აისახა იგი გრამატიკულ მნიშვნელობაში, ამ დროს მკვლევარი, ფაქტობრივ, შიდა რეკონსტრუქციის მეთოდით ხელმძღვანელობდა.

ტიპოლოგიური თეორიის შედარებით ვერიფიცირებული ნაწილის საკვლევი თემაა არსებული ენების დინამიკა. ამ დროს საუბარია ჰუმბოლდტის მიერ შემუშავებულ აღქმის მთელ აპარატზე, რომელიც დეტალიზაციისა და დაზუსტებისთვის გამოიყენება.

ენის ტიპოლოგიური სტრუქტურის ასახსნელად გამოიყენება მეტყველების წევრებად დაყოფა და წევრებად დაყოფის საშუალებები. ენის შინაგანი ფორმის განვითარება განიხილება როგორც ენის რთული და ელემენტარული ფორმების გაცალკეება, რომელსაც სემიოტიკური და სწორი გრამატიკული გაგებით ვუდგებით (ე.წ. სიტყვის ტიპოლოგია).

ენობრივი სისტემის განვითარების საწყისად ტექსტები მიიჩნევა. ამ შემთხვევაში ენათა თანამედროვე ტიპოლოგია გარკვეულწილად ადგილს უთმობს ზოგად ფილოლოგიასა და კერძო რიტორიკას. ერთგვარად ერთიანდება რამდენიმე მეცნიერება ენისა და მეტყველების შესახებ. თანამედროვე ტიპოლოგია მიიჩნევს, რომ ენათა დივერგენციის საფუძველია სამეტყველო ქმედების თავისებურებები და სტილი. ტექსტის გავლენა ენობრივ სისტემაზე არ შემოიფარგლება წინადადების ფორმებით, ასევე გულისხმობს მეტყველების რიტმს, სიტყვათა ფონაციის თავისებურებებს, სიტყვათქმნადობის ფორმებს და ენათა შორის კულტურულ კონტაქტებს.

ენობრივი ტიპოლოგიას თუ დამწერლობამდელი ენების კვლევა ძალუმს, ენის ისტორია სწავლობს დამწერლობისა და ლიტერატურული ტრადიციების მქონე ენებს.

2.1. მეტყველების აღმნიშვნელი ნეიტრალური ლექსიკა

ახლა, როცა განვსაზღვრეთ თავად ცნებათა მნიშვნელობა და დიაპაზონი, ჩვენ შეგვიძლია თვალი მივადევნოთ მეტყველებისა და აღქმის აღმნიშვნელ სიტყვებს. თავიდან შევეცდებით, დიაქრონიულ ჭრილში განვიხილოთ ეს ტერმინები უძველესი დროიდან დღემდე და ვეცადოთ, ამა თუ იმ სიტყვის სემანტიკური ველი განვსაზღვროთ და ერთურთთან შევაჯეროთ. ამას, რა თქმა უნდა, ქართული ეტიმოლოგიურ-განმარტებითი ლექსიკონების საშუალებით შევეცდებით, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ აქ შესაბამისობა მყარდება ერთი ენის ფარგლებში და არსებობს ამის საპირისპირო მოვლენაც – თარგმნა. საინტერესო იქნება განმარტებითი ლექსიკონის შედარება თარგმნით ლექსიკონთან, სადაც ერთი ენის ელემენტს შესაბამისი ცალი ეძებნება. ეს ჩვენთვის მეტად საინტერესო იქნება, რადგან „ასეთი ლექსიკონიც არ არის თავისუფალი ენათა სემანტიკური წესების დემონსტრირებისაგან. ერთი და იგივე ობიექტი ან სიტუაცია განსხვავებულად აისახება ენებში. აქედან გამომდინარე, ორი ან მეტენოვანი „თარგმნითი ლექსიკონის ღირსება იმით განისაზღვრება, რამდენად ადეკვატურადაა მასში ამ ენათა სემანტიკური წესების ფარდობა“ (ბოლქვაძე 2005: 97). ჩვენი აზრით, რადგან ერთი ობიექტი ორ არამონათესავე ენაში უფრო განსხვავებულად აისახება, თარგმნით ლექსიკონებში ყურადღება უნდა მივაქციოთ აღნიშნულ ცნებათა იმ აზრობრივ-ნიუანსობრივ სხვაობას, რაც თავს იჩენს ნებისმიერი ენის ლექსიკონებში. ამ ორ შემთხვევაში გამოჩნდება მეტყველებისა და აღქმის აღმნიშვნელი ისეთი სიტყვები, რომლებიც ერთ შემთხვევაში იქნება გადათარგმნილი, ხოლო მეორე შემთხვევაში – არა. ამას პრაქტიკულ დასაბუთებამდე იმიტომ ვვარაუდობთ, რომ ზოგი სიტყვა მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით, ან კონტექსტის საშუალებით იძენს ხოლმე გარკვეულ მნიშვნელობას, ეს, რა თქმა უნდა, აღინიშნება ლექსიკონში, მაგრამ არა ცნების პირდაპირი გამოტანით.

ახლა შევეცადოთ მასალის განხილვას:

ქართულში არსებული *ენა* ამავე მნიშვნელობით, ოღონდ სახეცვლილი, მოიპოვება ლაზურში *ნინ-*, *ნინ-ა*, მეგრულში *ნინ-*, *ნინ-ა*, სვანურში *ნინ//ნ ნ-*, *ნ ნ-ირ-ალ* „ენები“. ქართული (*ენ- < ნენ*), მეგრული, ლაზური და სვანური ვარიანტები

კანონზომიერად შეესაბამება *ნენ- ძირს (ხმოვანთშესატყვისობის რეგულარობის დარღვევა პოზიციით არის შეპირობებული, ი. მელიქიშვილი 1975, 122-128). გ. კლიმოვმა საერთო ქართველური ფუძე-ენის დონეზე აღადგინა *ნენა- არქეტიპი.

ენა ხშირად გვხვდება ქართულ ძეგლებში, თავიდანვე ჰქონდა ორი ძირითადი მნიშვნელობა, რაც სულხან-საბასთან შემდეგნაირად განიმარტება: „ენა – საუბრის ასო; ენოვანი, ირმის ენა, მზე ენაობა, ნაენავი, ორენა, ფურის-ენა, ძაღლის-ენა“ (ორბელიანი 1991: I, 237) ხოლო ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში აბსოლუტურად იგივე მნიშვნელობები აქვს შენარჩუნებული. საბასთან სხვადასხვა ცხოველის ენის აღნიშვნას ემთხვევა ფრანგულ განმარტებით ლექსიკონში მითითებული სწორედ იდენტური ცხოველების ენის აღნიშვნა: ირმის ენა, ფურის ენა, ძაღლის ენა.

ჩვენ აღქმისა და მეტყველების ცნებათა ენაში რეალიზაციის საკითხი და ენათა გადამკვეთი თუ განსხვავებული მომენტები გვანტერესებს, რაც ენასა და ენობრივ აქტივობასთან მჭიდრო კავშირშია და ზემოგანხილულ სიტყვებსაც უკავშირდება. საენათმეცნიერო ლიტერატურაში ეს შემდეგნაირად განიმარტება: „მოცემული ენობრივი კოლექტივის წევრებს, ე.ი. მოცემულ ენაზე მოლაპარაკე პირებს, აქვთ მეტყველების უნარი, რომლის გამოვლენას, ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ენა (ფრ. Langue). მეტყველება არის ენის რეალიზაცია. ენობრივი სისტემა არსებობს მთელი ენობრივი კოლექტივის ფსიქიკაში შესაძლებლობათა სახით. იგი სამეტყველო აქტის იმ მონაკვეთშია, სადაც აღმნიშვნელი უკავშირდება აღსანიშნს... [ენის] არსებობა აუცილებელია იმისათვის, რათა მეტყველება გასაგები და, ამდენად, კომუნიკაციისათვის გამოსადეგი იყოს. ამავე დროს, მეტყველება ენის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა. ცნებას ვერ დავაკავშირებთ აკუსტიკურ ხატთან, თუ ეს კავშირი წინასწარ არ გამოვლინდა სამეტყველო აქტში. ამდენად, ენა მეტყველების საფუძველიც არის და მისი პროდუქტიც. ენასა და მეტყველებას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს, ისინი ერთმანეთს განაპირობებენ. ამის შესაბამისად, პროცესს, რომელიც გულისხმობს ენის როგორც სისტემის ცალკეულ სამეტყველო აქტებში – მეტყველებაში რეალიზაციას, შეიძლება ენობრივი აქტივობა (ფრ. Langue) ეწოდოს.“ (გამყრელიძე 2003: 27) ამ პროცესის ამსახველი ცნობილი პირობითი სქემაა:

მეტყველება მრავალი ლექსიკური ერთეულით გამოისახება თითქმის ყველა ენაში, რადგან ეს სიტყვები ცივილიზაციის ყველაზე დაბალი საფეხურიდანვე ესაჭიროებოდა ადამიანს. შესაბამისად, ეს სიტყვები მრავალფეროვან გამომსახველობასთან ერთად ენის უძველეს ფენასაც უნდა მიეკუთვნებოდნენ. თანაც შეიცავენ დადებით ან უარყოფით ელფერს, ნიუანსობრივ მახასიათებლებს, რაც თავისთავად მრავლისმთქმელია ცალკე აღებულიც კი. ჩვენ ამ ცნებათა გამომხატველი ლექსიკა ორად გავყავით: ნეიტრალურ და არანეიტრალურ (ანუ გარკვეული ინფორმაციულობითა და ქვეტექსტებით დატვირთულ) სიტყვებად. თავიდან განვიხილოთ მეტყველების აღმნიშვნელი ე.წ. ნეიტრალური ლექსიკა და მათი განვითარების სურათი დავხატოთ შეძლებისდაგვარად, შემდეგ კი – სმენითი აღქმის აღმნიშვნელი ლექსიკა.

სიტყვები: მეტყველება, თქმა, ლაპარაკი-საუბარი, თხრობა, შეკითხვა, პასუხი – აღნიშნული მნიშვნელობის გამომხატველ ყველაზე ნეიტრალურ ცნებებად მივიჩნით. აქვე განვიხილავთ სიტყვას, როგორც მეტყველების აუცილებელ მონაწილესა და მეტყველებასთან დაკავშირებული ბევრი კომპოზიტის შემადგენელ ერთეულს. თანაც, ჩვენ მიერ აღებული კრიტერიუმის მიხედვით, იგი, ცალკე მდგომი, სრულებით ნეიტრალურია.

მე-ტყვ-ელ-ება<მე-ტყვ-ელ-ი<სი-ტყვ-ა<ი-ტყვ-ის<ტყუ-ილ-ი.

ძველ ქართულში *ტყუ-/ტყ* ძირი აწარმოებდა: 1) მეტყველების გამომხატველ ზმნას იტყუის, 2) იმ არსებით სახელს, რომელიც მეტყველების პროდუქტად შეიძლება ჩაითვალოს – სიტყვა, 3) მიმღეობრივ ფორმას, რომელიც აღნიშნავდა მეტყველ პირს – მეტყველი, 4) ამ მნიშვნელობის მქონე საწყისს და 5) სიცრუის გამომხატველ სიტყვას – ტყუილი. ეს ვითარება შინაარსობრივად სრულიად არ შეცვლილა დღევანდელ ქართულში.

ტყუილი არის ის, რაც სიმართლეს არ შეესაბამება, იგი ქართულში სიცრუის სინონიმია. ამ ცნებას ყველა ენაში ვიპოვით და მართალია გლოტოქრონოლოგიური მეთოდის მიხედვითა და ლექსიკოსტატისტიკური კვლევებით იგი არ შედის საერთაშორისოდ აღიარებულ პირობით 100- და 200-სიტყვიან სიაში, მაგრამ ამ ცნებას დიდი ხნის ისტორია აქვს. ტყუილი მრავალგვარი არსებობს ფსიქოლოგიური თუ ფილოსოფიური გაგებით. როგორც

ზემოთ აღვნიშნეთ, იგი არის ის, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს და, შესაბამისად, უამრავ ფსიქოლოგიურ ასპექტს მოიცავს თავის თავში, ეს არის ყველაფერი, რაც არ შეესაბამება რეალობას: ფანტაზია, ოცნება, სიზმარი, წარმოსახვა. ეს ყველაფერი ადამიანის შემეცნებაში მუდმივად არსებობს და გააჩნია, როგორ მოახერხებს იგი მათ გამოყენებას. შეგნებულად აქცევს მათ შემოქმედებისა და ქმნის წყაროდ, თუ უბრალოდ ყოველდღიურ ცხოვრებაში შეგნებული, რეალობისათვის თავის არიდებისათვის გამოიყენებს და მას ყოფით სახეს მისცემს.

საზოგადოდ, ამ ცნებისადმი ინტერესი გამომდინარეობს მისი როლიდან ადამიანთა შორის გააზრებულ, მიზანმიმართულ კომუნიკაციაში, ურთიერთობაში, რაც ენის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა და ადამიანთა საზოგადოების განვითარების პირობაც. აღნიშნული ფენომენი კი ყველგან და ყველა ვითარებაში არსებობს.

ტყუილი ფორმა ძალიან საინტერესო სურათს იძლევა ქართულსა და ქართველურ ენებში, საზოგადოდ. ამ ძირს არაერთი უმნიშვნელოვანესი სიტყვა უკავშირდება ქართულში. ამ ძირისგან ნაწარმოებია ქართული (*ტყუ-ილ-ი*), მეგრული (*ტყუ-აფ-ა – მოტყუება*) და სვანური (*ლი-რ-ტყო-ლ-ალ ტყუილი*). იგი იწარმოება შესატყვისობის სრული დაცვით. უფრო დაწვრილებით კი ბალსზემოურში გვაქვს ლირტყოლალ, ლაშხურში – ლირტყოლალ, ხოლო ლენტეხურში – ლირტყელალ. მეგრულშიც აბსოლურუად იდენტურ ძირს ვხვდებით და, რაც ყველაზე საინტერესოა, ძალიან მრავალფეროვანი სიტყვაწარმოებით, ისევე, როგორც ქართულში; აქ ქართულისათვის მსგავსი ვითარებაა ანუ ტყუილი მჭიდროდ უკავშირდება მეტყველებას და, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, გამოკვეთის მიზეზსაც იძლევა: უპირველეს ყოვლისა, ტყვ- ძირი თქმას, მეტყველებას გამოხატავს: *ვიტყუუქ//იბტყუუქ ვიტყვი, იტყუქ იტყვი და იტყუ იტყვის*. აქ გვხვდება სხვა ძირიც, რომელიც მეტყველების გამომხატველია და ქართულთან ასეთ გამჭვირვალე ნათესაობას არ ავლენს: რაგადანს – *იტყუ – თქუუ – ლაპარაკობს//ამბობს – იტყვის – თქვა*. ამავე ძირისგან არის მიმღეობრივი წარმოება: *ტყუანი* (ტყუანს) – მტყუანი, ათე საქმეს გაატყუნეს – ამ საქმეში გაამტყუნეს. მეგრულში *ტყურა* (ტყურას), ერთი მხრივ, ნიშნავს ტყულს: სი ტყურა მუშენი თქვეია – შენ ტყუილი რატომ თქვიო; სოფლიშ ტყურაქ სოფელიშ

ხოჯ დო ურემს ვადინუა – სოფლის ტყუილი სოფლის ხარმა და ურემმა ვერ ზიდაო. მეორე მხრივ, ტყურა მატყუარას ნიშნავს, ვისაც ტყულის თქმა სჩვევია, ტყურა კოჩი. თყურა კოჩი აქ ვამურცუ, ქაჩუქენი ხეს ფარა – მატყუარა კაცი აქ არ მოვა, რომ აჩუქო ხელში ფული.

ძველ ქართულში ოდნავ განსხვავებული ვითარება გვაქვს, მოტყუების მნიშვნელობით გამოიყენებოდა სიტყვა მოლორება, რასაც შესატყვისობები ეძებნება ყველა ქართველურ ენაში და თანაც სწორედ ამ გაგებით, რაც *ლორ- ძირს უკავშირდება.

აღნიშნულ ძირს ეკვივალენტი ეძებნება მეგრულშიც: *ო-ბ-ტყუ-უ-ქ/ვ-ი-ტყუ-უ-ქ* ვიტყვი (ეს ფორმები მხოლოდ I სერიის მწკრივებში გვაქვს). ეს ძირი ხანმეტი პერიოდის ძეგლებშიც დასტურდება უცვლელი მნიშვნელობით. ქართულ-ზანური ერთობის ხანისათვის *ტყუ- ძირია აღდგენილი გ. კლიმოვის მიერ. ქართულში აღნიშნული ძირი მეტად მრავალფეროვანი მნიშვნელობითაა წარმოდგენილი, რადგან, ამ მნიშვნელობის გარდა, სხვა არაერთი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს: *შეატყუა, შეატყო, შემტყობი...* ეს მნიშვნელობა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში სულ სხვა სიტყვითაა გადმოცემული, იგი *წამ- ძირს უკავშირდება – *წამ-ებ-ა* მცნება; შეტყობინება (მაგ.: „რომელი ვიხილეთ, ვწამებთ, და წამებასა ჩუენსა არა შეხიწყნრებთ“ (ხამნ.)); ამ ძირს შესატყვისი ამავე მნიშვნელობით მოეძებნება ლაზურშიც: *წუმ-, დო-ვ-უ-წუმ-ე* და ვუბარე, დღევანდელ ქართულში იგი არსებობს გურულსა და აჭარულ დიალექტებში და დაბარებას ნიშნავს. თანამედროვე სალიტერატურო ენაში მან სულ სხვა მნიშვნელობა შეიძინა, თუმცა ჩანასახი ადრევე არსებობდა, რადგან ძველი ქართული ძეგლების მიხედვით ყოველთვის რწმენასთან დაკავშირებით გვხვდებოდა, როგორც ჩანს, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობის სიტყვები ამ გაგებასაც მოიცავენ თავიანთ თავში, ოღონდ გააჩნია, განვითარების როგორი მიმართულება მიეცემათ ისტორიული ასპექტების ზემოქმედებით (შემეცნებაზე, რა თქმა უნდა, დიდ გავლენას ახდენს ნებისმიერი გარეენობრივი ფაქტორი, ეს ყველაფერი ენაში აისახება და ჩვენამდე აღწევს, მთავარია მისი ამოცნობა შევძლოთ).

აღსანიშნავია, რომ ამ ძირის ოდნავ სახეცვლილი ფორმა შეტყობის, გაგების მნიშვნელობითაც გვხვდება, რაც უკვე აღქმას უკავშირდება. შეტყობინება – როგორც შევნიშნეთ, *ტყვ-* ძირი ქართულში სიტყვის აღმნიშვნელ ტერმინშიც

გვხვდება, რაც რამდენიმე ცნების ერთ წარმომავლობაზე მეტყველებს და მათი შინაარსობრივი მსგავსებითაც თუ ურთიერთგამომდინარეობითაც უნდა იყოს განპირობებული. ამასთან დაკავშირებით ძალიან საინტერესოა სიტყვის საბასეული განმარტება, საზოგადოდ აღიარებული აზრის თანახმად, საბას არა მარტო სიტყვის სტანდარტული განმარტება აქვს ხოლმე მოცემული, არამედ სემანტიკურ საზღვრებსაც მიუთითებს. ამ შემხვევაშიც ასეთ ორიგინალურ, ენის ორგანულ აღქმასთან უნდა გვქონდეს საქმე: „განიყოფების სიტყვიერებაა სულისაა შიგან მდებარისა სიტყვისა და კმოვანისა მიმართ და არს შინაგანი მდებარე უკვე სიტყვა მოძრავი სულისაა განმსიტყველობითისა ძალსა შინა ქმნილი თვინიერ რომელი ესე ვიდრემდე კმა-ყოფისა, რომლისათვის მრავალ-გზის მდუმარენი სულითა სიტყვითა ვეზრახვებით თავთა ჩვენთა და სიზმართა შინა ვზრახვიდეთ და უფროდსად არს საცთურებად სიტყვიერებისა ჩვენისა. ვინაითგან ყრუნიცა და სენისა რასმე შემთხვევითისა მიერ წარწყმედილნი კმისანი არა უდარეს კმიანთასა არიან. ხოლო წარმოჩენილსა სიტყვასა კმასა შინა სიტყვის-გებათა აქვს მოქმედებად, რომელ არს ენისა და პირისა მიერ წარმოჩენილი სიტყვად, რომლისათვის წარმოჩენილად სახელ-იდების, ხოლო არს იგი ქადაგი მოგონებისა და ამის მიერ მზრახველადაც ვიქმნით ჩვენ“.

ცალსახად რომ შევხედოთ საკითხს, ქართულში მეტყველებას, სიტყვასა და ტყუილს ერთი ძირი აქვს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თავდაპირველად ეს ძირი სიტყვის აღსანიშნავად გამოიყენეს, რადგან უფრო საჭირო იყო ადამინის მოთხოვილებიდან გამომდინარე; ხოლო მოგვიანებით ტუილის მნიშვნელობაც შეიძინა, რაც გარკვეულიწილად ურთიერთსაწინააღმდეგო, ანტონიმურ დატვირთვას იძენს, რადგან სიტყვა, საბას განმარტების მიხედვით, რეალობის, სინამდვილის გამომსახველია ქართულშიც და საზოგადოდაც, ხოლო ტყუილი, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ამის საპირისპიროა. ეს დასტურდება ყველა ქართველურ ენაში და შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ ერთი, რომ ქართველის ფსიქოლოგია მეტად საინტერესო სურათს იძლევა მართალთან, რეალურთან, ერთი მხრივ, და მცდართან, ტყუილთან მიმართებით, მეორე მხრივ.

საზოგადოება და ის გარემო, რომელშიც ადამიანი იბადება და ყალიბდება, ეხმარება მას მოახდინოს პიროვნული ორიენტაცია თანამედროვე სამყაროში. იგი უნდა ერკვეოდეს განსხვავებულ კულტურათა ენებში და ფლობდეს მათი გაგების

უნარს, რომლის საფუძველზე მან უნდა შეძლოს თავისი უნიკალურობისა და თვითღირებულების შემეცნება, რაც საკუთარი თავის შემეცნებაში დაეხმარება.

ქართულ ენაში თქმა უძველესი დროიდან არსებობს *თქუ-/თქუ-*. მისი შესატყვისობა ადვილად იძებნება ზანურსა და სვანურში: *მეგრ. თქუ-/თქ-, თქუ-მ-უ-ა „თქმა“; ლაზ. თქუ-/თქ-, თქუ-ალ-ა „თქმა“; სვან. ქუ-, ლი-ქუ-ისგ „თქმა“*. როგორც ვხედავთ, შესატყვისობა კანონზომიერია, დასტურდება უძველეს ძეგლებში (შენ ხთქუ, მრკ. 15,2 (ხამნ)). გ. კლიმოვმა ფუძე-ენის დონეზე აღადგინა **თქუ-* ძირი, ხოლო ქართულ-ზანური ერთობის ხანისათვის – **თქუ-ამ*, **თქ(უ)-მ-* არქეტიპები. ამ სიტყვის დღევანდელ მეტყველებაში სახეუცვლელი არსებობა ისედაც ლოგიკურს ხდის იმას, რომ სულხან-საბასთან იმავე მნიშვნელობით იქნება განმარტებული: „*თქმა – ითქმის კაცს სწორს ეტყოდეს; თქუა – ისიტყუა; თქმევა – სხუას ათქმეოს*“. დღევანდელ განმარტებით ლექსიკონში ამ სიტყვას ორი მნიშვნელობა აქვს: „1. აზრს გამოთქვამს, ლაპარაკობს; 2. სიმღერაში ხმას უწყობს.“ საინტერესოა, რომ ფრანგულში სიტყვის ეკვივალენტს (les paroliers) სიმღერის სიტყვების ავტორის მნიშვნელობაც ჰქონდა, რაც მნიშვნელობათა ცვლის მსგავსებას წარმოაჩენს. თქმა ზმნას ორი ფუძე აქვს: თქვა და ამბობს, პირველს თუ უძველეს დროში შეგვიძლია გავყვეთ, მეორე საბას ლექსიკონშიც არ გვხვდება. ძველად თქმას ენაცვლებოდა იტყუის და ჰრქუა ფორმები. ეს უკანასკნელი ქართულსა და სვანურში დასტურდება: ქართ. *რქუ-/რქუ-, ვ-ა-რქუ „ვუთხარი“*, *რქუ-მ-ა „თქმა“*; სვან. *რექ-/რაქუ „თქმა“*, *რუექ-არ „ვთქვი“*. ეს სიტყვა უხვად გვხვდება ძეგლებში. სვანურ ფორმასთან შედარება ნათელყოფს, რომ ქართული *რქუ-* < **რექუ-* ფორმისგან (ქართულ-სვანური ფორმები შეაპირისპირა ვ. თოფურიამ 1931, 255). თქმის მნიშვნელობის მატარებელია ბრძანაც, რაც ორი გაგებით შეიძლება შეგვხვდეს: ზრდილობიანითა და იძულების, რაღაცის აუცილებლად შესრულების – უბრძანებს – 1. ბრძანებით ეტყვის. 2. ეტყვის, ეუბნება (ზრდილობიანი მიმართვისას). საბასთან – „თქმა უაღრესისა მიერ; ბრძანება არს სიტყვა უზეშთაესისა მიერ გამოსრული (ებრძანა თქმა).“

ქართული ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში ლაპარაკი ფუძე არ დასტურდება. ცნება, რომელიც არა რამის თქმას, არამედ გაბმულ მეტყველებას გულისხმობს, შემდეგი ფუძით გვხვდება: *გარგალ-ი* – ეს სიტყვა სალიტერატურო ქართულში არ არის, გურულ დიალექტში „ცეცხლის გუზგუზს“ ნიშნავს; ამ ფუძეს

აქვს შესატყვისი სვანურშიც, სადაც გარგალ-/გარგლ-, გარგლ-ი ნიშნავს „ამბობს“. მკვლევრები აქ ვარაუდობენ სემანტიკურ გადასვლას: ლაპარაკი>ცეცხლის ხმა, ან პირუკუ, ჰ. ფენრიხის შეპირისპირებით, შესაძლოა ამ ფუძეს უკავშირდებოდეს ლაზურში არსებული გარგალ „ლაპარაკი“. რადგან სვანურსა და ლაზურში აღნიშნული ფუძე, ჩვეულებრივ, ნეიტრალურ საუბარს ნიშნავს, როგორც ჩანს, გურულ დიალექტში იმიტომ შემორჩა, რომ მნიშვნელობამ გადაიწია და ცეცხლის ხმა აღნიშნა, სხვა შემხვევაში აქაც გაქრებოდა, რადგან საზოგადოდ ქართულში ლაპარაკის აღმნიშვნელი სხვა სიტყვა ჩაენაცვლა და ეს უკანასკნელი განიდევნა. სულხან-საბასთან ლაპარაკი მრავალ საუბარს ნიშნავს, „უბნობა მრავლად“, მასთან სალაპარაკო განმარტებულია როგორც სასაუბრო, რაც ამ სიტყვათა სინონიმიაზე მიგვითითებს. საუბარი – აღნიშნული ცნების გამომხატველი კიდევ ერთი ფუძეა, რომელიც კი ნეიტრალურ მეტყველებას ნიშნავს, მაგრამ რამდენადმე მოჭარბებულს, ე.ი. მრავლისმეტყველებას. საბასთან ვკითხულობთ: „...ხოლო მრავალთა სიტყვათა ლაპარაკი და ჰამბვისა სიტყვათა თქმასა საუბარი“, ე.ი. ლაპარაკი რამდენადმე ხანგრძლივი დიალოგია, ხოლო საუბარი – მონოლოგიც და დიალოგიც. დღეს არსებული განმარტებითი ლექსიკონები ცდილობენ სიტყვა განმარტონ არა სემანტიკური თავისებურების გათვალისწინებით, არამედ, პირიქით, აქ არსებული განმარტება ყველასთვის მისაღები და გასაგები უნდა იყოს, რაც განზოგადებასა და ობიექტურ მიდგომას საჭიროებს ცნებისადმი. ლექსიკონში ლაპარაკი განმარტებულია როგორც საუბარი, მეტყველება, ხოლო საუბარი – როგორც ლაპარაკი, ოღონდ მშვიდი. ეს სიტყვები კონტექსტში მეტად მრავალფეროვანი მნიშვნელობებით შეიძლება შეგვხვდეს, ერთმანეთსაც ხშირად ენაცვლებიან და უამრავ დამატებით ნიუანსსაც იძენენ ხოლმე, ამას ხელს ისიც უწყობს, რომ აღნიშნული სიტყვები ყოველდღიურ მეტყველებაში ინტენსიურად იხმარება (ისევე, როგორც ჩვენ მიერ საკვლევად აღებული ყველა სიტყვა). განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, საუბრის ზუსტი სინონიმებია ბაასი და მუსაიფი (მშვიდი საუბარი). ეს სიტყვები საბას ლექსიკონში ვერ მოვიძიეთ, არც ცალკეა გამოტანილი და არც მეტყველების მრავალფეროვან დახასიათებაშია მოცემული. (მსგავსი ფუძეები, რასაკვირველია, არ დასტურდება არც ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში). ისინი გვიან უნდა იყოს ნასესხები და ძირეული ქართული ლექსიკის გვერდით დამკვიდრებული (ზუსტი სინონიმიაც ამით უნდა

იყოს განპირობებული). ვერ ვიპოვეთ ვერც ი. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში და ვერც ალ. ნეიმაის სინონიმთა ლექსიკონში. ეს სიტყვები არაბული წარმოშობისაა, სავარაუდოდ, გვიან უნდა შეეთვისებინა სამწერლობო ენას, რადგან ქართულს უკვე ჰქონდა თავისი სიტყვები ამ ცნების გამოსახატავად და ბაასი და მუსაიფი აშკარა ნასესხობით გამოირჩეოდა, რაც ხელს უშლიდა მათ დამკვიდრებას სამწერლობო ენაში, ხოლო ზეპირ მეტყველებაში გაცილებით ადრე შემოვიდოდა. მუსაიფი მიმდებარე კონსტრუქციაა და გაბმულ, უწყვეტ ქმედებას ნიშნავს, ბაასი კი საუბრის ეკვივალენტია (არაბულად აღორძინებას ნიშნავს, ამჟამად არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გავრცელებული სახელია) უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი (ელერდაშვილი 2006)

თხარ- ძირი (*ვ-უ-თხარ*) ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში არ მოიძებნა, მას ორი მნიშვნელობა უკავშირდება თანამედროვე ქართულში: მეტყველის მიერ მონოლოგის წარმოთქმა და დიალოგში მონაწილე პირის მიერ თანამოსაუბრისთვის რაიმეს თქმა (თხრობა დაიწყო, უთხრა ერთმა მეორეს). თუმცა ორივე მეტყველებას უკავშირდება პირდაპირი გაგებით და მათი გამიჯვნისთვის დიდი მნიშვნელობა კონტექსტს ეკისრება. სულხან-საბას მშრალად აქვს განმარტებული, როგორც „თქმა, თქმა უყო; თხრობილი – თქმული“. მის მიერ მოყვანილ წყაროში თხრობა ფუძე მოთხრობის სახითაა წარმოდგენილი. თანამედროვე განმარტებით ლექსიკონში რაიმე „ამბის თხრობას“, „მბობას“ ნიშნავს. თხრობა მართლაც მონოლოგს გულისხმობს თავის თავში, თანაც საკმაოდ ხანგრძლივს, თუმცა დამოკიდებულება ნეიტრალურია, არანაირი ემოცია არ ახლავს. რაც შეეხება დიალოგში მონაწილე პირის მიერ რაიმეს გადალაპარაკების მნიშვნელობით დატვირთულ უთხრა ფორმას, მას მონათესავე ენებში მეტად საინტერესო სიტყვა ენაცვლება, რაც დღევანდელ ქართულშიც გვხვდება, მაგრამ სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს, ეს არის *წაუ- ძირიდან ნაწარმოები *ა-ს-წავ-ებ-ს*, მას მეგრულში *წო-წუ-წო-წ-* ძირები შეესაბამება და „თქმას, მიმართვას“ ნიშნავს (*მ-ო-წო-უ* – მითხრა, *ვ-უ-წო-ინ-ქ* – ვეუბნები), ხოლო ლაზური *წვ-წ* იმავეს გამოხატავს (*უ-წვ-ეს* – უთხრეს). ძველ ქართულშიც ეს ზმნა დღევანდელი გაგებით იხმარებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ზანურში განსხვავებული დატვირთვა მიიღო, თუმცა გასაკვირი არც არის, რადგან სწავლა-

სწავლება ჩვენთვის საინტერესო ცნებებთან მჭიდრო კავშირშია და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ზღვარის გავლება საკმაოდ ძნელია.

ქართული ეტიმოლოგიური ლექსიკონის მიხედვით **კითხ-* ძირს რამდენიმე მნიშვნელობა უკავშირდება „მისალმება, მოკითხვა, კითხვა“, ხოლო ზმნისწინთა მონაცვლეობით გაცილებით მრავალფეროვან მნიშვნელობებს ვიღებთ (განკითხვა, შეკითხვა, ამოკითხვა...). შესატყვისობები იძებნება მეგრულსა (*კითხ-*, *კითხ-უ* „ჰკითხა“) და ლაზურში (*კითხ-/ჭითხ-* (ართაშენულისთვის დამახასიათებელი გადასვლა), *ო-კითხ-უ* „მკითხაობა; შელოცვა; კითხვა“). ძველ ქართულ ძეგლებში ეს სიტყვა ისეთივე ბევრი მნიშვნელობითაა წარმოდგენილი, როგორც დღეს. უფრო ჰქონდა „შეკითხვის, თხოვნის, განსჯის, გასამართლების, მკითხაობის, მოკითხვის, მისალმების, კითხვის“ მნიშვნელობა, ცხადია „წაკითხვის“ მნიშვნელობა ამ სიტყვამ მოგვიანებით შეიძინა, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო გაგება ერთ-ერთი პირველი უნდა ყოფილიყო. სულხან-საბა ამავე მრავალფეროვან ინტერპრეტაციას იძლევა, ოღონდ პირველ ადგილას წამოწეულია უკვე „კითხვის, ამოკითხვის“ მნიშვნელობა, ხოლო შემდეგ მოდის „მოკითხვა“ და უკვე ბოლოს „შეკითხვა“. ე.ი. ამ სიტყვაში მნიშვნელობათა ღირებულების გადაწევა მოხდა, უნდა გაჩენილიყო სწორედ „შეკითხვის, მოკითხვა-მისალმების“ მნიშვნელობით და შემდეგ უნდა შეეძინა ტექსტის ამოკითხვის გაგება, მაგრამ დღეს ამ სიტყვის გაგონებაზე სულ სხვა ასოციაცია ანუ მნიშვნელობა გვახსენდება (წიგნის კითხვა), ხოლო პირველადი – მოგვიანებით. საბასთან სწორედ ეს რეალური სემანტიკური გაგებაა დაცული სიტყვის განმარტებისას. ქეგლში სხვაგვარი ვითარებაა: ჯერ შეკითხვის მნიშვნელობაა გამოტანილი, შემდეგ – წაკითხვის, რაც, ჩვენი აზრით, სიტყვის ისტორიას უნდა ითვალისწინებდეს. ეტიმოლოგიურ ლექსიკონში პასუხი ვერ ვიპოვეთ, ძველ ქართულში მის ნაცვლად უფრო სიტყვას ხმარობდნენ, დღესაც შეიძლება გავიგონოთ „კარგი სიტყვა-პასუხი აქვსო!“. საბას ლექსიკონში პასუხი სიტყვის განმარტებაშია მოცემული და „მაგიერისა სიტყვისა თქმასა“ ნიშნავს, რაც ქეგლის განმარტებას ემთხვევა, აქ უბრალოდ სიტყვის კონტექსტია სრულყოფილად წარმოდგენილი, ხოლო მნიშვნელობა საბას შემდეგ ოდნავადაც არ შეცვლილა.

2.2. მეტყველების აღმნიშვნელი ონომატოპოეტური სიტყვები

მეტყველების აღმნიშვნელი ნეიტრალური სიტყვების განხილვის შემდეგ შევეცდებით, ამავე მნიშვნელობის არანეიტრალური სიტყვები მიმოვიხილოთ, ეს ცოტა რთული იქნება, რადგან ამ შემთხვევაში უდიდესი და ხშირად რადიკალურად შემცვლელი მნიშვნელობა აქვს კონტექსტს. მაგრამ ასევე საინტერესოა, ცალკე, განზოგადებული მნიშვნელობით რამდენად მოიცავს თავის თავში მეტყველების იმ თავისებურ მახასიათებელს, რის გამოც ჩვენ მათ გამოვყოფთ. ქართულში ძალიან ადვილია ასეთი სახასიათო სიტყვების დაძებნა და განხილვა, მაგრამ ფრანგულში საკმაოდ გაგვიჭირდა, რადგან ვერ მივაგენით დიალექტურ ლექსიკონს, ასეთი სიტყვები კი მეტ-ნაკლებად მაინც დიალექტური წარმოშობისაა და სხვადასხვა ინტენსივობითაა დამკვიდრებული სალიტერატურო ენაში.

ქართულ ენაში ავარჩიეთ სიტყვები, რომლებიც აუცილებლად მნიშვნელობის ხმიანობას უნდა გამოხატავდნენ და არა უაზროს, სხვა შემთხვევაში გაცილებით მეტი სიტყვა მოგროვდებოდა. ესენია: „ბოღიალი“ (სისულელის, ჩვენთვის მიუღებელის ლაპარაკი და არა ავადმყოფის უაზრო ბოდვა. სიტუაციის გათვალისწინებით გადატანითი მნიშვნელობით გვხვდება ხოლმე); „ქაქანი“, „დადღანი“, „ჭიჭყინი“, „ტიტინი, ტიკტიკი“, „ტატანი“ (დაუტატანა), „ჯიჯღინი, ჯაჯღანი“, „ყაყანი“, „ჩიჩინი“, „ჩიფჩიფი“, „ჩლიფინი“, „როხროხი“, „ჭარტალი“ (ენის), „ცაცხანი“ (დაუცაცხანა). ამ სიტყვებს სხვადასხვა დოზით ახასიათებთ ხმაბამვიტობა. ზემოთ უკვე განვიხილეთ ლაპარაკთან დაკავშირებული გარგალ-ძირი, რაც ასეთივე ხასიათით გამოირჩეოდა.

ტატანი – ტიტინი – ტუტუნი, ჭაჭყანი – ჭიჭყინი – ჭუჭყუნი და ა.შ.). ჩვენ ქართული ფორმების მცირე განხილვას შემოგთავაზებთ ისტორიის გათვალისწინებით.

ეტიმოლოგიურ ლექსიკონში *ბოდ- ძირს ორი მნიშვნელობა უკავშირდება, როგორც დღევანდელ ქართულში, მოიპოვება შესატყვისობები მეგრულსა და ლაზურში: მეგრ. ბოდ-, ბოდ-იშ-ი „ბოდვა“; ლაზ. ბოდ-, ბოდ-უ „ბოდვა; არევ-დარევა; კრუხის მოუსვენრობა“. სვანური ეკვივალენტი ჯერ უცნობია, საბასთან ეს სიტყვა საერთოდ არ არის განმარტებული, ხოლო თანამედროვე გაგება

ქართველურ ენებში დადასტურებულ უძველეს ვითარებას ემთხვევა. ასე რომ, ეს სიტყვა მყარად ინარჩუნებს სემანტიკურ მნიშვნელობას დღემდე.

ქაქანი, ჭიჭყინი, ჯიჯღინი-ჯაჯღანი-ჯუჯღლუნი, ყაყანი, ჩიჩინი, ჩიფჩიფი, როხროხი, ჭარტალი, ცაცხანი – ეტიმოლოგიურ ლექსიკონში არ შეგვხვდა. სულხან-საბა ნათქვამის ნაირფეროვნების ჩამოთვლა-კლასიფიკაციისას ისეთ სიტყვებსაც იხსენიებს, რომლებიც დღეს ცალკე აღებული არ გულისხმობენ მნიშვნელობის მქონე ხმიანობას, ასეთია, მაგალითად: ალერსი – „კაცთა მომადლებისა და ტკბილთა შესაქცეველად“; დღეს ასევე ცოტა განსხვავებული მნიშვნელობის მატარებელია ცუნდრუკი, რაც განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით უგვანოდ ხტომას ან მჩატედ ქცევას, ქარაფშუტობას ნიშნავს; ხოლო საბასთან იგი ისეა განმარტებული, როგორც საუბრის ერთ-ერთი სახეობა: „ყურთა შინა სიტყვისა თქმასა – ცუნდრუკი, რომელ არს ჩურჩნა“; ე.ი. საბა ჩურჩულს დაბალ ხმაზე ლაპარაკს ეძახის – „ჩუმსა და დაბალსა სიტყვისა თქმასა – ჩურჩული“, სადაც თანამოსაუბრე შეიძლება იგულისხმებოდეს და შეიძლება – არა, თუმცა ცალკე გამოტანილი ჩურჩული ყურში თქმადა აქვს განმარტებული; ცუნდრუკი უფრო დაკონკრეტებული მნიშვნელობის მქონეა და ისეთ საუბარს გულისხმობს, რაც არავის ესმის, რადგან თანამოსაუბრისთვის ყურშია ნათქვამი. ეს ორი სიტყვა იმიტომ გავმიჯნეთ, რომ საბა მათ სინონიმებად არ მიიჩნებს; დღეს ცუნდრუკი საკმაოდ უარყოფით კონტექსტში იხმარება ხოლმე და იმაზე იტყვიან, ვინც უადგილოდ იქცევა საზოგადოებაში, ამ სიტყვას ჩურჩულთან ნამდვილად ანათესავებს გამოყენების შეფასება, რადგან არც ჩურჩული ითვლება საზოგადოებაში კარგ ტონად. მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ჩურჩული თავის ძირძველ მნიშვნელობასაც ინარჩუნებს (დაბალ ხმაზე ლაპარაკს) და თავისი მეორე მნიშვნელობაც არ დაუკარგავს (ყურში თქმა), პირიქით, უფრო მეტი ინტენსივობით იხმარება; ხოლო ცუნდრუკმა სრულიად დაკარგა მეტყველების გამომხატველი სიტყვის ფუნქცია და ქცევის აღმნიშვნელად იქცა. საინტერესოა სიტყვა ჩურჩნა, რაც ჩურჩულის შემდეგაა ლექსიკონში და „მცირე ჩურჩულს“ ნიშნავს. ეს სიტყვა სალიტერატურო ქართულში აღარ არსებობს ამ მნიშვნელობით და სრულიად სხვა ძირს დაემთხვა. ეტიმოლოგიურ ლექსიკონში ჩურჩულის გაგებით მოხსენიებულია **ფურჩ*- ძირი, რომელიც მხოლოდ ქართულსა და მეგრულში რეალიზდება: ქართულში – *ფურჩ-ულ-ი* (იმერულსა და გურულ

დიალექტებში), ხოლო მეგრულში – *ფურცქ-ინ-ი/ფუცქ-ინ-ი*. ვერ ვიტყვით, რატომ დაიკარგა ეს ძირი ქართულში და რატომ იტვირთა „ჩურჩულის“ მნიშვნელობა სხვა ძირმა, რომლის შესატყვისობებიც სხვა ქართველურ ენებში არ დასტურდება.

ქეგლში ქაქანი განმარტებულია შემდეგნაირად – 1. აჩქარებულად, ხმაურით პირღია სუნთქვა (დაღლილობისაგან, სიცხისაგან...) 2. გაუთავებელი, გაბმული, ხმამაღალი ლაპარაკი. როგორც აღვნიშნეთ, ეს სიტყვა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში არ არის; საბასთან კი მხოლოდ პირველი მნიშვნელობა აქვს, რაც ჩვენ ამჟამად არ გვაინტერესებს. როგორც ჩანს, საუბრის მნიშვნელობა გვიან შეიძინა და თავდაპირველად აჩქარებულ სუნთქვას ნიშნავდა.

ჭიჭყინი ასევე არ მოიძებნა არც ეტიმოლოგიურ და არც საბას ლექსიკონში, დღევანდელ განმარტებით ლექსიკონში კი ნათქვამია: ჭიჭყინი – უსიამოვნო, წვრილი ხმა, ჭირვეული ლაპარაკი ან ტირილი (ჭიჭყინა = ზურნა). როგორც ვხედავთ, ეს სიტყვაც გადატანითი მნიშვნელობით შეიძლება ვიხმაროთ: სხვა ხმიანობასაც ნიშნავს და ადამიანზეც შეიძლება გადავიტანოთ.

ჯაჯღანი – ეს სიტყვა არ არის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში, საბასთან მხოლოდ ერთი მათგანია განმარტებული ორ ადგილას, ოღონდ ოდნავ განსხვავებული აგებულებით: „დიაცთა ყაყანსა ძ ი ძ გ ი ნ ი და ჯ ი ჯ გ ი ნ ი“; „ჯიჯღინი – უშვერი ლაპარაკი, ძიძგინი“. პრინციპი კარგადაა დაცული, აღნიშნული სიტყვა ჩამონათვალში აქვს ნახსენები და შემდეგ ცალკეცაა გამოტანილი, თანაც აბსოლუტურად იდენტური მნიშვნელობით. თუმცა დღევანდელ ქართულში ფეხმოკიდებულია მსგავსი აგებულების აშკარა ონომატოპოეტურობით გამორჩეული სამი სიტყვა: ჯაჯღანი-ჯიჯღინი-ჯუჯღლუნი, რომლებიც განსხვავებული ელფერით გამოირჩევიან და რამდენადმე თავისებურ მეტყველებას გამოხატავენ. ქეგლში ასეა განმარტებული: ჯაჯღანი – ხმამაღლა, უკმაყოფილო კილოთი ლაპარაკი, – ბუზღუნი; ჯიჯღინი – 1. უკმაყოფილო ლაპარაკი, – ბუზღუნი; ჯიყჯიყი – ულაზათო, გაურკვეველი ლაპარაკი, – ჯიღჯიღი; ჯუჯღლუნი – 1. ცხვირში ლაპარაკი, – დუდღუნი 2. იგივეა, რაც ბუზღუნი. ამ სიტყვებს შორის ძალიან მცირეა სხვაობა, მაგრამ მაინც არის. ჯაჯღანი და ჯიჯღინი – ორივე უკმაყოფილოებას გამოხატავენ ერთგვარი ბუზღუნით, მაგრამ ჯაჯღანი ხმამაღლობის ფაქტორსაც შეიცავს, განსხვავებით ჯიჯღინისგან, რომელიც უფრო დაბალ ტონს გულისხმობს. ჯუჯღლუნის მეორე,

ჩვენი აზრით, გვიანი მნიშვნელობა ასევე ბუზღუნია, მაგრამ პირველი მნიშვნელობა გაურკვეველი ლაპარაკია, რასაც გვიან უნდა მიმატებოდა ბუზღუნის მნიშვნელობა, რადგან მისი წარმოთქმა ძალიან ჰგავს ამ მნიშვნელობის მქონე წინა ორ სიტყვას. (ეტიმოლოგიურ ლექსიკონში გვხვდება აშკარად ონომატოპოეტური აგებულების ლიჯლიჯ-ებ-ს (*ლიჯ- ძირიდან), რაც უთავბოლოს ლაპარაკსა და სიცილს ნიშნავს, მეგრული შესატყვისია ი-ღინჯგ-ინ-ან-ს „იცინის, იღრიჭება“. როგორც ჩანს, ამ ფორმამ მოგვიანებით დაკარგა მეტყველების გაგება და სიცილის, ღრეჯის მნიშვნელობა შეიძინა.)

„ყაყანი – მრავალთ ლაპარაკი, ღაღადება“; – საბას განმარტება ზუსტად ემთხვევა ყაყანის დღევანდელ გაგებას, ე.ი. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მას საერთოდ არ შეუცვლია მნიშვნელობა. განმარტებით ლექსიკონში მსგავსადაა განმარტებული (ყაყანი – ხმამალა და უთავბოლოდ ლაპარაკი ბევრისა), ოღონდ რატომღაც დაკარგულია ბევრი ადამიანის ხმიანობის გაგება, რადგან მოცემული განმარტება ბევრ ლაპარაკს უფრო ნიშნავს, ვიდრე ბევრი ადამიანის ერთობლივ ყაყანს. განმარტებით ლექსიკონშივეა გამოტანილი სიტყვა ყარყარი – 1. ყაყანი, ხმაურობა; 2. იგივეა, რაც ყაშყაში (არწივის, ორბის და მისთანათა ხმაური, ყივილი); სალიტერატურო ენაში ნაკლებაა გავრცელებული და უფრო მეორე მნიშვნელობით იხმარება, თუმცა დიალექტურმა მასალამ შეიძლება სულ სხვა სურათი გვიჩვენოს.

„ჩიჩინი – მარადის იდუმალ საქმეს ურჩევდეს და არა საანმჯმნოდ (საჯაროდ)“; როგორც ვხედავთ, ეს სიტყვა საბას მეტად სახასიათოდა აქვს განმარტებული, დღეს ჩიჩინს იგივე მნიშვნელობა აქვს, მაგრამ რატომღაც გაფერმკრთალდა არასაჯაროობის ელემენტი, ამას განმარტებითი ლექსიკონიც ადასტურებს: ჩიჩინი – ერთისა და იმავეს დაჟინებით ლაპარაკი (რაიმეს ჩაგონების მიზნით); ასევე არ შესცვლია მნიშვნელობა ჩიფჩიფს – ფლაფნით ლაპარაკი, ფლაფნა, უკბილოს საუბარი; იდენტურია თანამედროვე განმარტებაც: ჩიფჩიფი – უკბილო ადამიანის გაურკვეველი ლაპარაკი; ამ შემთხვევაში საბასეულ და თანამედროვე ლექსიკონის განმარტებას შორის სხვაობა ხელშესახებია, ფლაფნის განმარტება ჩვენ მოვიძიეთ ცალკე, ხოლო საბასეული მიდგომა საინტერესოა, რადგან სულაც არ გულისხმობს მხოლოდ „უკბილოს საუბარს“, არამედ – „უკბილოსავით საუბარსაც“, განსხვავებით დღევანდელი ლექსიკონისაგან. ჩვენს თემას პირდაპირ არ ეხება და სრულიად განსხვავებულ პრობლემად გვეჩვენება

დეფექტური მეტყველების აღმნიშვნელი სიტყვები, მაგრამ მაინც მოგვყავს ისინი, თუმცა კლასიფიკაციისა და ცალკე გამოყოფის გარეშე. ერთ-ერთი ასეთი სიტყვაა ჩლიფინი, რომელიც მხოლოდ განმარტებით ლექსიკონში მოვიძიეთ და მეტყველების (წარმოთქმის) ნაკლია, როდესაც ს-ს მაგივრად შ-ს წარმოთქვამენ. ამ სიტყვას ზოგადად ენამოჩლექილობის აღსანიშნავად ხმარობენ და ჩვენი აზრითა და გამოკითხვით სულაც არ არის აუცილებელი მეტყველებაში მხოლოდ ს-ს შ-დ შეცვლა, რათა ჩლიფინი ვუწოდოთ.

როხროხი – უშნო, ბოხი ხმით ხმამალა ლაპარაკია. თუმცა ძველ ლექსიკონებში ვერ მოვიძიეთ და, შესაბამისად, მძაფრი ხმაბაძვითობის გათვალისწინებით გვიან უნდა იყოს შემოსული რახრახის გავლენით.

საბას აღნიშვნით, *ჭარტალი/ჭარდალი* სომხურია, „მრავალმეტყელს კაცსა ჰქვიან“. ხოლო განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ – ჭარტალი იგივეა, რაც ენის ჭარტალი – გაუთავებლად და უადგილოდ ლაპარაკი, ტარტარი. დღეს ეს სიტყვა კონტექსტის გარეშე საერთოდ არ გამოიყენება (ენის ჭარტალი).

ცაცხანი – „გაწყრომით შეძახება“. ეს სიტყვა მხოლოდ თანამედროვე ლექსიკონშია და უფრო ხშირად პირიანი ფორმით თუ გვხვდება, საწყისში – თითქმის არა.

ჭუკჭუკებს – 1. ჭუკჭუკს გამოსცემენ ფრინველები. 2. ჭუკჭუკით ლაპარაკობს, საუბრობს; მოხუცები ტკბილად ჭუკჭუკებდნენ. საბასთან ჭუკჭუკი მწყერთ ნელი ხმიანობაა. აქაც იმავე მოვლენასთან გვაქვს საქმე, რადგან მეტყველება ამ სიტყვაშიც გვიან გამოიხატა და ფრინველთა ხმიანობისგან გადავიდა ანალოგიით, რასაც, ჩვენი აზრით, კვლავ ასოციაციური ახსნა უნდა ჰქონდეს.

ტატანი-ტიტინი-ტუტუნი;

საინტერესოა, რომ ტატანი საბასთანაც და თანამედროვე განმარტებით ლექსიკონშიც ჯერ ცის ტატნობს ნიშნავს და მერე უკვე დატატანების მნიშვნელობა აღენიშნება: ტატანი – 1. ტატნობი, მზის შარავანდედი; 2. (დაუტატანა) – გაწყრომით, გაჯავრებით ლაპარაკი; ხმამალა დატუქსვა, ცაცხანი;

ტიტინმა მნიშვნელობა გადაიწია, რადგან საბასთან ცუდი საუბარი, ცუდი დიაცური უბნობაა; ხოლო თანამედროვე ქართულში უფრო ახლადენაამოდგმული ბავშვის ლაპარაკს ნიშნავს და ტიკტიკის სინონიმია. მისი მხოლოდ მეორე

მნიშვნელობაა უთავბოლო ლაპარაკი, ყბედობა, რისი გაგებითაც დღეს თითქმის აღარ ხმარობენ.

სიტყვა ტუტუნი მხოლოდ საბასთან შეგვხვდა და ნიშნავს ჩუმ დრტვინვას, ტუტუნობას – ცუნდრუკს;

ტატყანი-ტიტყინი;

ტატყანი – ხმამაღლა, უშნოდ ლაპარაკი; *ტიტყინი* – უთავბილო ლაპარაკი, – ყბედობა; როგორც ვხედავთ, აქ მხოლოდ ხმის ტონალობაშია განსხვავება, სხვა შემთხვევაში ორივე სიტყვა უშნო, უთავბოლო ლაპარაკს გამოხატავს, ოღონდ ტატყანი უფრო ხმამაღალია, ეს ა ხმოვნის პრეროგატივა უნდა იყოს, რაც სხვა მსგავსი აგებულების სიტყვებშიც უნდა აღინიშნოს.

ტარტარი-ტურტური;

„ენა – დაუყენებელისა მრავალ სიტყვასა ჰქვია ტარტარი“; სწორედ საბას იდენტურადაა განმარტებული ეს სიტყვა დღევანდელ ქართულში.

ტარტარის წყვილი სიტყვა საბასთან საერთოდ არ არის განმარტებული, ხოლო ქეგლში – 1. ჩურჩულს, ბუტბუტს ნიშნავს 2. რისამე უშნოდ ქნევა, მოღერება (ხელის, ჯოხის). სალიტერატურო ენაში ამ სიტყვის მეორე მნიშვნელობა თითქმის უცნობია, პირველი მნიშვნელობის მიხედვით კი ა და უ ხმოვნების დაპირისპირება კვლავ დადასტურდა. მეტად საინტერესოდ გვეჩვენება ის ფაქტი, რომ ეტიმოლოგიური ლექსიკონის მიხედვით **ტურტურ-(ი)* ძირი „ტუჩებს, პირს“ ნიშნავდა ქართულში, ხოლო იგივე ძირი გარკვეული სახესხვაობით – *ტინტვირ-(ი)* (ქართულში ი ვარიანტი საერთოდ არ გვაქვს) – ლაზურში ასევე „ტუჩებს“ ნიშნავს. დღეს სიტყვა ტურტური ლეჩხუმურ დიალექტშია მოქმედი. ეტიმოლოგიური მონაცემების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ამ ძირის თავდაპირველი მნიშვნელობა მეტყველებასთან იყო დაკავშირებული, ხოლო განმარტებით ლექსიკონში დადასტურებული მეორე მნიშვნელობა გვიანდელი შენაძენი უნდა იყოს.

ლულული არამკაფიო, გაურკვეველი ლაპარაკია. საბასთან მისი მნიშვნელობა იდენტურადაა განმარტებული, ოღონდ უფრო სპეციფიკური, მისახვედრი და ქართული ენის უკეთ ჩაწვდომაზე ორიენტირებული ახსნით: „სნეულთაგან უკაფიოდ, ძნელად ამოუბნობა“. მნიშვნელობით კი განსხვავდება, მაგრამ ძირის მსგავსების თვალსაზრისით აქვე გვინდა აღვნიშნოთ **ლულ-* ძირი,

რასაც ქართულ და სვანურ ენებში ეძებნება შესატყვისობა, ქართული ენის გურულ დიალექტში ღურღული „გაჯავრებას, ჩუმად ლაპარაკს“ ნიშნავს, ხოლო სვანურში *ლი-ღულ-ი* „ბუზღუნს“ ნიშნავს.

წუწუნი – უკმაყოფილო გამოთქმა, – ჩივილი. საბასთან უნდომი, ცუდი ტირილია.

ჩივილი – 1. საყვედურის, უკმაყოფილების გამოხატვა სიტყვიერად (რაიმე უსიამოვნების, ტკივილის და მისთ. გამო), 2. საჩივრის შეტანა სასამართლოში. საბასთან ჩივილი – მოწყინარის ჰამბავი (აჩივლა, მაჩივლა, ნაჩივლები); აჩივლა – ჩივილი ათქმევინა.

ჩივილი – 1. საყვედურის, უკმაყოფილების გამოხატვა სიტყვიერად (რაიმე უსიამოვნების, ტკივილისა და მისთანათა გამო); 2. საჩივრის შეტანა (სასამართლოში);

ღალადი გარკვეული ხმაბამპითობით ხასიათდება, მაგრამ შინაარსობრივადაც საინტერესო სიტყვაა, ამიტომ ქვევით განვიხილავთ სხვა, ასეთივე სპეციფიკური მნიშვნელობის მატარებელ ფორმებთან.

როგორც ჩანს, ასეთმა სიტყვებმა მოგვიანებით იტვირთეს ადამიანის ხმიანობის აღნიშვნა, ისინი ერთგვარი ასოციაციის გზით მიმსგავდნენ ადამიანისას იმის მიხედვით (იმის გათვალისწინებით), მანამდე რასაც გამოხატავდნენ. როგორც ცნობილია, ხმაბამპით სიტყვებში აღსანიშნ და აღმნიშვნელს შორის კავშირი მოტივირებულია, ბგერას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება. „ბგერწერით ლექსიკას ახასიათებს მჭიდრო კავშირი ბგერასა და მნიშვნელობას შორის. ამ ტიპის ლექსიკაში მცირე ბგერითი ცვლილებები სემანტიკურ მნიშვნელობათა ელფერების ცვლას იწვევენ. ამიტომ ვარიაციულობა, რომელიც ბგერწერითი დერივაციის სახეს იღებს, ერთგვაროვან მნიშვნელობათა მქონე სიტყვათა კონებს ქმნის. მონათესავე მნიშვნელობათა მქონე ლექსემებს მონათესავე ბგერითი სტრუქტურა აქვთ. ამიტომ შეიძლება ვილაპარაკოთ ფონემურ დიფერენციალურ ნიშანთა და სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშანთა კავშირებზე“ (მელიქიშვილი 1999: 80). მაგრამ ეს პროცესი სხვადასხვა ენაში განსხვავებულად მიმდინარეობს. ამ შემთხვევაში, ქართული და ფრანგული ენების მაგალითის გათვალისწინებით, ერთი რამ უდავოა. ქართულში ასეთი სიტყვები მრავალრიცხოვანია და სტრუქტურულად მოწესრიგებულ, სისტემურ სურათს

ქმნის. ქართულში ა-ი-უ ხმოვნების მონაცვლეობა ერთგვაროვან ბგერით ყალიბში საკაოდ ხშირია. საშუალო აწეულობის /ე, ო/ ხმოვნები ბგერწერითი სიტყვების გადმოსაცემად არ გამოიყენება ხოლმე. ეს ერთგვარი უკიდურესობა მკვეთრი დაპირისპირების შექმნის მიზნით უნდა აიხსნას. „დიფერენციალურ ნიშანთა დონეზე ფონო-სემანტიკური კავშირის გამოვლენა შესაძლებელია ბგერწერითი ლექსიკის შესწავლის, პოეტური შემოქმედების ანალიზის, ფსიქოლინგვისტური ექსპერიმენტების მეშვეობით. ამ გზით ხერხდება მეტყველთა ენობრივი კომპეტენციის ღრმა შრეების გამოვლენა“ (მელიქიშვილი 1999: 83).

2.3. მეტყველების აღმნიშვნელი არანეიტრალური ლექსიკა

ქვეთავში განხილულია ლექსიკა, რომელიც უთხრას გაგებას შეიცავს, ოღონდ გარკვეული ნიუანსობრივი თავისებურებებით აჩვენებს განსხვავებულობას, ჩვენ თითოეულ ცნებაში შეგვიძლია ვიგულისხმოთ უთხრა + რაღაც თვისება:

1. უთხრა + საიდუმლო = გათქვა, გაუმხილა, გაუმჟღავნა, გააცხადა, გამოააშკარავა;
2. უთხრა + ცნობა, სიახლე = აუწყა, ამცნო, შეატყობინა;
3. უთხრა + თხოვნა, საპასუხოდ რაღაცის, დახმარების მიღების სურვილი = სთხოვა, შეეხვეწა, შეჰლაღადა, შეევედრა; შესჩივლა (2+3);
4. უთხრა + მიმართვა = მიმართა, დაუძახა, მოუწოდა, მოიხმო.

გათქმა თქმა ძირს შეიცავს და მას გარკვეულ ნიუანსობრივ სხვაობას მხოლოდ ზმნისწინი გა- ანიჭებს; რაც შეეხება გამხელა ფორმას, მისი ძირი ეტიმოლოგიურ ლექსიკონში ვერ მოიძებნა, ხოლო საბასთან „სამალავის საცხადო ქმნას ნიშნავს“, რაც დღეს დამკვიდრებულ მნიშვნელობას შეესაბამება: გაამხელს – იტყვის ისეთ რასმე, რაც სხვამ არ იცის – გაამჟღავნებს (საიდუმლოს, დაფარულს); ქართულში კიდევ რამდენიმე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა გვაქვს, ესენია: გაამჟღავნებს, გამოააშკარავებს, გამოაჩენს (მხოლოდ კონტექსტის თანხლებით შეიძლება ნიშნავდეს მეტყველებისას საიდუმლოს გათქმას), გააცხადებს; არც ერთის ძირი ეტიმოლოგიურ ლექსიკონში არ დაიძებნა, არც საბასეულ ლექსიკონში აღმოჩნდნენ, გარდა გააცხადასი, რაც განმარტებულია როგორც – საჯაროდ ქმნა. თანამედროვე ლექსიკონში ისინი თითქმის იდენტურადაა გაგებული, რის გამოც ერთად დავაჯგუფეთ.

მეორე ჯგუფში გარკვეული ცნობის შეტყობინებაა მოცემული, რასაც შემდეგი სიტყვები გამოხატავენ: აუწყა, ამცნო, შეატყობინა; ამ სიტყვათა ძირებიდან მხოლოდ ატყობინებს ზმნას მოეძებნება შესატყვისი ეტიმოლოგიურ ლექსიკონში, რაც სიტყვას უკავშირდება (იხ. ზემოთ). საბასთან აუწყა ნიშნავს აცოდინას, ანუ ამ სიტყვას მის ეპოქაში უკვე კარგად ჰქონდა შეთვისებული დღევანდელი გაგება. დღეს აუწყებს ნიშნავს აცნობებს, შეატყობინებს, გამოუცხადებს.

სიტყვა შეტყობა საბასთან ნიშნავს – „სცნასავით, გინას გამოცნობა“, ეს სიტყვა არ უკავშირდება მეტყველებას, იგი აღქმას, საიდუმლოს გაგებას გულისხმობს, თუმცა

ძირი არც ისე დიდი სახესხვაობით ორივეს გამოხატავს (შეიტყო – შეატყობინა), უნდა გავითვალისწინოთ ამ უძველეს ძირს რამდენი სიტყვა უკავშირდება. ამ მნიშვნელობის მატარებელი მესამე სიტყვაა ამცნობს – გააგებინებს, შეატყობინებს; ახალი ამბავი ამცნო. საბასთან ზუსტად ეს სიტყვა ამ გაგებით არ არის, მაგრამ ამ ძირს მეტად საინტერესო განმარტება და სიტყვათა დიდი კომპლექსიც უკავშირდება: „ცნობა – სულის, გულის-ხმის ყოფასავით; (ცან, აცნობა, გამოცანა, გიცნობს, ეცნობება, იუცნობეს, მამცნედ, მცნაური, მცნობი, ნაცნობი, საცნაური, საცნობელი, უცნაური, ცნება)“. როგორც ვხედავთ, აქ ვინმესთვის რამის შეტყობინებას არც ერთი არ გამოხატავს, ამასაც უფრო აღქმის მნიშვნელობა აქვს, რასაც გვიან უნდა მიეღო გაგებინების დატვირთვა. დღეს კი ორივე გაგებით შეიძლება ვიხმართ ეს ძირი: ამცნო – შეიცნო, გამოიცნო;

ყველა თქმული სიტყვა, რასაც შეიძლება თუნდაც ნეიტრალური მეტყველება ვუწოდოთ, გარკვეულ რეაქციას გულისხმობს საპასუხოდ, შეიძლება ნებისმიერზე მივიღოთ პასუხი თუნდაც მაშინ, როცა არც ველით. მაგრამ არის ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობის მქონე სიტყვები, რომლებიც განსაკუთრებულად მოითხოვენ პასუხს თუ საპასუხო ქმედებას თანამოსაუბრისაგან.

ეს სიტყვები მეტყველებას, თქმას გამოხატავენ, მაგრამ მათ იმისთვის იყენებენ, რომ რაღაცა მოითხოვონ სამაგიეროდ, რაღაცას ელიან: სთხოვა, ეაჯა, შეეხვეწა, შეევედრა, ემუდარა, შეჰლაღადა; შესჩივლა.

თხოვნა ზმნას ბევრ კონტექსტში ვიყენებთ და სრულიად განსხვავებული მნიშვნელობებით, ფუძეც შეიძლება შეგვხვდეს განსხვავებული გაგებით: ითხოვს – 1. მიმართავს ვისმე, რომ მისცენ ან შეუსრულონ რამე. დახმარებას ითხოვს – პატიებას. 2. საჭიროებს, სჭირდება. 3. შეირთავს, მოიყვანს (ცოლად). 4. დაითხოვს (არდადეგებზე). საბასთან იდენტურადაა განმარტებული – „მოცემის ვედრება, ნდომის ვედრება“ (საინტერესოა ე.წ. ამავე ოჯახის სიტყვებიც: გათხოვნა, განათხოვრება, დათხოვა, ვთხოვ, მთხოვარი, მთხოველი, ნათხოვარი, სათხოელი, უმთხოველობდა – არას ითხოვდა). ეტიმოლოგიურ ლექსიკონში ქართულ-ზანური ერთობის ხანისათვის თხოვნ-/თხოვნ- ძირია აღდგენილი, რაც ქართულში რეალიზდება თხოვ- ვარიანტით, მეგრულში თხოუ-/თხო-, ხოლო ლაზურში: თხოვნ-

/თხუნ- ძირებით, შესატყვისობა კანონზომიერია სამივე ქართველურ ენაში, თუმცა ლაზურში იშვიათია. სიტყვა უხვად გვხვდება ძველ ქართულ ძეგლებში.

ხვეწა და ვედრება იდენტურადაა ახსნილი დღევანდელ ქართულში, ხმარებისას ისინი თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს. საბასთან შემდეგნაირადაა განმარტებული – ძალიან სთხოვს რასმე. ასევე ნიშნავს გადახვეწას, სადმე თავის შეფარებას (შეეხვეწა). ამ აზრის შესატყვისადვე მიგვაჩნია მუდარა, რაც ეტიმოლოგიურ ლექსიკონში ვერ ვნახეთ, ხოლო საბასთან განმარტებულია როგორც დიდი ვედრება, განმარტებით ლექსიკონშიც წინა ორი ცნების მსგავსი ახსნა აქვს, ანუ მათ შორის სემანტიკურად ღირებული სხვაობა არ აღინიშნება.

განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ეს მეტად საინტერესო სიტყვა შემდეგნაირად განიმარტება: ლაღადი – 1. ხმამაღლა თქმული მოწოდება ხალხისადმი მიმართული, 2. ხმამაღალი ხვეწა-მუდარა. დღეს იგი ჯერ ხალხისადმი მოწოდებას ნიშნავს და უკვე შემდეგ – მუდარას. იგი აგებულია ხმაბაძვითს მოგვაგონებს, მაგრამ მნიშვნელობათა მრავალფეროვნებითა და სიძველით გამოირჩევა, რაც არ ახასიათებს ხმაბაძვით სიტყვათა თითქმის უმეტესობას (თითქოს უძველესნი უნდა იყვნენ, ღრმა ენობრივი მონაცემებიდან გამომდინარე ასოცირდება, მაგრამ ეტიმოლოგიურ ლექსიკონში იშვიათად ვხვდებით, საბასეულთან შედარებისას კი მნიშვნელობები მკვეთრად ეცვლება). ეტიმოლოგიურ ლექსიკონში დასტურდება *ღად- ძირი, რომლიდანაც განვითარდა ღად-ღად-ის-ი და მ-ღდ-ელ-ი... ამ სიტყვას შესატყვისობები ეძებნება ლაზურსა (ღოდ-, ო-ღოდ-უ „უქნა; დაემართა; უთხრა“) და სვანურში (ღდ-, ლი-ღდ-ე „ბჭობა; გარჩევა“), შესატყვისობები კანონზომიერია, საინტერესოა, რომ ლაზურში ამ ძირს ერთდროულად შეესაბამება „თქმის“ და „ქმნის“ მნიშვნელობები, ეტიმოლოგიურ ლექსიკონშივეა შედარებული, რომ ლათინურში ago ასევე ერთდროულად ნიშნავდა „თქმასა და კეთებას“; მსგავსი რამ აღინიშნა უდიურშიც. ლაღადება საბასთან განმარტებულია არა დღევანდელი ან უძველესი გაგებით, არამედ საზოგადოდ მაღალი ტონალობის ხმიანობის მნიშვნელობით – „ესე ითმის ყოველივე ჳმამაღლობით ჳმა-ყოფა, ხოლო ლაღადებაცა ესრეთ განიყოფების: შორით ერთისა კაცისა მაღალსა უკაფიოსა ჳმასა ეწოდების კივილი, ხოლო ჳმიანითა სიტყვითა ლაღადისსა – ყივილი; დიაცთა კივილსა ეწოდების კრჩხიალი;

მრავალთა ერთა უსმინართა ლაპარაკთა ყაყანი; ომთა შინა დაღაღებასა – კიჟინა; მტერთა განრომილთა კაცთაგან სასიხარულო ჳმა-ყოფით დაღაღებასა – ზრინვა; შეწუხებულთა საგალობელს დაღადისსა ჳმიანობასა – ყვირილი.“ დღეს, რა თქმა უნდა, დაღადი აღარ იხმარება ასეთი ფართო გაგებით, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მისი პირველი მნიშვნელობა ხალხისადმი ხმამაღალი მიმართვაა.

მოხმობის აღმნიშვნელი სიტყვები ქველში თითქმის ერთნაირად განიმარტება, მათ შორის განსხვავება მხოლოდ ხმარების სიხშირეში თუ გამოიხატება; დღეს დაძახება გაცილებით ხშირად იხმარება, ვიდრე მოხმობა ან მოწოდება, ამ უკანასკნელმა თითქმის შეიცვალა მნიშვნელობა და ყოველდღიურ მეტყველებაში სხვა სემანტიკური გაგება აქვს, ხოლო მოხმობა უფრო ზრდილობიან და ოდნავ მოძველებულ ფორმად ითვლება. ამასთან, დაძახებას უფრო ნეიტრალური მნიშვნელობა აქვს, მოწოდება კი თუ ძველ ქართულში აბსოლუტურად უდრიდა მას, დღეს პირველი მნიშვნელობით გარკვეული საქმის გასაკეთებლად დაძახებას ნიშნავს, ხოლო უბრალოდ, ნეიტრალური გაგებით დაძახებამ მეორე ადგილას გადაინაცვლა. მოუწოდებს – 1. მიმართავს, მოუხმობს რაიმე საქმის შესასრულებლად. 2. ძველი ფორმით დაუძახებს, მოუხმობს (მოწოდებული). დაძახილი – იგივე მოწოდებაა. საბასთან ჯერ კიდევ არ არის მომხდარი გამიჯვნა და ამ სიტყვებს შორის სრული თანხვედრაა: დაძახილი – იგივე მოწოდება, მოწოდება არს მოყვასთა მოხმობა; ძველ ქართულში ამ ცნებას სხვა სიტყვით გამოხატავდნენ, ეს იყო *წეს- ძირიდან ნაწარმოები უ-წეს-ს „ეძახის“ ფორმა, მი-უ-წეს-ა „დაუძახა, უბრძანა, ამცნო“ (ღმერთი ებრაელთაჲ მიწესს ჩუენ, გამოსვლ.), მო-უ-წეს-ნ „ეძახის, პატიჟებს“ (მოწესენი); მეგრულში წის-აფ-ა „დაპატიჟებას“ ნიშნავს, ამავე მნიშვნელობით არსებობს ეს ძირი სვანურშიც: ლი-წს-ი/ლი-წჰ-ი „დაპატიჟება“. ეს სიტყვა დღევანდელ სალიტერატურო ენაში აღარ არსებობს, მაგრამ მეტად პროდუქტიული იყო ძველ ქართულში, თანაც, როგორც ვხედავთ, თითქმის ყველა ქართველურ ენაში ეძებნება შესატყვისი.

2.4. სმენითი აღქმის აღმნიშვნელი ლექსიკა

აღქმა ცნობიერებაში ობიექტური სინამდვილის, ფაქტების (საგნების, მოვლენების) ასახვის პროცესია. ეს სიტყვა სულხან-საბასთან არ არის განმარტებული, არც ეტიმოლოგიურ ლექსიკონში აღინიშნება მსგავსი რამ. ამ ცნების ფსიქოლოგიური ასპექტიდან გამომდინარე არც იყო მოსალოდნელი, რომ იგი უძველეს საფეხურზე იარსებებდა, რადგან ადამიანის ცნობიერებაში აღქმის პროცესის ვერბალური, გააზრებული აღმნიშვნელი გვიან, განვითარებულ სამყაროში, უნდა გაჩენილიყო. რაც შეეხება საბას ეპოქას, რა თქმა უნდა, მნიშვნელობა უკვე კარგად იყო გაცნობიერებული, მაგრამ სხვა სიტყვები გამოხატავდა: შეცნობა, გაგება, გააზრება და ა.შ.

ის სიტყვები, რომლებიც ახლა უნდა განვიხილოთ, სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება განსხვავებული მნიშვნელობით შეგვხვდნენ, ასევე გასათვალისწინებელია ქართულში ზმნისწინის ე.წ. მეოთხე ფუნქცია, რის მიხედვითაც სიტყვას მნიშვნელობა ეცვლება. ჩვენთვის საინტერესო ცნებებს კი დიდი ისტორია, ღრმა შინაარსი და, შესაბამისად, მრავალი ინტერპრეტაცია შეიძლება აღმოაჩნდეთ, აღქმისა და შეცნობის მნიშვნელობის გამოყოფა, ჩვენი აზრით, მათში მთავარია, მაგრამ ცალ-ცალკე გაგვიჭირდებოდა სემანტიკური ველის გამიჯვნა ან შეფასება, ამიტომ გადავწყვიტეთ რამდენიმე სიტყვა ერთად განგვხილვა. ეს იმანაც განაპირობა, რომ განმარტებით ლექსიკონში ისინი თითქმის ერთმანეთითაა განმარტებული, რაც ჩვენს საქმეს ართულებს და სულაც არ აიოლებს. ეს სიტყვებია: გაგება, შეგნება, შეცნობა;

გაგება – 1. გაიგებს – გონებით ჩასწვდება რასმე, – გაიაზრებს, შეიგნებს, მიხვდება. ბ) შეიტყობს, გ) იგივეა, რაც გაიგონებს. 2. თვალსაზრისი, ინტერპრეტაცია. მეცნიერული გაგება, ისტორიის მატერიალისტური გაგება.

შეიგნებს – რაიმეს შინაარსს, არსს ჩასწვდება, – შეიცნობს, შეითვისებს, მიხვდება (შეგნება, შეგნებული, შეუგნებელი).

შეიცნობს – გაიგებს, ჩასწვდება საგნის, მოვლენის არსს, ბუნებას; **ცან-/ცნ-* ძირი ქართულში მრავალი ინტერპრეტაციითაა წარმოდგენილი: *ცნ-ობ-ა*, *მე-ცნ-იერ-ი*, *ცნ-ობ-ილ-ი...* ეს სიტყვები სხვადასხვა დროს რამდენადმე იცვლიდნენ მნიშვნელობებს, მაგრამ ყოველთვის პროდუქტიულები იყვნენ... მეგრულსა და ლაზურში ამ ძირს ჩინ- შეესაბამება და „ცოდნას, გაგებას“ ნიშნავს, ხოლო

ლაზურში ამას „ცნობის“ გაგებაც ემატება. განვიხილოთ დანარჩენი სიტყვებიც: გაერკვევა (მოვლენის არსში, რაობაში), 2. იგივეა, რაც იცნობს (შეიცნობა, შეცნობა, შეცნობილი, შესაცნობი, შეუცნობელი). როგორც აღვნიშნეთ, აქ თვალში გვხვდება იდენტური განმარტებანი. ამ ეტაპზე ეს სიტყვები განზოგადებული მნიშვნელობით ერთ რამეს აღნიშნავენ, ხოლო გარკვეულ კონტექსტში ერთმანეთსაც ჩაენაცვლებიან. გაგება ზმნას -გ- ძირი აქვს, რომელთანაც უამრავი მნიშვნელობის სიტყვაა დაკავშირებული (*ა-გ-ებ-ა, მო-გ-ებ-ა, მი-გ-ებ-ა, წა-გ-ებ-ა, და-გ-ებ-ა, ჩა-გ-ებ-ა, კ-გ-იე-ს* – „არის, არსებობს“ და სხვა). ეს ძირი ასევე მეტად მრავალმნიშვნელოვანია მეგრულსა და ლაზურში, სვანურშიც მოეძებნება ორიოდ მნიშვნელობა, მაგრამ ყველგან არაჩვეულებრივი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მათი ერთმანეთთან კავშირი უდავოა, უკვე ქართულ-ზანური ერთობისათვის ეს ძირი -ებ თემის ნიშნით განივრცო. ვერ დავიჩემებთ, არცაა მოსალოდნელი და არც დასტურდება, რომ ამ ძირს თავიდანვე ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობა ჰქონოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ჯერ გაგება-შეძენა-მოსმენა შეითვისა და მერე უკვე ღრმა გააზრებაც იტვირთა. დღეს კი მისი მნიშვნელობებიდან ჯერ აღქმა დგას და მერე – შეტყობა-გაგონება, სულ ბოლოს კი თვალსაზრისს, ინტერპრეტაციას ნიშნავს, რაც უშუალოდ აღქმადობას უკავშირდება, ოღონდ უფრო განზოგადებული მნიშვნელობით, სადაც საზოგადოებაში აღიარებულ სხვადასვა თვალსაზრისზე, ამა თუ იმ საკითხის თავისებურ აღქმაზეა საუბარი. საბასთან მას ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობა არ გააჩნია, იგი „გარიგებას, გინა გამოცნობას“ ნიშნავს, გამოცნობა სწორ გაგებას ნიშნავს, მაგრამ ორაზროვნებას მოკლებული არ არის. საინტერესოა, რომ ამ ფუძეს კაუზატიური წარმოების მეშვეობით ორმხრივი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს (გაიგო – გააგებინა).

შეგნებაც იდენტური ღირებულებისაა განზოგადებული თვალსაზრისით, მათ შორის კონტექსტური ჩანაცვლება ზოგჯერ შესაძლებელია, ზოგჯერ – არა, ამის შესახებ შემდეგ თავში გვექნება საუბარი. ისტორიულად კი ეს ძირი **გან-/გენ-/გნ-* ფორმით აღდგება. ქართულში იგი სახელებშიც გვხვდება და ზმნაშიც: *გან-ი; სა-გან-ი; შე-ვ-ი-გენ; შე-გნ-ებ-ა...* მეგრულშიც წამყვანი სწორედ ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობაა: *გინ-/გ ნ- ვ-ი-გინ-ენ-ქ* „ვიგებ, ვცნობ“... ლაზურშიც დასტურდება შესატყვისობა: *გნ-, ო-გნ-უ* „მიხვედრა“, *ო-გნ-აფ-უ* „გაგონება; გაგება; ცოდნის მიღება; გრძნობა; შენიშვნა“. სვანური ეკვივალენტი ჯერჯერობით არაა

გამოვლენილი (ეტიმ. ლექ. 2000: 134); თუმცა ამ ძირს იმდენი ღირებული მნიშვნელობა უკავშირდება, რომ შეუძლებლად მიგვაჩნია მისი იქ არარსებობა. სულხან-საბასთან შეიგნებს განმარტებულია „შეიცნობს, შეითვისებს“ ფორმებით და მითითებულია „ცნობიერება, გაცნობიერებული“, რაც აბსოლუტურად პასუხობს ამ ცნებათა დღევანდელ გაგებას. აღსანიშნავია, რომ საბას ეპოქაში ყველა აქ მოყვანილი სიტყვა აღქმადობის მნიშვნელობის გარკვეულ პოტენციას შეიცავდა, მაგრამ მხოლოდ ეს სიტყვა გამოხატავდა ყველაზე ზუსტად აღქმას, რასაც ცნობიერებასთანაც აკავშირებდნენ (ძირი ერთი აქვთ). გაცნობიერებულის სინონიმებად ჩაითვლება გააზრებული, შეგნებული; ცნობიერება შემდეგნაირადაა განმარტებული 1. ადამიანის ტვინის უნარი – ასახოს სინამდვილე და განსაზღვროს თავისი დამოკიდებულება გარესამყაროსთან. 2. გონება.

საინტერესოა, რომ ძველ ქართულში ამ ცნების აღმნიშვნელი სულ სხვა ძირი იყო, რომელსაც ეტიმოლოგიურ ლექსიკონშიც ვხვდებით, ეს არის **რზ*- ძირი, რომელიც შემდეგნაირად რეალიზდებოდა: *უ-რზ-ი* „დაუმორჩილებელი“, *ვ-ე-რზ-ი* „უჭკერე“, *მო-რზ-ილ-ი* „დამჯერე“ (ეტიმ. ლექ. 2000: 390). ეს სიტყვები დღესაც აქტიურად გამოიყენება, მაგრამ სულ სხვა მნიშვნელობით (ვერჩი – ვმტრობ, გადავეკიდე; მორჩილი – დამჯერი, კანონის მორჩილი). მეგრულში ამ ძირის შესატყვისი (*რჩქ-*) მოსმენას გამოხატავს: *რჩქ-ილ-ა* „მოსმენა“, *მა-რჩქ-ილ-ე* „მსმენელი“, ეს ყოველივე საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული ძირი, რომელშიც სემანტიკური გადაწევა მოხდა დროთა განმავლობაში, თავის დროზე მოსმენას ნიშნავდა, ხოლო ქართულში დაჯერების, ანუ გარკვეულწილად შესმენის მნიშვნელობაც შეიძინა. მართალია ეს ძირი დღეს სხვა მნიშვნელობით განაგრძობს არსებობას, მაგრამ ოდითგანვე არსებული **სემ-/სმ-* ძირი კვლავ იდენტური გაგებისაა და ოთხივე ქართველურ ენაში „მოსმენის, გაგონების“ მნიშვნელობით რეალიზდება.

ერთმანეთისგან, რასაკვირველია, უნდა გაიმიჯნოს მოსმენა და შესმენა, რადგან პირველი არ გულისხმობს აუცილებლად აღქმას, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში არც გამორიცხავს, მეორე კი მხოლოდ აღქმას ნიშნავს; მას ორი მნიშვნელობა აქვს: 1. შეგნება, გაგება, მიხვედრა, 2. შეწყნარება, მიღება. სულხან-საბა ამ ფორმას სხვაგვარად განმარტავს, როგორც ჩანს, მისი ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობით გამიჯვნა გვიან მოხდა მეცნიერების საჭიროების გამო. ძველად ეს

სიტყვა დაბეზღებას ნიშნავდა. მაგრამ საბას მოსმენა სიტყვასთან შეგრძნებათა შესახებ მეტად საინტერესო ცნობები აქვს მოცემული: „ვნახოთ საგრძნობელი – ასონი, რომელთა მიერ ვიგრძნობთ, არიან ხუთ და გრძნობანიცა ხუთ: ... მეორე სასმენელიცა მგრძნობელი ბგერათა და ჳმათა, რამეთუ შეტყვევით განარჩევს სიმახვილესა და სიგვიანესა და სიდიდესა მათსა...;“ ეს ნიშნავს, რომ შესმენაზე წარმოდგენა არ ჰქონდა, ხოლო ქართულ-ფრანგულ ლექსიკონში შესმენა რატომღაც პირიქით უგულისხმიათ და იმას მოგვითითებენ, თუ როგორ უნდა შევასმინოთ ვინმეს რამე. ნათელია, რომ ქართველები არ აღიქვამენ ამ სიტყვას ჩვენვის საინტერესო მნიშვნელობით. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ამ ცნებას არც თუ ისე ფართო გაგება და გამოყენება აქვს, რადგან გაგება სწორედ გამოყენების ინტენსივობაზეა დამოკიდებული.

გაიაზრებს – აზრად გაივლებს, – გაიფიქრებს, მოისაზრებს; ეს სიტყვა უშუალოდ აღნიშნავს აღქმადობის პროცესს, თუ როგორ ხდება თავის ტვინში გარკვეული ინფორმაციის შესმენა-გადააზრიანება, რის შემდეგაც იგი უკვე პიროვნების საკუთრება, მისი აზრი ხდება. საბასთან მეტად სახასიათოდაა განმარტებული ეს სიტყვა: „იაზრა – აზრი ქნა“; ეტიმოლოგიური ლექსიკონის მიხედვით, აღნიშნულ ძირს უამრავი სიტყვა უკავშირდება, მაგრამ არც ერთ ქართველურ ენაში ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობა არ გააჩნია.

**ხუედ-/ხუდ* ძირი უძველესია წარმოშობით, ქართულში მას უამრავი მნიშვნელობა უკავშირდება, რასაც არა მარტო ზმნისწინი განაპირობებს: *ხუედრი*, *ჰ-ხუედ-ა*, *შე-ხუედრ-ა*, *მ-ხუედ-ა*, *ჰ-ხუედ-ებ-ი-ს* და ა.შ. მას კანონზომიერი შესატყვისობები მოეძებნება ყველა ქართველურ ენაში: მეგრ. *ხვად- ვ-ხვად-ქ* „ვხვდები“; *მე-ბ-ხვად-ი* „მივხვდი“, ლაზ. *ხვად-*, *ო-ხად-უ* „შეხვედრა“ (აქ მიხვედრის მნიშვნელობა არა აქვს), სვანურშიც მხოლოდ „შეხვედრის“ გაგება აქვს. ძველ ქართული ძეგლებში ამ სიტყვას უხვად გამოიყენებენ, ოღონდ არა აღქმის მნიშვნელობით. როგორც ჩანს, თავდაპირველად ამ ძირს არ უნდა ჰქონოდა მიხვედრის გაგება, არც სულხან-საბასთან სხვა მნიშვნელობებთან ერთად საინტერესოცაა მოცემული: *ხუდომა – მიხუდება – ჰხუდა – ხდომა – მიხდა – წილთ რგება*. *მიხვდება – გონებით მისწვდება* რასმე, – გაიგებს, შეიგნებს, გამოიცნობს.

3. ცნებათა გამოხატვა ანდაზებსა და ფრაზეოლოგიზმებში, მეტაფორიზაცია

მეტყველებისა და აღქმის ფენომენი ორგვარად აისახება ადამიანის ბუნებრივ ენაში: 1. ცნებებისა და მათი გამოყენების სახით, ვინაიდან ენა კომუნიკაციის საშუალებაა და მასთან თანაარსებულ სამყაროს გაცნობიერებისა და მისი შეცნობის საშუალებას წარმოადგენს; 2. ადამიანის ფსიქიკური აქტიურობის სახით, რადგან საკომუნიკაციო სისტემის რეალიზება ცოცხალ მეტყველებაში, თუ გადატანით მნიშვნელობასაც გავითვალისწინებთ, სწორედ ფსიქიკურ პროცესებს მოიცავს. (გასათვალისწინებელია ის ლოგიკური ასპექტი, რომელიც მას განასხვავებს სხვა ფსიქიკური აქტებისაგან, როგორცაა ოცნება (იმის წარმოდგენა, რის შესრულებაც სასურველია), მოგონება (მეხსიერებაში წარსულის აღდგენა). ზოგიერთ განმარტებაში მოცემულია აზროვნების დამაკონკრეტებელი ნიშანები, როგორებიცაა: აღქმა, წარმოდგენა და აზრების ფორმირების პროცესი. გამიჯნვა საკმაოდ რთულია).

ნაშრომის ეს ნაწილი ეძღვნება შერჩეულ ცნებათა ფენომენის მეტაფორული ნომინაციის პრობლემებს. სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ მეტაფორული გამონათქვამი ადამიანის გრძნობათა ორგანოების საშუალებით უშუალოდ არააღქმადია, არასაგნიერია. საინტერესოა ალბერ დოზას (დოზა 1956: 125) მოსაზრება, რომ ენებში აბსტრაქტური ცნებების შექმნას კაცობრიობის განვითარებისას ეყრებოდა საფუძველი. აბსტრაქტული ცნებების მეტაფორული სახელდების პროცესი თანამედროვე ენებშიც მიმდინარეობს, რაც ბუნებრივი ენის საშუალებით სამყაროს შეცნობის დახვეწით აიხსნება.

ჩვენ ლექსონებიდან ამოკრეფილ ენობრივ, უზუალურ მეტაფორულ ჯგუფებს განვიხილავთ, მაგრამ სტილისტური მარკირების კვლევისას ანალიზის საგანს, ენობრივთან ერთად, მეტაფორული ჯგუფიც წარმოადგენს. შევეცადეთ კვლევის საგნად არჩეული მეტაფორების დერივალიულ-დინამიკური და სემანტიკურ-სტრუქტურული, ასევე ინფორმაციული და კოგნიტიური ანალიზი წარმოგვედგინა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ ფენომენის ტიპოლოგიური კლასიფიკაციის დადგენა ცნებათა მეტაფორული შესიტყვებების ფუნქციური ტიპოლოგიის წარმოსაჩენად.

ლექსიკური მნიშვნელობის მეტაფორიზაციის პროცესში ნომინაციური ერთეულის შინაგანი ფორმის როლის დადგენა მეტაფორული ჯგუფების ლექსიკური მნიშვნელობის წარმოქმნისა და ფუნქციონირების დინამიკური ასპექტის გახსნას ემსახურება. ვგულისხმობთ შინაგანი ფორმის წამყვან როლს როგორც მეტაფორით აღნიშნული ლექსიკური მნიშვნელობის ჩამოყალიბებაში, ასევე მოცემული ნომინაციური ერთეულის, როგორც ექსპრესიული და ფსიქოლოგიური გამაღიზიანებლის შექმნაში მსმენელზე ემოციური ეფექტის მიღწევის მიზნით.

შევეცადეთ კონპონენტური ანალიზის საფუძველზე მეტყველებისა და აღქმის ამსახველი პარადიგმული სემანტიკური ველის აგებას და მის საზღვრებში სინონიმური, ანტონიმური პარადიგმების გამოკვეთას, ასევე პერიფრაზული საშუალებების გამოაშკარავებას;

იქიდან გამომდინარე, რომ მეტაფორა სინამდვილის შეცნობის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად მიგვაჩნია, აზროვნების კოგნიტიური და მისი შესატყვისი ეროვნულ-ხატოვანი მეტაფორული სურათის დადგენა ასევე მნიშვნელოვან ამოცანად გვესახება.

მეტაფორიზაცია აზრთწარმოების ყველაზე პროდუქტიული ხერხია ენის სტრუქტურის ყველა დონეზე (ლექსიკურზე, მორფოლოგიურსა თუ სინტაქსურზე), განსაკუთრებით აქტიურ ლექსიკურ დონეზე, რადგან იგი უკვე არსებული ლექსიკური ერთეულების ბაზაზე ახალ მნიშვნელობათა და ცნებათა წარმოქმნას უზრუნველყოფს. მისი კვლევა მომიჯნავე დარგებსაც აინტერესებს და ხელოვნურ ინტელექტსა და ენის მანქანურ კვლევებშიც პერსპექტიულია.

იქიდან გამომდინარე, რომ კვლევის საგანია ცნებათა აღმნიშვნელი მეტაფორული შესიტყვებები, ჩვენ წინაშე იმთავითვე წარმოიშვა ამ ნომინაციური ერთეულების ლინგვისტური სტატუსის გარკვევისა და შესაბამისი სახელწოდების მინიჭების პრობლემა (რადგან ხანდახან რთულია გამონათქვამის იდენტიფიკაცია – იგი ფრაზეოლოგიზმია, იდიომა თუ გამონათქვამი, რომელსაც ჯერ არ მიუღია გარკვეული კვალიფიკაცია). ნომინაციათა და ლინგვისტურ მნიშვნელობათა ტიპის გარკვევის გზით ვცდილობთ დავადგინოთ შესასწავლი ერთეულების ლინგვისტური სტატუსი და მივანიჭოთ ამ სტატუსის ამსახველი ადეკვატური სახელწოდება: დერივაციულ ბმულ ანალიტიკურ სტრუქტურას, დერივაციულ

ბმულს, ნომინაციური ერთეულების ლექსიკური მნიშვნელობის ტიპის მიხედვით, ხოლო ანალიტიკურს – სტრუქტურული ტიპის მიხედვით.

დერივაციულად ბმულ მნიშვნელობაში, შმელიოვის მსგავსად, ვგულისხმობთ სემანტიკური დერივაციის შედეგად მიღებულ სინტაქსურად განპირობებულსა და ფრაზეოლოგიურად დაკავშირებულ (ბმულ) მნიშვნელობას შორის არსებულ გარდამავალ ტიპს (შმელიოვი 1973: 208).

ლექსიკურ ანალიტიკურ სტრუქტურაში კი, დმიტრიევას მსგავსად, ერთი სრული მნიშვნელობის მქონე და მეორე, დამხმარე სიტყვათან გათანაბრებული, ავტონომიურ ნომინაციას უნარმოკლებული წევრისაგან შემდგარ მყარ შესიტყვებას. (დმიტრიევა 1971: 37)

ანალიტიკურ სტრუქტურაში ვგულისხმობთ მნიშვნელობის მეტაფორიზაციის პროცესში ავტონომიური ნომინაციის დაკარგვის საფუძველზე შესიტყვების ერთი კომპონენტის (ზმნური ნაწილის) ინტერპრეტაციას, როგორც არასრული მნიშვნელობის მქონე სიტყვისა. ეს სტრუქტურები ამ კონპონენტის სახით ბმული მნიშვნელობის მქონე, არავტონომიურ მეტაფორას შეიცავს, რის გამოც შესაძლებლად მიგვაჩნია ამ ერთეულებს იმავდროულად დერივაციულად ბმული ტიპის ანალიტიკური სტრუქტურები ვუწოდოთ.

მეორე მხრივ, ორკომპონენტის, რთული სტრუქტურით ენაში ხმარების რეგულარობით და ერთი ელემენტის სემანტიკური ტრანსფორმაციით ისინი ემსგავსებიან ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებს მეტაფორიზებული კომპონენტით, მაგრამ ოკაზიონალური ვარიანტების შესაძლებლობაც ამ ერთეულებს განასხვავებს ფრაზეოლოგიურისაგან, რაც მოწმობს, რომ ისინი არ წარმოადგენენ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს ამ ტერმინის მკაცრი გაგებით (ონიანი 1970, ავალიანი 1970, ჟორჟოლიანი 1987).

დერივაციულად ბმულ ანალიტიკურ სტრუქტურებს არაარსებითი, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანი ნიშნებიც ახასიათებს: ხატოვანება, კონოტაციურობა (მხოლოდ ემოციური ტიპის მეტაფორას ახასიათებს), სტილისტური მარკირება (სტილისტურად არანეიტრალურ მეტაფორას ახასიათებს).

ბმული ტიპის მეტაფორის მექანიზმის აღწერითი მოდელი შემდეგ ასპექტს მოიცავს: ლინგვისტურს, სემანტიკურს, ლოგიკურს, ფსიქოლოგიურს, ფილოსოფიურს, ინფორმაციულსა და ეთნო-კულტურულს. ყველაზე ფართო

ფილოსოფიურია. მ. მამარდაშვილის მიხედვით, (მამარდაშვილი 1988) მეტაფორის ონტოლოგიური სტატუსი შემდეგია: მეტაფორა არის მთელი, რომელიც შედგება ნაწილებისაგან, ანუ ელემენტებისაგან: A და B ჰეტეროგენული და ურთიერთსაწინააღმდეგო (ჩვენ შემთხვევაში კონკრეტული-აბსტრაქტული) შინაარსებისაგან, ხოლო მათი ურთიერთგადაკვეთით მიიღება ახალი AB შინაარსი, რომელიც A და B ცალკე აღებულ სისტემებთან მიმართებით ახალ ზესისტემას წარმოადგენს. მ. მამარდაშვილი მიიჩნებს, რომ A და B მხოლოდ მაშინ ურთიერთქმედებენ, მაშინ არიან პროდუქტიულნი და ისტორიულად ქმედითუნარიანი, როცა ცნობილნი არიან: როგორც A და B და როგორც AB ერთდროულად, თუ მივმართავთ კატასტროფის თეორიას ფილოსოფიაში, რომელიც განმარტებულია, როგორც რთული სისტემების ურთიერთქმედება, რომელიც არა მხოლოდ თიშავს, არამედ აერთიანებს კიდევ დაპრისპირებულ მხარეებს, ქმნის რა ახალ მთლიანობას – ზესისტემას (პრიგოჟინი, სტენგერსი 1986, ლოტმანი 1992, სანაია 2009).

ლოგიკურ ასპექტს მეტაფორის არისტოტელესეული განმარტება უდევს საფუძვლად, ანუ სიტყვის მნიშვნელობის შეცვლა ანალოგიის საფუძველზე (არისტოტელე 1936: 147), ხოლო ანალოგიას იგი უწოდებს „დასკვნას იმის შესახებ, რომ ორი ობიექტის ზოგიერთი ნიშანი მსგავსია პროპორციის ან ურთიერთშესაბამისობის საფუძველზე“ (არისტოტელე 1936: 24-25).

მეტაფორის ჰეტეროგენული რეფერენტების ასოციაციურ ჯაჭვში მოხვედრა მის ასოციაციურ-ხატოვან ბუნებაზე მეტყველებს და რეფერენტთა კონტრასტით მიღწეული ფიგურისა და ფონის გემტალტთან ერთად ამ ფენომენის ფსიქოლოგიურ ასპექტს წარმოადგენს. მეტაფორის შექმნის ფსიქოლოგიური წანამძღვარია „ფსიქოლოგიური განწყობაც“, რომელიც განსაზღვრულია შინაგანი ფორმის არჩევანსა თუ შეფასებით და ემოციურ კონოტაციაში.

მეტაფორის როგორც მეორეული კოდირების ენობრივი ნიშნის ამოცნობა-გაგების პრობლემას ვერ ვუპასუხებთ, თუ ენობრივი ნიშნის, როგორც საერთოდ ნიშნის ამოცნობის ფსიქოლინგვისტურ ასპექტს არ განვიხილავთ.

ეჭვგარეშეა, რომ მეტაფორა სამყაროს შეცნობს საშუალებაა (მაკკორმაკი 1985: 1-8), მაგრამ პრობლემა მისი წარმომშობი მექანიზმის აღწერაშია.

მეტაფორის როგორც შემეცნებითი პროცესის ასახსნელად უნდა ვიგულისხმოთ, რომ შექმნისას სამყაროს შემეცნების რაიმე სიღრმისეული სტრუქტურა უდევს საფუძვლად. ამ სტრუქტურაზე დაყრდნობით იგი ერთმანეთს უპირისპირებს ისეთ სემანტიკურ კონცეპტებს, რომელთა უპირისპირება ალოგიკურია, რაც საფუძვლად უდევს მეტაფორის წარმოშობას. მეტაფორა გულისხმობს გარკვეულ მსგავსებას სემანტიკურ რეფერენტებთან, ასევე განსხვავებას, რაც ხელს უწყობს ახალი კონცეპტის შექმნას. ამიტომ შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ მის სემანტიკურ წარმომშობ მექანიზმის მიღმა არსებობს კოგნიტიური მექანიზმი. მეტაფორის მნიშვნელობა კი ენის ზედაპირზე ყალიბდება კონტექსტის გათვალისწინებით. მეორე მხრივ, მეტაფორა თვით ასახავს შემეცნების მექანიზმს. ახალი ინფორმაციის ძველ ცოდნასთან შედარებისა და ასეთად მისი წარმოდგენის გამო იგი კომპიუტერულ პროცესს იმეორებს.

მეტაფორა ახალ ცნებებს ქმნის და ასახავს ენის კულტურულ განვითარებას, მის არქეტიპს, რომელშიც იუნგი გულისხმობდა (იუნგი 1991: 27) „სტრუქტურულ სქემებს, ხატების სტრუქტურულ წანამდგვრებს, რომლებიც კოლექტიური არაცნობიერის სფეროში არსებობენ“ და მისი აზრით, შესაძლებელია ბიოლოგიური მემკვიდრეობით ხასიათსაც ატარებდნენ.

მეტაფორის მექანიზმის აღწერითი მოდელის ინტერპრეტაცია შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:

1. კოგნიტიური ეტაპი – შემეცნების სიღრმისეული სტრუქტურა: უცნობი ინფორმაციის ნაცნობით ახსნის აუცილებლობა;
2. ფსიქოლოგიური ეტაპი – შეცნობისა და მეტაფორული სახელდებისათვის განკუთვნილი ობიექტისადმი სუბიექტური განწყობის შექმნა;
3. სემანტიკური ეტაპი – ახალი ცნების, კონცეპტის შექმნა, რომელშიც რელიეფურად გამოკვეთილი შინაგანი ფორმაციაა გამოხატული;
4. ოკაზიონალური მეტაფორის სტერეოტიპიზაციისა და ენაში დამკვიდრების გზით მის ენობრივ, უზუალურ მეტაფორად გადაქცევაში და მოცემული კულტურის საკუთრებად გადაქცევაში მდგომარეობს. (აქ ჩვენ არ წარმოვადგენთ სინტაქსურ-ლინგვისტურ ტიპს, როგორც ნ. სანაია, რადგან არ მიგვაჩნია მისი გამოყოფა მართებულად, მასალაშიც არ მოგვეცა მისი ასახვის საშუალება).

3.1. ანდაზების განხილვა

ახლა შევეცდებით, ანდაზის თავისებურება გნვსაზღვროთ, ფრაზეოლოგიზმისგან განმასხვავებელი ნიშნები გამოვყოთ.

ანდაზა არის ვერბალური ფორმა, რომელიც ყველა ენაში არსებობს და სხვა ვერბალური ფორმებისგან იმით განსხვავდება, რომ თვითმყოფადია, სპეციფიკური შინაარსი და სტრუქტურა აქვს და თავისებური აღქმადობის მქონეა.

ანდაზის სტრუქტურა შეიძლება იყოს წინადადება, შეიძლება დიალოგური ფორმა ჰქონდეს.

მსჯელობის ფორმით კი ანდაზათა გარკვეული ნაწილი ოპოზიციურობას გულისხმობს საკუთარ თავში, რაც მსჯელობის საკმაოდ გავრცელებული ფორმაა, მაგრამ არა – ერთადერთი;

ფუნქციური არსის თვალსაზრისით, მიიჩნევა, რომ ანდაზა საუკუნეების მანძილზე დაგროვილი სიბრძნისა და ცოდნის ერთგვარი კონსტატაციაა. ყველა ანდაზა შეიცავს სიბრძნეს, მაგრამ რის შესახებ? ეს ცოდნა და გამოცდილება თავისებურ სიბრძნეს გულისხმობს, რაც ისეთი დაკვირვებაა, რომელსაც საფუძვლად უდევს სტაბილური, ე.ი. კარგად გამოცდილი ფსიქიკური ცოდნა ადამიანის სამყაროსთან მიმართების, მათი ურთიერთმიმართების შესახებ, ანუ ადამიანის მიერ საუკუნეების მანძილზე უცვლელად შენახული წარმოდგენა სამყაროს მოვლენების შინაგანი, სიღრმისეული ოპოზიციური მიმართებების შესახებ. სხვა ბევრი სახის დაკვირვება დაგროვდა კაცობრიობაში, უნივერსალური და კანონზომიერი, მაგრამ ყველაფერს სიბრძნეს ვერ ვუწოდებთ. შეიძლება ვთქვათ, რომ ანდაზა ერთადერთი ვერბალური ფორმაა, რომელიც გამოხატავს ისეთ დაკვირვებას, რომელსაც საფუძვლად უდევს არქეტიპული დაპირისპირება.

მე-20 ს. უდიდესი მოაზროვნე კ. გ. იუნგი აყენებს საკითხს ადამიანის ფსიქიკის მთლიანი ხასიათის შესახებ. მისთვის ფსიქიკა გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი პროცესების ერთიანობაა, რომელშიც მოცემულია როგორც რაციონალური, გაცნობიერებული საწყისი, ასევე არაცნობიერი ასპექტი. ამდენად, ფსიქიკა მოიცავს ცნობიერებასაც, მაგრამ იგი გაცილებით უფრო ფართოა და ყოვლისმომცველი. ადამიანზე მოქმედებას ახდენს არა მხოლოდ გარე გამაღიზიანებელი სტიმულები, არამედ შინაგანი იმპულსები. სწორედ ესენი არ

ექვემდებარებიან ცნობიერებას, არ ემორჩილებიან მის კონტროლს. პროცესები, რომლებიც მიმდინარეობს ადამიანის ფსიქიკის გაცნობიერებულ და მის არაცნობიერ სფეროებში, სხვადასხვა პრინციპს ექვემდებარება. ცნობიერების ფუნქცია არის ასახვა, სინამდვილეზე რეფლექსირება. მაშინ, როდესაც გაუცნობიერებელი ავტონომიურია, იგი გარესამყაროზე კი არ რეაგირებს, არამედ საკუთარი მეს რეფლექსირებას ახდენს.

არაცნობიერი ფსიქიკა, როგორც ერთიანობა, ორი ნაწილით არის წარმოდგენილი. ერთია პირადული არაცნობიერი ანუ ჩრდილი, ხოლო მეორე – კოლექტიური.

პირადული არაცნობიერი პიროვნების განუყოფელი ნაწილია. ეს არის სხვადასხვა, ბუნდოვანი, ხშირად მივიწყებული ან გაურკვეველი გრძნობა თუ განწყობილება.

მაგრამ ადამიანის გონი არ შეიძლება იყოს ჩაკეტილი და მხოლოდ ინდივიდუალური. ფსიქიკას, პირველ რიგში, კოლექტიური ფუნქცია აკისრია. ამიტომაც პიროვნული არაცნობიერი დაფუძნებულია ფსიქიკის უფრო ღრმა ფენაზე, რომელიც შეძენილი კი არ არის, არამედ თანდაყოლილია, სწორედ ეს არის იუნგისეული კოლექტიური არაცნობიერი, რომელსაც იგი უნივერსალურს უწოდებს. იგი საერთოა, ერთგვაროვანი და საყოველთაო მთელი კაცობრიობისათვის. ამასთან ერთად, კოლექტიური არაცნობიერი შეიძლება იყოს თავისებური და შეზღუდულიც. ეროვნული არაცნობიერი არის გარდამავალი ზოგადსა და პირადულ არაცნობიერს შორის (იუნგი 1924; იუნგი 1991; იუნგი 1995).

„კოლექტიურ არაცნობიერში არაფერია მისტიკური, – წერდა კ. გ. იუნგი, – ეს მხოლოდ მეცნიერების ახალი დარგია. მართალია, ადამიანი ისე იზადება, რომ არ გააჩნია ცნობიერება, მაგრამ მისი გონება არ არის ცარიელი დაფა. მას საკუთარი ისტორია აქვს. გონება მილიონობით წლების განმავლობაში ვითარდებოდა. ამიტომ იგი აღადგენს იმ ისტორიას, რომლის შედეგსაც თვითონ წარმოადგენს. ყველა ადამიანს სხეულის ერთი სტრუქტურა აქვს – ორი თვალი, ორი ყური, ერთი გული და ა.შ. შინაგანადაც ჩვენ ყველანი ასევე მსგავსნი და ერთიანნი ვართ...“ (იუნგი 1991: 137).

კოლექტიური არაცნობიერი, კ. იუნგის მიხედვით, წინაისტორიული შემეცნების ნაკვალევია, რომელსაც ადამიანი არქექტიპების ფორმით შემოინახავს.

მისთვის არქექტიპი არის არაცნობიერი პირველსახე, პირველადი სქემა, რომელიც აპრიორულად არის მოცემული ცნობიერებაში. არქექტიპები მეორდებათ თაობიდან თაობაში, ცნობიერებაში ილექებიან და, თავის კონკრეტულ – ისტორიულ საფუძველს მოკლებულნი, ეშვებიან „კოლექტიური არაცნობიერის“ დონეზე განზოგადებული გრძნობითი ხატის სახით. ამავე დროს, არქექტიპი ცარიელი ფორმაა, მოლექულის აგრეგატია, რომელიც კონკრეტულ შინაარსს მხოლოდ ცნობიერებაში იძენს. არქექტიპის აღდგენა, გახსენება და განმეორება არაცნობიერად ხდება. თუმცა კი საჭიროა გარკვეული პირობები იმისათვის, რომ არქექტიპები ამოქმედდნენ, ხორცი შეისხან, გამოვლინდნენ. არქექტიპი განსაზღვრავს ადამიანის სულიერებას, აზროვნებას, გრძნობებს, ინტუიციას. არქექტიპი თავის თავში მოიცავს კაცობრიობის როგორც გარკვეული მთლიანობის საერთო თვისებებს. არქექტიპი ყოველთვის შეიცავს მითოლოგიურ მოტივს, მითოსურ სახეთა წარმოჩენის ტენდენციას. ეს წარმოდგენები დეტალებში ხშირად განსხვავდებიან, მაგრამ არასოდეს კარგავენ მითოსური ცნობიერისათვის დამახასიათებელ ძირითად საფუძველებს (იუნგი 1924; იუნგი 1991; იუნგი 1995).

ამიტომაც იუნგისთვის მითოლოგია არის არაცნობიერის გაშლის პროცესი. იგი მითს განიხილავს როგორც არაცნობიერი ფსიქიკის, არქექტიპების პროექციის შედეგს, რომელიც მითში მეტაფორულ სიმბოლიკას იძენს. არქექტიპი არის ფსიქიკის აპრიორული ფორმა, რომელიც სპონტანურად აღმოცენდება. იგი კაცობრიობისათვის ის საერთო ჩონჩხია, რომლის ხორცშესხმა მითშია განსახიერებული. არქექტიპთა ეს ხასიათი მიაჩნია კ. გ. იუნგს ერთმანეთისაგან დამორებული, სრულიად სხვადასხვა ხალხის მითებში გამოვლენილი მოტივებისა თუ ხატების ერთიანობისა და გასაოცარი მსგავსების უმთავრეს მიზეზად.

თავის ნაშრომებში კ. გ. იუნგი არაერთ არქექტიპს იხილავს. შედარებით ფართოდ კი ოთხ ძირითად არქექტიპს განიხილავს. ერთია ტრიკსტერი, რომელიც ადამიანის არაცნობიერ ფსიქიკაშია შექმნილი. ტრიკსტერი პირველყოფილი, კოსმოსური არსებაა, რომელსაც ერთსა და იმავე დროს ადამიანური, ღვთაებრივი და ცხოველური ბუნება აქვს. ერთი მხრივ, ტრიკსტერი ადამიანზე ძლიერია, ამავე დროს უფრო სუსტი, რისი მიზეზი მისი გონების გაუცნობიერებლობაა. ტრიკსტერის სახე, ძირითადად, მითებსა და ფოლკლორში არის გამოვლენილი (იუნგი 1991).

კ. გ. იუნგის მიერ განხილული მეორე არქექტიპი გახლავთ აღორძინება, რომელიც სხვადასხვა სახით არის გამოვლენილი – სულების გადასახლება, რენკარნაცია, პიროვნების უწყვეტობა, როდესაც ხელახალი დაბადება იმავე ადამიანშია განხორციელებული, სიკვდილის შემდეგ ადამიანის აღდგენა მისი ბუნების ტრანსფორმაციით და სხვ.

სულის, ანუ ანიმა-ანიმუსის არქექტიპი ყველაზე ბუნებრივია. იგი თავის თავში აერთიანებს არაცნობიერი ფსიქიკის ყველა ძირითად ნიშანსა და თავისებურებას. ის სიცოცხლის ქაოტურობასაც გადმოგვცემს. ყველაზე მეტად უკავშირებს პიროვნებას საკუთარ მეს. იგი უაღრესად კონსერვატული არქექტიპია, რომელიც მთლიანობაში ინახავს კაცობრიობის მთელ მონაპოვარს.

ამ არქექტიპთან დაკავშირებული გარემო განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, იგი ტაბუირებულია, მაგიური. სული, ანიმა ერთდროულად კეთილიც არის და ბოროტიც, აზრიანიც და უაზროც, ბრძნულიცა და უგუნურიც. ანიმუსი ადამიანის ცნობიერებაში რაციონალური საწყისია, ხოლო ანიმა-ემოციური. ანიმა მამაკაცის ავტონომიური შინაარსია და გამოხატავს ქალურ ფსიქიკურ ელემენტებს მამაკაცის ფსიქიკაში. ამიტომაც სიმბოლურად მას ქალი წარმოგვიდგენს. იგი განასახიერებს სახეთა ფართო სპექტრს – კუდიანი, ავი დედაბრით დაწყებული და ბრძენი ქალღმერთით დამთავრებული.

ანიმუსი, შესაბამისად ქალის ცნობიერებაში არსებულ მამაკაცურ საწყისს აღნიშნავს. მას მამაკაცი განასახიერებს, რომელთა სახეებიც უაღრესად განსხვავებულნი და მრავალფეროვანი არიან. ამ არქექტიპს მითოსურ ცნობიერებაში ორსქესიანი არსებებიც გამოხატავენ.

კ. იუნგისათვის ქალური საწყისის უმაღლეს გამოვლენად დედის არქექტიპია მიჩნეული. იგი თავის თავში აერთიანებს ღვთაებრივ ქალთა ყველა სახეს – დაწყებული კიბელათი, დემეტრათი და ზღაპრის ავი დედაბრით დამთავრებული.

კ. გ. იუნგი დემეტრას უარყოფით ვარიანტად ჰეკატას მიიჩნევს, განიხილავს მათ როგორც თავისებურ წყვილს – დედა-ქალიშვილი. ამგვარი წყვილი მითოსში უაღრესად დიდ როლს თამაშობს, იგი გააზრებული უნდა იყოს, როგორც თაობათა ცვლის იდეის გამომხატველი, როგორც უკვდავების მიღწევის საშუალება, ვინაიდან ლევი-ბრიულის პარტიფიკაციის პრინციპის თანახმად, რომელსაც კ. იუნგი უდიდეს შეფასებას აძლევს, ბავშვის სული დედის სულშიც არსებობს,

შვილის უმწიფრობასა და სისუსტეს დედის ხანდაზმულობა და სიბრძნე ავსებს (იუნგი 2011).

იუნგის „სიღრმისეულ ფსიქოლოგიაში“ არქეტიპი ადამიანის არაცნობიერის სტრუქტურირების საფუძველია, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს ცნობიერს. ადამიანის არაცნობიერში ორი შრეა: ზედაპირულ-პერსონალური და სიღრმისეულ-კოლექტიური, სადაც ინდივიდუალური კი არ ვითარდება, არამედ მემკვიდრეობით გადაეცემა და მხოლოდ განმეორების პროცესში შეიძლება განხორციელდეს. უძველეს ხანაში ისინი სამყაროს სტრუქტურირების საფუძველს წარმოადგენდა. სტრუქტურირება, ოღონდ ადამიანის არაცნობიერის სფეროსი არქეტიპსაც ეკისრება.

ანდაზის ზედაპირულ დონეზე შეიძლება სხვაგვარი ოპოზიცია იყოს წარმოდგენილი, მაგრამ სიღრმისეულ დონეზე – სხვაგვარად ცნობიერდება „შემოდგომის მზე – ქალსაო, გაზაფხულის – რძალსაო“ ე.ი. სწორედ სიღრმისეული, არქეტიპული ცოდნის ანუ სამყაროს შინაგანი კანონზომიერებების შესახებ ცოდნის გამოხატვა არის ანდაზის ფუნქცია.

- ანდაზის ლინგვისტურად კვლევა შეიძლება რამდენიმე კუთხით მოხდეს:
- .ისტორიულ-დიაქრონულ ჭრილში განხილვა, მონათესავე ენებთან შედარება და ამ ენათა ანდაზების კორპუსში აღმოჩენილ მსგავსება-განსხვავებათა გაანალიზება;
 - .არეალური თვალსაზრისით, სადაც ანდაზათა გავრცელებულობის სიხშირესაც უფრო დიდი ყურადღება მიექცევა;
 - .შეიძლება ანდაზის სემანტიკური მოდელის სტრუქტურული კვლევა, რისი გაკეთებაც სწორედ ახლა დავისახეთ მიზნად.

სემანტიკური თვალსაზრისით მეტყველებისა და სმენითი აღქმის აღმნიშვნელი სიტყვების შემცველი ანდაზები ავიღეთ, აქ ორი ჯგუფი გამოიყო: 1) სადაც ცნებათა აღმნიშვნელი ლექსიკა მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით გამოიყენებოდა – საქმე დათვი ხომ არაა, ტყეში გაიქცესო – *უთქვამს ზარმაცს*; 2) გარკვეული მნიშვნელობის მქონე კონსტრუქციაში, თუმცა აქაც ხშირ შემთხვევაში ზედაპირულ დონეზე გამოხატავს მნიშვნელობას – მეტყველებას, სიღრმისეულ დონეზე კი სულ სხვა არქეტიპს გულისხმობს.

ანდაზის სტრუქტურა და ბუნება ძალიან კარგად მჟღავნდება თავად გამოყენებისას. სამეტყველო აქტის პროცესში მოსაუბრე გარკვეულ სათქმელს

იმპლიციტურად გადასცემს მსმენელს. იმპლიციტურად გადაცემა მაშინ ხდება, როცა მოსაუბრეს არ ძალუძს, ან არ სურს სათქმელის ექსპლიციტურად გამოხატვა. ე.ი. ქარაგმულად სჭირდება სათქმელის გამოხატვა. აქ ვერ ვისაუბრებთ ენის უუნარობაზე, რამაც თითქოს შეიძლება გამოიწვიოს ანდაზის ანუ იმპლიციტური ფორმის არჩევა. მეტყველი თავად ირჩევს ფორმას და იგი დარწმუნებულია, რომ აღმქმელი სწორად გაუგებს მას. მეტყველებაში ანდაზა საკმაოდ ხშირად იხმარება, უფრო ხშირად, ვიდრე მეტაფორა, რაც გამოწვეულია მისი განზოგადებული, ინფორმაციით დატვირთული შინაარსითა და სხარტი ფორმით. უნდა გავითვალისწინოთ ხალხში გავრცელებულობის კოეფიციენტიც, მისი ამოცნობა სამეტყველო აქტისას საკმაოდ რთულია, თუ ანდაზა მეტაფორულია. ნებისმიერი იმპლიციტური გამონათქვამის გამოყენებისას მსმენელს უხდება „სემანტიკური ძიების“ გამოყენებით ანდაზის იმპლიციტური შინაარსის გამოვლენა და, მეორე მხრივ, ილოკუციური ძალის ეფექტის დადგენა სიტუაციის გათვალისწინებით. ანდაზას ახასიათებს ფიქსირებული სემანტიკა, ფიქსირებული კონტექსტი, თუმცა მაქსიმალურად ზოგადია. ყოველი გამოყენების შემთხვევაში იგი კონტექსტში თავისუფლად ჯდება და იძენს კონკრეტულ იმპლიციტურ შინაარსს. როდის და რას – ეს უკვე მეტყველზეა დამოკიდებული.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ანდაზას, რა თქმა უნდა, აქვს ზედაპირული და სიღრმისეული დონე; შეიძლება ითქვას, ანდაზის სემანტიკური სტრუქტურის სიღრმისეული შრეები წარმოადგენს ზედაპირული შრის იმპლიციტურ შინაარსს. ანდაზის გადატანითი, სიღრმისეული მნიშვნელობა ზედა შრეზე მდებარე მეტაფორის შუალედურ შრეს ქმნის აღქმის პროცესში. ე.ი. ყველა წინადადებას აქვს სიღრმისეული და ზედაპირული შრე, მაგრამ სადაც მეტაფორული მნიშვნელობა გვაქვს, იქ შუა შრეც გამოიყოფა.

შესაბამისად, ქართული და არაქართული *მეტყველებისა და აღქმის* მნიშვნელობის შემცველი ანდაზების შესწავლისას სამი შემთხვევა გამოიყო: 1) სრული დამთხვევა; 2) მხოლოდ აზრობრივი დამთხვევა; 3) ქართულში არსებული, მაგრამ სხვა ენებში არარსებული (ან ვერმოდებელი) და პირიქით; პირველი ორი ჯგუფი მრავალრიცხოვანია და მეტად მრავალფეროვანიც. ბოლო ორი კი – პირიქით.

განვიხილოთ მაგალითები:

1) Il faut bien faire et laisser dire საქმე კარგად აკეთე და გაუშვი ილაპარაკონ.

Parole ne que point სიტყვას სუნი არა აქვს.

Laissez dire les sots, le savoir a son prix ბრიყვმა რაც უნდა თქვას, ცოდნას თავისი ფასი აქვს.

Laissez dire et allez toujours votre train დაე, ილაპარაკონ, თქვენ მუდამ თქვენი საქმე აკეთეთ.

ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო

წისქვილს ჩემი ეყაროს და ვინც რა უნდა თქვასო.

ვინც რა უნდა თქვასო და ჩვენ კი ჩვენი ვქნათო.

დაცინვას კაცი არ მოუკლავს.

თავსიცილი კაცს არ მოკლავსო.

Речь вести — не лапти плести.

За умную речь хвалят, за дурную хают.

Речь как меч: сечет и правого, и виноватого.

Речами тих, да сердцем лих.

Язык мой, а речи не мои говорит.

Хорошая речь лучше меда.

Речи как снег, а дела как сажа.

Ваша речь впереди.

Без углов дом не строится, без пословицы речь не молвится.

Хорошую речь приятно и слушать.

Речи королевские, а дела нищенские.

Речи слышим, а сердца не видим.

Знать птицу по перьям, а молодца по речам.

Речи, что мед, а дела, что полынь.

Речи, что с воды, да темно дело последи.

Речи, что снег, а дела, что сажа.

В долгих речах и короткого толку нет.

Умные речи добро (приятно) и слушать.

Речист, да на руку нечист.

Речист, как наш Феклист.

И платье чисто, и речь честна.

За дурную речь – голову с плеч.

Денег ни гроша, да речь хороша.

Голая речь не пословица.

Глупые речи – что пыль на ветру.

Всех речей не переслушаешь.

Le vin delie la langue ღვინო ენას ხსნის.

Ce que le sobre tient au coeur est sur la langue du buveur რაც ფხიზელს გულში აქვს, ის მთვრალს ენაზე აკერია.

ღვინო ადამიანს ალაპარაკებსო.

რაც ფხიზელს გულში აქვს, ის მთვრალს ენაზეო.

ღვინო კაცს სწორს ათქმევინებსო.

еседа дорогу коротаает.

Блюди хлеб на обед, а слово на ответ.

Брюзжит — что худая муха в осень.

Быть по-сказанному как по-писаному.

В добрый час молвить, в худой промолчать.

В закрытый рот и муха не залетит.

В зубах не удержал, а в губах не удержишь.

Ваша речь впереди.

Велик звон, да не красен.

Ветры горы разрушают — слово народы подымает.

Ветряная мельница да баба-бездельница мелют без устатку.

Всех речей не переслушаешь.

Всякая прибаска хороша с прикрас кой.

Всякая сорока от своего языка погибает.

Выпустил словечко — не догонишь и на крылечке.

Где много слов, там мало правды.

აქმასთან დაკავშირებულნი:

Ce conseil est bon, mais il n`en faut guère user კარგი რჩევაა, მაგრამ არ გამოდგება.

Un bon avis vaut un oeil dans la main კარგი რჩევა ძვირი ღირს (ხელში ვალის დაჭერად ღირს)

Ici les conseillers n`ont point de gages დაუპატიჟებელი მრჩეველი საჭირო არაა.

ყველა რჩევა-დარიგება მისაღები არააო.

კარგ რჩევას ფასი არა აქვს.

არამკითხე მოამბეო, მიტყიპე და მიაგდეო.

2) En parlant du loup on en voit la queue

Quand on parle du loup on en voit la queue მგელზე რომ ლაპარაკობენ, მის კუდს ხედავენ.

En parlant du soleil on voit ses rayons მზეზე რომ ლაპარაკობენ, მის სხივებს ხედავენ.

Quand on parle du loup on en voit les cornes როცა ეშმაკზე ლაპარაკობენ, მის რქებს ხედავენ (მგელი წერია, მაგრამ ეშმაკად თარგმნეს, სავარაუდოდ, რქების გამო. შესაძლოა, გარკვეულ კუთხურ მეტყველებაში ჰქონდეს მგელს მსგავსი შინაარსობრივი დატვირთვა, თუმცა ვერ დავადასტურებთ).

ძალდი ხსენებაზეო.

ძალდი ახსენე და ჯოხი ხელში დაიჭირეო (მოიმარჯვეო).

კარგი ცხენი ხსენებაზეო.

სტრუქტურა აბსოლუტურად ერთია, შინაარსიც ერთია, მაგრამ დადებითი და უარყოფითი განწყობა განასხვავებს.

აღქმის აღმნიშვნელი:

A bon entendeur salut სალამი კარგ გამგონესო.

A bon salut, bon accueil კარგ სალამს კარგი შეხვედრა უნდა.

ბრძენო ყურო სადა ხარო.

როგორც დამიკრავ ფანდურსა, მეც ისე დაგიროკდებო.

როგორც დამიტაშდები, ისე დაგითამაშდებო.

3) მოყვარეს პირში უძრახე, მტერს – პირს უკანაო.

მოკეთემ პირში უთხრა, მტერმა უკან უძრახაო.

ამ ანდაზებს მიახლოებითი ცალეხი დაეძებნა, მაგრამ შინაარსი ბოლომდე სრულად არ არის გადმოცემული:

Amer à la bouche, doux au coeur პირისათვის მწარე, გულისათვის ტკბილი

Bons mots n' épargnent nul მახვილი სიტყვა არავის ინდობს.

Por la boca muere el pez ჩემი ენა ჩემი მტერია.

აღქმის გამომხატველ ამ ანდაზებს შესატყვისი თითქმის ვერ აღმოვუჩინეთ:

სიტყვის თქმა რომ გინდოდეს, ჯერ გამგონი გასინჯეო.
ბრძენს როცა ლაპარაკი უნდა, გამგონეთ გასინჯავსო.
ბეჟანმა თქვა: გაგონილი ნახულთან არ იქნებაო.
დიდს ეუბნებოდნენ და პატარას ასმენდნენ და აგულისხმებდნენო.
ერთ ყურსა ჰქვიან ისმინეო, მეორეს კი – ისხლიტეო.
კაი მთქმელს კაი გამგონე უნდა.
ქვევრს რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებს.
შენ რომ გგონია ერბო – ქონია.
ძაღლსა სცემდნენ და რძალს ასმენდნენ.

Il n`aura pas de langue pour la moitié de sa vie – თუ ასე ბევრს ილაპარაკებს, არ ეყოფა
სიტყვები ცხოვრების ბოლომდე.
Ne crie pas sur les toits ce qu`on t`a confié à l`oreille – ნუ გაახმაურებ იმას, რაც ყურში
გითხრეს.
Compagnon bien parlant vaut en chemin chariot branlant – კარგი მოლაპარაკე
თანამგზავრი გზას ამოკლებს.

საანალიზო გამონათქვამთა ჩამონათვალი :

Говори, да не заговаривайся!

Говори, да не спорь, а хоть и спорь, да не вздорь!

Говорит до вечера, а слушать нечего.

Говорит — как горох к стене лепит.

Говорит — как клещами на лошадь хомут тащит.

Говорит красиво, да слушать тоскливо.

Говорит три дня, а все про злыдни.

Говорит — что плетень плетет.

Говорится на глум, а ты бери себе на ум.
Говорить — беда, а молчать — другая.
Говорить, так договаривать, а не договаривать, так и не говорить.
Говорить умеет, да не смеет.
Говорит по секрету, а выйдет по всему свету.
Говорят про Фому, а он про Ерему.
Губы да зубы — два забора, а удержу нет.
Дал бог и немому речь.
День-деньской — как за язык повешенный.
Держи язык короче.
Держи язык на привязи.
Длинный язык — короткие мысли.
Для красного словца не пощадит ни матери, ни отца.
Доброе молчанье лучше пустого бормотанья.
Доброе слово железные ворота отопрет.
Доброе слово и кошке приятно.
Доброе слово лучше мягкого пирога.
Доброе слово сказать — посошок в руки дать.
Доброе слово человеку — что дождь в засуху.
Долго думал, да хорошо сказал.
Дурное слово — что смола: пристанет — не отлепишь.
Если сидишь на печи, так побольше молчи.
Ешь калачи, да меньше лепечи.
Ешь пирог с грибами, а язык держи за зубами!

Жало остро, а язык острей того.

Живое слово дороже мертвой буквы.

За грехи языка губы терпят.

За словом в карман не полезет.

За твоим языком не поспеешь босиком.

За худые слова слетит и голова.

Затоковал что глухарь.

Звонить во все колокола.

Звону много, да толку мало.

И гладко стружит, и стружки кудрявы.

И доброе слово не уймет злого.

Из-за одного слова да вечная ссора.

Из одних слов шубы не сошьешь.

Из пустого в порожнее переливает.

Иной речист, да на руку не чист.

Иной хлеб достает горлом, а иной — горбом.

Как сказано, так и сделано.

Какой муж, такова и речь.

Каков разум, таковы и речи.

Какова речь, таков и склад.

Каркает как ворона.

Кланяться горазд, а говорить не умеет.

Когда он заговорит, то и собаке не дает слова сказать.

Кому петь, как не петуху.

Короткие речи — и слушать неча.

Коротко, да узловато сказано.

Коротко, да ясно, оттого и прекрасно.

Короткую речь слушать хорошо, под долгую речь думать хорошо.

Короток язык, так вытянут, а длинен, так скоротают.

Кос очами, крив речами.

Красна речь слушаньем, а беседа смиреньем.

Красно поле пшеном, а беседа — умом.

Красное словцо — не ложь.

Красную речь красно и слушать.

Кстати промолчать — что большое слово сказать.

Кто говорит, тот сеет; кто слушает, тот собирает.

Кто мало говорит, тот больше делает.

Кто много болтает, тот беду на себя накликает.

Кто словом скор, тот в деле не спор.

Ласковое слово — что вешний день.

Ладно баюкаешь, да сон не берет.

Лепечет как сорока.

Лишнее говорить — себе вредить.

Лишнее слово в досаду вводит.

Лучше не договорить, чем переговорить.

Лучше оступиться, чем оговориться.

Льстец под словами — змей под цветами.

Мал язык, да всем телом владеет.

Мало говори, больше услышишь.

Малое слово большую обиду творит.

Мелет день до вечера, а послушать нечего.

Мелет и жернов, и язык.

Мели, Агаша: изба-то наша.

Много грому по-пустому.

Много дыму, да мало пылу.

Много кудахтанья, а яиц нет.

Много шума — мало толку.

Многословие — не без пустословия.

Молча губами не разводи!

Молча отмолчишься, как в саду отсидишься.

Молчание — знак согласия.

Молчание — золото.

Молчание — золотое словечко.

Молчи — коли бог разуму не дал!

Молчит — как воды в рот набрал.

На великое дело — великое слово.

На добром слове кому не спасибо?

На гнилое слово держи ухо глухо.

На первой встрече да озорные речи.

На уши оскомину набить.

На язык пошрины нет.

Наговорил семь верст до небес — и все лесом.

Наш брат Исайка — без струн балалайка.
Не бросай слова на ветер.
Не в бровь, а в глаз.
Не в обиду будь сказано.
Не все сказывай, что помнится.
Не всякое лыко в строку.
Не всякое слово в строку.
Не говорит — ум копит; а скажет — нечего слушать.
Не давай волю языку во пиру, а сердцу во гневе.
Не давши слова — крепись, а давши — держись.
Не доищется слова.
Не ножа бойся — языка!
Не при вас будь сказано.
Не пройми копьем, пройми языком!
Не шути с таким шуток, кто на всякое слово чуток.
Недолго думал, да хорошо молвил.
Нем как рыба.
Нем, да свое ем; а речист, да не плечист — голодный сидит.
Немного говорит, да много смыслит.
Немного слов, да много дела.
Нескладно, да ладно.
Ни ткаха, ни пряха, а язык как плаха.
Ни складу, ни ладу, ни толку.
Никто бы про тебя не знал, когда бы сам не сболтал.

Никто за язык не тянет.

Ну и шепоток — во весь роток!

О волке помолвка — а волк и тут.

Одна голова — два языка.

Он речь сквозь зубы цедит.

Осла узнаешь по ушам, а дурака — по словам.

Острый язык — дарованье, длинный язык — наказанье.

От доброго слова язык не усохнет.

От одних слов толку мало.

От одного слова — да навек ссора.

От свиньи визгу много, а шерсти мало.

От слова до дела — бабушкина верста.

Петь не пой, а подтягивай.

Петь хорошо вместе, а говорить порознь.

Плохо жить без забот, худо без доброго слова.

По чужим словам как по лестнице идет.

Поймать на слове.

При всякой встрече все те же речи.

Пустая бочка пуще гремит.

Пустая мельница и без ветру мелет.

Пустые разговоры оскомину набили.

Разговор один на один.

Рана от копья — на теле, рана от речей — в душе.

Руки — не крюки, да язык что кляп.

С тобой говорить — решетом воду носить.

С тобой разговориться что меду напиться.

Сам поет — сам слушает.

Сам поет соловьем, не зная о чем.

Сама скажет сорока, где гнездо свила.

Сболтнул бы коток, да язык короток.

Скажешь — не воротишь, напишешь — не сотрешь, отрубишь не приставишь.

Скажешь слово, а прибавят десять.

Сказал — как ножницами отрезал.

Сказал — как топором отрубил.

Сказанное слово — серебряное, а несказанное — золотое.

Сказать — смешно, утаить — грешно.

Складно бает, да дела не знает.

Сколько ни говорить, а с разговоры сыту не быть.

Сколько ни толковать, а всего не перетолковать.

Скучное занятие — игра в молчанку.

Слова серебряные, посулы золотые.

Словами горю не поможешь.

Словами и туда и сюда, а делами никуда.

Слово к делу не пришьешь.

Слово крепче печати.

Слово — не воробей, вылетит — не поймаешь.

Слово — не воробей, вылетит — жди беды.

Слово — не стрела, а пуще стрелы разит.

Слово сказал, так на нем хоть терем клади.
Словом и комара не убьешь.
Соловья баснями не кормят.
Типун тебе на язык.
Тихое молчанье — никому не ответ.
То же слово, да не так бы молвить.
Ты ему слово, а он тебе десять.
У нас собака осердилась, так неделю не лаяла.
У него вехотка во рту.
У него на всякий спрос есть ответ.
У него рот без застежек.
У него слово слову костыль подает.
У него что на уме, то и на языке.
У него язык длинен.
У него язык — как бритва.
У него язык ниткой перевязан.
У языка костей нет, как хочет, так и ворочается.
Умные речи приятно и слушать.
Хорошая речь лучше меда.
Хоть слово не обух, а от него люди гибнут.
Что нескладно, то и неладно.
Чьи-то курочки несутся, а наши в крик пошли.
Шила, мыла, гладила, катала — и все языком.
Это камень в наш огород.

Язык без костей — намелет на семь волостей.

Язык голову кормит.

Язык голубит, язык и губит.

Язык до Киева доведет.

Язык и то поведает, чего голова не ведает.

Язык мой, а речи не мои говорит.

Язык мой — враг мой: прежде ума рыщет, беды ищет.

Язык поит, и кормит, и спину порет.

Язык разум открывает.

Язык — стяг: дружину водит.

Язык хлебом кормит и дело портит.

Язык что осиновый лист: во всякую погоду треплется.

Языком гладок, а душою гадок.

Языком кружева плетет.

Языком молоть — не дрова колоть, спина не заболит.

Яркое слово смущает сердце.

ჩვენ მიერ აღებული *მეტყველება* და *აღქმა* ისეთი შინაარსითა და სპეციფიკურობით ხასიათდება (ყველა ენაში არსებობს, თანაც კარგად განვითარებული სიტყვათა მარაგით), რომ საზოგადოს, საერთოს პოვნა უფრო ადვილია თუნდაც ასე დაშორებულ ენებს შორის, ვიდრე მათ შორის განსხვავებისა. ამასთან, იმ მცირერიცხოვანი განსხვავების აღმოჩენაც მეტად საინტერესო გვეჩვენება მასობრივი დამთხვევის ფონზე.

ჩვენ არ შეგვიძინებია გავრცელებულობის სიხშირე, ცნობილია, რომ ზოგი ანდაზა საყოველთაოდაა გავრცელებული, ზოგიც – არა. აღსანიშნავია, რომ

სახელმძღვანელოებსა და ყველაზე ხშირად ხმარებადი ანაზებისა თუ იდიომების სიებში (რაც ინტერნეტსახელმძღვანელოებსა და პოპულარულ საიტებზე საკმაოდ იოლი გასაანალიზებელია) მეტყველებისა გამომხატველი გამონათქვამები გაცილებით პოპულარული და ხშირად გამოყენებადია ქართულ და რუსულ ენებში, ხოლო ევროპულ ენებში ეს შინაარსობრივი ჯგუფი საკმაოდ იშვიათია, ასფრაზიან ჩამონათვალში მხოლოდ 5-6 ცალი გვხვდება, მაშინ როცა, ქართული და რუსული სინამდვილე გაცილებით ხშირად იყენებს მათ ყოველდღიურობაში. (დაახლოებით, 20-25 გამონათქვამი ასი შესიტყვებიდან). ამ შემთხვევაში სავარაუდო დასკვნის გაკეთება მხოლოდ ეთნო-კულტურული ღირებულებების სხვადასხვაგვარი გადანაწილებით შეგვიძლია, რაც საკმაოდ საინტერესოა.

3.2. ფრაზეოლოგიზმების განხილვა

სიტყვის მნიშვნელობასთან სტრუქტურული მიდგომისას ორი მნიშვნელოვანი ასპექტი უნდა გამოვყოთ: 1. სიტყვის ზოგადი მნიშვნელობა და ამ მნიშვნელობის კომპონენტები და 2. სიტყვის კონტექსტუალური მნიშვნელობები. ჩვენი მიზანია გამოვიკვლიოთ მეტყველებისა და სმენითი აღქმის ცნებების აღმნიშვნელი სიტყვები, შევეცადოთ მათზე დაკვირვებას ცალკე და მყარ გამონათქვამებში და წარმოვადგინოთ სიტყვის განვითარების კონტექსტუალური მნიშვნელობებიდან გამომდინარეობს ფრაზეოლოგიზმებში მისი ხმარება, ხაზი – რომელმა სიტყვამ მეტი ცნება მოგვცა და იტვირთა და ა.შ.

დედუქციურ მეთოდზე დამყარებულმა თეორიულმა ანალიზმა შემდეგი შედეგი მოგვცა: საკვლევ ერთეულს ერთდროულად აღმოაჩნდა ანალიტიკური და ფრაზეოლოგიური შესიტყვებებისთვის დამახასიათებელი ნიშნები.

1. შესიტყვებაში შემავალი სრული მნიშვნელობის მქონე სიტყვის გვერდით ხმარებული, ირიბი ნომინაციით, სემანტიკური ტრანსპოზიციის შედეგად მიღებული, ავტონომიურ ნომინაციას უნარმოკლებული სატელიტი კომპონენტი ფუნქციურად დამხმარე სიტყვას უტოლდება და ამ ნომინაციურ ერთეულებს ანალიტიკურ შესიტყვებებს ამსგავსებს (დმიტრიევა 1971: 37)

2. ფრაზეოლოგიზმის განსაზღვრებისთვის შემდეგი ფორმულირება მიგვაჩნია მართებულად: ფრაზეოლოგიზაცია ნიშნავს შესიტყვების ხარისხობრივად ახალ მოვლენაში, ფრაზეოლოგიურ ერთეულში ტრანსფორმაციას (ჟორჟოლიანი 1987).

ფრაზეოლოგიის საზღვრების განმსაზღვრელ კრიტერიუმებად ვიღებთ: 1. ფრაზეოლოგიზმი, სიტყვისგან განსხვავებით, ორი ან ორზე მეტი სიტყვისგან შემდგარ, ცალკე გაფორმებულ მთლიანობას წარმოადგენს. მისი სტრუქტურული ერთიანობა დაუშლელი ანუ მონოლითური უნდა იყოს, ხოლო კომპონენტები – ჩაუნაცვლებელი. 2. მნიშვნელოვანი მახასიათებელია ენაში მათი ხმარების რეგულარობა. 3. ფრაზეოლოგიზმი მეტყველებაში მზა სახით აქტუალიზდება და არ იქმნება მეტყველების პროცესში, რაც გამორიცხავს მის ოკაზიონალურობას. 4. ამ ერთეულებს ერთი სიტყვის ან ყველა კომპონენტის სემანტიკური ტრანსფორმაცია უნდა ახასიათებდეს და სიტყვის ბმული ტიპის მნიშვნელობას წარმოადგენს. (ონიანი 1970; ავალიანი 1970; ჟორჟოლიანი 1987).

ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით, ანალიტიკურ და ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებს შორის არსებობს გარდამავალი კლასი, რაზეც ჯერ კიდევ შ. ბალი მიუთითებდა (ბალი 1905, 17).

ნომინალური ერთეულები ირიბი ნომინაციის შედეგია (თელია 1981), რომელიც ავტონომიურ-მეორეულ და ფრაზეოლოგიურ ნომინაციებს შორის გარდამავალია, ხოლო მათი ლექსიკური მნიშვნელობა დერივაციული ბმულია და ლექსიკურ მნიშვნელობათა ტიპოლოგიაში სინტაქსურად განპირობებულსა და ფრაზეოლოგიურად ბმულს შორის შუალედურ რგოლს წარმოადგენს (შმელოვი 1973.)

მეტაფორის დონეების, სიღრმისეული (სემანტიკურ-სინტაქსური და კოგნიტიური) და ზედაპირული სტრუქტურების სახით წარმოგვიდგენს, აქ მეტაფორას წარმოქმნის ეტაპებად განიხილავენ, თუმცა მაკკორმაკის მსგავსად მიაჩნიათ, რომ ისინი ადრესატის მიერ ერთ მთლიანობად და ერთდროულად, სინერგიულად აღიქმება.

მაკკორმაკი თავის მოდელს ზედაპირული სტრუქტურიდან სიღრმისეული მიმართულებით განიხილავს, ხოლო ნ. სანაია – პირიქით, სიღრმისეულიდან ზედაპირულისკენ (სანაია 2009: 25-32).

ნ. სანაია წარმოდგენს ლინგვისტური ცნებების ახლებურ ინტერპრეტაციას, როგორცაა მეტაფორული მნიშვნელობის შინაგანი ფორმა და მეტაფორული ხატი. აქ შინაგანი ფორმა ანუ შიდაფორმა, გაკისა და თელიასაგან განსხვავებით, (რომლებიც მას მხოლოდ მოტივაციის ნიშნად განიხილავენ) მოაზრებულია როგორც მეტაფორული შესიტყვების დენოტატის ერთ-ერთი, ლოგიკურად და ემციურად გამოკვეთილი სემა. მას პირდაპირი ნომინაციების ან ავტონომიური მეტაფორების საფუძველზე აგებდნენ (გოლიაკოვა 1956; ბერლინი 1960; ბალდინგერი 1964; გოლოვნიოვა 1989; ზაონეგინი 1972).

ნ. სანაიას ხაზს უსვამს, რომ მეტაფორული ბმული ანალიტიკური სტრუქტურების სემანტიკური სტრუქტურის სემური შემადგენლობისა და მეტაფორის ფუნქციური ტიპის ურთიერთდამოკიდებულებას და ამ დამოკიდებულების მსგავსებას მენდელეევის ქიმიურ ტაბულასთან. არუთინოვას (არუთინოვა 1978) მიერ შექმნილ მეტაფორის ფუნქციურ ტიპოლოგიასა და ბმული ტიპის მეტაფორულ მნიშვნელობაში შემავალი სემების რაოდენობას შორის იგი პირდაპირი დამოკიდებულებას პოულობს. მის ნაშრომში მაიდენტიფიცირებელი და კოგნიტიური ტიპის ბმული მეტაფორის სემანტიკური სტრუქტურა მხოლოდ დენოტაციით ხასიათდება, მაშინ როდესაც ხატოვან მეტაფორას სემანტიკურ სტრუქტურაში პრესუპოზიციური ხასიათის მქონე მეტაფორული ხატიც ემატება. შეფასებითი ტიპის შემთხვევაში იგი კიდევ ერთ, შეფასებით (კონოტაციურ) სემას დაირთავს, ხოლო ემოციური ტიპის შემთხვევაში ემოტივს, როგორც კიდევ ერთ კონოტაციურ სემას და ა.შ. ამგვარად, სემების რაოდენობის ზრდა მეტაფორის ხარისხობრივ ფუნქციურ ცვლილებებს იწვევს (სანაია 2009: 29-35).

ფრაზეოლოგიზმები ყველა ენაში არსებობს და მის გამომსახველ შესაძლებლობებს ამდიდრებს, ეს სიტყვათა ისეთი არაორდინალური წყებაა, რომელიც განსხვავებულ შინაარსს იძლევა, მათი პირდაპირი გაგება ენაში არასოდეს ხდება, ხოლო თარგმნისას ნამდვილ უაზრობას ვიღებთ. ენის მატარებელი მათ ისე იყენებს ყოველდღიურობაში, რომ ვერც აცნობიერებს მათ მეტად თავისებურ ბუნებას, ეს ერის ფსიქოლოგიური ბაზისის საინტერესო ასახვა გვგონია, რომელსაც მხოლოდ მაშინ ხვდება მომხმარებელი, როცა თარგმნაზე მიდგება საქმე. გავარკვიოთ ჩვენთვის საინტერესო ცნებები როგორ გამოვლინდებიან ფრაზეოლოგიზმებში, აქ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენდა გასაკვირად, ამ სიტყვათა მონაწილეობით არსებული ფრაზეოლოგიზმებიდან უმეტესობა სულაც არ გამოხატავს მეტყველებას, არამედ სრულიად განსხვავებულ მნიშვნელობას იღებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასოციაციით, მეტაფორიზაციითა და ა.შ. საკმაოდ შორს მიდიან. რაც შეეხება აღქმას – ფრაზეოლოგიზმები ძალიან ცოტაა როგორც ქართულში, ისე სხვა ენებში. აქ უფრო მოკლე, ლაკონური გამონათქვამები არსებობს, რაც, ალბათ, ლოგიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც აღქმასთან დაკავშირებით მოსალოდნელიც იყო:

.ფრაზეოლოგიზმთა დიდი ნაწილი არა მარტო აზრობრივ მსგავსებას გვიჩვენებს, არამედ სტრუქტურულსაც:

Se donner le mot – ერთმანეთისთვის სიტყვის მიცემა, პირობის დადება.

Jouer sur les mots//jouer avec les mots – სიტყვებით თამაში.

Tout est dit – ამით ყველაფერია ნათქვამი.

Parler comme un moulin – არახუნებს მოშლილი წისქვილივით. Нескладно, да ладно.

Mot trouvé – საჭირო სიტყვის პოვნა.

Dernier mot – ბოლო, გადამწყვეტი სიტყვა.

Vain mot – ცარიელი სიტყვები.

Ce n`est qu`un vain mot – От одних слов толку мало - ეს მხოლოდ სიტყვებია.

Tratar de Usted თქვენობით მიმართვა.

Pas un mot – არც ერთ სიტყვა.

En un mot //en un mot comme en cent – ერთი სიტყვით, საბოლოოდ.

Ce qui est dit est dit – რაც ითქვა, ითქვა.

A ce qu`on dit – როგორც იტყვიან.

En una palabra ერთი სიტყვით.

Entendre à demi-mot – ნახევარი სიტყვიდან გაგება.

Au premier mot – პირველივე სიტყვებიდან.

Хорошая речь лучше меда – პირიდან თაფლი ამოსდის.

У языка костей нет, как хочет, так и ворочается – ენას ძვალი არა აქვს.

У него язык длинен – გრძელი ენა აქვს.

У него язык — как бритва – Не ножа бойся — языка! - მჭრელი ენა აქვს.

У него рот без застежек – ენას არ აჩერებს.

Слово — не воробей, вылетит — жди беды –

Слово — не воробей, вылетит — не поймашь. გაფრენილ სიტყვას ვეღარ დაიჭერ.
(დაახლოებით)

У него на всякий спрос есть ответ – ყველაფერზე პასუხი აქვს.

Поймать на слове – სიტყვაზე გიჭერ.

Молчание — золотое словечко - Молчание — золото - Слова серебряные, посулы золотые. speech is silver, silence is golden ბიბლიური წარმოშობა

Никто за язык не тянет – ენაზე არავინ გეჭახება.

Нем как рыба – Молчит — как воды в рот набрал - თევზივით მუნჯი, პირში წყალი აქვს ჩაგუბებული.

Молчание — знак согласия – დუმილი თანხმობის ნიშანია.

Много грому по-пустому; Много дыму, да мало пыли; Много кудахтанья, а яиц нет;

Много шума — мало толку; Многословие — не без пустословия; Молча губами не разводи; Мелет день до вечера, а послушать нечего; Кто много болтает, тот беду на себя накликает; Звону много, да толку мало.

Больше делай, меньше говори. – Más hacer y menos decir.

Большой говорун – плохой работник. – El gato maullador nunca buen cazador. (букв.:

«Громко вопящая кошка – плохой охотник»)

Как сказано, так и сделано – თქმა და ქმნა ერთია.

За словом в карман не полезет – სიტყვის სასესხებლად არსად მიდის.

.ასევე ბევრია შემთხვევა, სადაც მცირე სტრუქტურული ან სხვა ნიუანსობრივი სხვაობაა, მაგრამ ძირითადად აგებულებითაც და შინაარსითაც იდენტურნი არიან:

Freedom of speech სიტყვის თავისუფლება (გვიან შემოსულია ქართულში)

Se sont des mots – ეს მხოლოდ სიტყვებია.

Punto por punto სიტყვა სიტყვით.

C`est vite dit – სათქმელად ადვილია.

Disons le (disons le mot) – პირდაპირ ვთქვათ.

De bouche à oreille – ყურში თქმა.

Crier à plein bouche – მთელი ხმით ყვირილი (რაც გაუწვდება).

Glisser un mot – ერთი სიტყვაც არ ჩავარდება.

Soit dit entre nous – ჩვენ შორის რომ დარჩეს.

Gros mot (s) – მკვახე სიტყვა.

Lâchons le mot//ne l`envoyer pas dire à qn //être fort en bouche – პირდაპირ თქმა.

Deux mots !//dire deux mots, un petit mot (დიალოგ.) – ვილაპარაკოთ, სიტყვა მაქვს შენთან (სათქმელი).

Ne (pas) sonner mot – არ თქმა, თავის შეკავება//ენაზე კბილის დაჭერა.

Saisir l'intention de qn — ვინმეს ჩანაფიქრის გამოცნობა.

Anunciarle/darle/decirle el corazón a uno გული ეუბნება (წინათგრძნობა).

Saisir l'essentiel — არსის დაჭერა, არსში ჩაწვდომა.

Ssaisir qch du premier coup — რამის გაგება პირველივე სიტყვიდან, უცებ გაგება, მიხვედრა.

Он речь сквозь зубы цедит – კბილებში გამოსცრა.

О волке помолвка — а волк и тут – მგელი ახსენეო.

Не давай волю языку во пиру, а сердцу во гневе – ცხელ გულზე ლაპარაკი (ცხელ გულზე თქმა არ ღირს).

Не в обиду будь сказано – საწყენად არ თქმულა.

dar gato por liebre მოტყუება.

Не бросай слова на ветер – ქარს არ გაატანო სათქმელი.

.მესმე ჯგუფში გავაერთიანეთ ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც აზრობრივად დაახლოებით მსგავსი შინაარსის შემცველნი არიან, რაც ფსიქოლოგიურად საინტერესო სურათს ქმნის:

Prendre au mot – სიტყვაზე დაჭერა.

ლაპარაკის გაბმა//ენის ახსნა –

Prendre la parole//passer la parole à qqn.

მზიანი სიტყვა (ენამზებობა)//ენამოთაფლული (მლიქვნელია)//

ენამოქარგული//თაფლი სცხია ენაზე (კარგი მოსაუბრე)// ენისა და პირის დაშაქვრა// მოკალული სიტყვა (საფერებელი) – Dire des douceurs.

გრძელი ენა//Parler d`abondance.

Parler d`abondance de coeur.

Casser un mot (დიალოგ.) – გაჭორვა, ლაყბობა.

Dans la bouche de qn – მისი სიტყვით, მისი თქმით (პირდაპირ თუ ვთარგმნით ვიღაცის პირში ყოფნაა, რაც ქართულიად (ვინმეს ყბაში ჩავარდნა) ვინმეს მიერ გაჭორვას ნიშნავს.

Homme fort en bouche//პირზე აკერია//პირი მოიხსნა (საიდუმლოს გათქმა).

J-m das Herz ausschütten (или ergießen)– раскрыть душу, излить душу. Эквивалент в русском языке „излить душу“. Буквальный перевод: „выливать (изливать) сердце“.

N`avoir qu`à dire (მხოლოდ თქვენ) – სათქმელად არ გაძლევ/სულქვემ თქმა (საიდუმლოდ).

Mot d`esprit, bon mot – მჭრელი სიტყვა.

Бабушка надвое сказала. – Esto aun está en veremos. (*букв.: «Ещё поглядим»*)

Dire à qui veut l`entendre – ყველას უთხრა, ვისაც დააინტერესებს.

Je comprends! — ვფიქრობ!

Tu parlers, si... წარმოგიდგენია...

აღქმას გულისხმობს:

Darse cuenta de გააზრება

А Васька слушает да ест – Dame pan y llámame tonto. (*Буквальный перевод: «Дай мне хлеба и /можешь/ назвать меня глупым»*)

И стены имеют уши. – Las paredes oyen. («Las paredes oyen» - название пьесы, которую написал Хуán Руи́с де Аларкóн-и-Мендóса - испанский драматург, автор многих пьес, ставших шедеврами классического испанского театра. В пьесе высмеиваются привычки клеветать и сплетничать.)

თვალი გადავავლოთ რამდენიმე გამონათქვამის ყველა შესაძლო ორგანულ ან გამჭვირვალე ფორმას და განვიხილოთ, სხვა შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ ამა თუ იმ სალიტერატურო ენაში გავრცელებულ ფორმებს ვეძებდით და მათ შორის ვეძებდით შესაბამისობას. ამ შემთხვევაში კი მსგავსი შინაარსის გამონათქვამების სტრუქტურულად დაპირისპირებას შევეცადეთ:

სათქმელი პირდაპირ კი არ თქვა, არამედ მიედ-მოედო - Wie die Katze um den heißen Brei gehen (იარო როგორც კატამ ცხელი ფაფის ირგვლივ) - Andar con rodeos (წრეებზე სიარული) - Tourner autour du pot (ქოთნის ირგვლივ სიარული) - To beat about the bush (ბუჩქს ირგვლივ სიარული) - Ходить вокруг да около.

ვინმეს გული გაუხსნა - J-m das Herz ausschütten (გულის გადახსნა) - Hablar con el corazón en la mano (ილაპარაკო გულით ხელში) - Ouvrir son cœur (გულის გახსნა) - To bare one's heart (გულის გახსნა) - Излить душу.

ყველაფერს ჯობს თავისი სახელი ვუწოდოთ - Die Dinge beim rechten Namen nennen (საგნებს თავისი სახელები ვუწოდოთ) - Llamar al pan, pan y al vino, vino (პურს პური ვუწოდოთ და ღვინოს ღვინო) - Appeler un chat un chat (კატას კატა ვუწოდოთ) - To call a spade a spade (ნიჩაბს ნიჩაბი ვუწოდოთ) - Называть вещи своими именами.

ფონეტიკურ დონეზე გართმვის ტენდენცია ყველგან შეიმჩნევა (საინტერესოა, რომ მოყვანილი მაგალითები არ არის, მაგალითად, ქართული ენისთვის ორიგინალური და გამორჩეული შინაარსის, რომელიმე სხვა ენაზე უფრო ღრმა სემანტიკისა და ეთნიკური დამოკიდებულების მქონეა, მაგრამ თანაბრად ორიგინალური და ერთნაირი სიხშირით ხმარებული გამონათქვამის პოვნა თითქმის შეუძლებელია, ყველა მათგანი სხვადასხვა ენაში განსხვავებული პოპულარულობითა და მიდგომით გამოირჩევა). ქართულ ვარიანტებში – შედარებით ნაკლებად.

სინტაქსურად ევროპული ენები ზმნა-შემასმენლით იწყებენ ფრაზას და სახელებით ამთავრებენ, ქართული საპირისპირო ვითარებას გვიჩვენებს, რაც მოსალოდნელიც იყო.

სემანტიკის მხრივ გამონათქვამებს მხოლოდ საერთო აზრი აერთიანებს, ზოგიერთი ენის მასალაში რომ ზუსტად გავრკვეულიყავით, დაგვჭირდა სინონიმურ ლექსიკონში ფრაზის გულდასმით გადამოწმების შემდეგ ამა თუ იმ ენაზე მოსაუბრის კონსულტაციაც. ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ, ზოგადად, ფრაზეოლოგიზმი ან იდიომა ყველაზე რთული ასათვისებელია უცხო ენის შესწავლისას, ამავდროულად, რთულია მისი გადატანა თარგმნისას და ენის კომპიუტერიზაციისას მისი გამოყანება და გაცოცხლება.

ფრაზეოლოგიზმებში აღმოჩენილი ამდენი დამთხვევა მოსალოდნელი იყო ჩვენ მიერ აღებული ცნებების გათვალისწინებით, რადგან იდენტური გამონათქვამის საჭიროება *მეტყველებასა* თუ *აღქმასთან* დაკავშირებით სხვადასხვა ხალხში, რა თქმა უნდა, შეიძლება არსებობდეს. თუმცა გამორიცხული არ არის ბევრი რამ, მაგალითად, ფრანგული ენიდან რუსულის გზით შემოსულიყო ქართულში, რადგან იდენტური მსგავსების შემთხვევებში თანხვედრა რუსულ ენასთანაც დასტურდება. მსგავსი დასკვნები თითო გამონათქვამთან მიმართებით უნდა დაიდოს და არა მთელ ჯგუფთან მიმართებით, რაც ჩვენი ნაშრომის ფარგლებს აშკარად სცდება.

უნდა აღვნიშნოთ აღქმასთან დაკავშირებული სირთულეების შესახებ, მეტყველების სემანტიკური ველის შემცველ გამონათქვამში (თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობაში) ივარაუდება აღქმის მომენტიც, რადგან არაფერი ითქმება გაგებისა და გათავისების გარეშე, მაგრამ ცალკე აღქმადობა საკმაოდ იშვიათი აღმოსაჩენი აღმოჩნდა.

4. დასკვნითი დებულებები.

(ნაშრომის შეჯამება და დასკვნა)

პირველ თავში მეტ-ნაკლებად დეტალურად ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ ენაში შემავალი ამა თუ იმ ფორმის შედარება არამონათესავე ენებში მრავალმხრივი მიდგომით შეიძლება, ყველა ამ მიდგომას გავყავართ ენობრივი უნივერსალიების წარმოქმნასა და ენათა ზოგად ტიპებზე. თუმცა ჩვენ შემთხვევაში ამ მხრივ საკმაოდ ბანალური დასკვნები მივიღეთ, განსხვავებით ანდაზათა და ფრაზეოლოგიზმთა შედარებისგან.

1. არამონათესავე ენებში ჩვენთვის საინტერესო სიტყვათა პარალელური დინამიკური განვითარება აშკარაა, თუმცა საწყისად ხშირად სხვადასხვა ცნება აქვთ აღებული. *მეტყველება* გაცილებით ადრე დამკვიდრდა ნებისმიერ ენაში, შეიქმნა მასთან დაკავშირებული გამონათქვამები, ხოლო *აღქმის* ვერბალური გამოხატვა გაცილებით გვიან მოხდა. ზოგ შემთხვევაში სწორედ *მეტყველების* გადააზრებით ვიღებთ *აღქმის* აღმნიშვნელ სიტყვებს, რომლებიც გაცილებით მცირერიცხოვანია ყველა ენაში და. ეს ერის ფსიქოლოგიური საზრისის თავისებურებასა და ინდივიდუალიზმზე მიგვითითებს.
2. ნეიტრალური ლექსიკა ერთნაირად აქტუალურია ორივე ენაში, გამონათქვამებსა და ანდაზებში მსგავსი ინტენსივობით იჩენს თავს. მსგავსება გაცილებით მეტია, ვიდრე განსხვავება და თავისებურება (ზოგ შემთხვევაში მხოლოდ ის მოვიძიეთ, რაც აქ მოვიყვანეთ). აბსოლუტური იდენტურობა ხშირად გაცეხებასაც კი იწვევს.
3. ამ ორ ველს შორის ასიმეტრიული მიმართებაა. საინტერესოა, რომ *აღქმის* აღმნიშვნელი ონომატოპოეტური სიტყვები როგორც უცხო ენებში, ისე ქართულ ენაშიც ვერ აღმოვაჩინეთ, ხოლო *მეტყველების* აღმნიშვნელი ძალიან ბევრია. ენებს შორის განსხვავებაა რაოდენობრივი თვალსაზრისითაც, ქართული ამ ფონზე სკმაოდ მდიდარი აღმოჩნდა ამ ტიპის სიტყვებით, თუმცა ჩვენ დიალექტური მასალა არ მოგვიშველიებია, თორემ, შესაბამისად, კიდევ უფრო მეტი აღმოჩნდებოდა. უცხოენოვან მასალასთან დაკავშირებით ვერ ვიქნებით კატეგორიულნი, რადგან ლექსიკონებში არსებული სხვადასხვაობის გამო ამ სიტყვათა მნიშვნელობის

სრული გააზრება გაგვიჭირდა, თანაც შესაძლოა ჩვენ ვერ მოვიძიეთ მასალა სრულად.

4. ონომატოპოეტური სიტყვების წარმოქმნის მიზეზი მეტყველებასთან დაკავშირებით ფსიქოლოგიური ასოციაცია უნდა იყოს. თავდაპირველად რამის ხმიანობას აღნიშნავდა, ხოლო დროთა განმავლობაში ასოციაციით გადავიდა ადამიანის მეტყველების აღმნიშვნელად.
5. მეტყველების გამომხატველი არანეიტრალური, პერიფერიული ლექსიკა განზოგადებული თვალსაზრისით განვიხილეთ, მაგრამ აქ თითოეულ სიტყვაში იმდენად მრავალფეროვანი სპექტრია მნიშვნელობის, რომ კონტექსტის გარეშე შეუძლებელია ამოვწუროთ, ჩვენი თემის ფარგლებში კი ეს ვეღარ თავსდება.

მეორე ნაწილში არ გამოგვივიდა გამონათქვამთა სტატისტიკის წარმოდგენა (გარკვეული ცხრილის სახით მაინც, რომელშიც უფრო ნათლად იქნებოდა ყველა თავისებურება გამოვლენილი), რადგან ზოგჯერ ერთ გამონათქვამს რამდენიმე პარალელური ფორმა ეძებნებოდა და ისინი მხოლოდ თანდებულის ან წინდებულის გამოყენებით განირჩეოდნენ, რაც გამონათქვამის აზრს არ ცვლიდა, თუმცა ამა თუ იმ ენაზე მოსაუბრებთან გამონათქვამთა ხმარების ნიუანსების დაზუსტებისას აღმოჩნდა, რომ გარკვეულ სიტუაციებში მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს ანიჭებდნენ უპირატესობას.

კიდევ ერთი წინააღმდეგობა აღმოჩნდა ის, რომ ზოგ გამონათქვამს მხოლოდ აზრობრივი შესატყვისი აღმოაჩნდა სხვადასხვა ენაში, თუმცა ეს აზრობრივი შესიტყვება მხოლოდ ზოგადლინგვისტური გადასახედიდან შეიძლება ასეთად შეფასდეს, კონკრეტული სიტუაციისა თუ კონტექსტის შემთხვევაში მთარგმნელს ძალიან დიდი ხელოვნება სჭირდება, რომ კონკრეტული ენობრივი სიტუაცია გადმოსცეს, თუმცა მაინც დარწმუნებული უნდა იყოს, რომ თავისი მშობლიური ენის ნიუანსი გარკვეულწილად მაინც ასახა სათქმელში, ეს უკვე ხელოვნებაა და თავისი უპირატესობები აქვს, თუმცა გამოყენებითი ენათმეცნიერების თვალსაზრისით რთულად დასაძლევია გვგონია.

მაინც გადავწყვიტეთ ანაზა-ფრაზეოლოგიზმებთან დაკავშირებით ზოგადი შემაჯამებელი მსჯელობის შემდეგ მოგვეცა დასკვნითი დებულებები.

ანდაზა ფიგურული გამონათქვამია, ხშირად რიტმული, რომელიც აღმზრდელით შინაარსს შეიცავს და ცხოვრებისეულ მოვლენათა ტიპოლოგია-დახარისხებას გულისხმობს. ანდაზა შეკუმშული, მოკლე თხრობაა, რომელიც ხალხშია მოარული. ანდაზები გაჩნდა წეს-ჩვეულებათა წყალობით, ზოგი მათგანი კი ისტორიული ფაქტებისა თუ მოვლენების მეშვეობით გაჩნდა. ანდაზები, ზოგადად, ერის სიბრძნისა და ერთგვარი ლინგვისტური ინტუიციის გამოხატულებაა.

ყოველი ნაციონალური კულტურა ნაციონალური მენტალიტეტის შედეგია, რადგან ვერც ერთი ვერ იარსებებს ერთმანეთის გარეშე, ეს ყოველივე კი ენის ლექსიკაზე აისახება.

ანდაზის მთავარი დანიშნულებაა ობიექტური რეალობის შეფასება ერის მიერ, რითიც გამოიხატება მსოფლაღქმა. ამ დროს გამოიხატება აზროვნების თანმიმდევრულობა, განსჯის უნარი, აღქმისა და გააზრების თავისებურება, რაც ახასიათებს ამა თუ იმ ერს. ასევე შეგვიძლია ვისაუბროთ ყოფიერების თავისებურებაზე, სულიერებაზე, ჩვეულებებზე, ხასიათსა და ა.შ.

ნებმისმიერი უცხო ენის ანდაზების ცოდნა თითქმის აუცილებელი პირობაა აღნიშნული ენის უკეთ შესაცნობად, ადამიანი ლოგიკურად უკეთ იაზრებს ენაზე მოსაუბრე ერის ტრადიციებს, ისტორიას, კულტურას...

ანდაზები უხსოვარი დროიდან თან სდევს ერის განვითარებას და ყველა ენაში პოპულარულია ზუსტი რითმის, უბრალოების, სიმოკლე-ლაკონიურობის, და ხალხში გავრცელებულობის გამო. საუბრისას ხშირად უბრალოდ აუცილებელია მათი მოხმობა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათი წარმოშობა წარმართობის პერიოდს ან უფრო შორს – ადამიანის მიერ მეტყველების დაწყებას უკავშირდება. შესაძლოა, სწორედ ანდაზებია გამოსახული ადამიანის პირველ შემოქმედებით ტილოებზე, რადგან ადამიანს თავიდანვე სჭირდებოდა თავისი დაკვირვებებისა და მიგნებების შთამომავლობისთვის გადაცემა. პირველყოფილი ადამიანისთვის, რომელსაც ჯერ არ გააჩნდა დამწელობა, ანდაზები, ზღაპრებსა და გამოცანებთან ერთად, გამოცდილებისა და დაკვირვების პირველი თავისებური ფორმა იქნებოდა, რომელთა მეშვეობით შთამომავლობას ცხოვრებისეულ გამოცდილებას გადასცემდა. ისინი ადამიანის ლექსიკაში სწორედ იმის გამო დამკვიდრდნენ, რომ იოლად ამახსოვრდება ნებისმიერს, მეტყველებას

აცოცხლებს, გამომსახველს ხდის, გადატანითა და ძალიან მოკლე. როგორც წესი, მათი უმეტესობა გარკვეულ დაკვლას შეიცავს ცხოვრებისეული რეალობის შესახებ. საინტერესო ის არის, რომ ანდაზა, სიძველის მიუხედავად, ნებისმიერ ეპოქაში ძალიან პოპულარულია და მეტყველი თავის უნებურად ვერ ასცდება მის გამოყენებას. აღნიშნული ჟანრი დღესაც არ კვდება, არამედ ვითარდება საზოგადოებასთან ერთად.

ყველა იდიომას თავისი წარმომავლობა აქვს, რადგან, თუ დინამიკას თვალს მივადევნებთ, დროთა განმავლობაში საკმაოდ დიდი ინტენსივობით ჩნდება ხალხში ახალ-ახალი იდიომები და გამონათქვამები. ზოგი მათგანი ამა თუ იმ მწერლის შემოტანილი და დამკვიდრებულია ენაში, ბევრია ბიბლიური წარმომავლობის, დიდი რაოდენობა ნასესხებია სხვა ენებიდან.

ჩნდება კითხვა, რა დანიშნულება აქვს იდიომებს და რამდენად მნიშვნელოვანია მათი ცოდნა ენის შესწავლისას? რამდენად ხშირად იყენებს მეტყველებისას ინდივიდი მათ? შეიძლება ვიფიქროთ, რომ მათ გარეშე მშვენივრად გავდივართ იოლას, მაგრამ გაბმული მეტყველებისას ასე არ ხდება.

იდიომთა წარმოშობას სტრუქტურულად რომ მივადევნოთ თვალი, დაახლოებით, ასეთ სურათს ვიღებთ: თავდაპირველად ჩვეულებრივი სხარტი წინადადება ჩნდება, რომელიც ყველასთვის გასაგებია, თუმცა გარკვეულ გადატანით მნიშვნელობას, იუმორს თუ ირონიას – პირდაპირი ნათქვამის მიღმა – შეიცავს. მოგვიანებით ენიდან იკარგება ან იცვლება გარკვეული სიტყვა, რაც, ერთი მხრივ, რამდენადმე ცვლის გამონათქვამის მნიშვნელობას, მეორე მხრივ, აზრშეცვლილი ლექსიკური ერთეული ამდიდრებს (მნიშვნელობის მხრივ) ენას, ქმნის საინტერესო მეტაფორულ მიმართებას, შემდეგ ერთი ინდივიდის პოეტური აღმოჩენიდან საერთო სახალხო საკუთრება ხდება. იგი უკვე გადატანითი მნიშვნელობის გამონათქვამად ყალიბდება, რომელშიც დაფარულია მინიშნება ძალიან ბევრ სიტუაციაზე. ამადროულად, თითქმის შეუძლებელი ხდება ასეთი ფრაზეოლოგიზმების პირველადი აზრის გახსენება თუ ამოცნობა, ამას კიდევ უფრო აბუნდოვნებს, თუ პირვანდელ გამონათქვამში რამე ძველი გრამატიკული ფორმა არსებობდა.

იდიომები გაცილებით იოლად წარმოიქმნება ლიტერატურული ნაწარმოების საშუალებით.

შედარებული მასალიდან ბევრი აღმოჩნდა საერთო ან გადაკვეთი გარკვეული თვისების მიხედვით, რაც მოსალოდნელიც იყო.

1. ანდაზები და ფრაზეოლოგიზმები ერთად განვიხილეთ, მაგრამ მათ შორის განსხვავება დიდია. უბრალოდ, ჩვენი მიზნისთვის ერთმანეთს არ უშლიდა ხელს (არ ეწინააღმდეგებოდა). თუმცა როგორც სტრუქტურით, ისე ჩამოყალიბების (შექმნის) თავისებურებით ძალიან განსხვავდებოდნენ. ჩვენ მხოლოდ ისინი გვინტერესებდა, რომლებიც *მეტყველებისა* და *სმენითი აღქმის* გაგებას შეიცავდნენ. ამ შემთხვევაშიც თანაფარდობა მკვეთრად განსხვავებულია. *მეტყველებაზე* უამრავი ანდაზაა, *აღქმაზე* – ნაკლები. ფრაზეოლოგიზმებში *აღქმა* მხოლოდ ლაკონური გამონათქვამებით შემოიფარგლება, რაოდენობრივად მცირეა, განსხვავებით მეტყველებისგან, რომლის ირგვლივაც მასალა საკმაოდ ვრცელია.
2. როგორც ანდაზები, ისე იდიომები მრავალმნიშვნელობიანია, ისინი დროსა და კლასობრივ ვითარებას უძლებენ და არ არიან მორგებული გარკვეულ პერიოდს, ამაზე მაღლა დგანან და ადაპტირდებიან ეპოქის ცვლასთან ერთად;
3. თარგმანისას საკმაოდ სერიოზულ სირთულეს ვაწყდებით, არა აქვს მნიშვნელობა, მეტაფორულად ღრმა პლასტს მოიცავს თუ არა, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერ ენაში შესაძლებელია საკუთარი ეკვივალენტის პოვნა, თუმცა მოძიებულ წყვილს შორის ყოველთვის იქნება გარკვეული ნიუანსური განსხვავება იმის მიხედვით, რა ეროვნულ-ნაციონალური პრიორიტეტები არსებობს ორ სხვადასხვა ენას შორის; კარგმა მთარგმნელმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული განსხვავებულობა და ენის სპეციფიკა და, რაც მთავარია, კარგად უნდა იცოდეს ორივე ენის იდიომთა და ანდაზათა სისტემა;
4. იდიომთა და ანდაზათა გამოყენება არ განისაზღვრება მხოლოდ მათი შინაარსითა თუ მეტაფორული გააზრებით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ შემთხვევაში კონტექსტს, სიტუაციას, ექსტრალინგვისტურ ვითარებას, რომლის ფარგლებშიც კონკრეტული გამონათქვამი სრულიად განსხვავებულ შინაარსს იძენს, რაც ცალკე აღებული ერთეულის განხილვისას ვერანაირად ვერ გამომჟღავნდებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა :

არუთინოვა 1981: Арутюнова Н. Д. Фактор адресата. – Изд. АН. Серия литература и язык, т. 40, No 4, Москва, 1981 . 12.

არუთინოვა 1989: Арутюнова Н. Д. Логический анализ языка. Проблемы интенциональных и прагматических контекстов. М., 1989. 13.

არუთინოვა 1992: Арутюнова Н. Д. Диалогическая модальность и явление цитации// Человеческий фактор в языке. Коммуникация. Модальность. Дейксис. М., 1992. 14.

არუთინოვა 1999: Арутюнова Н. Д. Язык и мир человека. – Москва: Языкирусскойкультуры, 1999, 896с. 15.

არუთინოვა 1985: Арутюнова Н. Д., ПадучеваЕ. В. Истоки, проблемы и категории прагматики. // Новое в зарубежной лингвистике. Выпуск XVI – Москва, «Прогресс», 1985.

არუთინოვა 1978: Арутюнова Н. Д., Функциональные типы языковой метафоры, Москва: Изв. АН СССР Сер. лт-ры и языка, No4.т. 37,1978.

არუთინოვა, კუბრიკოვა 2001: რუთიონოვა Н. Д., Кубрякова Е. С., Степанов Ю. С., Очерк научной деятельности.//Язык и культура. Факты и ценности. М., 2001.

აფაქიძე 2003: აფაქიძე ი., მიპატიჟების ფორმები ბრიტანულ და ქართულ ყოფაში „სახის დაკარგვისა“ და „შენარჩუნების“ თვალსაზრისით // ეს, თბილისი, 2003, #2, გვ. 28-40.

ახვლედიანი 1972: ახვლედიანი გ., ენათმეცნიერების შესავლის საკითხები, ახვლედიანის რედაქციით, თბილისი, 1972.

ბალდინგერი 1964: Baldinger, K. Sémantique et structure conceptuelle. Le concept "se souvenir" // Paris : « Cahiers de Lexicologie » N8, 1964.

ბალი 1905: Bally Ch., Précis de stylistique, Genève, 1905.

ბალი 1955: Балли Ш. Общая лингвистика и вопросы французского языка. М., 1955.

ბალი 2003 : Балли Ш. Язык и жизнь. М., 2003.

ბარბაქაძე 2016: ბარბაქაძე ც., ვიზუალური აზროვნებიდან ვერბალური აზროვნებისკენ და პირიქით,
<http://mastsavlebeli.ge/?tag=%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94&paged=10>

ბენვენისტი 2010 : Бенвенист Э. Цивилизация. К истории слова.//Общая лингвистика. М., 2010.

ბერლინი 1960 : Берлин М. И., Развитие синонимических отношений в группе глаголов мышления во французском языке. АД Д., Москва: 1960.

ბოდუენ დე კურტენე 1963 : Бодуэн де Куртенэ И. А. Количественность в языковом мышлении.//И. А. Бодуэн де Куртенэ. Избранные труды по общему языкознанию. Ч. 1. М., 1963.

ბოკერია, დობორჯგინიძე 2019: ბოკერია ლ., დობორჯგინიძე ზ., მეხსიერება, აღქმა და კოგნიტური ნეირომეცნიერება;
<https://www.forbeswoman.ge/post/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AE%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%9C>

ბოლდირევი 2001 : Болдырев Н. Н. Концепт и значение слова.//Методологические проблемы когнитивной лингвистики. Воронеж, 2001.

ბოლქვაძე 2005 : ბოლქვაძე თ., იდიოლოგიზებული ღირებულებები, თსუ გამომც., თბილისი, 2005.

ბრეგაძე 2009 : ბრეგაძე კ., ლიტერატურული და ენის ფილოსოფიური ნარკვევები, თბილისი : „მერიდიანი“, 2009.

გამყრელიძე... 2008 : გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ., თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი : თსუ გამომცემლობა, 2008.

გამყრელიძე 2008 : გამყრელიძე თ., ენა და ენობრივი ნიშანი, თბილისი : საქ. მეცნ. ეროვნული აკადემია, 2008.

გერიგი, ზიმბარდო 2009 : გერიგი, ზიმბარდო ; ფსიქოლოგია და ცხოვრება. თსუ, თბილისი, 2009.

გოლიაკოვა 1956: Голякова Н. В., Развитие многозначности группы глаголов выражающих понятие «думать» и система их значений в современном французском языке, Москва: „Наука“, 1956.

გოლოვნიოვა 1989: Головнева Е. В., Обстоятельственная сочетаемость ментальных глаголов французского языка, АДК, Москва:1989.

გრინბერგი, ჯიზეფი 1970 : Гринберг, Джозеф, Некоторые грамматические универсалии, преимущественно касающиеся порядка значимых элементов. — Новое в лингвистике. Вып. V. М., 1970, 114—162.

დემეტრაძე 1996 : დემეტრაძე ი., ფატიკური კომუნიკაცია და ბრიტანულ-ქართული ყოფითი განსხვავებანი (თანამედროვე ქართული და ინგლისური ენების მასალაზე) : საკ. დის.(ხელნაწერი), თბილისი, 1996.

დმიტრიევა 1971: Дмитриева Н. С., Процесс десемантизации глагола в составе субстантивных описаний // Очерки по семантике русского языка, Уфа:Изд.-во Башкирского ГУ, 1971.

დოზა 1956: Доза А., История французского языка, Москва:Издательство Иностранной Литературы 1956.

დოლიძე 1998 : დოლიძე ნ., ძირითადი ენათმეცნიერული ტენდენციები ანტიკურ ფილოსოფიაში და პლატონის „კრატილოსი“. თბილისი : „ლოგოსი“, 1998

ვორკაჩოვი 2005 : Воркачев С. Г., Лингвоконцептология и межкультурная коммуникация: истоки и цели //Филологические науки. 2005, №4.

ზაონეგინი 1972 Заонегин Е. В., Глаголы выражающие понятие думать в романских языках (ономасиологический анализ), Авт. канд. дисс. Москва: 1972.

ზექალაშვილი 2012: ზექალაშვილი რ., ქართული დიალოგური მეტყველება (ძირითადი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მახასიათებლები), თბილისი: „უნივერსალი“, 2012.

ზიგმანი 1997 Зигманн, Ж.В., Структура современного политического дискурса: АКД, М., 1997.

ზოგრანიანი 2011: ზოგრანიანი ე., ცნება „დროის“ კონცეპტუალიზაცია სამყაროს ენობრივ სურათში (თაანმედროვე რუსული ენის მასალაზე), დისერტ. (ხელნაწერი), თბილისი, 2011.

თელია 1981: Телия В. Н., Типы языковых значений. Связанное значение слова в языке, Москва: „Наука“, 1981.

თელია 1987: Телия В. Н., Метафора как проявление принципа автопроцентризма в естественном языке // Язык и логическая теория, Москва: „Наука“, 1987.

თელია 1966: Телия В. Н., Что такое фразеология, Москва: „Наука“, 1966.

თომაშვილი 2013 : თომაშვილი ნ., ენა და შემეცნება. თბილისი : „უნივერსალი“, 2013.

იელმსლევო 1962: Ельмслев Л, Можно ли считать что значения слов образуют Структуру //Новое в зарубежной лингвистике, Вып., II М., „Прогресс“ 1962.

იუნგი 1924 : Юнг К. Г., Психологические типы / Рузер Е. И.. — : Госиздат, 1924.

იუნგი 1991 : Юнг К. Г., Архетип и символ. — Москва, 1991.

იუნგი 1995 : Юнг К. Г., Психологические типы. — М.—СПб.: Прогресс-Универс, 1995.

იუნგი 2011 : Юнг К. Г., Красная книга. — Клуб Касталия, 2011.

კარასიკი, სტერნინი 2005: Карасик В.И., Стернин И.А., (ред.) Антология концептов. Том 2, Волгоград: Парадигма, 2005.

კვაჭანტირაძე 2010 : კვაჭანტირაძე მ., ჩარლზ პირსი და თანამედროვე სემიოტიკის პრობლემები. განთავსების თარიღი : 2010/25/08. მის. : <https://semioticsjournal.wordpress.com/2010/08/25/>

კუბრიკოვა 1997 : Кубрякова Е. С. Части речи с когнитивной точки зрения. М., 1997.

კუბრიკოვა 2004: Кубрякова Е. С., Начальные этапы становления когнитивизма Лингвистика-психология-когнитивная наука//Москва:„Вопросы Языкознания“, 1994,#4.

კულინა 2002 : Кульнина Е. А., Способы вербализации контактоустанавливающей функции в современном немецком языке: Саранск, 2002.

კუბინი 1980: Кунин А. В., Механизмы окказиональной фразеологической номинации и проблема оценки // Вопросы фразеологии, Сб. науч. трудов, МГПИИЯ М. Тореза, Вып. 168, Москва: 1980.

ლაკოფი 1990: Лакофф Дж., Метафоры которыми мы живем// Теория метафоры, Москва: „Прогресс“, 1990.

ლებანიძე 2004: ლებანიძე გ., კომუნიკაციური ლინგვისტიკა, თბილისი: „ენა და კულტურა“, 2004.

ლოტმანი 1992: Лотман Ю. М., Культура и взрыв, Москва: „Наука“, 1992.

მაკკორმაკი: 1985 Маккормак Э., Когнитивная теория метафоры // теория метафоры, Москва: „Прогресс“, 1990.

მამარდაშვილი 1988: Мамардашвили М. К., Осмелиться или быть//Москва: „Наше наследие“, No3.1988.

მელიქიშვილი 1999 : მელიქიშვილი ი., ბგერწერითი ლექსიკისათვის ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი, 3. 1999, გვ.78-89.

მელჩუკი 1974a: Мельчук И. А., Опыт теории лингвистических моделей Смысл < = > Текст., Москва: „Наука“, 1974a.

მელჩუკი 1974b: Мельчук И. А., Об одной лингвистической модели типа Смысл < = > Текст, Москва: Изв. АН СССР, сер. лит. яз. No5, 1974б.

მირიანაშვილი 2008: მირიანაშვილი მ., დიალოგური კომუნიკაციის ლინგვოპრაგმატიკა, დისერტ. (ხელნაწერი), თბილისი, 2009. fifififi

ნოთი 2001 Нот. В. Чарльз Сандерс Пирс. Ж. Критика и семиотика. Выпуск 3-4. Новосибирск: 2001. <http://www.nsu.ru/education/virtual/cs34net.htm>

ონიანი 1970 Оნიანი А. Л., Фразеологизм и слово (на материале картвельских языков) // Самарканд, : „Вопросы фразеологии“, Изд-во Самаркандского ГУ, 1970.

ომიაძე 1998: ომიძე ს. პარალინგვისტიკა და მეტყველების თანმხლებ საშუალებათა აღწერა ენაში, დისერტაცია ფილ. მეც. კანდ., თბილისი: 1998.

ონიანი 2006 : ონიანი ე., სიტყვა ენაში და სიტყვა მეტყველებაში (ინგლისური, ქართული და რუსული ენების მასალაზე), დისერტ. (ხელნაწერი), თბილისი, 2006.

პირსი 2000 Пирс. Ч.С. Избранные философские произведения., М: „Логос“. 2000.

პოპოვა, სტერნინი 2005 Попова З.Д., Стернин И.А., Когнитивная лингвистика, Волгоград: Парадигма, 2005.

ჟორჯოლიანი 1987 Жоржوليани Д., Теоретические основы фразеологической номинации и сопоставительная лингвистика, АДД, Тбилиси: 1987.

რამიშვილი 1963: რამიშვილი დ., მეტყველების განსხვავებულ სახეთა ფსიქოლოგიური ბუნებისათვის, დისერტაცია ფსიქ. მეცნ. დოქტ., თბილისი: 1963.

რუსიეშვილი 1999: რუსიეშვილი მ., ერთი და იგივე სიღრმისეული აზრობრივი სტრუქტურის განსხვავებული ზედაპირული რეპრეზენტაციის შესახებ სხვადასხვა ენის ანდაზებში. თსუ დ/ე ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სამეცნირო შრომები, თბილისი, ტ. 334 (1). გვ. 87-90

სანაია 2009 : სანაია ნ., ზმნური მეტაფორული ჯგუფები და აზროვნების კონსტანტას ნომინაცია თანამედროვე ფრანგულ ენაში, დისერტ. (ხელნაწერი), თბილისი, 2009.

სეპირი 1964: Sapir E., Selected Writings. Barkley, 1964.

სეპირი 1993: Сепир Э., Речь как черта личности // Избранные труды по языкознанию и культурологии, Москва: „Прогресс“, 1993.

სოსიური 2002: სოსიური ფ., ზოგადი ენათმეცნიერების კურსი, თბილისი: „დიოგენე“, 2002.

სტერნინი 2001: Стернин И. А., Методика исследования структуры концепта. // Методологические проблемы когнитивной лингвистики. Воронеж, 2001.

ტიტონე 1984: Титоне Р. Некоторые эпистемологические проблемы психолингвистики. М., 1984.

უზნაძე 1947: უზნაძე დ., ენობრივი განწყობის შესახებ. ენის შინაფორმა // თბილისი: საქ. სსრ. აკად. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 4, 1947.

უზნაძე 1977: უზნაძე დ., შრომები, ტომი VI, განწყობის ფსიქოლოგია, თბილისი, 1977.

ფარჯანაძე 2008: ფარჯანაძე, დ., მეხსიერების ფსიქოლოგია. შპს „თათა სოლუშენი“, თბილისი, 2008.

შარაძენიძე 1972: შარაძენიძე თ., თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიული საკითხები, თბილისი: „მეცნიერება“, 1972.

შმელოვი 1973: Шмелёв Д. Н., Проблемы семантического анализа лексики (на материале русского языка). М.: „Наука“, 1973.

შმელოვი 1973: Шмелев, Д. Н., Проблема семантического анализа лексики, Ленинград: „Просвещение“, 1973.

ჭრელაშვილი 1990: ჭრელაშვილი კ., ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია, თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1990.

ჯოხაძე 2005 : ჯოხაძე ლ., სიტყვის ინფორმატიულობა როგორც მხატვრული ტექსტის წარმოქმნისა და ორგანიზების ლინგვისტური საფუძველი, დისერტ. (ხელნაწერი), თბილისი, 2005. fi

ჰოფმანი 1980 Hoffman R.R., Metaphor in science. - Cognition and figurative language. Hillsdale, 1980.

საანალიზო მასალა ამოღებულია შემდეგი ლექსიკონებიდან :

1. აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973
2. გაჩავა რ., სინონიმების ფრანგულ-ქართული სასწავლო ლექსიკონი, 1996
3. გვარჯალაძე ი., მიქელაძე კ., ფრანგული ანდაზები და ხატოვანი სიტყვა-თქმანი ქართული თარგმანითა და შესატყვისობებით, თბილისი, 1981
4. მეტრეველი ნ., ანდაზები, 1942
5. ნეიმანი ა., სინონიმთა ლექსიკონი, 1975
6. ორბელიანი ს.ს., ლექსიკონი ქართული, I-II, თბილისი, 1991
7. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი, 2001
8. ფენრიხი ჰ., სარჯველაძე ზ., ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 2000
9. ფოჩხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი, 1974
10. ქადეიშვილი ნ., ფრანგული ენის თემატურ-დარგობრივი ლექსიკონი, თბილისი, 2005
11. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 8 ტომად, ა. ჩიქობავას რედაქციით, 1950-64 წწ.
12. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, არნ. ჩიქობავას რედაქტორობით, თბილისი, 1985
13. ქართული ანდაზები და ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თ. სახოკიას რედაქციით, თბილისი, 1979
14. ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თ. სახოკიას რედაქციით, I, II, IIIტ., 1972
15. ქართული ანდაზები, ნ. ნაკაშიძის რედაქციით, თბილისი, 1953
16. ქართულ-რუსული ანდაზები, შეადგინა პ.წერეთელმა, თბილისი, 1956

17. ქართულ-ფრანგული ლექსიკონი, I, II, III ტომი, რედ. ნ. ქადეიშვილი, 1998
18. ყაუხჩიშვილი სიმ., მოკლე ქართულ-ლათინური ლექსიკონი, თბილისი, 1959
19. ჩუხუა მ., ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 2000-2003
20. Французско-русский словарь, составила, К. А. Ганщина, москва, 1946
21. Французско-русский Фразеологический Словарь, Составители: В Г Гак и друг., москва, 1963
22. Bertaud du Chazaud H. , dictionnaire de synonymes et mots de sens voisin, 2003
23. Dictionnaire des Expressions et Locutions – les usuels du Robert par lain Rey et Sophi Chantreau, 1987
24. Dubois J., Mitterand H., Dauzat A., Dictionnaire étimologique et historique du français, 1999
25. Genonvriér E., Désirat C., Hordé T., Larousse, nouveau dictionnaire des synonymes
26. Merveilles et secrets de la langue française – est une réalisation de selection du Reader`s Digest, paris, 2002
27. Greimas A.J., dictionnaire de l`ancien français jusqu`au milieu du XIV siècle, Canada, 1987
28. Micro Robert, Dictionnaire du français primordial, 1987
29. Rat M., Dictionnaire des expressions et locutions traditionnelles, 1957
30. Ripert P., Dictionnaire des synonymes de la langue française, 1994
31. ინტერნეტრესურსები და სასარგებლო ბმულები.